საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

საქართველო & მსოფლიო

11-17 მარტი, 2009 №4

www.geworld.net

გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net

რისთვის ჩადის ობამა თურქეთში და რატომ ემუქრება აჭარას ანკარის პროტექტორატი?

4-5

ასე ჭრიან ისინი საქართველოს!

14

მარინა ბალიაშვილი:

გაჩეჩილაძის გამოსვლებს ინტელექტუალური დონე აკლია

16

ENTER PASSWORD

ანუ ამერიკის ფავორიტი ალაპარაკდა...

სააკაშვილი ახალ ომს დაიწყებს?

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

სააკაშვილი ახალ ომს დაიწყებს?

მიხეილ სააკაშვილი ახალ ომს დაიწყებს. ამის შესაძლებლობაზე ბოლო დროს არა მხოლოდ სეპარატისტთა ლიდერები და რუსი ჟურნალისტები საუბრობენ; თემას ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტებიც ავითარებენ. რამდენად რეალურია საფრთხე? ეს აზრი არ თავსდება ჩვეულებრივი ლოგიკის ჩარჩოებში. თუმცა, ვინაიდან ვსაუბრობთ სააკაშვილზე და არა არისტოტელეზე, ლოგიკის ნაცვლად საქმე, სავარაუდოდ, გვაქვს სუბიექტური შეხედულებების, პოლიტიკური ფობიებისა და (ვინ იცის, ვის წინაშე) ნაკისრი ვალდებულებების ფეთქებადსაშიშ ნაზავთან, რომელთან შედარებით „მოლოტოვის კოქტეილი" უწყინარი შუშხუნაა. ფაქტია — ხელისუფლების მოქმედება აგვისტოში არაადეკვატური იყო, და მომავალში რატომ იქნება სხვაგვარი? ამგვარად, თავსატეხში „რა დაუშლის სააკაშვილს ომის დაწყებას: ა) ჭკუა; ბ) გონება; გ) სხვა რამ" — ჩვენ მხოლოდ ბოლო ფაქტორს განვიხილავთ. ბუნებრივია, ომის დასაწყებად ერთი ადამიანის სურვილი საკმარისი არ არის. ეს დამატებითი ფაქტორია, რომელიც ობიექტურ წინაპირობებს ემატება. არსებობს თუ არა ისინი, ვუახლოვდებით თუ არა ახალ ომს, რომელიც საქართველოს ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენებს?

ცეკვები უფსკრულის პირას

ძალიან გვინდა, გვჯეროდეს, რომ სადღაც იქ, გაეროში, სკივრში, საერთაშორისო სამართლის ნათელი პრინციპები ინახება, თუმცა რეალობა სხვაგვარია: თუ მეზობელი სახელმწიფოები შეთანხმდებიან საქართველოს დანაწევრებაზე, ხოლო აშშ დროებითი დასუსტებიდან ან, სულაც, გრძელვადიანი გეგმებიდან გამომდინარე, მას დაუშვებს, კატასტროფა გარდაუვალი გახდება (გამართლებას და კონტროლის საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში, ასე თუ ისე, მოქცეულ ფორმებს როგორმე მოძებნიან). თავის წილს მოითხოვს ყველა; 1938 წელს, როდესაც დასავლეთმა ჩეხოსლოვაკია განირა, მას არა მხოლოდ გერმანია, არამედ მეზობელი პოლონეთი და უნგრეთიც დააცხრნენ.

1921 წლის ამბებს თუ გავიხსენებთ, არა მხოლოდ ერთი სახელმწიფოს აგრესიას, მეზობელთა შეთანხმებას და საქართველოს დანაწევრებასაც დავინახავთ. თუ რით ვუპასუხეთ ამ გამოწვევას, ამის შესახებ კარგად წერს ზურაბ ავალიშვილი: „როდესაც, საქართველო **მიიყვანეს** (ეს სიტყვა ავალიშვილს ხაზგასმული აქვს) შეტაკებამდე საბჭოთა რუსეთთან, უკანასკნელის არცთუ დიდ ძალებს თითქმის არანაირი წინააღმდეგობა შეხვედრია. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ საბჭოთა არმიას დახვედროდა არა „შეიარაღებული ხალხი", არამედ პარტიულ ბელადთა ჯგუფი, ადამიანები, რომელთა ხელი ერია ხელისუფლების ექსპლუატაციაში, მცირერიცხოვან დამქაშებთან ერთად... საქართველოს მთავრობამ ისეთ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი, რომ მისი ჩამოგდება ერთი წკიპურტით გახდა შესაძლებელი" (არაფერს გაგონებთ?).

დროში ასე შორს რომ არ წავიდეთ, შეგვიძლია იუგოსლავიის მაგალითიც განვიხილოთ. სწორედ იმ იუგოსლავიის, რომლის შექმნას (ვერსალის კონფერენციაზე) საფუძველი დასავლურმა დემოკრატიებმა ჩაუყარეს, რომელსაც მხარს უჭერდნენ კრემლთან დაპირისპირებაში „ცივი ომის" დროს. იუგოსლავიის დაშლის ობიექტურ წინაპირობებთან ერთად, არსებობდა (ისევე, როგორც ჩვენთან) დამატებითი ფაქტორიც მილოშევიჩის რეჟიმის სახით, რომელზეც შეიძლებოდა ამ ცინიკური გეოპოლიტიკური ოპერაციის ყველა ექსცესის ჩამოწერა. სხედან ახლა ზოგიერთები ბელგრადში და სევდიანად იმეორებენ: „ეს რა გვიქენი, სლობოდან, ეს რა გვიქენი". გვიანია.

მაგრამ ბევრს მაინც უნდა სჯეროდეს, რომ ანგლოამერიკელები არ გაგვწირავენ, რადგან უნიკალური, მათთვის თითქოს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქცია გვაკისრია. იმაზე, თუ როგორ ჩნდება და შემდეგ ქრება მსგავსი ვირტუალური ფუნქცია, ალბათ, ჯობს, ოდნავ დაწვრილებით შევჩერდეთ.

მისი უდიდებულესობის სამსახურში

ბრიტანეთის (მოგვიანებით კი აშშ-ს) ევრაზიაში გატარებული პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი ყოველთვის მდგომარეობდა მძლავრი კონტინენტური სახელმწიფოების ან ბლოკების შეზღუდვაში, მათ დაპირისპირებასა და იზოლირებაში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ლონდონისა და ვაშინგტონის (პარიზი აიყოლიეს) წინაშე რთული ამოცანა დადგა — გერმანიასა და რუსეთს შორის ბარიერის აგება, რომელიც დასავლეთის კონტროლს დაექვემდებარებოდა და გამოყენებული იქნებოდა, როგორც ერთის, ისე მეორის შეზღუდვისათვის. მთელი რიგი ერების (ავსტია-უნგრეთში, რუსეთში) ლტოლვა დამოუკიდებლობისკენ ხელს უწყობდა ამ მიზნის მიღწევას. ევროპის შუაგულის პირდაპირი კონტროლი ანგლოამერიკელებს არ შეეძლოთ, თუმცა ახალი სახელმწიფოების მხარდაჭერა, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ალიანსების სისტემის შექმნით სავსებით შესაძლებელი იყო.

ამ ამოცანის გადაწყვეტას ცდილობდნენ მოკავშირეები ომის შემდეგ, ვერსალის კონფერენციაზე, რომელსაც ყურადღებით (ხანდახან ბრაზით) ადევნებდა თვალს ბრიტანული გეოპოლიტიკის არქიტექტორი სერ ჰელფორდ მაკინდერი. იდეები, რომელიც მან 1919 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „დემოკრატიული იდეალები და რეალობა" (აქტუალური სათაურია) გამოთქვა, ვერსალში რეალობად იქცნენ. ევროპის შუაგულში მცირე სახელმწიფოების ზღუდე აიგო.

„ცივი ომის" დასრულების შემდეგ ვაშინგტონმა კვლავ დაიწყო ევრაზიაში მისი გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოებისაგან ზღუდის აგება ბალტია-შავი ზღვის რკალზე, პერსპექტივაში კი, რუსეთის საზღვრების თითქმის მთელ პერიმეტრზე

დღევანდელი გადასახედიდან, კარგად ჩანს, რომ ის, რაც აღიზიანებდა მაკინდერს ვერსალის მოლაპარაკებებზე, იყო უბრალოდ რიტორიკა, გეოპოლიტიკური ფორმულების გადაყვანა საერთაშორისო პოლიტიკის ენაზე. ჩვენს დროშიც არ შეიძლება პირდაპირ თქვა (მაგალითად) შემდეგი: „კოსოვო გვჭირდება, რათა გავაკონტროლოთ მორავა- ვარდარის ქვაბული, რომელიც ერთადერთი ბუნებრივი გასასვლელია ცენტრალური ევროპიდან სრუტეების რეგიონში, უფრო ფართოდ კი — ევროპიდან წინა აზიაში. უნდა დავბლოკოთ როგორც გერმანული (ევროპული) წინსვლა სამხრეთისკენ, ისე რუსული — დასავლეთისკენ. ამიტომ (და არა მხოლოდ) კოსოვო ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს". ასე ვერ იტყვი, ისევე როგორც ვერ ისაუბრებ სიყვარულზე ბიოლოგია-ფიზიოლოგიის, ხოლო სპორტზე სტატიკა-დინამიკის ტერმინების გამოყენებით. ვერ გაგიგებენ.

მთავარია, რომ ამოცანა შესრულდა. ბალტიიდან შავ ზღვამდე მცირე სახელმწიფოების რკალი გაიჭიმა, რომლის უსაფრთხოებასა და განვითარებას დასავლური დემოკრატიები უზრუნველყოფდნენ. ამ სახელმწიფოების მოქალაქეებსაც სჯეროდათ საკუთარი ქვეყნების სიმყარისა და უნიკალური გეოპოლიტიკური ფუნქციის. მერე დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომი.

რატომ გაწირეს ჩეხოსლოვაკია?

ვინ გაანადგურა ეს ზღუდე? სსრკ-მ და ფაშისტურმა გერმანიამ (ცოტა ხნის წინათ, შემხვდა ბაკალავრი, რომელსაც მოლოტოვ-რიბენტროპი ერთი პიროვნება ეგონა)? არა მხოლოდ მათ. ყველაფერი დაიწყო 1938-ის შემოდგომაზე მიუნჰენის მოლაპარაკებებზე, სადაც დასავლეთმა გაწირა ჩეხოსლოვაკია.

ნამდვილად შეიძლებოდა ამ ქვეყნისთვის უსაფრთხოების მყარი გარანტიების მიცემა, როდესაც ჰიტლერმა მისგან ტერიტორიის დათმობა მოითხოვა. მითუმეტეს, რომ ჩეხოსლოვაკიის არმია, მობილიზებული და კარგად შეიარაღებული, თითქმის უნაკლო პოზიციებს იკავებდა. გენერალ-ფელდმარშალი ვილჰელმ კეიტელი წერდა: „ძალიან გაგვიხარდა, რომ საქმე ოპერაციის ჩატარებამდე არ მივიდა. სამხედრო თვალსაზრისით, სუდეტების გამაგრებული ხაზის გარღვევის შესაძლებლობა არ გვქონდა". ვერმახტს 1938-ში არ შეეძლო, ერთდროულად ჩეხოსლოვაკიასთან, ინგლის-საფრანგეთთან (და შესაძლოა, საბჭოეთთანაც) ეომა.

მაგრამ ჩეხოსლოვაკია, არა მხოლოდ მიატოვეს, არამედ დაარწმუნეს წინააღმდეგობის უაზრობასა და დათმობის აუცილებლობაში. ისეთივე პათოსით, როგორითაც მომდევნო წელს დაარწმუნეს პოლონეთი, მოკავშირეთა იმედით, წინააღმდეგობა გაეწია. რა იდგა ამ, თითქოს და, ქაოტური მოქმედებების მიღმა?

საქმე, შესაძლოა, ის გახლავთ, რომ საბჭოეთის და გერმანიის შესვლა უშუალო შეხებაში ამ დროს ისეთივე აუცილებელი გახდა, როგორც იქამდე ათი ან ოცი წლით ადრე არასასურველი იყო. მომავალი მსოფლიო ომის ლოგიკა მოითხოვდა ამ სახელმწიფოების დაჯახებას, ამისთვის ბრძოლის ველის გაწმენდა და მხარეთა ირიბი წაქეზება იყო საჭირო. თუ არა და, ჰიტლერი განუხრელად დასავლეთისკენ ივლიდა. მიუნჰენის შეთანხმებამ მწვანე შუქი აუნთო მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს და აღმოსავლეთ ევროპის სუსტი სახელმწიფოების დანაწილებას ორ იმპერიას შორის.

ეს მხოლოდ ვარაუდია, შესაძლოა დასავლეთმა უბრალოდ წამიერი სისუსტე გამოავლინა, თუმცა ფაქტია: მსოფლიოს ისტორიაში არავის უღალატია ასე ცინიკურად, როგორც დასავლეთმა 1938-ში ჩეხოსლოვაკიას უღალატა. ჩეხებს კი საკუთარი უნიკალური გეოპოლიტიკური ფუნქციისა და ხალხთა დემოკრატიული ერთობის ბოლო წუთამდე სჯეროდათ.

რა გვინდოდა წვენებში

„ცივი ომის" დასრულების შემდეგ ვაშინგტონმა კვლავ დაიწყო ევრაზიაში მისი გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოებისაგან ზღუდის აგება ბალტია-შავი ზღვის რკალზე, პერსპექტივაში კი, რუსეთის საზღვრების თითქმის მთელ პერიმეტრზე. მისი ფუნქცია იგივე იყო: ძველი ევროპისა (უპირველესად, გერმანიის) და რუსეთის დაშორიშორება და მოქმედება ერთის ან მეორის წინააღმდეგ საჭიროების მიხედვით. საქართველოს ამ კონფიგურაციაში ოდნავ განსხვავებული ფუნქცია მიენიჭა.

საქართველო უნდა გამხდარიყო ზემოქმედების ინსტრუმენტი, ერთი მხრივ, რუსეთზე (მის ყველაზე მგრძნობიარე ზონაზე კავკასიიდან ვოლგო-დონამდე), მაგრამ, მეორე მხრივ, არა იმდენად ძველ ევროპაზე, რამდენადაც თურქეთსა და ირანზე, მათი შესაძლო მომავალი მისწრაფებების შეზღუდვისათვის. მარტივად რომ ვთქვათ, ერთგვარი სახელმწიფო-პლაცდარმი. ტრანზიტული ფუნქცია ამ მიდგომის ჭრილში შედეგია და არა მიზეზი, რომელიც უფრო გეოპოლიტიკური პროექტის ლეგენდირებას ემსახურება. ჩვენი უდრტვინველი ელიტა ამ თამაშში მონაწილეობას დათანხმდა.

XX საუკუნის მაგალითზე ჩვენ ვნახეთ, რომ „სანიტარული" სარტყელის გამყარება მეტნაკლებად მშვიდობიანი ექსპანსიის ლოგიკაში თავსდება, ხოლო მისი განადგურება-გლობალური ომის ლოგიკაში. საქართველოს დანაწევრების შემთხვევაში რუსეთი, თურქეთი და ირანი (გავლენის ზონებით) პირისპირ აღმოჩნდებიან, გაჩნდება არა მხოლოდ თანამშრომლობის, არამედ დაძაბულობის ველიც, რომელიც ვიღაცას, შესაძლოა, დასჭირდა ამ პერიოდში, ამ მონაკვეთზე. დანარჩენი კი ტექნიკის საქმეა; კავკასიაში დაძაბულობის ისეთივე კერა გაჩნდება, როგორიც ახლო აღმოსავლეთში ან ავღანეთ-პაკისტან-ინდოეთის ზონაში ფეთქავს. ესეც მხოლოდ ვარაუდია, შესაძლოა, საქმე ისევ დასავლეთის დროებით დასუსტებასთან ან რუსეთთან ურთიერთობების დათბობასთან გვაქვს, ფაქტი კი ისაა, რომ თბილისიდან 50 კმ-ში ტანკები დგანან.

ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა

მართლა მისწერა თუ არა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა წერილი თურქ კოლეგას, რომელშიც თითქოსდა ამცნო, რომ კრემლი თანახმაა, ანკარამ ყარსის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები განახორციელოს, მარტივად რომ ვთქვათ, აჭარა დაიკავოს (ლავროვ-ბაბაჯანის პაქტი, როგორ ჟღერს?)?

ნამდვილად განიხილება თუ არა ევროკავშირის კულუარებში სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ნაფლეთებიდან კონფედერაციის შექმნის გეგმა?

ვინ უწევს რეკლამას ე.წ. „ტუშინის გეგმას", რომელიც ითვალისწინებს საქართველოს დროებით დესუვერენიზაციას და მის გაკონტროლებას გაეროსა და საერთაშორისო (სავარაუდოდ, მეზობელი სახელმწიფოების მიერ დაკომპლექტებული) ადმინისტრაციისა და პოლიციური ძალების მიერ? ემზადება თუ არა ომისთვის სომხეთი? რამდენად ემუქრება საქართველოს ლიბანიზაცია? საერთოდ, ბოლო დროს მედიაში ბევრი დამაეჭვებელი ცნობა ვრცელდება, რომელიც მსგავს კითხვებს ბადებს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ჩავთვალოთ, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა. რომ არსებობს კვამლი ცეცხლის გარეშე (კვამლი კი არა, ბუღია უკვე). მაგრამ ყურადღება მივაქციოთ სხვა გარემოებას, მედია და პოლიტიკური კომენტატორები მეზობელ (და არა მხოლოდ) ქვეყნებში ამ ამბებს საკმაოდ მშვიდად განიხილავენ, ისე, თითქოს საუბარი რაღაც ბუნებრივზე მიდის. ისე, საქართველოში კიდევ ერთხელ თუ გავარდა ტყვია, ზოგიერთი, დღევანდელი გადასახედიდან, მანიაკური, გეგმა შეიძლება სანატრელი გაგვიხდეს.

არავინ გამორიცხავს წინააღმდეგობასა და ბრძოლას. იბრძოლეს პოლონელებმა 1939-ში, სრულიად არაადეკვატური ხელისუფლებით და იდიოტური სამხედრო გეგმებით, იომეს სერბებმაც იუგოსლავიის დაშლის დროს, მაგრამ ხელისუფლების უთავბოლობამ ისინიც სრულ კატასტროფამდე მიიყვანა.

დავუბრუნდეთ სააკაშვილის ფაქტორს. პოლიტიკოსები და ექსპერტები, რომლებიც თვლიან, რომ მან შეიძლება ომი დაიწყოს, ორ გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას. 1) **სააკაშვილის მმართველობა სრული კრახით დასრულდა და მას ურჩევნია, წავიდეს როგორც აგრესორის მიერ დევნილი კანონიერი ხელისუფალი და არა როგორც სამარცხვინოდ დამხობილი დიქტატორი; 2) იგი ხელისუფლების შენარჩუნებას ლამობს და პოლიტიკური კრიზისიდან ყურადღების გადატანა უნდა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო გამარჯვების მიღწევის შანსი არ აქვს.**

საერთოდ, ომი ძალიან რთული მექანიზმია, მისი ამოქმედება ერთმა ან რამდენიმე არაადეკვატურმა პოლიტიკოსმა რომ შეძლოს. თუ თეთრი სახლი უაზრო ავანტიურის წინააღმდეგი იქნება, ამ პოლიტიკოსების გვერდით, ფიგურალურად რომ ვთქვათ, მყისვე გაჩნდებიან კეთილი ნების ადამიანები (წოდებით არანაკლებ მაიორისა) და უბრალოდ გაკოჭავენ მათ, ხოლო მათი ბრძანებები დაიბლოკება. მაგრამ ვაშინგტონიდან ერთმანეთისგან განსხვავებული, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი სიგნალები მოდის. რაღაც მომენტში ეს სიგნალები შეიძლება თავისებურად გაიგონ თბილისში, მოსკოვში, ანკარაში, თეირანში, ერევანში, ბაქოში (შეთქმულების თეორიის მიმდევარი დაამატებდა: შესაძლოა, ასეც არის ჩაფიქრებული. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გზას ახალ მსოფლიო წესრიგს უხსნის). მოკლედ, ჰანიბალი კარიბჭესთანაა...

ჩვენ კი კვლავ ვეძებთ მითს, რომელიც დაგვამშვიდებს, ,,ნაბუქოს" მაგალითად. ან კიდევ ამ უკვდავ არგუმენტს: ,,რუსეთი ომისთვის მზად არ არის". კაცმა რომ თქვას, რუსეთის ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი ომი, რომლის დასაწყისში იგი მზად იყო. მაგრამ ომობდა როგორღაც და ახლაც იომებს როგორმე.

ამგვარად, განხილული პოზიციის გადასახედიდან, ომის დაწყება დიდი ალბათობით შეიძლება ორი ფაქტორის თანხვედრამ განაპირობოს: ობიექტურის (რეგიონული გადანაწილების დაწყება) და სუბიექტურის (სააკაშვილის მკვეთრი მოქმედება). მეორე ფაქტორის განეიტრალება ქართულ საზოგადოებას შეუძლია. გააკეთებს თუ არა იგი ამას? დრო ამისათვის, როგორც ჩანს, სულ უფრო ცოტა რჩება.

დიმიტრი ბოინიავა

წერილები ახალგორიდან

მას შემდეგ, რაც ახალგორი თითქმის დაიცალა ქართველებისგან, ალან გასაევმა მოიწყინა, იმიტომ, რომ ხმისგამცემი აღარავინ დარჩა. სამაგიეროდ, ყურადღებით ადევნებს თვალს რუსული არხების საინფორმაციო გადაცემებს, რადგან ქართული არხების მაუწყებლობა ახალგორში შეწყვეტილია. ტელევიზიით ნანახ და გაგონილ ამბებს კი წერილობით უყვება კარის მეზობელს, ქართველს, რომელიც კარგა ხანია, აღარ უნახავს და, საერთოდაც, ის მეზობელი ახლა წეროვანის გეტოში ცხოვრობს. მოდი, ასე ვთქვათ: ეს სცენარი რედაქციის ფანტაზიის ნაყოფია. სამაგიეროდ, ალანის წერილებში მოყვანილი ფაქტები ზუსტი და უტყუარია.

ძმაო, გივი, როგორ გიკითხო? რა ხდება თქვენკენა? გუშინწინ შენი დეიდაშვილი შემხვდა, მითხრა, გივის გული სტკივაო და ძალიან მეწყინა. აქ ჯერჯერობით სიწყნარეა, აპალჩენცები აღარ არიან, ხალხს მაინც ეშინია, ამბობენ, რუსულ პასპორტებს მოგვცემენო. ვინც აიღებს, დარჩება, ვინც არა და...

რავი, რა ხდება, რათ უნდოდათ ომი და უბედურება. გუშინ ორტ-მ გადმოსცა სააკაშვილზე იმისთანა ამბები, გავყუჩდი: რაღაც აგონია ყოფილა და სააკაშვილს დამართნია. ქართველებსაო თავიანთი პრეზიდენტი ყელში ამოუვიდათო, ამერიკაც ყურს აღარ უგდებს და ევროპასაც გული ერევა მაგის სახელის ხსენებაზედაო. იმანაც რა ქნას და უფიქრია, მოდი, ეს მერი რომ მყავს, უგულავა, მითომ ვანოსთან ვაჩხუბებ, ისიც გაბრაზდება და ჩემი მტრების ლაგერში გადავაო. მერე ისევ დანიშნავენ ამ არჩევნებს თუ რაღაც ოხრობას და ისევ მაგის ხალხს ექნება ვლასტი. ანდა კიდევა, გააცოცებენ რევოლუციასა და სიმპატიჩნი ბიჭი როა, ალასანია, ზასედანიებზე რუსებს რო ეჩხუბებოდა, ის იქნება საქართველოს პრეზიდენტიო.

ეჰ, ვინც გინდა, ის იყოს პრეზიდენტი, ძმაო, მაგას აღარ დავეძებ, ჩვენთვინა სულერთია, ვინ გამოვა ტელევიზორში, მე ის უფრო მამწარებს, რო ერთი სირჩა ვეღარ აგვიწევია ერთადა და სადღეგრძელო ვერ გვითქვამს ამ რუსებისა და ამერიკელების გადამკიდესა. ორტ-მ ისიცა თქვა, რას გვერჩიან ეს ქართველები, ოკუპაცია რო დაგვაბრალეს, გეგონება, ეგენი ისედაც ამერიკის კალონია არ იყვნენო. მოკლედ, ვერ არი კაი ამბები და მაგ მტკივან გულსაც ვერაფრით გაგიხარებ.

ამერიკის ახალ პრეზიდენტსა კიდე, აი შავ-შავი ბიჭი რო არის, ეტყობა, მაგასაც მაგრა უქრის თავში ჩვენი მიშასავითა. მთელ მსოფლიოში ქალებს ეჩხუბებიან, ბალღები გააჩინეთ, ოპერაციები არ გაიკეთოთო და ობამას უთქვამს, ფული ისედაც არ არი, რა დროს ბავშვების გაჩენაა და ვინც ქალებს მაგას მააშლევინებს, იმ ორგანიზაციებს კაი ჯამაგირს მივცემო!

ეს ხომ აფრენს და იმ ამბავმა სუ გული გამიხეთქა, ამერიკას ოქრო და ფული რომ აღარა ყოფნის, ახალ ცივ-ცივ ომს აპირებსო... ხოდა, საფრთხობელად კიდე რუსეთს გამოიყენებსო. ეგ იმ ხუჭუჭა ბიჭმა თქვა, საღამოობით რტვ-ზე ბევრს რომ ლაპარაკობს ხოლმე. თანაცა, ეგ უშველებელი ქვეყანა სუ გალავარეზ ბანდებს დაუნაწილებიათ. 20 ტიშჩი ბანდა ყოფილა თურმე, პაჩტი მილიონი კაცი. მაგოდენა კრიმინალების გაძღომა არ გინდა? ეგ ამბავი ფე-ბე-ერს ძაან აწუხებს თურმე და აღარც კი იციან, რა ქნან. ქვეყანას ხო არ დააქცევინებენ შავ სამყაროსა და პრესტუპნიკებსა? ის კი აღარ გამიკვირდა, ეგ ბანდები ნარკოტიკებს რო ყიდიან, ვერა ხედამ, საქართველო წაიღო ბარიგობამ და მამაძაღლობამა?!.

ხოდა სანამ ამერიკა მაგ ამბებშია, ირანმა დრო იხელთა და ახალი რაკეტის ისპიტანია გააკეთა. მაგით ამერიკასა და ისრაელს უთხრა, — თუ ბიჭები ხართ, ლიშნი რაზ ხმა გამეცითო. ეგ რაკეტა ძაან შორს ისვრის, თურმე!

ხო, კინაღამ დამავიწყდა, წეღან ამერიკაზე რო გიყვებოდი, აბა იქა ჰქონიათ სამუშაოებზე დაჭმა, არა მე უნდა გავხდე სკოლაში დამლაგებელი, არა მეო, დაუხოცავთ ერთმანეთი ოჰაიოში. დახოცამდნენ, მა, რა, ერთ საათში 16 დოლარი ჰქონია ჯამაგირი დამლაგებელსა. ვისაც ჭკუა არა აქ, ის კიდე სამსახურსა კარგამს. მა რა ღორობა იყო, კალიფორნიაში, თურმე, ბუღალტერი ყოფილა ერთი, ქალი თანაცა, დიდ დაწესებულებაში უმუშავია, ავეჯს რო აკეთებენ, იმაში, და გაუტყავებია თავისი უფროსები — 10 მილიონი შეუჭამია, კაცო! სუ სუმკები და ბათინკები უყიდია იმ ფულითა, არკი ამოწმებდნენ, თვალდახუჭული ენდობოდნენ, თურმე. წადი ამის მერე და ენდე ვინმესა! არადა, ეს ჩვენი ხალხი რა მიმნდობია, სუ სჯეროთ ყველაფერი, რასაც ტელევიზორში იტყვიან...

მაგრამა, იმ ქალისა რა უნდა გამიკვირდეს, ქალია და ჭკუა არ მოეკითხება მაინცა, ამ პრეზიდენტებსა, ამხელა სალიდნი კაცებსა, რა მუცელქორობა შეეყარათ? ჯერა, სააკაშვილმაო მილიონები დაახარჯა თავის რეზიდენციასაო, და ეხლა კიდე უკრაინის პრეზიდენტი როა, იუშჩენკო, ის იშენებს, თურმე, ზუსტად ეგეთნაირსა, ოღონდ ზა 11 მილიონ ევრო! კი ამბობს, მაჩუქებენო, მაგრამა მე და შენ რატო არავინა გვჩუქნის სახლსა? და ჩუქებასაც თავი რო დანებო, რათ არ გვაყენებენ ჩვენს სახლებში და ნალიოტებს გვიკეთებენ?

და განა მარტო ჩვენა? ნალიოტი იმისთანა უნდა, ამ რამდენიმე დღის წინ ირლანდიაში რომ გაუკეთეს ინგლისის ბაზებსა. ორი კაცი მომკვდარა, თურმე. პოლიცია კი ეძებს ნალიოტჩიკებს, მაგრამ იპოვის თუ არა, რა გითხრა. იტყვიან თუ არა ტელევიზორში, გაგაგებინებ ეგრევე.

ეხლა მე და შენ რატო უნდა გვადარდებდეს, ჩვენ ვინ მოგვაოხრებს და მოგვაშავებს, მაგრამ ამერიკას ძაან ცუდად ჰქონია საქმე — მაგათი ფული გროშ-კაპიკად აღარ ღირებულა. მა, ჩინეთში გიჟები ხო არ არიან, ცენტრალნი ბანკს გამოუცხადებია, აზიაში ყველა ქვეყანას ანგარიშს ჩვენი ფულით გავუსწორებთო, იუანები ჰქონიათ მაგათა. ყაზახეთსა და რუსეთსაც ნდომებიათ რეზერვნი ფულის შემოღება — რუბლი იქნებაო. ახლო აღმოსავლეთს ამერიკული ფულის დანახვა აღარ უნდა, თურმე, ისე გაფუყულა ამერიკის სახელმწიფო ვალი, რაღაც ობლიგაციების ბაზარი. თვითონ ამერიკაში კიდე მაგარი პრობლემები ჰქონიათ ბანკებს. შეიძლება ვაფშე გაიხიშტონ ეგენი — ცოტა კი არ არის, 252 ბანკი ყოფილა უფულოდა.

ხოდა, ამ სასწაულ კრიზისზე, მთელ მსოფლიოში რო არის, მუნდელას — ძაან მაგარი ეკონომისტი ყოფილა, დაჟე პრემიაც მიუციათ მაგისთვინა, ამერიკისთვის შეუთვლია, სუ შენი ბრალია, ეგეთ დღეში რომ ჩავცვივდითო. სიტყვასიტყვით ეგრე უთქვამს — შექმნილი კრიზისის საფუძველი აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკაშია, 2001-2002 წლებში რომ ატარებდიო. სპეციალურად დავიხსომე შენთვისა. ჭკვიანი კაცი ხარ და მიხვდები.

ეს ამერიკა ვერ ისვენებს მაინცა. ეგე, ავღანეთში ორ თვეში გაუჟუჟია იმაზე მეტი მშვიდობიანი მოსახლეობა, ვიდრე „თალიბებსა." რავი, ჩვენზე კი გამოიდო დიდის ამბითა თავი და თავის ხალხს მიხედოს, არა ჯობია? ეგ კი არ იკმარა, თურმე, უთქვამს: დაიცა, ჯერ სადა ხართ, ავღანეთში ომი ეხლა იწყება, თუ იწყებაო! აბა, ეგა ჩვენ დაგვინდობს?

ეს უკრაინა რა მაგრა ჰგავს საქართველოს, გავგიჟდი კაცი. იქაც პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს ბივში პრეზიდენტი, კრავჩუკი. როგორც აქ სააკაშვილს, იქაც იუშჩენკოს ისე ეუბნებიან, არჩევნები დანიშნე, გინდა თუ არაო. ზუსტად ეგრე უთქვამს იმ კრავჩუკსაც, როგორც აქ უთხრეს მიშას: ნამდვილი პატრიოტიზმი იმისია, რო სიტუაციას ჩაუღრმავდე და ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, პრეზიდენტს რო ეკადრებაო!

დღეს სუ ეგ იყო. კიდე მოგწერ საინტერესო ამბებსა. მომიკითხე შენი ოჯახობა. შენი ძმა, ალანი.

ნიკა ჩარკვიანი

იუშჩენკო ყირიმს თურქეთისათვის ამზადებს

არსებობს რეალური საშიშროება, რომ ყირიმი გადაეცეს თურქეთს. ამის შესახებ, როგორც „უკრაინსკიე ნოვოსტი" იტყობინება, განაცხადა უკრაინის პროგრესული სოციალისტური პარტიის ლიდერმა ნატალია ვიტრენკომ.

„ვიქტორ იუშჩენკომ საგარეო საქმეთა მინისტრ ვლადიმერ ოგრიზკოსთან ერთად დაადასტურა, თუ რამდენად ხელსაყრელი არიან ისინი ნატოსათვის. ნატოს ქვეყნისათვის — რუმინეთისათვის — მათ გადასცეს უკრაინის შელფის უმდიდრესი მონაკვეთი... ვფიქრობ, ისინი კვლავაც გააგრძელებენ ტერიტორიების დათმობას ნატოს ქვეყნებისათვის. ამიტომ არის საფრთხე ბუკოვინისათვის და, ბოლოს და ბოლოს, გალიჩინისათვისაც. და მე არ გამოვრიცხავ იმის შესაძლებლობას, რომ შემდგომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ თურქეთისათვის, რათა მას გაუკეთონ ყირიმის საჩუქარი", — განაცხადა მან, როდესაც კომენტარს უკეთებდა გაეროს სასამართლოს გადაწყვეტილებას შავი ზღვის შელფის დემილიტაციის შესახებ უკრაინასა და რუმინეთს შორის.

ვიტრენკოს მიაჩნია, რომ უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო ასრულებს ამერიკის შეერთებული შტატების დავალებას, ცდილობს, შექმნას საფუძველი ყირიმის ნახევარკუნძულზე შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღებისათვის.

„ომი თურქეთსა და უკრაინას შორის გარდაუვალია 10-12 წლის შემდეგ", — განაცხადა საბჭოთა დაზვერვის ვეტერანმა იგორ ბერკუტმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

რისთვის ჩადის ობამა თურქეთში და რატომ ემუქრება აჭარას ანკარის პროტექტორატი?

საქართველო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული, გორსა და მიმდებარე სოფლებში ცოდვის კალო ილეწებოდა, თბილისში „ღამის მთევლებს“ ვმასპინძლობდით და რუსთაველზე „კუდიანების დავლური“ გაემართათ „დაბომბვის პირდაპირი მუქარის მიუხედავად“. შარშანდელი აგვისტო კიდევ არაერთხელ შეგვახსენებს თავს. ყურს იქით გავატარეთ ინფორმაცია, რომ ასეთ ვითარებაში ნატოს წევრი ქვეყნებიდან ერთადერთმა მხოლოდ თურქეთმა არ დაგმო რუსეთის მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენება, ანუ აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. არც იმისთვის მიგვიქცევია ყურადღება, რომ იმ დღეებში თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი მოსკოვში საგანგებოდ ჩავიდა რუსეთის ხელისუფლების პირველ პირებთან სასაუბროდ. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ასეთ სასწრაფო რეჟიმში, როცა ფოთის პორტი იბომბებოდა, ერდოღანს მხოლოდ თავისი ქვეყნის ინტერესები აიძულებდა მედვედევსა და პუტინთან პირისპირ შეხვედრას.

გასაგებიც არის ერდოღანის შეშფოთება, თუ გავიხსენებთ 1921 წელს: 11-12 თებერვალს, ღამით, დაიწყო საბჭოთა რუსეთის შეჭრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. 25 თებერვალს რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ ათათურქის ჯარებს შემოასწრო საქართველოში და თბილისი დაიკავა. სომხურ ქალაქ კარალისთან მდგარ თურქებს თოვლიანმა უღელტეხილმა შეუშალა ხელი, თუმცა მთავარი მაინც ის იყო, რომ საქართველო-რუსეთის ომის პარალელურად მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის მოლაპარაკება, რაც 1921 წლის 16 მარტს ხელშეკრულებით დასრულდა.

საქართველოში წითელი ვარსკვლავი აინთო და ნახევარმთვარე ჰორიზონტს მიღმა დარჩა. ალბათ, იმიტომ, რომ წითელ არმიას ქართველები მოუძღოდნენ სამშობლოში, მაგრამ ფაქტია — თურქეთს ერთი წუთითაც არ დავიწყებია თავისი სახელმწიფო ინტერესები. ნურც ჩვენ დაგვავიწყდება XX საუკუნის სისხლიანი დასაწყისი, ომები და ფორმაციების ცვლილებები — რუსეთის იმპერიის „სამშობიარო ჭინთვები“, საბჭოთა კავშირის დაბადება და მის მესვეურთა მცდელობები, ძველი იმპერიის საზღვრები შეენარჩუნებინათ.

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ხელმოწერილი სეპარატიული ზავით უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილმა საბჭოთა რუსეთმა გერმანიისა და მისი მოკავშირეების (ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთისა და თურქეთის) სასარგებლოდ დიდი ტერიტორია დათმო. მათ შორის, სამხრეთ კავკასიის ნაწილიც.

მივყვეთ ისტორიას, რამაც ერდოღანი მედვედევსა და პუტინს ასაუბრა. იქნებ ამ ისტორიული ფაქტების გახსენებამ მაინც აგვიხილოს თვალი, გამოგვაფხიზლოს და დაგვაფიქროს.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს, აჭარა თურქეთის მიერ იყო ოკუპირებული. მტრული გარემოცვით დასუსტებული საქართველო იძულებული გახდა, აჭარა თურქეთისთვის დაეთმო. მაშინ თურქეთისა და საქართველოს საზღვარი მდინარე ჩოლოქზე გადიოდა, 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში დადებული ხელშეკრულების თანახმად. მაგრამ მალე თურქეთმა საქართველოსთვის ვეღარ მოიცალა და პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა მუდროსის ზავით (1918 წლის ოქტომბერი) ბათუმი და მთელი აჭარა დატოვა. აჭარა ინგლისის საოკუპაციო ზონად გამოცხადდა. ინგლისელები იქ 1918 წლის დეკემბრიდან 1920 წლის ივლისამდე დარჩნენ. თურქებიცა და შემდეგ ინგლისელებიც ქართული ორიენტაციის ძალებს სდევნიდნენ. ამ ურთულეს ვითარებაში მემედ-ბეგ აბაშიძემ შეძლო ქართველ მაჰმადიანთა ერთ მუშტად შეკვრა და 1919 წლის 31 აგვისტოს ყრილობამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: **„ამიერითგან და სამარადისოთ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას სამუსლიმანო საქართველოს ფართე ავტონომიის ნიადაგზე...“**

დასუსტებული თურქეთისთვის ძნელი შესაგუებელი იყო ტერიტორიების დათმობა. ამიტომაც აჭარაში უკვე მერამდენედ შემოსულ თურქეთის ჯარებს მხოლოდ გენერალ მაზნიაშვილის შეტევამ დაახევინა უკან და ფაქტობრივი მდგომარეობა სარფში სახელმწიფო საზღვრად გაიქცა თურქეთსა და საბჭოთა საქართველოს შორის.

1921 წლის 23 სექტემბერს ქალაქ ყარსში დაიწყო თურქეთის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოლაპარაკება. ყარსის კონფერენციაში სრულუფლებიანი მხარის სახით მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთი. ხელშეკრულებაც გაფორმდა, რომლის მეექვსე მუხლი აჭარას ეხებოდა:

„Турция соглашается уступить Грузии сюзеренитет над городом и портом Батуми и территорией, лежащей к северу от границы, указанной в ст. 4 настоящего Договора и составляющей часть Батумского округа, при условии, что:

1) население местностей, указанных в настоящей статье будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и население будет иметь возможность установить в указанных местностях земельный закон, соответствующий его пожеланиям;

2) Турции будет обеспечен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких-либо задержек и без обложения их каким бы то ни было сбором, с предоставлением Турции права пользоваться Батумским портом без внимания за то специальных сборов.

Для проведения в жизнь этос статьи будет немедленно после подписания настоящего Договора образована Комиссия из представителей заинтересованных сторон“.

ᲐᲨᲨ-ᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

თუ ყურადღებით წაიკითხავთ ყარსის ხელშეკრულების მეექვსე მუხლს, დაინახავთ, რომ ლენინის რუსეთმა და ათა-თურქის თურქეთმა საქართველოში დადებული ბომბის პატრუქთან ადგილები დაიბევეს და პრემიერი ერდოღანი პრეზიდენტ მედვედევსა და პრემიერ პუტინს ამ პატრუქზე ცეცხლის წაკიდების თაობაზე შეუთანხმდა.

თავის დროზე, 1992 წელს, ასევე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეულ დამოუკიდებელ საქართველოს თურქეთმა ყარსის ხელშეკრულება შეახსენა და თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა და იმ დროისათვის არალეგიტიმური (საქართველოს პარლამენტის არჩევნები 1992 წლის ოქტომბერში გაიმართა) სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ 30 ივლისს თბილისში ხელი მოაწერეს საქართველო-თურქეთის ხელშეკრულებას, რომლის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ მხარეები დაიცავენ მათ შორის დადებულ ყველა ხელშეკრულებას და შეთანხმებას, დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებიდან.

ეს ისტორიული ფაქტები მხოლოდ შეგახსენეთ, თორემ პროფესორებს — ვახტანგ გურულს და ბონდო კუპატაძეს, არა ერთხელ დაუწერიათ და უსაუბრიათ ამ საკითხზე, მაგრამ მათი მოსმენის სურვილი უნდა გქონდეს და შენი ქვეყნის უახლესი ისტორია მაინც უნდა იცოდე, რათა შლეგივით არ ამტკიცო — საქართველო 2003 წლის ნოემბერში დაიწყოო. ახალმა წელთაღრიცხვამ უმძიმესი პრობლემები გაგვიჩინა და მათი მოგვარების პერსპექტივა კიდევ უფრო შორს გადაიწევს, თუ არც მეცნიერთა განსჯას მოვუსმენთ და ჭკუასთანაც მწყრალად დავრჩით.

საგულისხმოა ისიც, რომ შარშან რუსეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი საქართველოსთვის, თურქეთის მსგავსად, არც აზერბაიჯანს თანაუგრძვნია და არც სომხეთს. მაშინ, როცა შეშფოთებას ვერ მალავდნენ ევროპელები და უკიდურეს აღშფოთებას გამოხატავდნენ ამერიკელები საკუთარი პროექტის „ჩამოსექენდჰენდობის“ გამო, ჩვენი უახლოესი, ანუ კარის მეზობლები, ქართული ანდაზის მიხედვით, თვალის სინათლედ რომ უნდა მიგვაჩნდეს, თავიანთ ინტერესებს უფრთხილდებოდნენ. მათ ვერც გავამტყუნებთ, სახელმწიფო ინტერესები დროში შეიძლება შეიკუმშოს, მაგრამ არასოდეს იკვეცება.

როგორც კი საქართველოს დასუსტების ნიშნები დაინახეს, ჩვენი მეზობლები მაშინვე ერთმანეთს დაუტკბნენ და საქმეც „გაჩარხეს“. ჩვენი ხელისუფლების უნიათობის, საქართველოსთვის ყოვლად ზედმეტ და სარისკო ავანტიურებში ჩათრევის წყალობით, ექსპერტები უკვე როგორც მოცემულობაზე, ისე საუბრობენ, რომ თურქეთი აჭარას გვართმევს, სომხეთი — ჯავახეთს. აზერბაიჯანიც არ დარჩება უნადავლოდ — თუკი ყარაბაღის ნაცვლად მარნეულს და, თითქმის ასი წელია, თვალდადგმულ ყოფილ ბორჩალოს მაზრას უფეშქაშებენ, ფეხს ფეხზე გადაიდებს და წელში გამოყვანილი ჭიქებიდან ჩაის წრუპვას ნება-ნება განაგრძობს თვალმინაბული.

აი, რატომ აქვთ ჩვენი ომის ფონზე დიდი მისვლა-მოსვლა თურქებს, სომხებს, აზერბაიჯანელებსა და რუსებს!

გაიხსენეთ, რომ ყარსის ხელშეკრულებას ყველა მათგანი ხელს აწერს საქართველოსთან ერთად!

სამხრეთ კავკასიის საკითხებზე კონფერენციებსაც მართავენ, მსჯელობენ, განიხილავენ, საქართველო კი თითქოს აღარც არსებობს, ჩვენ არავინ აღარაფერს გვეკითხება...

რაც შეეხება რუსეთს, მისთვის საქართველოში ვითარების დამძიმება სულზე მისწრებაა. მაშინ მარტო აღარ იქნება. კარგად იცის, რომ თურქეთი აჭარას ისედაც არ დაუთმობს, სომხებით დასახლებული ჯავახეთიც სომხეთისთვის უპრიანია (თანაც მისი სტრატეგიული პარტნიორია!), აზერბაიჯანისთვის მარნეულის დათმობით კი სომხეთს დიდ პრობლემას მოუგვარებს — ყარაბაღის პრობლემას.

ყველა იქნება ბედნიერი და კმაყოფილი, ხოლო ობოლი საქართველო — დაჩეხილი და გაყოფილი.

მძიმე სურათია, ძალიან მძიმე პერსპექტივა. ნამდვილად არ მინდა, ამ წერილის მკითხველს პესიმიზმი გავუღრმავო, მაგრამ უახლოეს მომავალში რომ ჩვენი ქვეყნის ერთიანობას კიდევ უფრო დიდი განსაცდელი ელის, ფაქტია.

და თუ ასე არ არის, მაშინ რას მივაწეროთ გავრცელებული ინფორმაცია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი მიწერილი წერილის შესახებ?! ჯერ ამ წერილის გაგზავნა და მერე მისი შინაარსის უმალ გახმაურება რას ნიშნავს? საყოველთაოდ ცნობილია, რომ ასეთ მიმოწერას შეუთანხმებლად არ ახმოვანებენ და, როგორც წესი, ხელშესახები შედეგების მიღებამდე სამინისტროს კედლებს არ სცდება.

წერილის მიხედვით, სამხრეთ კავკასიაში უახლოეს ხანში შესაძლოა შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ საქართველომ ვერ შეძლოს ყარსის ხელშეკრულების პირობების შესრულება. თავის მხრივ კი, რუსეთიც უარს იტყვის ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. გავრცელებული ინფორმაციით, წერილში მოყვანილია ქართულ-სომხური და ქართულ-რუსული „მძიმე ურთიერთობები“.

დიპლომატიურ ენაზე კი ეს ერთადერთ რამეს ნიშნავს — ქართულ-რუსული ან ქართულ-სომხური სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში, მოსკოვი პირდაპირ სთავაზობს თურქეთს აჭარას. ქართულ-რუსულ ურთიერთობებს მძიმეც აღარ ჰქვია, ეს კატასტროფაა. აი, რაც შეეხება სომხეთს, საინტერესოა, რატომ შეაშფოთა რუსული დიპლომატია ქართულ-სომხურმა „მძიმე ურთიერთობამ“, რა ხდება? რა ინფორმაციას ფლობს მოსკოვი ოფიციალური ერევნისა თუ თბილისის ფარულ გეგმებზე? როგორც ჩანს, სულ მალე ამ „მძიმე ურთიერთობის“ შედეგს, ანუ სამხრეთის ფრონტის გახსნას უნდა ველოდეთ და, ძნე-

ლი წარმოსადგენი არ არის, ვის მხარეს დაიჭერს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი. ასეთი ფრონტის გახსნის შემთხვევაში კი თეორიულად სავსებით შესაძლებელია, თურქეთმა განაცხადოს, რომ მოხდა საქართველოს დესუვერენიზაცია და ანკარა „ახორციელებს თავის უფლებებს აჭარაში“.

უცნობია, სანაცვლოდ რას ითხოვს რუსეთი თურქეთისგან, მაგრამ თურმე აშშ-ს შესაბამის სამსახურებში უკვე იციან ამ წერილის შინაარსი. ალბათ, მათ ფავორიტ მიხეილ სააკაშვილსაც გააფთხილებდნენ და იქნებ სულაც მისი ინიციატივაა საქართველოს მოსახლეობის დაზაფვრა? როგორც ახლახან გახდა ცნობილი, მოსკოვში პრეზიდენტ მედვედევთან 2 აპრილის შეხვედრამდე პრეზიდენტი ობამა თურქეთში ვიზიტად ჩადის. ბუნებრივია, აშშ-სთვის რეგიონში თავისი ინტერესების გასატარებლად თურქეთი უფრო მნიშვნელოვანი მოთამაშეა, ვიდრე სუვერენიტეტშეზღუდული საქართველო.

დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, რომ საქართველოს ხელისუფლება ფსიქოლოგიური ზეწოლისას ერთობ მყიფეა და არ არის გამორიცხული, ეს წერილიც ჩვენი ხელისუფლების „შესაჯანჯღარებლად“ დაწერილიყო. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ რუსეთ-საქართველოს შორის სამხედრო დაპირისპირების განახლების შემთხვევაში თურქეთი აჭარას არავის დაუთმობს.

საქართველოს ხელისუფლება, როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, მართალია, „არ ჩამოიშალა“, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ემუქრება ჩამოშლა. საინტერესოა, თურქეთის სახელმწიფო მინისტრი და თურქი ბიზნესმენი, რომლებსაც ამ ცოტა ხნის წინათ ბათუმში მიხეილ სააკაშვილმა საზეიმოდ გადასცა ოქროს საწმისის ორდენები, სად გადამალავენ ამ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ჯილდოებს.

ოკუპაციის მუზეუმში გამოსვლისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ „დღეს მსოფლიო დიდ ეკონომიკურ შტორმში იმყოფება. ჩვენი ქვეყანა კი პატარა ნავია, რომლითაც ამ ღელვას უნდა გავუძლოთ“. თურმე, ჩვენ რომ ვართ, იმ მდგომარეობას „არაკომფორტული“ ჰქვია. ამ შტორმსა და უბედურებაში „განსაკუთრებით კი ჩრდილოეთის ერთ დიდ გემს უნდა ვერიდოთ, რომელიც ჩვენთან ახლოს იძირება და ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ჩვენც თან არ ჩაგვითრიოს“.

სამწუხაროდ, პრეზიდენტი მართალია: **დღეს მსოფლიო შტორმში იმყოფება. ჩრდილოეთით დიდი გემის ჩაძირვის მოლოდინით გახარებული სააკაშვილი კი, გამორიცხული არ არის, პოლიტიკური ოკეანის შტორმში მოყოლილი პატარა ნავიდან (საქართველო), ოკეანისგაღმელი „პარტნიორების“ გადასარჩენი გახდეს... მას კი გადაარჩენენ, მაგრამ რა ეშველება თავად საქართველოს, რომელიც ნაცმოძრაობის ხუთწლიანი მმართველობის შედეგად რეალურად დადგა მეზობელთა მიერ სადესერტო ულუფებად გაყოფის საფრთხის წინაშე?!**

ბონდო მჟინარაშვილი

თურქეთს აჭარა მიაქვს, სომხეთი ჯავახეთს ითვისებს, აზერბაიჯანი — მარნეულს!

საქართველოში ჯერ კიდევ მკაფიოა აგვისტოს მოვლენების კვალი. ხელისუფლება კი საკუთარ მოსახლეობას დაბეჯითებით „ჰპირდება,“ რომ მალე „რუსული“ გაზაფხული მოვა და მოსკოვთან სამხედრო დაპირისპირება გარდაუვალია, რომ ეს, სავარაუდოდ, მაისში მოხდება და რომ ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. ხელისუფლების ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც ომისთვის მზად არ არის და მოსახლეობასაც არწმუნებს, რომ რუსული აგრესიისა და ანექსიის მსხვერპლნი არ შევიქნებით (ყოველ შემთხვევაში, გაზაფხულზე!), შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილია. სავარაუდოდ, მას სწორი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს, რადგან, მისივე უწყების წყალობით, მოგეხსენებათ, საქართველოში კედლებსაც ყურები აქვს. თუმცა, შესაძლებელია, ბატონ მინისტრს აშკარა აგრესია ეგულისხმა, რადგან ფარულზე არაფერი უთქვამს. საქართველოს ფარული ანექსია კი, რომელიც ისევე, როგორც ყველაფერი დაფარული, უკვე თვალსაჩინოა. აბა, სხვა რას უნდა მოასწავებდეს კავკასიაში ამჟამად მიმდინარე მოვლენები:

1. სომხები ჯავახეთში უკვე დრტვინავენ „ქართველების მძიმე უღლის ქვეშ.“ აკი შემოუთვალეს საქართველოს ხელისუფლებას, რომ თუ არ გადაწყვეტს *„ჯავახი მოსახლეობის“* პრობლემებს ნაციონალურ-რელიგიური და ეკონომიკური კუთხით, მაშინ საქართველო დაკარგავს ჯავახეთს, ხოლო სომხეთი შეიძენს გასასვლელს ზღვაზე!

2. თვალსაჩინოა აზერბაიჯანელების უკმაყოფილება იმის გამო, რომ თურმე ჩვენს ქვეყანაში მოსახლე აზერბაიჯანელების უფლებები უხეშად ირღვევა. ამიტომ უპრიანია საქართველოს კონფედერაციის შექმნა, სადაც ერთ-ერთ სახელმწიფო ენად აზერბაიჯანული გამოცხადდება.

3. გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა 28 თებერვალს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ალი ბაბაჯანთან წერილი აფრინა. წერილში შავით თეთრზე აღნიშნულია, რომ უახლოეს ხანებში კავკასიაში შესაძლოა, ისეთი ვითარება შეიქმნას, საქართველომ ვეღარ შეასრულოს ყარსის ხელშეკრულების (1921 წლის 13 ოქტომბერი) პირობები, რის გამოც რუსეთი, თავის მხრივ, უარს იტყვის ამ ხელშეკრულების შესრულებაზე! მაგალითად კი ლავროვს საქართველო-სომხეთისა და საქართველო-რუსეთის რთული ურთიერთობები მოჰყავს.

გამოდის, თუ ვანო მერაბიშვილს „ყურთ დააკლდა“ და რუსეთი ხელახლა განახორციელებს საქართველოში ინტერვენციას ან საქართველოსა და სომხეთს შორის ომი გაჩაღდება, ან აზერბაიჯანულ მოსახლეობასთან დაგვეძაბება ვითარება, თურქეთს შეუძლია განაცხადოს, საქართველოს დესუვერენიზაცია უკვე მოხდაო და თავისი უფლებები განავრცოს აჭარაზე, რომელიც, ყარსის ხელშეკრულებით, ისედაც მისი პროტექტორატის ქვეშ იმყოფება.

მოკლედ, ამ წერილით, საქართველოსთან სამხედრო დაპირისპირების განახლების შემთხვევაში, ლავროვმა ბაბაჯანს აჭარა უფეშქაშა... ოღონდ რას მოითხოვს ამის სანაცვლოდ რუსეთი ანკარასგან, ეს ჯერჯერობით არავინ იცის.... თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, ლავროვის წერილის შესახებ უკვე იცის ამერიკის დაზვერვამ, ადვილი შესაძლებელია, რომ ამ წერილის გახმაურებაც სწორედ მისი დამსახურებაა და სანამ წერილის შინაარსი საზოგადოებისათვის გახდებოდა ცნობილი, სააკაშვილი სათანადო „გონივრულ“ ინსტრუქციებსა და სამოქმედო გეგმასაც მიიღებდა.

ზოგიერთი მოსაზრებით, გამორიცხული არ არის, რუსეთს ეს წერილი სატყუარად გამოეყენებინა, რათა სააკაშვილის რეჟიმზე ზეწოლის მეტი საშუალება ჰქონოდა. ამასთანავე, რუსეთ-საქართველოს შორის ახალი სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში (რაც, სავარაუდოდ, მთელი ტერიტორიის რუსების მიერ გაკონტროლებით დასრულდება), ყარსის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, თურქეთი არ დაუშვებს, აჭარა სხვა სამხედრო ძალის კონტროლის ქვეშ გადავიდეს.

ექსპერტები და პოლიტიკოსები იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ ნატოს წევრი სახელმწიფოებიდან მხოლოდ თურქეთმა არ დაგმო რუსეთის ქმედებები აგვისტოს მოვლენებისას, რითაც, ფაქტობრივად, ჩუმი დასტური განაცხადა რუსეთის თანამოაზრეობაზე. უფრო მეტიც, ომისშემდგომ დღეებში თურქეთის პრემიერი ერდოღანი არა თბილისში, არამედ მოსკოვში ჩავიდა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა.

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ, მართალია, სომხეთისთვის ძნელია წარსულის დავიწყება, მაგრამ ის მზადაა, თურქეთთან ურთიერთობა მოაწესრიგოს ყოველგვარი წინაპირობების გარეშე. ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ტიგრან სარქისიანმა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალფრედო მანტიკასთან ერევანში შეხვედრისას განაცხადა. სომხეთის მთავრობის ხელმძღვანელის თქმით, მისი ქვეყანა მზადაა ევროკავშირის აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობისათვის. შეხვედრაზე იმსჯელეს ყარაბაღის კონფლიქტის ირგვლივ მოლაპარაკებების პროცესზე, სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების დარეგულირების შესაძლებლობებსა და კავკასიაში სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარების საკითხზე.

მართალია, სომხეთი რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მომხრეა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ანტიქართული განცხადებების გაკეთებაში. საქართველოს მთავრობა ჯავახეთის მოსახლეობას რომ ავიწროებს, ეს, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთსა და ირანთან სომხეთის კეთილმეზობლური დამოკიდებულებით ყოფილა განპირობებული.

ოღონდ, ამ კეთილმეზობლური დამოკიდებულების „ფარგლებში“ სომხეთის ინტელიგენციისა და ნახჭევანის სომხების ნაციონალურმა საბჭოებმა 2006 წლის 16 მარტს, ყარსის ხელშეკრულების 85-ე წლისთავზე, რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს შესჩივლეს, სომხური ოლქები თურქეთის შემადგენლობაში უკანონოდ რატომ დატოვეთო. სომხეთს, თურმე, დასტური არ მიუცია რუსეთისა და თურქეთისთვის მისი ტერიტორიების განკარგვაზე! უფრო მეტიც, ამ ხელშეკრულებით სომხეთმა თავისი მიწების ნახევარზე მეტი დაკარგა!

ახლა კი ის ვინმე კარაპეტიანის პირით საქართველოს ემუქრება: ცეცხლს ნუ ეთამაშები, თორემ შეიძლება სამცხე-ჯავახეთში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სცენარი განმეორდეს. მით უფრო, რომ ამით რუსეთიც დაინტერესებულიაო!

ჟურნალისტ სააკიანის განცხადებით კი, საქართველო შელახული იმიჯის აღდგენას სომხების ხარჯზე ცდილობს და ამას სომხების შევიწროვებით აკეთებს, რომლებიც, თურმე, საქართველოში ისედაც ძალიან ცოტანი დარჩენილან...

წალკის რაიონს კი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონია სომხეთისთვისაც, რადგან აქ გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. რუსული სამხედრო ბაზების გაყვანამ, რაც ერთადერთი წყარო იყო ჯავახი მოსახლეობის დასასაქმებლად, რეგიონში ტოტალური უმუშევრობა გამოიწვია. სომეხი მოსახლეობა იძულებული გახდა, სამუშაოს საძებნელად რუსეთში ან სხვა ქვეყანაში წასულიყო. იმავე ჟურნალისტის თქმით, ჯავახქი სომხური ანკლავია. აქ წარწერები ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზეა და ამით ამოიწურება რეგიონში ქართული გავლენა.

სააკიანმა, ისევე, როგორც სააკაშვილმა, ეტყობა, ჯერ არ იცის, რომ ჯავახეთში ეს „გავლენაც“ დიდი ხანია ნულის ტოლია, და წარწერები იქ მხოლოდ რუსულ და სომხურ ენებზეა შემორჩენილი, ჯავახელი სომხები განათლებას სომხეთის უმაღლეს სასწავლებლებში იღებენ, რათა შემდეგ ეს ცოდნა ისევ „სამშობლოს“ მოახმარონ და ქართველები სომხების შევიწროვებასა და დევნაში დაადანაშაულონ, ისევე, როგორც აზერბაიჯანი დაადანაშაულა სომეხი ინტელიგენციის საბჭომ ნახჭევანში მათი კულტურული ძეგლების განადგურებაში!

მოკლედ, მარტივად და ადამიანურ ენაზე ჩვენთვის სავალალო სცენარი ასეთია: აჭარა — თურქეთს, სამცხე-ჯავახეთი — სომხეთს, მარნეულის რეგიონი — აზერბაიჯანს, დანარჩენი საქართველო — რუსეთს!

ამასთან დაკავშირებით 1998 წელს ერთ ქართულ გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაცია მახსენდება, სადაც საქართველოში ოდიოზურ ფიგურად მიჩნეული ჟირინოვსკი ქართველებს აფრთხილებს: **ჭკუით თუ არ იქნებით, უახლოეს მომავალში საქართველო 6 ნაწილად დაიშლებაო. ჟირინოვსკის სიტყვები მაშინ სერიოზული მსჯელობის საგნად არავის მიუჩნევია, თუმცა გამოდის, რომ ლდპრ-ის ლიდერს რაღაც ნოსტრადამისეული ნიჭი ჰქონია.** მართალია, მის მაშინდელ მუქარას საფუძვლად ის გარემოება ედო, რომ ჟირინოვსკის ახალგაზრდობაში საქართველოში უხეირო ხინკლით გაუმასპინძლდნენ და, თანაც, სომეხმა ანჟელამ „სერიოზულ ურთიერთობაზე“ ცივი უარი სტკიცა, მაგრამ ეს ხომ პოლიტიკური არგუმენტი არ არის სხვა ქვეყნის ტერიტორიების ანექსირებისთვის?

თუმცა, როგორც თავად რუსები იტყოდნენ, **ნა ნეტ ი სუდა ნეტ!**

შესაბამისად, საქართველო ან უნდა შეეგუოს იმას, რომ უახლოეს მომავალში მისი ადგილი მსოფლიო რუკაზე აღარ იქნება, ან გაარკვევს რუსეთთან ურთიერთობას და პირველ რიგში საკუთარ თავს დაუმტკიცებს, რომ, როგორც სახელმწიფო, შედგა!

ნიკა ჩარკვიანი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

დღეს არა სააკაშვილის, არამედ საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება

უკვე აშკარად ჩანს, რომ სახელისუფლო სავარძლებისთვის ბრძოლაში გართულ ჩვენს პოლიტიკოსებს სამშობლოზე ფიქრისთვის დრო ნაკლებად ემეტებათ. ქვეყნის წინაშე მდგარი სერიოზული პრობლემები მათ საქმიანობაში სულ უფრო მცირე ადგილს იკავებს. ამ ფუჭ და უსაგნო ორომტრიალში ახლახან კიდევ ერთი შემაშფოთებელი ინფორმაცია გაიბნა. საქმე ეხება 3 მარტს გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ მასალას, რომელიც აჭარის მომავალს უკავშირდება. როგორც ირკვევა, კრემლი აჭარის თემაზე თურქეთის მთავრობას მოლაპარაკების დაწყებას სთავაზობს. თუკი თბილისი ვერ შეძლებს ყარსის ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი პირობების შესრულებას, მოსკოვი მზადაა, უარი თქვას ამ დოკუმენტზე. წინასწარმეტყველებს რა საქართველოს დესუვერენიზაციას, მინისტრი ლავროვი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, აჭარას თურქეთი დაეუფლოს. ეს განცხადება თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში 28 თებერვალს შესულა, რასაც ანკარის მხრიდან მხოლოდ ორაზროვანი და ბუნდოვანი რეაქცია მოჰყოლია.

ცნობილია, რომ ყარსის ხელშეკრულება 1921 წლის 13 ოქტომბერს რუსეთ-თურქეთის მიერ იქნა ხელმოწერილი. 1992 წელს კი შევარდნაძე-დემირელის თანხმობით მას ვადა გაუგრძელდა და დღემდე მოქმედებს. ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად, დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის როგორც ადმინისტრაციული, ასევე კულტურული და რელიგიური ავტონომია. ამასთან, თურქეთის მხარეს უფლება ეძლევა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე თავისუფლად გამოიყენოს ბათუმის საზღვაო პორტი.

ქართველი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გაკეთებული ზემოხსენებული განცხადება უფრო პანიკის დათესვას ემსახურება და დღესდღეობით რეალურ საფრთხეზე საუბარი მათ ნაადრევად მიაჩნიათ. თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ ამით რუსეთს ნამდვილად შეუძლია ქართული მხარის შანტაჟირება. ისიც შესაძლებელია, რომ ევროკავშირის იგნორირებით განაწყენებულმა თურქეთმა „აჭარული კოზირი“ სათავისოდ გამოიყენოს და ამ მიმართულებით საკუთარი ძალების ერთგვარი დემონსტრირება მოახდინოს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ჩვენი ბედის ბორბალი კვლავ უკუღმა ტრიალებს და გარშემო მხოლოდ ახალ-ახალი საფრთხეები ისახება. სხვათა შორის, მათ შესახებ ზუსტად თორმეტი წლის წინათ სკრუპულოზურად მიუთითებდა ჩემ მიერ არაერთხელ დამოწმებული ბატონი ალექსანდრე ჭაჭია. ამჯერად გთავაზობთ 1997 წელს გამოქვეყნებული მისი ერთ-ერთი პუბლიკაციის მეტად საგულისხმო ამონარიდს, რომელიც, ალბათ, დღესაც სერიოზულად დააფიქრებს ქართულ საზოგადოებას:

„ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოს ახალი, ძალზედ სასტიკი გადანაწილების პერიოდში, როცა წყდება არა მხოლოდ ძლიერი ქვეყნების სუსტებზე გაბატონების საკითხი, არამედ ამა თუ იმ ხალხისა თუ ქვეყნის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხიც კი. იმის შესახებ, თუ როგორ მიიღწევა ეს ტექნიკური თვალსაზრისით, ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვჭირდება განსჯა სხვა ქვეყნების მაგალითზე (თუმცა მსოფლიოში ამის მაგალითი საკმაოდაა); ჩვენ გვქონდა საშუალება, დავრწმუნებულიყავით ამაში: აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს უკვე აღარ ეკუთვნის, თანაც, აფხაზეთი ზუსტად ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია, რომელიც საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას განაპირობებს. აფხაზეთის გარეშე ეს მნიშვნელობა განახევრებულია. მეორე ასეთივე მნიშვნელობის რეგიონი არის აჭარა... აი, თურქეთში უკვე გამოიცემა წიგნები, იბეჭდება სტატიები, რომლებშიც გვიმტკიცებენ, რომ „აჭარელი ხალხი“ თურქულ ეთნოსს მიეკუთვნება, ისმის მოწოდებები, შეწყდეს „აჭარელთა ასწლიანი ძალდატანებითი გაქართველება“, პარალელურად გაშლილია XIX საუკუნის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების გადახედვის ძლიერი კამპანია. ლაპარაკია იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა მიხედვით, თურქეთმა დაუთმო რუსეთს ტერიტორია, მათ შორის, ჯავახეთიც და აჭარაც. არგუმენტი მოჰყავთ სერიოზული: თურქეთმა დაუთმო ეს ტერიტორია რუსეთის იმპერიას, რომლის უფლებათა მემკვიდრე იყო საბჭოთა კავშირი. დღეს არ არსებობს არც რუსეთის იმპერია, არც სსრკ, საქართველო კი დამოუკიდებელი ქვეყანაა. ამიტომ ის ხელშეკრულებები ძალას კარგავენო. თურქეთს საქართველოსთვის აჭარა არ დაუთმიაო... აჭარაზე კონტროლის დაკარგვასთან ერთად საქართველო კარგავს მეორე (აფხაზეთის შემდეგ) რეგიონსაც, რომლის გარეშე გეოსტრატეგიული მდგომარეობის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბ-ნ ალ. ჭაჭიას ყოველი ანალიზი მუდამ მყარ კომპეტენტურ არგუმენტაციაზე არის დამყარებული, ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა მშვიდად ყოფნის უფლებას ნამდვილად არ იძლევა. უფრო მეტიც: შესაძლოა, დღეს მხოლოდ პრეზიდენტის კი არა, საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხიც წყდებოდეს.

თემურ ქორიძე

თურქებს საქართველოს ნაწილის მიტაცება სურთ

კრასნოდარის მხარის თურქი-მესხების ერთობის აქტივისტებმა ევროსაბჭოს მოუწოდეს, ზეწოლა მოახდინოს საქართველოს ხელისუფლებაზე, ისტორიულ სამშობლოში — საქართველოში ამ ხალხის დაბრუნების მიზნით.
კრასნოდარის მხარის თურქ-მესხთა ერთობის ლიდერების მიმართვის ციტირებას გაზეთი „ვზგლიადი“ ახდენს.

„ახლა რუსეთში 72 ათასი მესხი ცხოვრობს, მათგან 17 ათასი – ყუბანში. ამ ხალხს ტრაგიკული ისტორია აქვს. ქართული მიწა — მესხეთი XVII საუკუნეში ოსმანების იმპერიის თავდასხმის მსხვერპლი შეიქნა, ხალხს იძულებით მიაღებინეს ისლამი, რის შემდეგაც რეგიონი სამი საუკუნე თურქების უღლის ქვეშ იმყოფებოდა. ეს კი ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურ მენტალიტეტზე აისახა. ამიტომ ამ რეგიონის მესხი მოსახლეობა „თურქ-მესხებად“ გადაიქცა.

1944 წლის 14 ნოემბრის ღამეს სტალინის პირადი განკარგულებით საქართველოს სსრ-ის ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების 100 ათასამდე მცხოვრები ყაზახეთსა და უზბეკეთში გადაასახლეს. პირველ წლებში შიმშილისა და სიცივისაგან გასახლებული თურქების 20 პროცენტი დაიღუპა.

1956 წელს თურქი-მესხების რეაბილიტაცია მოახდინეს, თუმცა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. 1989 წელს, ფერღანის დაბლობში გამართული სასაკლაოს შემდეგ, სსრკ-ის ხელისუფლებამ უზბეკეთიდან 20 ათასი თურქი-მესხი რუსეთის ცენტრალურ რაიონებში დაასახლა.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ თურქი-მესხების უმეტესობამ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, მაგრამ კრასნოდარის მხარის ხელისუფლებამ მათ ლეგალიზებაზე უარი განაცხადა. პრობლემის გადასაჭრელად საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევა გახდა საჭირო.

„20 წელია გრძელდება ჩვენი ხალხის დაბრუნების ეპოქა ისტორიულ სამშობლოში — საქართველოში, — ამბობენ კრასნოდარის ერთობის აქტივისტები, — 1989 წელს ამის უფლება — საქართველოს სსრ-ის კომუნისტურმა რეჟიმმა, ხოლო 1991 წლიდან — გამსახურდია-შევარდნაძე-საკაშვილის დემოკრატიულმა რეჟიმებმა არ მოგვცეს.“

პრობლემას ისიც ამწვავებს, რომ მესხების დაბრუნებას ყველანაირად აბრკოლებს საქართველო. ჯერ ერთი, რომ სამცხე-ჯავახეთის პროვინცია დიდი ხანია, მჭიდროდ არის დასახლებული სომხებით, ხოლო თურქებისა და სომხების ისტორიული კონფლიქტი (ისინი თურქებს საკუთარი ხალხის გენოციდში ადანაშაულებენ) ჯერ კიდევ არ ამოწურულა.

მეორეც, მესხების გასახლების დღიდან 40 წელზე მეტი გავიდა, ეს კი რამდენიმე თაობაა. „როგორც ჩანს, მთელი ამ ქაღალდომანიის მიზანია დროის მოგება. როცა ჩვენი მოხუცები, რომლებსაც ჯერ კიდევ ახსოვთ საქართველო, აღესრულებიან, პრობლემა თავისთავად გადაწყდება,“ — ვარაუდობენ თურქი-მესხები.

„ქაღალდომანიაზე“ ლაპარაკისას ისინი გულისხმობენ დოკუმენტს, რომელშიც საქართველოს ხელისუფლებამ განსაზღვრა მესხების დაბრუნების წესი სამშობლოში, თუმცა არავითარ რეალურ ღონისძიებას ამისთვის არ მიმართავს.“

აზერბაიჯანელები კონფედერაციას ითხოვენ

თურქეთის დედაქალაქ ანკარაში საქართველოში მოსახლე აზერბაიჯანელების ნაციონალური ასამბლეის მეორე საერთაშორისო ფორუმი გაიმართა. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ნაციონალური ასამბლეის აქტივისტები და თურქეთსა და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ასამბლეის წევრები, თურქ-მესხთა წარმომადგენლები.

ფორუმზე საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ძირითადი პრობლემები, საქართველოს ამჟამინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, თურქი-მესხების საქართველოში დაბრუნების პროცესი, საქართველოს მისწრაფება ნატოსკენ, სამხრეთოსური და აფხაზური კონფლიქტები განიხილეს. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ძირითადი პრობლემები გადაუჭრელი რჩება, ქვეყანაში აზერბაიჯანელებით დასახლებული რაიონების სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების მოგვარების უნარი საქართველოს ხელისუფლებას არ შესწევს. ფორუმის მონაწილეთა განცხადებით, გაერომ, ეუთომ, ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ და ევროსაბჭომ ეს საკითხი უნდა განიხილონ როგორც შოვინიზმისა და აზერბაიჯანელების ნაციონალური დისკრიმინაციის ფაქტი. ფორუმზე სიტყვით გამოსულმა ნაციონალური ასამბლეის პრეზიდენტმა დაშგინ გიულმამედოვმა აღნიშნა: „საქართველოში მოსახლე აზერბაიჯანელები საქართველოს ხელისუფლების ფარული შოვინიზმის პირისპირ აღმოჩნდნენ. მათ ჩვენი გაძევება სურთ საქართველოდან. სურთ ჩვენი მიწების მითვისება, უნდათ, წაგვართვან ჩვენს სახლებში ცხოვრებისა და მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება. ამ ფარულ პოლიტიკას ვერ მიხვდება მხოლოდ შეშლილი ან თავისი ხალხის მოღალატე. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მშვიდობიანი ბრძოლის გზითა და კონსტიტუციური მეთოდებით. საქართველოს ხელისუფლების დისკრიმინაციული პოლიტიკის ნეიტრალიზებისთვის ჩვენ უნდა მივაღწიოთ აზერბაიჯანული ენის მესამე სახელმწიფო ენად გამოცხადებას საქართველოში. თუ რომელიმე აზერბაიჯანელი ამის წინააღმდეგ გამოვა, ის თავისი ერის მოღალატე და ხალხის მტერია.“

გაიზიარებს თუ არა სააკაშვილი ჟუან ბერნარდუ ვიეირას ბედს?

სმენა იყოს და გაგონება!..
„ფრანს პრესისა“ და „ასოშეიტედ პრესის“ ცნობით, გვინეა-ბისაუს პრეზიდენტი ჟუან ბერნარდუ ვიეირა აჯანყებულმა სამხედროებმა და ხალხმა თავისი რეზიდენციიდან გაპარვის მცდელობისას მოკლეს. ვიეირას ქვეყნის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის — გენერალ ტაგმეს ერთგულმა ჯარისკაცებმა შეუტიეს და შური იძიეს, რადგან, როგორც უცხოური საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, გვინეა-ბისაუში ეჭვი არავის ეპარება, რომ გენერალი ტაგმე სწორედ პრეზიდენტმა ვიეირამ მოაკვლევინა; დაზუსტებული ცნობით, ტაგმე თავისსავე შტაბში ააფეთქეს, რასაც აჯანყება მოჰყვა...

არც „ასოშეიტედ პრესი“ და არც „ფრანს პრესი“ არაფერს ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ, რა ფორმაში გამოწყობილი ცდილობდა პრეზიდენტი ვიეირა სასახლიდან გაძურწვას და სად დაეწია ცხელი ტყვია გენერლის მკვლელს... ერთი რამ ცხადია, გვინეა-ბისაუს სამხედროები და ხალხი ქართველ სამხედროებსა და ქართულ საზოგადოებაზე უფრო თავმოყვარეები და ღირსეულები გამოდგნენ, რადგან მათ არ იგუეს მკვლელი პრეზიდენტი და ჟუან ვიეირა, ილია ჭავჭავაძეს თუ დავესესხებით, თავის უნამუსობას წააკლეს...

საქართველოს ასეთი ღირსეული სამხედრო ელიტა და თავმოყვარე საზოგადოება რომ ჰყოლოდა, ორი წაგებული ომის ორი უნიჭო და ფეთხუმი მთავარსარდალი, — შევარდნაძე და სააკაშვილი — ერთი პრეზიდენტისა და მეორე გადაყენებული პრეზიდენტის რანგში, გაძლიერებული დაცვით თავისუფლად ვერ ივლიდა და ვერც იმას გაბედავდა, რომ ხალხისთვის საჯაროდ ჭკუა დაერიგებინა.

როგორც გვინეა-ბისაუს მოსახლეობას სჯერა, რომ გენერალი ტაგმე პრეზიდენტმა ვიეირამ გამოასალმა წუთისოფელს, მთელმა საქართველომ ასევე დარწმუნებით იცის, რომ ედუარდ შევარდნაძის რეჟიმმა ჯერ ზვიად გამსახურდიას მოუსწრაფა სიცოცხლე, ხოლო შემდეგ გამსახურდიას თოფიან თუ უთოფო ოპონენტებს — ჭანტურიას, გია გულუას, მხედრიონელ „ბუღას“ და ა.შ. **ადამიანებისა და მითუფრო პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გაუვნებელყოფის საქმეში, როგორც მოწაფე, სააკაშვილი თავის მასწავლებელზე — შევარდნაძეზე უფრო წარმატებული გამოდგა; „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებიდან ერთი წლისა და ორი თვის შემდეგ, ოფიციალური ვერსიით, საბურთალოს ქუჩაზე „გაზმა გაგუდა“ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, რომლის ერთი ფეხსაცმელიც დღემდე ვერ იპოვეს... ეტყობა, პრემიერის ფეხსაცმელმა ხელისუფლების უსინდისობა ვერ აიტანა და ქვეყნიდან გაიქცა... ორი ტყვიით „თავი მოიკლა“ ექსპერტიზის ბიუროს ყოფილმა უფროსმა ლევან სამხარაულმა, რომელსაც ჟვანიას სიკვდილის გამომწვევი მიზეზები უნდა დაედგინა; 2006 წლის მარტში ე.წ. ციხის ბუნტის დროს სააკაშვილის სპეცრაზმმა ორთაჭალის ციხის საკნებში დაახლოებით 27 პატიმარი დახვრიტა; საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში სიცოცხლეს გამოასალმეს ბადრი პატარკაციშვილი; სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა შალვა ნათელაშვილი; სააკაშვილის საიდუმლო სამსახურის მსტოვრებმა საშინელი წამებით მოკლეს და სამშობლოს ღალატი დააბრალეს უმაღლესი კვალიფიკაციის მებრძოლს როინ შავაძეს, რომელიც წაგებული ომიდან დაბრუნებული მშობლიურ აჭარაში, ოჯახში იმყოფებოდა; ხოლო რაც რუსეთ-საქართველოს შორის აგვისტოს ომში მოხდა, ამაზე ქვეყნის სამხედრო ტრიბუნალმა მაშინ უნდა იმსჯელოს, როცა ამ ქვეყანაში პრეზიდენტი სააკაშვილი არ იქნება, შინაგან საქმეთა მინისტრი — ვანო მერაბიშვილი, ხოლო გენერალური შტაბის ფაქტობრივი უფროსი — ბაჩო ახალაია!..**

გვინეა-ბისაუს პრეზიდენტი ჟუან ბერნარდუ ვიეირა ერთი კაცის, გენშტაბის უფროსის — გენერალ ტაგმე ნა ვაიეს აფეთქებისთვის, სავარაუდოდ, ქალის კაბაში ყვარყვარე თუთაბერივით გადაცმული შეიპყრეს და მიახვრიტეს მაშინ, როცა საქართველოს ორმა პრეზიდენტმა თავიანთი სულელური და მოღალატური პოლიტიკის წყალობით მთელი ქვეყანა ააფეთქა, 100 ათასამდე კაცი მიწაში ჩალალა, ტერიტორიები დაკარგა, მილიონ-ნახევარი ქართველი ქვეყნიდან გადაკარგა და ნახევარი მილიონი გაალტოლვილა, თუმცა კაცი პატრონი არსაიდან გამოტყვრა, ვინც ან ერთს, ან მეორეს თავის უსინდისობას წააკლავდა...

ძნელია იმის გამოცნობა თუ რა მოხდება საქართველოში, სადაც სააკაშვილის ყოფილი ნაზირ-ვეზირები სტაჟიან ოპოზიციონერებს სააკაშვილის სიძულვილში ეჯიბრებიან და მიტინგებისთვის ემზადებიან; ისიც ძნელი დასადგენია, ფიქრობს თუ არა მიხეილ სააკაშვილი ავლაბრის რეზიდენციიდან გაპარვაზე და პრეზიდენტ ჟუან ბერნარდუ ვიეირასავით იზომებს თუ არა ყვარყვარე თუთაბერის კაბას...

გვინეა-ბისაუს შესახებ რა ინფორმაციებიც გაავრცელა, ვნახეთ, საინტერესოა, რას იტყვის უახლოეს მომავალში „ასოშეიტედ“ თუ „ასოშეიდეთ პრესი“ საქართველოს შესახებ.

ლევან ჭარბაძე

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დაუშვებელია!

ორიოდ დღის წინათ საერთაშორისო პრესცენტრ „რია-ნოვოსტის“ ოფისში გაიმართა ერეკლე II საზოგადოების გაზეთის „ერეკლეს გზის“ პრეზენტაცია. მოწვეულ სტუმრებსა და ჟურნალისტებს გაზეთი გააცნო და საზოგადოების მიზნების შესახებ ესაუბრა მისი თავმჯდომარე არჩილ ჭყოიძე. მან ყურადღება გაამახვილა ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზაციის აუცილებლობაზე. ამ მიზნით აქტიურად იღვწის ახლად დაარსებული ერეკლე II საზოგადოება და ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება ბატონი არჩილ ჭყოიძის გამოსვლა, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

„დიდ მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. ჩვენი ორგანიზაციის პრეზენტაციიდან ზუსტად ორი თვე გავიდა და დღეს აქ შევიკრიბეთ, რათა წარმოგიდგინოთ ერეკლე მეორეს საზოგადოების გაზეთის პირველი ნომერი. გაზეთის სახელწოდება — „ერეკლეს გზა“ ძალზე სიმბოლურია და იგი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენი საზოგადოების უმთავრეს მიზანს, კერძოდ, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებაში ჩრდილოეთის ვექტორის გათვალისწინების აუცილებლობას.

სანამ უშუალოდ გაზეთის როლსა და ფუნქციაზე ვისაუბრებდე, მინდა, თქვენი ყურადღება შევაჩერო იმ ვანდალურ ფაქტზე, რომელიც განხორციელდა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის წინააღმდეგ. ამა წლის 26 თებერვალს უცნობმა პირებმა დაარბიეს რედაქციის ოფისი და გაიტაცეს კომპიუტერები. ჩვენმა საზოგადოებამ დაგმო ეს ქმედება და იმედი გამოთქვა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ობიექტურად გამოიძიებენ ამ დანაშაულს.

სიტყვის, აზრისა და პრესის თავისუფლება ჩვენს ქვეყანაში დაცულია, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციითა და იმ მრავალი კონვენციითა და პაქტით, რომელთა მონაწილე მხარესაც საქართველო წარმოადგენს. არსებობის უფლება აქვს ნებისმიერ აზრს და მისი შეზღუდვა დაუშვებელია. ასევე დაუშვებელია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. გაზეთის რედაქციაზე თავდასხმა ამ თავისუფლებათა უხეში ხელყოფაა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ 2008 წლის ანგარიშში საქართველოს შესახებ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ 2008 წელს შემცირდა მასმედიის თავისუფლების ხარისხი, ასევე მისი მრავალფეროვნება. ამ ფონზე მით უფრო დაუშვებელია თავისუფალი აზრის წინააღმდეგ ასეთი მეთოდებით ბრძოლა.

დღევანდელ ეპოქაში ბეჭდვითი მედია საკმაოდ დიდი სირთულეების წინაშე დგას. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ჩვენს ქვეყანაში. ტირაჟი საკმაოდ მცირეა. მოშლილია გაზეთების დატარების სისტემა. ჯიხურებში გაზეთების გაყიდვის აკრძალვა კიდევ უფრო დიდ საფრთხეს შეუქმნის ბეჭდვურ მედიას. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გაზეთის ყიდვის საშუალება არ აქვს, რადგან ლარზე ნაკლები თითქმის არც ერთი გამოცემა არ ღირს. ასეთ სიტუაციაში ჩვენმა ორგანიზაციამ ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად დაისახა უფასო გაზეთის გამოშვება, რომლის პრეზენტაციისთვისაც ჩვენ დღეს აქ შევიკრიბეთ.

გაზეთი „ერეკლეს გზა“ ორენოვანია. მისი ქართული და რუსული გვერდები აბსოლუტურად იდენტურია. იგი საინტერესო იქნება როგორც ქართველებისთვის, ისე საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის, რომელნიც რუსულენოვან საზოგადოებას მიეკუთვნებიან. გაზეთი ასევე საინტერესო იქნება რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისთვის და საქართველოსადმი მეგობრულად განწყობილი რუსეთის მოქალაქეებისთვის.

გაზეთი დიდი ტირაჟით არ გამოდის, მაგრამ მისი უდიდესი ნაწილი რეგიონებში გავრცელდება და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მკითხველთა ფართო წრე გაეცნობა. გაზეთის შემდგომ ნომრებში აუცილებლად დაეთმობა ადგილი ქართული და რუსული ლიტერატურისა და პოეზიის შედევრების პოპულარიზაციას. საბედნიეროდ და ღვთის ნებით, ორივე ერს მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებები აქვს შექმნილი და, ასევე საბედნიეროდ, ორივე ენაზე არსებობს შესანიშნავი თარგმანები.

გარდა ამისა, გაზეთი დაგვეხმარება, ფართო მკითხველს გავაცნოთ ჩვენი საზოგადოების მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები. დღევანდელი პრესა გაჯერებულია რუსეთის შესახებ ნეგატიური ინფორმაციით. არც რუსეთის პრესა გამოირჩევა საქართველოსადმი დიდი დელიკატურობით. ამ ფონზე ჩვენ შევეცდებით, რომ ჩვენი გაზეთის მეშვეობით მკითხველს ვაუწყოთ იმ პოზიტიური მოვლენების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა და კვლავ აქვს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში.

ჩვენი ორგანიზაციის პრეზენტაცია მხოლოდ ტელეკომპანია „ალანიამ“ გააშუქა, რისთვისაც მათი მადლობელნი ვართ. ინფორმაცია გავრცელდა ასევე „ნიუსჯორჯიასა“ და „რიანოვოსტის“ მეშვეობით. მასმედიაში ეს მცირე გამოჩენაც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩვენს საზოგადოებას მრავალი მხარდამჭერი და გულშემატკივარი შესძენოდა, სხვათა შორის, რუსეთშიც კი. დღე არ გავა, რომ საზოგადოების ელექტრონულ ფოსტაზე რამდენიმე შეტყობინება არ მოვიდეს. ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ ერეკლეს გზას საქართველოში აქტიური მხარდამჭერები ჰყავს.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აუცილებლად გავაშუქებთ რუსულ მასმედიაში გაჟღერებულ ისეთ ფაქტებსაც, რომლებიც ხელს უშლის საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების დათბობას. ვინაიდან ჩვენი სამშობლო თავის გეოგრაფიულ მდებარეობას ვერ შეიცვლის, თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა ვიღონოთ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღსადგენად. მიამიტობაა იმაზე ოცნება, რომ რუსეთი დაინგრევა და ამით საქართველოს ეშველება. გაზეთმა „საქართველო XXI“ თავის ბოლო ნომერში რუსეთის დაშლის ვრცელი გეგმაც კი გამოაქვეყნა. ასეც რომ მოხდეს, რატომ უნდა უხაროდეს მართლმადიდებელ ქრისტიან ერს სხვისი დაშლა და განადგურება, ეს ხომ პირდაპირ ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობის დოქტრინას. რაც დრო გადის, ურთიერთლანძღვისა და ურთიერთდაპირისპირების ფორმები სულ უფრო მრავალფეროვან სახეს იღებს, უხამსი სიმღერების შექმნითა და რუსული სიმღერების ეთერში გაშვების აკრძალვით დამთავრებული. ეს ყველაფერი ზიანის მომტანია ორივე მხარისთვის და, რაც მთავარია, მას დაძრული ზვავის ეფექტი აქვს.

აქვე მინდა, აუდიტორიას შევახსენო ის მართლაც ქრისტიანული და ვაჟკაცური ნაბიჯი, რომელიც რუსეთის სამოციქულო ეკლესიამ გადადგა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისას. მან არ ცნო სეპარატისტული რეგიონების ეპარქიების დამოუკიდებლობა. ნაცვლად იმისა, რომ ქართულ მასმედიას ჯეროვნად შეეფასებინა რუსეთის საპატრიარქოს ეს გადაწყვეტილება, პირიქით, მასში იმატა პასკვილებმა რუსეთის ახალი პატრიარქის თუ სხვა მღვდელთმთავართა მიმართ.

მართალია, ჩვენი გაზეთის ფორმატი და ტირაჟი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება იმის საპირწონე, რაც ხდება დღევანდელ მასმედიაში საქართველოსა თუ რუსეთში, მაგრამ მან უნდა შეასრულოს იმ პირველი მერცხლის როლი, რომელიც აუცილებლად მოიყვანს გაზაფხულს რუსულ-ქართულ ურთიერთობებში“.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

ბასილ მკალავიშვილი:

სააკაშვილს პრეზიდენტად არ ვცნობ, ის არის მართლმადიდებლობისა და საქართველოს უბოროტესი მტერი

ზუსტად ხუთი წლის წინ, წელიწადის ამ დროს, თითოეული ჩვენგანი საზარელი კადრების მოწმე გავხდით — გლდანის ეკლესია სპეცრაზმმა დაარბია, უმოწყალოდ სცემდნენ მრევლს, ანგრევდნენ ტაძარს... რასაც ტაძრის მოძღვრის, მამა ბასილის (მკალავიშვილის) დაკავება მოჰყვა. თითქმის ხუთწლიანი პატიმრობის შემდეგ ბასილ მკალავიშვილი ეკლესიის დამარბევლებსა და ხელისუფლებაში მოკალათებულ მართლმადიდებლობის მტრებზე საუბრობს.

— ციხიდან გათავისუფლების შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი! ოთხწელიწადნახევარი ვიყავი გამომწყვდეული ციხეში, ჩემს სულიერ შვილებსა და ათასობით მრევლს მოწყვეტილი. ყოველივე ამან ჩემზე ძალზე მძიმედ იმოქმედა. ციხიდან, ფაქტობრივად, შერყეული ჯანმრთელობით გამოვედი და დღესაც მკურნალობის კურსს გავდივარ.

— როგორც ვიცი, სასჯელის მოხდამ ბოლომდე მოგიწიათ, ვადამდელი გათავისუფლება არ შეგეხოთ?

— პრეზიდენტის შეწყალებაზე ხელის მოწერა ბევრჯერ შემომთავაზეს, მაგრამ ამაზე ყოველთვის უარს ვამბობდი, რადგან მე მას პრეზიდენტად არ ვცნობ. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ სააკაშვილი არის მართლმადიდებლობისა და საქართველოს უბოროტესი მტერი.

— წლების განმავლობაში ვის წინააღმდეგაც ილაშქრებდით, სწორედ ისინი მოვიდნენ დღეს მთავრობაში. ალბათ, ამიტომ მოხდა თქვენი დაპატიმრებაც...

— გული მტკივა და განაწყენებული ვარ საქართველოს მოსახლეობაზე, რადგან გამუდმებით ვაფრთხილებდი, რომ მთავრობაში აუცილებლად მოვიდოდნენ თავისუფლების ინსტიტუტის მესვეურები, მართლმადიდებლობის ამერიკაში გამრავლებული მტრები. ესენი არიან: გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, ლევან რამიშვილი, გიგი უგულავა, კახა ლომაია, დარჩიაშვილი და სხვანი. ისინი ხომ ჯორჯ სოროსის შვილობილები არიან. სამწუხაროდ, ქართველებმა ჩემი გაფრთხილება ყურად არ იღეს, პირიქით, დამცინოდნენ კიდეც. მეუბნეოდნენ, როგორ შეიძლება მთავრობაში ისეთი პიროვნებები მოექცნენ, როგორებიც არიან გიგა ბოკერია და გივი თარგამაძეო. სწორედ ამ პიროვნებების უშუალო დავალებებით უნდა მოეხდინათ ციხეში ჩემი ფიზიკური ლიკვიდაცია. ამის მცდელობა ხუთჯერ იყო, მაგრამ ხუთივეჯერ სასწაულებრივად გადავრჩი.

— როგორ შეაფასებდით დღევანდელ მოვლენებს საქართველოში?

— მთავრობაში მოქცეული ახალგაზრდების ეს ჯგუფი ქვეყანას რომ უფსკრულის პირას მიიყვანდნენ, ჩემთვის წინასწარ იყო ცხადი. ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ ისინი გამოცდილ და ჭკვიან ადამიანებს არ უსმენენ. მეტიც, „ჩარეცხილებსაც“ კი უწოდებენ. მინდა, ისტორიიდან შეგახსენოთ მაგალითები ჩვენი დიდებული მეფეების მიერ ქვეყნისათვის გაწეული ღვაწლის შესახებ: როდესაც ქართველ მეფეებს შაჰაბასი თავისთან იხმობდა, ისინი ამაზე თანხმდებოდნენ, იცოდნენ რა, რომ სიკვდილი ელოდათ, მაგრამ სანაცვლოდ მამულს აოხრებისგან იცავდნენ. აი, ასე ეწირებოდნენ სამშობლოს და მართლმადიდებლობას. დღეს კი რა გვემართება? მიხეილ სააკაშვილს უებნებიან, გადადექი და საზღვარგარეთ წადიო, თანაც იქ მშვიდი ცხოვრების გარანტიასაც კი აძლევენ, მაგრამ მას ქართველი ერის მოთხოვნა არ ესმის. დღეს რომ რუსეთმა აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვა, ყველაფერი სააკაშვილის ბრალია, რადგან თავისი უტაქტო გამონათქვამებით აღიზიანებს რუსეთის პრეზიდენტს. ამიტომ საქართველოზე შემოტევა მოსალოდნელი იყო.

— თქვენი აზრით, შემდგომში როგორ განვითარდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა?

— როგორი სამწუხაროც უნდა იყოს, სიმართლე უნდა გითხრათ. რუსეთი სულ მალე კვლავ განახორციელებს საქართველოზე შეტევას, რადგან სააკაშვილი ახლა უფრო მეტად განაგრძობს მის გაღიზიანებას. ამას კი ნამდვილად განზრახ აკეთებს, რადგან მის გეგმებში შედის ის, რომ რუსეთმა კვლავ განახორციელოს უფრო ფართომასშტაბიანი შემოჭრა საქართველოში. ასე შეძლებს სააკაშვილი საქართველოდან გაქცევას, ასე მიბაძავს იგი ნოე ჟორდანიას და დევნილობის სტატუსს მიიღებს. სხვა გზით სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტს არ დათმობს, ქართველ ერს კი ის ნამდვილად აღარ სჭირდება, მან ხომ უფსკრულში გადაჩეხა ქვეყანა.

— თუ არ ვცდები, პირველი სპეცოპერაცია თქვენი დაპატიმრების დროს მოხდა, როცა ეკლესია დაგირბიეს...

— 2004 წლის 10 მარტს გიგა ბოკერიამ შეკრიბა ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები, მისცა მითითება, რათა შემოეტანათ ჩვენი ეკლესიის ტერიტორიაზე დიდძალი იარაღი, ვითომდა ასლან აბაშიძისთვის გადასაცემად, ანუ მის დასახმარებლად. ეს ამბავი მე საიდუმლოდ შემატყობინეს და 11 მარტს სახალხო დამცველის ოფისის ეზოში გავმართე პრესკონფერენცია და საჯაროდ, ყველა ტელეარხისა და პრესის წარმომადგენელს გავანდე მათი მზაკვრული გეგმა. ვსვამ კითხვას: თუ მათ მიერ ძებნილი ვიყავი, რატომ არ დამაპატიმრეს ოფისის ტერიტორიაზე? თანაც შევთავაზე — თუ დაპატიმრებას მიპირებთ, აქვე ამიყვანეთ-მეთქი, მაგრამ სხვა მიზანი ჰქონდათ, რაც იმ ღამეს ვერ მოახერხეს და მთელი ღამის განმავლობაში „რაფის“ ტიპის მანქანიდან იარაღი ეკლესიის ტერიტორიაზე ვერ შემოზიდეს, რადგან მრევლი იცავდა ტაძარს. 12 მარტს, გამთენიისას, კი განახორციელეს ყველასათვის ცნობილი ის საშინელი „შტურმი“ ჩვენს ეკლესიაზე ჟანდარმერიის სპეცდანიშნულების ათასამდე კბილებამდე შეიარაღებული რაზმელის მეშვეობით. მათთან ერთად ნიღბებში იყვნენ გიგა ბოკერია, თარგამაძე, კირკიტაძე, კალანდაძე, ხოლო ღიად, უნიღბოდ სცემდნენ მრევლს და აქტიურობდნენ ახალაიები და სანოძე. ამით მათ გაფრთხილება მისცეს მოსახლეობას — ვინც ჩვენს ნებაზე არ ივლის, ასე გავუსწორდებითო. და მართლაც, ყველა სფეროს ასევე გაუსწორდნენ და მრავალი ალალმართალი ადამიანი ციხეში გამოამწყვდიეს.

რუსეთი სულ მალე კვლავ განახორციელებს საქართველოზე შეტევას, რადგან სააკაშვილი ახლა უფრო მეტად განაგრძობს მის გაღიზიანებას

— თქვენი აზრი მაინტერესებს ოპოზიციის შესახებ... შეძლებენ ისინი ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლას?

— ისეთი პიროვნება, რომელსაც მართლმადიდებლობა არ სწამს და ღმერთის შეწევნის იმედი არ აქვს, საქართველოს ხელისუფლებისთვის არ გამოდგება. ოპოზიციის რიგებს ავსებენ სააკაშვილისა და შევარდნაძის მიმდევრები, ანუ სოროსის მიერ გამოზრდილი შვილები. ისინი ნამდვილად არ გამოდგებიან ქვეყნისთვის. გული მწყდება, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები საერთოდ არ საუბრობენ სარწმუნოებაზე, მხოლოდ ლეიბორისტული პარტიის წევრები თუ ახსენებენ მართლმადიდებლობას, დანარჩენებს ეს საკითხი ნაკლებად აინტერესებთ.

— მართალია, რომ თქვენს მრევლში ბევრი ე.წ. ზვიადისტია?

— მართალს ბრძანებთ. მას შემდეგ, რაც 1991-92 წლებში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და მართლმორწმუნე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაატოვებინეს საქართველო, მერე კი უმოწყალოდ მოკლეს, ზვიადის მომხრეებს საშინელი ჟამი დაუდგათ. ისინი გამოდევნეს სამსახურებიდან, ბევრი მათგანი ციხეში ჩასვეს. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ თბილისის ყველა ეკლესიიდან მოძღვრებმა დაითხოვეს ისინი, აუკრძალეს ტაძარში შესვლა. ერთადერთი, გლდანის წმინდა ლომისის ეკლესიამ შეიფარა თავის წიაღში ეს ხალხი საქართველოს ყველა მხრიდან. დღეს ძალიან ბევრ პიროვნებას მოაქვს თავი ზვიადისტად და მის სახელს არის ამოფარებული.

— ბევრმა ზვიადისტმა საზღვარგარეთს შეაფარა თავი, თქვენს მრევლს არ ემუქრებოდნენ? როგორ გადაურჩნენ ისინი შევიწროვებას?

— აქ დარჩენილმა ზვიადისტებმა ჭეშმარიტად გმირულად გაუძლეს განსაცდელებს, არ მიატოვეს სამშობლო და შიშველი ხელებით დაუპირისპირდნენ შევარდნაძის რეჟიმს. მინდა, ერთ მტკივნეულ საკითხს შევეხო და მოვახსენო ფინეთში მყოფ ბესარიონ გუგუშვილსა და სოსო ღუდუშაურს, რომლებიც სისტემატურად შეურაცხმყოფენ, ინტერნეტის მეშვეობით ცილს მწამებენ, მოღალატეს მიწოდებენ და მიბიძგებენ, რომ საჯაროდ დავუპირისპირდე და ვლანძღო ილია მეორე. მათ გასაგონად ვამბობ: თავის დროზე, რაც სამხელი იყო, ყველაფერი გავაკეთე. ამჟამად კი, როდესაც ანტიქრისტიანული მთავრობა დაუპირისპირდა საქართველოს ეკლესიას, ილია II წინააღმდეგ გალაშქრება ზედმეტად მიმაჩნია. ბესარიონ გუგუშვილო, ნუთუ ხმა ამოგეღება, როდესაც შენ გვერდით მძინარე პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას საიდუმლო ვითარებაში კლავენ, თქვენ კი დუმხართ და ხმას არ იღებთ?! მე კი, სამშობლოსა და მართლმადიდებლობის სიყვარულისთვის დაპატიმრებულს, მაკრიტიკებთ — რატომ ახსენებ გურამ შარაძეს და ილია ჭავჭავაძეს როგორ ადარებო. გურამ შარაძე მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი დამცველი იყო, მან გაილაშქრა სხვადასხვა კრიმინალური სექტის წინააღმდეგ. უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული საქართველოსთვის. ბატონო ბესარიონ, თქვენც დღევანდელი ოპოზიციონერებივით იქცევით, ისინიც არასოდეს ახსენებენ ბატონ გურამს, რომელიც დღისით-მზისით ქალაქის ცენტრში მოკლეს. თქვენგან ნამდვილად არ ველოდი ჩემზე ასეთ შემოტევას. თავის დროზე მეც შემომთავაზეს საბერძნეთში, ქ. ათენის ცენტრში ეკლესიაში მოღვაწეობა, სადაც აქედან ჩასული უამრავი ქართველი ივლიდა, მაგრამ ამ შემოთავაზებაზე უარი ვთქვი, რადგან საქართველოსა და ჩემს სულიერ შვილებს იმ გაჭირვების ჟამს ვერ მივატოვებდი.

— როგორც ვიცით, საბერძნეთის ეკლესიას ემორჩილებით. როდის აპირებთ, დაუბრუნდეთ საქართველოს ეკლესიას?

— აი, ეს გრანდიოზული ტაძარი, რომელსაც ხედავთ, ჩემს მრევლთან ერთად ავაშენე საქართველოს მოსახლეობისთვის და არა საბერძნეთისთვის. პირობას ვდებ, მაშინ დავუბრუნდები, როგორც კი საქართველოს ეკლესია განიწმინდება უღირს სასულიერო პირთაგან, რომლებსაც ეკლესიები ფულის საჭრელ „ცეხებად“ აქვთ ქცეული, დასეირნობენ „ჯიპებით“ და მართლმადიდებლობა სულ არ ანაღვლებთ. ასეთ მღვდლებთან ერთად ვერ ვილოცებ. ველოდები საეკლესიო კრებას, რაც, „დიდი სჯულის კანონის“ თანახმად, უნდა ჩატარდეს და ყველა განდგომილმა ჩვენ-ჩვენი სიტყვა ვთქვათ. საქართველოს ეკლესიის ზოგიერთ სასულიერო პირს მღვდლად არ მივაჩნივარ და „განკვეთილად“ მომიხსენიებს, მაშინ, როცა ერთხელაც არ დამირღვევია „დიდი სჯულის კანონის“ წესდებები და ყველაფერს აღვასრულებ დოგმატების მკაცრი დაცვით. მე დროებით ვემორჩილები სხვა სინოდს, რომელსაც მსოფლიოს თითქმის ყველა მართლმადიდებლურ ქვეყანაში აქვს ეპარქიები, ამიტომ ჩემი გადასვლა უნდა მოხდეს ერთი სინოდის დაქვემდებარებიდან მეორეში. მთავარია, საქართველოს საპატრიარქომ ცნოს და აღიაროს ჩემ მიერ ჩატარებული ყველა საეკლესიო რიტუალი. წინააღმდეგ შემთხვევაში საპატრიარქოსთან შეერთება უაზრო იქნება. ყოველივე ამით თავად საქართველოს ეკლესია უნდა იყოს დაინტერესებული.

ღმერთმა დაგლოცოთ!

ესაუბრა
მანანა ჭელიძე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

რატომ მიაჩნიათ სასამართლოებში იეღოველობა დეზერტირობის გამამართლებელ არგუმენტად?

„ბათილად იქნეს ცნობილი თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის გ. ქორქაშვილის 2007 წლის 20 აპრილის №1941/03. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილების უფროსის დ. დავლაშელიძის 2007 წლის 24 აპრილის №154 და 2007 წლის 7 ივნისის №204 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სამხედრო სავალდებულო გაწვევის გადავადებაზე უარის თქმის შესახებ.“ ეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ინგა კვაჭანტირაძის გადაწყვეტილებაა. მოსარჩელეები და სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებულები კი — იეღოველები.

საქართველოში იეღოველთა რაოდენობა საგანგაშოდ იზრდება. ამისთვის აღნიშნული სექტა არა თუ ძალისხმევას არ იშურებს და ქუჩებსა თუ სახლებში „მქადაგებელთა“ არმიას ასაქმებს, მილიონებსაც ხარჯავს. საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციით, იეღოვას მოწმეთა 2006 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ საქართველოში რელიგიური სექტის წევრთა რაოდენობა 1.6%-ით გაიზარდა და იეღოვას მოწმეებმა სპეციალური პიონერების, მისიონერებისა და ზედამხედველთა შენახვისთვის 111 მილიონი დახარჯეს. მათი მომრავლების მომავალი წლის მაჩვენებლები ჩვენთვის უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ 2006 წელთან შედარებით, იეღოველებს ახლა უფრო მეტი რესურსი აქვთ ქრისტიანთა გადაბირებისთვის, რადგან მათ არასამთავრობო ორგანიზაციათა და სახელისუფლებო წრეების მთელი ნაკადი იცავს და ანებივრებს. იმისათვის, რომ სამხედრო ვალდებულებისგან საქართველოს მოსახლეობას თავი ადვილად არ დაეძვრინა, ხელისუფლებამ „სამხედრო სამსახურის გადავადების მოსაკრებელის შესახებ“ კანონში ცვლილებები შეიტანა. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით მიიღეს კანონპროექტი და ბიუროს სასწრაფო წესით წარუდგინეს, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გასაწვევ წვევამდელს, სურვილის შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გაწვევისგან გადავადების უფლებით მხოლოდ 2-ჯერ და მხოლოდ 25 წლის ასაკამდე ესარგებლა. 18 თვით სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებისთვის მოსაკრებელი 2000 ლარი გახდა. ასეთი ცვლილება იმით ახსნეს, რომ მანამდე დადგენილი მოსაკრებელი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო, თანხის გაზრდის შემთხვევაში ცოტა თუ შეძლებდა მის გადახდას. ასე ცდილობდა ხელისუფლება საქართველოს ყველა მოქალაქის ჯარში წასვლის უზრუნველყოფას. ამაში საგანგაშო არაფერი იქნებოდა, რომ არა აგვისტოს ომის მძიმე შედეგები, როცა რეზერვისტებს ჯერ ომში უკრეს თავი, შემდეგ კი — ციხეში დეზერტირობისთვის. არადა, რეალურად ისინი ისეთივე მეომრები იყვნენ, როგორიც დეზერტირები არიან. ეს მხოლოდ მართლმადიდებელ რეზერვისტებს თუ სამხედრო პირებს შეეხოთ, ხოლო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იეღოველების უფლებები საქართველოში მეტადაა დაცული და უჩინარი მფარველი ხელის წყალობით, სამხედრო ვალდებულებისგანაც უპრობლემოდ გათავისუფლდნენ.

2008 წლის 1 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თეა თადაშვილმა ერთპიროვნულად, ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა მოსარჩელე შოთა რაზმაძის №3/714-08 ადმინისტრაციული საქმე აღძრული მოსარჩელის – შოთა რაზმაძის სარჩელისა გამო მოპასუხეების, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილების, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის გამწვევი კომისიის მიმართ, „ადმინისტრაციული აქტის არარა აქტად აღიარების, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალდებულების შესახებ.“

სასამართლო გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „მოსარჩელე შოთა რაზმაძემ 2008 წლის 27 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და განმარტა შემდეგი: **მოსარჩელე შოთა რაზმაძე 2005 წლიდან არის რელიგიური ორგანიზაცია იეჰოვას მოწმეების მიმდევარი, სადაც 2007 წლის 31 იანვრიდან მსახურობს მღვდელთმსახურად, კერძოდ, მომსახურედ (დიაკვნად). მოსარჩელე უწყებით გამოძახებული იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევად, რის გამოც მან 2007 წლის 19 თებერვალს განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილებას და მოითხოვა სამხედრო ვალდებულებისა და „სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის, „ლ“ პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურის გადავადება. მოსარჩელის წერილის პასუხად, მოპასუხემ — თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილებამ 2008 წლის 21 მარტს იეჰოვას მოწმეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი წერილით ფაქტობრივად არ დააკმაყოფილა შოთა რაზმაძის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ იეჰოვას მოწმეთა კავშირი საქართველოს სახელმწიფოს მიერ არ არის რეგისტრირებული (აღიარებული) როგორც საეკლესიო კავშირი. მოსარჩელის აზრით, მისი მოთხოვნის სამართლიანობა დასტურდება შემდეგი მსჯელობით: იეჰოვას მოწმეების არარეგისტრირებულმა კავშირმა 2008 წლის 18 თებერვალს გაცემული №02/08 ცნობით დაადასტურა, რომ მოსარჩელე შოთა რაზმაძე არის მღვდელთმსახური. იეჰოვას მოწმეების რელიგიური ორგანიზაცია, როგორც კავშირი, რეგისტრირებულ იქნა საქართველოში 1988 წლის აპრილიდან. ვინაიდან საქართველოში არ არსებობს კანონი რელიგიური ორგანიზაციების შესახებ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2001 წლის 22 თებერვლის განჩინებით გააუქმა იეჰოვას მოწმეების ორი იურიდიული პირის რეგისტრაცია, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებას არ შეუზღუდავს იეჰოვას მოწმეთა მოსაზრებების, ინფორმაციის, იდეების მიღებისა და გავრცელების, მშვიდობიანი შეკრებების ან სხვებთან გაერთიანების უფლება. ვინაიდან კერძო სამართლის იურიდიულ პირად სასამართლო რეგისტრაციის გაუქმება არ ნიშნავს გაერთიანებების შეჩერებასა და გაუქმებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 22 თებერვლის განჩინების შემდეგ იეჰოვას მოწმეების რელიგიურმა ორგანიზაციამ თავისი საქმიანობა განაგრძო არარეგისტრირებული ორგანიზაციის სახით.“**

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი — 2008 წლის, 21 მარტის №117 წერილი, არარად ცნო იმ მოტივით, რომ იგი არაუფლებამოსილი პირის მიერ იყო გაცემული და გადაწყვიტა, რომ მოპასუხის უარი — გამოსცეს ინდივიდუალური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე შოთა რაზმაძისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების თაობაზე, უკანონოა, ეწინააღმდეგება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტს, 24-ე და 25-ე მუხლებს, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-19 მუხლებს და ასეთი უარი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის უფლებას, გადაუვადდეს სავალდებულო სამხედრო სამსახური.

ასე დააკმაყოფილა სასამართლომ იეღოველი დიაკვნის სარჩელი და მისი გადახდილი ბაჟის — 100 ლარის ანაზღაურება მოპასუხეებს დაავალა.

შინაარსი იგივეა, განსხვავება მხოლოდ მოსამართლესა და მოსარჩელეებშია. მოსარჩელეების: ერეკლე მაღრაძის, გიორგი მეზვრიშვილისა და მალხაზ სადოიანის სარჩელიც ასევე დაკმაყოფილებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ. მოსარჩელე იეჰოვას მოწმეების უხუცესი (ეპისკოპოსი) ყოფილა და ქართულ ჯარში წასვლას როგორ ვაკადრებდით.

დღეს ციხეში არა ერთი სამხედრო მოხელე ზის დეზერტირობის ბრალდებით, მათი ადვოკატები ვერ ამტკიცებენ, რომ ბრალი ზოგ შემთხვევაში არასწორადაა წარდგენილი, ზოგ შემთხვევაში კი მათი დასაცავი პირი ციხეში უკანონოდ ზის. სამაგიეროდ, სექტების წარმომადგენლებისთვის სასამართლო ობიექტურობის ეტალონად გვევლინება. დაცვის სნორედ ასეთ ფაქტორებს იყენებენ თავიანთ რიგებში ხალხის გადასაბირებლად სხვადასხვა სექტის წარმომადგენლები და მართლმადიდებლობას აქტიურად უტევენ.

მანანა ჯელიძე

ურჯულო საზოგადოებები

ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ავიღე და გავიგონე: „გსურთ, ღმერთი შეიცნოთ?“ „იეღოვას მოწმეების“ წარმომადგენელი რეკავდა. მანამდე ჩემს გამოჭერას ცდილობდნენ სუპერმარკეტის რიგში, აფთიაქში, ბინაშიც კი მიცვივდებოდნენ. აბეზარი სექტანტებისგან გასაქანი აღარ არის. მათთან შეხვედრის გამოცდილება რუსეთის თითქმის ყველა მოქალაქეს აქვს. და, შესაბამისად, ბევრ მათგანს ებადება კითხვა: „როდემდე?“ როდემდე შეიძლება ქვეყანაში „საგუშაგო კოშკის“ („იეღოვას მოწმეების“ მეორე სახელწოდება) პარპაშის მოთმენა? ცნობილია, რომ ბევრ სახელმწიფოში ეს სექტა აკრძალულია. სულ ცოტა ხნის წინათ სვერდლოვსკის ოლქის უშიშროების სამსახურის სამმართველოს ექსპერტებმა ამ რელიგიური ჯგუფის ლიტერატურის ექსპერტიზა დაასრულეს. ხუთი ექსპერტიზის შედეგების მიხედვით სპეციალისტებმა იეღოველთა მასალები ექსტრემისტულად მიიჩნიეს. პროკურატურა განიხილავს სასამართლოსთვის განცხადებით მიმართვის შესაძლებლობას ხსენებული რელიგიური ლიტერატურის ექსტრემისტულად აღიარების თაობაზე. მაგრამ არსებობს ერთი „მაგრამ“: სისხლის სამართლის საქმეს ჯერჯერობით ფიგურანტი არ ჰყავს. რთულია დამტკიცება, რომ მასალების გამავრცელებლებმა იციან მათი ექსტრემისტული შინაარსი. „დღეს თუ სასამართლო ლიტერატურას ექსტრემისტულად ცნობს, შეგვიძლია, მისი გავრცელება ავკრძალოთ. მაგრამ ავტორებს ვერ დავსჯით — ისინი აშშ-ში იმყოფებიან და ჩვენთვის, პრაქტიკულად, მიუწვდომლები არიან“, — განმარტავენ ქალაქ ასბესტის პროკურატურაში.

პროკურატურის აზრით, რელიგიური ჯგუფის გამოცემები უკიდურესად უარყოფითად განაწყობენ თავიანთ ადეპტებს მართლმადიდებელთა მიმართ. მაგრამ, როგორც ჩანს, „იეღოვას მოწმეები“ ამ სიტუაციიდანაც დაიძვრენენ თავს.

არადა, სექტების პრობლემა თანამედროვე რუსეთისთვის იმდენად აქტუალურია, რომ ექიმებიც კი განგაშს ტეხენ. მათთვის სექტები იგივეა, რაც ეპიდემიის კერები, ოღონდ უფრო საშიში, ვიდრე, ვთქვათ, ქოლერა, რადგან ზომბირების კვალი სიკვდილამდე რჩება.

გასაგებია, რომ თანამედროვე სექტების ლიდერებს ეს ოდნავაც არ ანაღვლებთ — მათთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ფულის შოვნა და ადამიანებზე ძალაუფლების განმტკიცება. ისინი უზარმაზარ სახსრებს ფლობენ და ამიტომ საუკეთესო სპეციალისტებს ქირაობენ თავიანთი „უწყინარობის“ დასამტკიცებლად. მიუხედავად იმისა, რომ სექტათა მოძღვრებები ერთმანეთისგან განსხვავდება, მათ შეუძლიათ მყისვე გაერთიანდნენ მართლმადიდებლობასთან საბრძოლველად და საკანონმდებლო ორგანოში ნებისმიერი მათგანის საქმიანობის ლეგალიზაციას გაუწიონ ლობირება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ვალერია ნოვოდვორსკაია:

არ არსებობს პალესტინა, ჩვენ ვხედავთ მხოლოდ პალესტინელი პარაზიტების ბრბოს

რედაქციისაგან:
ქართული არმიის უახლესი შეიარაღებით მომმარაგებელთა შორის ერთ-ერთი მთავარი მომწოდებელი ისრაელი გახლდათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ თელ-ავივს პალესტინასთან და არა მარტო ამ ავტონომიასთან ჭიდილში სადავო ტერიტორიებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება დაუგროვდა, მათგან მიღებული შეიარაღება თუ საკონსულტაციო ხასიათის დახმარება საქართველოსთვის მართლაც ძვირფასია. თუმცა მედალს ორი მხარე აქვს... „ღაზას სექტორთან“ ისრაელის ურთიერთობას უამრავი შუქჩრდილი ახლავს... დარია ასლამოვას წერილის წაკითხვის შემდეგ, ბრალდება, რომ ცხინვალის გრადით დაბომბვა არაჰუმანური აქტი იყო, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაზვიადებული მოგეჩვენებათ...

სანახაობა სულისათვის

ისრაელის პატარა ქალაქი სდეროთი ტიპური პროვინციული ხვრელია, ადგილობრივთა გამონათქვამებით, „მსოფლიოს ბოლომდე და მარცხნივ“. მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ქალაქი მოხვდა კუსტარული რაკეტების „კასამის“ წყალობით, რომლებითაც რეგულარულად ბომბავენ მის მოსახლეობას და „სამარცხვინო მწვერვალზე“ აგზავნიან მას (ასე უწოდებენ უცხოელი ჟურნალისტები გორაკს, საიდანაც შესანიშნავი ხედი იხსნება ღაზას სექტორზე, და სადაც ასობით ისრაელელი მოდის, რათა დატკბნენ პალესტინელთა სამკვირიანი სასაკლაოს მზერით).

„ჩემი თანამოქალაქენი ჭკუიდან შეიშალნენ, — ხმის კანკალით მეუბნება სდეროთის მცხოვრები ნომიკა ზაიონი. — მთელი სდეროთი მოფენილია დროშებით, მხარდაჭერის ჯგუფები ქუჩებში არიგებენ ყვავილებს, მანქანები იძლევა საყვირებს, რომ იზეიმონ თითოეული ტონა ბომბი, ჩვენს მეზობლებს რომ ეცემათ თავზე ღაზას სექტორში. მე მაშინებს ეს საშინელი ეიფორია, ეს შურისძიებაა ხელისუფლებისათვის. მათ დაივიწყეს ებრაული ჭეშმარიტება: „ნუ გიხარია, როდესაც შენი მტერი დამარცხებულია“. მე მათ ვეუბნები: „ეი, ბიჭებო! ეს ომია და არა — ფესტივალი!“

ნომიკა ზაიონი, ლამაზი და მგზნებარე ქალი, ისრაელის ნამდვილი შვილია. იგი კიბუცში დაიბადა, პოლიტიკური აქტივისტების ოჯახში, იმ რომანტიკულ ატმოსფეროში, სადაც ბავშვებს უნერგავენ: **სამოქალაქო უფლება — ეს ისაა, რაც არ უნდა წაართვა ადამიანებს, თუ საკუთარ თავს არ უზრუნველყოფ ბოლომდე. „ბრძოლა არსებობისათვის ჩემს სისხლშია“,** — ამბობს იგი. თავის კიბუცში ნომიკამ მოაწყო ჯგუფი „სდეროთის მეორე ხმა“ და ინტერნეტში გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც განაცხადა: „ლამაზი სისხლისღვრა ღაზაში — ეს გაკეთდა არა ჩემი სახელით და არა ჩემი უშიშროების სახელით. მე არ მიყიდია მშვიდობა და სიმშვიდე ამ ომში. იცით, ღაზაში არ არის დრო, რომ დავასაფლაოთ გარდაცვლილები, ცხედრები ერთმანეთზე აწყვია მორგების მაცივრებში, ვინაიდან შეუძლებელია მათი ყველგან შენახვა. „ჰამასის“ ყოველი ხსენების შემდეგ მედია გვიხატავს უზარმაზარი დემონის სურათს უსახურად, უსხეულოდ და უხმოდ — პალესტინელთა მილიონნახევარი ღაზაში უსახელოა“. ამ სტატიის შემდეგ ნომიკა და მისი მეგობრები განწირულები გახდნენ, მათ აფურთხებენ და შეურაცხყოფას აყენებენ, როგორც გამყიდველებს.

„მზად ვარ, გადავიხადო იზოლაციის საფასური, — გადაჭრით ამბობს იგი. — **შენ ფიქრობ, მე არ მეშინია „კასამის“ რაკეტებისა, რომლებიც სდეროთს ეცემა? — რასაკვირველია, მეშინია“.** ნომიკა მიჩვენებს ბნელ ოთახს ბეტონის კედლებით — ეს მისი პერსონალური დაცვაა. **„სდეროთში ყველაზე ბედნიერი დღე იყო ნახევარწლიანი დაზავება,** — განაგრძო მან. — **მაგრამ ბლოკადა ღაზაში მაინც არ მოიხსნა და ნოემბერში ისრაელმა დაარღვია შეთანხმება: შვეულმფრენებმა გადალახეს საზღვარი და მოკლეს ხუთი ჰამასელი. გული მერევა ამ ისრაელური „კლიშეებისაგან“: „ჩვენ არჩევანი არ გაგვაჩნია“, „ჩვენ არ გვყავს პარტნიორი“, „კიდევ ერთი დარტყმა და ჩვენ მათ ბოლოს მოვუღებთ“, „მიეცით არმიას საშუალება, დაასრულოს თავისი სამუშაო“. ეს ყველაფერი სიცრუეა. ლაპარაკი შეიძლება და საჭიროა ყველასთან. ჩვენ თუ გავანადგურებთ „ჰამასს“, ვინ მოვა მის ნაცვლად? ისრაელელი ფუნდამენტალისტები? იქნებ „ალ-ყაიდა“?**

ჩვენ, ებრაელებს, მუდმივი მსხვერპლის კომპლექსი გვაქვს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მსხვერპლი შეიძლება ვიყოთ მხოლოდ ჩვენ და გადავეჩვიეთ სხვისთვის წუხილს. მინდოდა, გამეგო იმ ხალხის სახელები ღაზიდან და შევედი იქ ინტერნეტის მეშვეობით: თოთხმეტი წლის გოგონა, რომლის სკოლაც დაბომბეს, ხოლო მეგობარი თვალწინ მოუკლეს, ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც მითხრა, რომ არასოდეს მოიყვანს ცოლს და არ ეყოლება ბავშვები, იმიტომ, რომ ბავშვებს იქ მომავალი არ გააჩნიათ. სხვაობა ჩემსა, რომელიც შიშში ცხოვრობს, რომ არ მომკლანო, და ღაზას მცხოვრებთა შორის ისაა, რომ მე თავისუფალი ვარ, ისინი კი — ტუსაღები. ღაზიდან არ შეიძლება წასვლა და იქ არ შეიძლება შესვლა. ღაზა მსოფლიოში ყველაზე დიდი ციხეა! თუ იცი, რა არის ღაზა?

„მე დუმილით ვუქნევ თავს. რა არის ღაზა?! დედამიწის პატარა ზოლი ზღვის გასწვრივ, რომელიც ყველა მხრიდან შემოღობილია მავთულხლართებით, სადაც მილიონნახევარი კაცი ერთიმეორეს აზის თავზე. *სიურეალისტური საკონცენტრაციო ბანაკია პალესტინელებისათვის, რომელიც შექმნილია, ბედის ირონიით, იმ ებრაელების მემკვიდრეთა მიერ, ვისი ბაბუებიც იხოცებოდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში. თუ შენ დაიბადე ღაზაში, შენ ხარ ადამიანი უპასპორტოდ, უქვეყნოდ, მოქალაქეობის გარეშე, გადაადგილების უფლების გარეშე. შენ განწირული ხარ სამუდამო პატიმრობისათვის მხოლოდ დაბადების ფაქტით. შენ წინ შესანიშნავი პლაჟებია, მაგრამ შენ გეშინია ზღვაში შესვლისა — ისრაელი რეგულარულად ისვრის მოცურავეების მისამართით. შენ გაქვს ნავსადგური, მაგრამ იქ ვერ შემოვა გემები — ისრაელი უტევს ნებისმიერ გემს, რომელიც გაბედავს, დაარღვიოს ორმოცწლიანი (!) ბლოკადა. აქ არის აეროდრომი, მაგრამ არასოდეს იქიდან ცაში არ ადის თვითმფრინავი. ისრაელმა დიდი ხანია დაბომბა ასაფრენი ზოლები, შენ იცი, რომ წყალი, გაზი, ელექტროენერგია, პროდუქტები, წამალი — აბსოლუტურად ყველაფერი — დამოკიდებულია ისრაელის სურვილზე, რომელმაც შეიძლება გადაგიკეტოს ცივილიზაციის სიკეთე ნებისმიერ მომენტში. და შენ სწავლობ გვირაბების თხრას ქვიშაში, გინდა, გადარჩე, როგორც ვირთხა. ღაზაში შენ გაქვს უფლება, აირჩიო ცხოვრების წესი, რომელიც არაფრით იქნება ტუსაღის ცხოვრებაზე უკეთესი.*

გასული წლის იანვარში, როდესაც ისრაელმა გაამკაცრა ბლოკადა და შიმშილმა დაისადგურა ღაზაში, სასოწარკვეთილი ხალხი გაიქცა. მათ ააფეთქეს ლითონის კედელი საზღვარზე ეგვიპტესთან და ღაზის ათეულობით ათასი მცხოვრები ტირილითა და წამებით გაიჭრა თავისუფალ სივრცეში. ჟურნალისტებმა ამას უწოდეს *„ყველაზე მასობრივი გაქცევა ციხიდან კაცობრიობის ისტორიაში“.*

სამი დღის განმავლობაში ისრაელელები გაცხარებით იძენდნენ ეგვიპტეში პროდუქტებს, წამალს, ბენზინს და საშენ მასალებს. მაგრამ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეგვიპტისაგან მოითხოვა, სასწრაფოდ გადაეკეტა საზღვარი, რათა ღაზაში არ შეეღწიათ „სახიფათო ელემენტებს“. ადამიანები, როგორც ნახირი, კვლავ შეყარეს ციხეებში, ხოლო ყველა შესასვლელი და გამოსასვლელი ამოქოლეს.

მახსოვს, თუ როგორ ტიროდა პატარა მასწავლებელი — მოხალისე, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ასწავლიდა გაეროს სკოლაში (სწორედ იმ სკოლაში, რომელიც ახლახან დაბომბა ისრაელის ავიაციამ, და სადაც ნანგრევებში დაიმარხა ორმოცი კაცი). მე მესმის თორმეტი წლის ბიჭისა — გენიალური პიანისტისა, რომლისთვისაც გაეროს თანამშრომლები ამაოდ ცდილობდნენ, მიეღოთ ისრაელისაგან ნებართვა ეგვიპტეში გამგზავრებისათვის, მაგრამ ბიჭს აღმოაჩნდა „საეჭვო ნათესავები“. მაშასადამე, ის შეიძლება გამხდარიყო პოტენციური ტერორისტი.

არ მახსოვს ღაზას ცა ისრაელის შვეულმფრენების გარეშე, რომლებიც სექტორს თავს ყოველთვის დასტრიალებენ, როგორც აბეზარი ბუზები ბისკვიტის ნაჭერს. შემდეგ შენ გესმის მოკლე განწირული ხმა, ადამიანები გარბიან, ეცემიან მიწაზე, საღამოს ახალ ცნობებში კი ჩნდება ღარიბი სტრიქონები: „დღისით ისრაელის შვეულმფრენებმა გაანადგურეს ტერორისტების ჯგუფი ღაზას სექტორში“ (გაოცებს, როგორ ახერხებენ ეს მეცნიერები იმის გარჩევას, თუ რა ხდება ქვევით, ლტოლვილთა — ტერორისტების(?!) ბანაკში). სწორედ ისე, როგორც ეს აღწერილია ცნობილი ისრაელელი დრამატურგის ხანიოხ ლევინის მახვილგონივრულ ნაშრომში: ***„სამხედრო გუბერნატორის მუდმივად მოქმედი ბრძანება ჯარების მიმართ ოკუპირებულ ტერიტორიებზე: ნერვიული ფეხითმოსიარულე ეჭვმიტანილია იმაში, რომ იგი არაბი ტერორისტია. მშვიდი ფეხითმოსიარულე ეჭვმიტანილია იმაში, რომ იგი ცივსისხლიანი არაბი ტერორისტია. ფეხითმოსიარულე, რომელიც ზევით იმზირება, ეჭვმიტანილია იმაში, რომ იგი არის რელიგიური არაბი ტერორისტი. ფეხითმოსიარულე, რომელიც ძირს იმზირება, ეჭვმიტანილია იმაში, რომ იგი მორიდებული არაბი ტერორისტია. ფეხითმოსიარულე დახუჭული თვალებით ეჭვმიტანილია იმაში, რომ იგი არის მძინარე არაბი ტერორისტი. სახლში ჯდომის მოყვარული ეჭვმიტანილია იმაში, რომ იგი ავადმყოფი არაბი ტერორისტია. ზემოთ ხსენებული ეჭვმიტანილები უნდა იყვნენ დაპატიმრებული და გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ — მიყვანილი მორგში“.***

რით არის სისხლი ძვირფასი

ძველით ახალ წელს მე შევხვდი იერუსალიმის ცენტრში რუსულად მოლაპარაკე ისრაელელთა კომპანიაში. ეს სასიამოვნო ინტელიგენტები მშვიდი მანერებით შესანიშნავად ხუმრობდნენ და ღიღინებდნენ საბჭოთა სიმღერებს გიტარის თანხლებით.

ყველაფერი შეიცვალა, როდესაც საუბარი ღაზას შეეხო. **„დაალპეთ!“, „გასრისეთ!“, „ჩვენ ვერ ავიტანთ!“, „უკვე დროა!“.** ნიღაბი უკვე ჩამოხსნილია. **„ბიჭებო! იქ ხომ ხალხია!** — სასოწარკვეთით გავიძახოდი მე. — **ნუთუ თქვენთვის, როგორც ფილმ „შიუნხენის“ გმირებისათვის, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ებრაელთა სისხლს?!“ „აბსოლუტურად!** — მეუბნება ვინმე ხაიმი ლვოვიდან. — **ჩემთვის პირადად და ისრაელის სახელმწიფოსათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ სისხლს, რომელიც დაღვარეს ებრაელებმა!“**

(მე აქვე გავიხსენე ისრაელელი გენერალი დან ხალუცი, რომელმაც ჟურნალისტის შეკითხვაზე: — „რას განიცდით, როცა ბომბებს უშენთ მჭიდროდ დასახლებულ პალესტინის კვარტალებს?“ — მშვიდად მიპასუხა: —

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ლეონიდ რაძიხოვსკი:

რატომ ბომბავს ისრაელი ღაზას? — თუ არ მოკლავენ, ერთის ადგილზე მოვა ასი სხვა

„მცირე ბიძგს მარცხნიდან, როდესაც რაკეტა ტოვებს თვითმფრინავს“).

ამ სცენას მწარე ირონიას სძენდა ჩემი ებრაელი მეგობრის ქმრის იქ ყოფნა, რომელიც პალესტინელი ქრისტიანი არაბია ლამაზი ბიბლიური სახელით — ნოე (ხომ არსებობს ასეთი ფანტასტიკური ქორწინებებიც!). ყველა ამ შეურიგებელმა ოლიამ ვორონეჟიდან და იაშამ ოდესიდან, რომლებიც ისრაელში ჩამოვიდნენ ათი წლის წინათ, დაუყოვნებლივ მიიღო მოქალაქეობა, ფინანსური დახმარება და სამსახური. ნოე, რომელიც დაიბადა და გაიზარდა იერუსალიმში, და ვისი ოჯახური ფესვებიც ღრმად არის გამჯდარი წმიდა მიწაზე, არ არის ისრაელის მოქალაქე, მას არ აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და არ შეუძლია ხმა მისცეს. იგი მეორეხარისხოვანი არსებაა, ადამიანი მოქალაქეობის გარეშე, რომელიც უსასრულოდ დამცირებულია თავის საკუთარ სამშობლოში. ნოეს თვალსაზრისით, მთელი ეს მილიონიანი ბანდა ყოფილი საბჭოთა მოქალაქეებისა არის ბობოქარი, მყვირალა და თავხედი — ხროვა ოკუპანტებისა, რომლებმაც მათ წაართვეს ყოველგვარი უფლება *(რომ წარმოვიდგინოთ ოკუპაციის მასშტაბი, საკმარისია, ვიცოდეთ უბრალო ფაქტი: 1917 წელს არაბები შეადგენდნენ პალესტინის მოსახლეობის 93%-ს, მაშინ, როდესაც ებრაელები — მხოლოდ 7%-ს).*

„ღაზას სექტორში ისრაელელთა მიერ სრულად მოწონებული სასაკლაო ტვინის მრავალწლიანი გამორეცხვის შედეგია, — ამბობს ნოეს მეუღლე ალიონა მოსკოვიდან. — **მიმდინარეობს მტრის დეჰუმანიზაციის პროცესი: არაბები ადგილობრივ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში წარმოდგენილნი არიან არა როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, არამედ როგორც გარეული მხეცები, რომლებიც უნდა განადგურდნენ. სახელმწიფოს სჭირდება გარეშე მტერი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაიშლება. ყველა ამ რეპატრიანტს, სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციის ხალხს, ერთად ამყოფებს მხოლოდ ერთი გრძნობა: „ჩვენ ალყაშემორტყმულ ბანაკში ვიმყოფებით და ყველას წინააღმდეგი ვართ!“. როდესაც წერენ ასეულობით ათასი რაკეტა „კასამის“ შესახებ, რომლებიც იყრება ისრაელის ქალაქებზე“, არავინ ამბობს, რომ 2001 წლიდან რვა წლის განმავლობაში რაკეტებისაგან დაიღუპა 18 კაცი, მათ შორის, ისინიც, ვინც გულის შეტევითა და შიშით გარდაიცვალა. იმავე რვა წლის განმავლობაში კი ყოველგვარი ომის გამოცხადების გარეშე ისრაელის შვეულმფრენებმა ღაზას სექტორში გაანადგურეს რამდენიმე ათასი პალესტინელი, მე უკვე აღარაფერს ვლაპარაკობ საახალწლო**

ხოცვა-ჟლეტაზე. რაკეტა „კასამი“ — ესაა მფრინავი საკონსერვო ქილა: თუ შუბლში მოგხვდა, ესე იგი არ გაგიმართლა. მთელი ეს კუსტარული პროდუქცია ეკუთვნის პალესტინელ თვითმკვეთებლებს. მაგრამ ებრაელებს არაფრის გაგება არ სურთ. როდესაც მათ ვუყვები, თუ როგორ დაიპყრეს ებრაელმა ჩასახლებულებმა პალესტინის მიწები მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, ისინი უგრძნობელი თვალებით მიმზერენ და ამტკიცებენ: „ეს სიცრუეა“. როდესაც ადამიანთა უფლებების დაცვის მოძრაობის აქტივისტები განმარტავენ, რომ ისრაელი ქაჩავს არაბეთის წყალს მათივე ტერიტორიიდან, და მას მხოლოდ სამჯერ უფრო ძვირად მიჰყიდიან მათვე, რომ ებრაელები ცურავენ მინერალური წყლების აუზებში, პალესტინელებს კი წყალს აწვდიან კვირაში ერთხელ, ისრაელის მოქალაქეები ერთხმად აცხადებენ: „ბოროტი ჭორია“. მთელი მსოფლიო აჩვენებს კადრებს ბავშვებით ღაზას სექტორიდან, რომლებიც დაიწვნენ ფოსფორული ბომბების ჩამოყრის შედეგად და პასუხად კი გესმის: „თქვენ საზიზღარი ანტისემიტი ხართ“. ისრაელში არასოდეს ყოფილა ადამიანების უკმარისობა, რომლებსაც შეუძლიათ ყველაფერი განმარტონ და გაამართლონ. ეგრეთ წოდებული თალმუდური აზროვნება — ეს არის იმის უნარი, რომ ყველაფერი გადმოატრიალონ თავიდან ბოლომდე და მიიღონ სარგებელი მოწინააღმდეგეების არგუმენტებიდანაც კი.

ჩვენ ავაშენებთ ებრაელთა დიდ იმპერიას!

„ყველაზე მთავარი ფასეულობა კაცობრიობამ მიიღო ებრაელთა მეშვეობით, სწორედ ჩვენი მეშვეობით მისცა ღმერთმა გოიებს (არაებრაელებს) უმაღლესი ჭეშმარიტება, — ამბობს რაბინი აბრამ შულევიჩი (ყოფილი ნიკიტა დიომინი სანკტ-პეტერბურგიდან). — ყველამ იცის, რომ ებრაელები რჩეული ხალხია, მაგრამ რჩეული რისთვის? იმისათვის, რომ **მისცეს მთელ კაცობრიობას ოქროს სტანდარტები“.**

ჩვენ ვსხედვართ სამზარეულოში და მშვიდად ვსვამთ ყავას. და მე ვიგებ, რისგან შედგება იუდეველთა ტომის სული. რაბინი შულევიჩი უკიდურესად ქარიზმატული პერსონაჟია და მე ადვილად ვვარდები მისი მჭევრმეტყველების მაგიის ტყვეობაში. ეს „ჰიპერსიონისტი“ (ასე უწოდებს იგი თავის თავს) და ლიდერი ისრაელელთა მოძრაობა „სამშობლოსათვის!“ აღმიწერს შესანიშნავ სურათს მომავალი ებრაელთა იმპერიისა, რომელიც ვრცლად გადაიჭიმება ნილოსიდან ევფრატამდე. „ჩვენ ავიღებთ ეგვიპტის პატარა მონაკვეთს, ლიბანის, სირიის ტერიტორიას, ერაყის ტერიტორიის ნაწილს და რაღაცას ჩამოვაჭრით კუვეიტსაც — ეს არის სწორედ ის მიწა, რომელიც ღმერთმა უბოძა ებრაელ ხალხს, — ამბობს რაბინი შულევიჩი და მიჩვენებს მომავალი ებრაული იმპერიის რუკას. — მათრახით გავათავისუფლებთ ჩვენს მიწას, და იქ მცხოვრებთ მივცემთ არჩევანს: ან დაიხოცონ, ან იცხოვრონ ჩვენი წესებით. თუ თქვენ გააკეთებთ „კასამებს“, ჩვენ თქვენ დაგხოცავთ, თუ გსურთ, იმსახუროთ ისრაელის არმიაში, მობრძანდით, ბატონო“. — **„იდეა გასაგებია. თქვენ გსურთ, იყოთ ტვინი, დანარჩენები — ხელები. მაგრამ როგორ შეხედავს ამას მსოფლიო საზოგადოებრიობა?“** — „არანაირად. საერთაშორისო კანონით, ესაა ძლიერთა უფლება. კანონებს იყენებენ, რათა თავს მოგახვიონ თავისი ნება, ვისაც ძალა აქვს. ისინი კანონებს აფურთხებენ“. — „მაგრამ ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს 250 მილიონი კაცი და სულ რაღაც ექვსი მილიონი ებრაელი“. — „რამდენი იყო ბერძენი, როდესაც მათ შექმნეს თავიანთი იმპერია საბერძნეთიდან შუა აზიამდე და ინდოეთამდე? გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე ებრაელები. რა გააკეთა ალექსანდრე მაკედონელმა? მან შეკრიბა მთელი ელიტა და თავი მოჰკვეთა მათ. შემდეგ აიყვანა ადგილობრივი ბიჭები და ჩარიცხა ისინი თავის გვარდიაში. ვინც დათანხმდა, მიეღო ბერძნული კულტურა, მიიღო ბერძნების თანაბარი უფლებები და ელინიზმი გავრცელდა მთელ ტერიტორიაზე. როდესაც ისრაელი გააკონტროლებს ახლო აღმოსავლეთის სივრცეს, იგი მოიქცევა ისევე, როგორც ალექსანდრე მაკედონელი — ვინც არ ეთანხმებოდა, ანადგურებდა, დამონებულ ხალხებს კი რთავდა იმპერიის სისტემაში“.

„მაშინ რით განსხვავდებით თქვენ ჰიტლერისაგან?“ — ვეკითხები მე. — „არ არის საჭირო გადახრის მაგალითების მოყვანა. იმპერიის იდეა მიმზიდველია თავისი სტაბილურობისა და აყვავების დაპირებით“. — „მაგრამ ისტორია გვასწავლის, რომ ყველა იმპერია, ადრე თუ გვიან, კრახს განიცდის“. — „არა უშავს, რვაასი წელი გვეყოფა. შემდეგ დაიწყება სამყაროს დასასრული და ამისათვის აღარავის ეცლება“. — „თქვენი აზრით, როდის დადგება ისრაელის იმპერიის საათი?“ — „იმ სიჩქარეს თუ მივიღებთ მხედველობაში, რა სიჩქარითაც მოვლენები ხდება, — 10-15 წლის შემდეგ. როდესაც სისტემა ჩიხში შედის, ნებისმიერი მოქმედება მხოლოდ აუარესებს სიტუაციას. ამჟამინდელი ომი არაფრით არ დამთავრდება. ისრაელი მიზნად ისახავს, გაანადგუროს „ჰამასი“ და მის ადგილზე დასვას „ფახტი“. ჯერ ღაზაში შევა ეგვიპტის არმია (ამის შესახებ უკვე მიდის მოლაპარაკება), მასთან ერთად კი „ფახტის“ რაზმები. ეს მიგვიყვანს სამოქალაქო ომამდე. მაგრამ ეგვიპტეს ეშინია, აიყვანოს ღაზა თავის კონტროლქვეშ. მუბარაქის რეჟიმის მთავარი პრობლემაა ორგანიზაცია „ძმები მუსლიმანები“. მთელი ეგვიპტელი ახალგაზრდობა, რომელიც ამჟამად უყურებს ტელეგადაცემებით ღაზას, მხარს უჭერს „ჰამასს“. მაშასადამე, გარდაუვალია ეგვიპტის რადიკალიზაცია. მუბარაქის რეჟიმი დაეცემა. ეგვიპტის ქაოსი ადრე თუ გვიან გადავა საუდის არაბეთზეც, სადაც იფეთქებს შიიტელთა აჯანყება. მუდმივი საქმის გარჩევები: შიიტები და სუნიტები. ამერიკელები წავლენ ერაყიდან, მთავრობა ვეღარ შერჩება ხელისუფლებას. აალდება მთელი რეგიონი, აფეთქდება მუსლიმანური ევროპა. ამ სიტუაციაში ისრაელს მოუწევს, აიღოს პასუხისმგებლობა თავის თავზე“.

„ამიხსენით: რატომ არის, რომ ებრაელები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ყველაზე აშკარა ლიბერალები არიან, მაგრამ არა თავიანთ სახლში, ისრაელში?“ — „ლიბერალიზმი იყო ებრაელთა გადარჩენის მეთოდი უცხოელთა ბატონობის დროს, ხოლო ბრძოლა ადამიანთა უფლებებისათვის — ებრაელთა დაცვითი რეაქცია. გაიხსენეთ, როგორ იყო რუსეთში 1917 წლამდე? ებრაელებს არ შეეძლოთ ჰქონებოდათ მიწა, ისინი ცხოვრობდნენ ბინადრობის ზღვარს მიღმა, მათ არ შეეძლოთ უნივერსიტეტში შესვლა, თუ პირჯვარს არ გადაიწერდნენ. რატომ იყო კომუნისტებს შორის ამდენი იუდეველი? მარქსიზმი გვპირდებოდა ეროვნული საკითხის გადაჭრას და ადამიანები, რომლებიც იტანჯებოდნენ ათასობით წლის განმავლობაში დისკრიმინაციისაგან, იწყებენ ბრძოლას. უარვყოთ ყველა ერი, ამიერიდან ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია! თუ კაცობრიობა ნებას არ მისცემს ებრაელებს, იცხოვრონ საკუთარ მიწაზე, იგი მიიღებს ყველგან ებრაულ ლიბერალიზმს“. „გაისმის როგორც შანტაჟი. ებრაელებმა უკვე მიიღეს თავიანთი სახელმწიფო, მაგრამ ებრაული ლიბერალიზმის ხელისუფლება არ შემცირებულა“, — შევნიშნე მე. „იმიტომ, რომ ებრაელებმა გაიმარჯვეს იდეების პატიოსან კონკურსში. დამეთანხმე: უფრო სასიამოვნოა ცხოვრება ლიბერალურ საზოგადოებაში, ვიდრე ფეოდალურში. ოდესღაც სიონიზმი სახავდა ვიწრო ამოცანას იუდეველებისათვის — ისხდნენ ბომბსაცავებში, რასაც ერქვა ისრაელი. მაგრამ დრო გავიდა: ებრაელები უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ მისიას. ორკესტრს სჭირდება დირიჟორი. ჩვენ ვართ კაცობრიობის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ათასობით წლის განმავლობაში სარგებლობს ებრაული იდეებით. სხვა ხალხები გაქრნენ, ჩვენ კი რატომღაც ვარსებობთ. არის ასეთი ანეგდოტი: იყვნენ ეგვიპტელები და ებრაელები: ეგვიპტელები გადაშენდნენ, ებრაელები დარჩნენ. იყვნენ ბაბილონელები**

(დასასრული მე-12 გვ.)

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

ამერიკელმა ოფიცერმა ავღანეთისა და ერაყისათვის გათვალისწინებული თანხა მიითვისა

ბრალდების ვერსიით, 28 წლის ამერიკელმა კაპიტანმა მაიკლ დუნ ნგუენმა, რომელსაც 2007 წლის აპრილიდან 2009 წლის თებერვლამდე ეკავა ოფიცრის თანამდებობა სამოქალაქო ადმინისტრაციასა და მოსახლეობასთან კავშირის დარგში, მიითვისა 690 ათასი დოლარი. იგი გათვალისწინებული იყო ერაყსა და ავღანეთში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობის სასწრაფო საჭიროებისათვის. ოფიცერი თანხას აგზავნიდა სახლში, აგრეთვე ხარჯავდა ძვირფას მანქანებზე, ელექტრონიკასა და ავეჯზე.

თავად ოფიცერი ბრალდებას უარყოფს. თუ მისი ბრალდება დადასტურდება, მას 30 წლამდე ციხე და 500 ათასი დოლარი ჯარიმის გადახდა ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ ერაყში უფროს სამხედრო ოფიცრებთან დაკავშირებით დაიწყო გამოკვლევა 125 მილიარდი დოლარიდან მნიშვნელოვანი ნაწილის გაფლანგვის თაობაზე, რაც რამდენიმე წლის განმავლობაში გამოიყოფოდა ბიუჯეტიდან ერაყის აღსადგენად.

გამომძიებლები უბრუნდებიან ამერიკელი ბიზნესმენის დეილ სტოფელის ჩვენებას, რომელიც ერაყში მოკლეს 2004 წელს. იგი დაკითხვებზე ახსენებდა ქრთამებს, რასაც კომპანიები სისტემატურად აძლევდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს, რომლებიც ანაწილებდნენ კონტრაქტებს ბაღდადში. ათეულობით ათასი დოლარის ქრთამი გადაეცემოდა ფხიან სამხედროებს პიცის კოლოფებით. და როგორც ახლა გაირკვა, ფული ერაყის აღდგენისათვის ხშირად გადაეცემოდა ნაღდად, ხელმოწერებისა და აღრიცხვის გარეშე. ხშირად მოიჯარეები ამერიკის მთავრობისაგან მიღებულ შეკვეთებს არ ასრულებდნენ, ზოგჯერ მშენებლობას არც კი იწყებდნენ. ბრალდებამ უკვე შეძლო კორუფციის 35 შემთხვევის დადასტურება.

ამას გარდა, გამოკვლევების ფედერალური ბიუროს (ფბრ) აგენტები, რომლებიც იგზავნებოდნენ ერაყში, ზოგჯერ იღებდნენ ფულს ზეგანაკვეთური სამუშაო დროისათვის, რასაც ახმარდნენ დასვენებას. როგორც გაირკვა, ერთი მივლინებისათვის აგენტი უკანონოდ იღებდა საშუალოდ 5,6 ათას დოლარს.

ტელეკორპორაცია „ბი-ბი-სი“

გუანტანამოს ყოფილი პატიმარი ბრიტანულ და ამერიკულ დაზვერვას წამებაში ადანაშაულებს

აშშ-ის სამხედრო ბაზა გუანტანამოზე განლაგებული ციხის ყოფილმა ტუსაღმა ბრიტანეთის დაზვერვა M15-ს დაკითხვების დროს წამების გამოყენებაში დასდო ბრალი.

მან განაცხადა, რომ ბრიტანელები „ცეერუსთან“ ერთად მუშაობდნენ და ამერიკული დაზვერვის თანამშრომლებს „საჭირო ინფორმაციის მისაღებად ყველაზე ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას“ სთავაზობდნენ.

„ქაბულის საიდუმლო ციხეში მთელი დღე-ღამე 160 ვატის სიმძლავრის დენით მაწამებდნენ. მთელი ეს ხანი ჯაჭვებით ვიყავი დაბმული“, — ყვება მოჰამედი.

ამ ბრალდებების საპასუხოდ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბრიტანულ დაზვერვას არასოდეს მიუმართავს დაკავებულთა წამებისთვის და რომ მოჰამედის ყველა განცხადება სერიოზულად იქნება გამოძიებული.

(მე-11 გვერდიდან)

და ებრაელები: ბაბილონელები გადაშენდნენ, ებრაელები დარჩნენ. იყვნენ რომაელები და ებრაელები: რომაელები გაქრნენ, ებრაელები გადარჩნენ. იყვნენ ინკვიზიტორები და ებრაელები და სადღა არიან ის ინკვიზიტორები? იყვნენ ნაცისტები და ებრაელები: ნაცისტები ჩამოახრჩვეს, ებრაელები გადარჩნენ. იყვნენ კომუნისტები და ებრაელები: კომუნისტები გაქრნენ, ებრაელები დარჩნენ. რა გამოვიდა შედეგად? — ებრაელები გავიდნენ ფინალში“.

როგორ მოვკლათ საკუთარ თავში ებრაელი

„აჩრდილი დადის პლანეტაზე, აჩრდილი ებრაელების რჩეულობისა. ეს აჩრდილი აგიჟებს ადამიანებს... სულიერი ავადმყოფობის ამ ფორმითაა დღეს დაავადებული ისრაელის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ავადმყოფობა საშუალებას აძლევს ისრაელის წამყვან ტელევიზიებს, ილაპარაკონ, რომ კლავენ ებრაელ ბავშვს საზიზღარი მკვლელები, გოიელი კი იღუპება არმიასთან შეჯახების დროს. იგი საშუალებას იძლევა, აღვშფოთდეთ, თუ ავტობუსი აფეთქდება ხედერში და აღფრთოვანება გამოვხატოთ ღაზას დაბომბვით. იგი საშუალებას გვაძლევს, დავასაფლავოთ რუსი ოლიმები (იმიგრანტები) სასაფლაოს ღობის გარეთ და წავართვათ პალესტინელებს მინდვრები და ხეობები. ეს ავადმყოფობა მივიდა იმ პუნქტამდე, როდესაც ჩვენ მასთან, როგორც ამბობენ, დაგვრჩა მხოლოდ ერთი უთანხმოება, და ისიც მხოლოდ მიწის საკითხთან დაკავშირებით: ან ისინი დაგვმარხავენ, ან ჩვენ დავმარხავთ მათ“, — ასე წერს თავის წიგნში „ხელისუფლების კაბალა“ ცნობილი ისრაელელი რუსი მწერალი და პუბლიცისტი ისრაელ შამირი.

ჩვენ ისრაელთან ერთად ვსხედვართ ქალაქ იაფეში შესანიშნავ გრილ დარბაზში, სადაც მოდის ზღვის ნიავი და მშვიდად ვსვამთ არაყს. „მე ჩემს თავში მოვკალი ებრაელი“, — მშვიდად ამბობს ეს პატარა მოღიმარი ადამიანი. — „როგორ?“ — გავოცდი. — „გავხდი მართლმადიდებელი ქრისტიანი. მე მომნათლა პალესტინელმა არქიეპისკოპოსმა. დავდივარ არაბეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში და ვლოცულობ პალესტინელებთან ერთად“... „ხოლო თუ იგრძნობთ, რომ ებრაელი კვლავ იღვიძებს თქვენში, მაშინ?“ — ვეკითხები ირონიით. „მე მას ისევ მოვკლავ, — იცინის ისრაელელი. **„არ გეშინიათ, რომ ბრალს დაგდებენ ანტისემიტიზმში?“ — „ანტისემიტს უწოდებდნენ ტ.ს. ელიოტს და დოსტოევსკის, ჟენეს და ჰამსუნს, წმიდა იოანეს და იეტს, მარქსსა და ვუდი ალენს — და მე მირჩევნია ვიყო მათ კამპანიაში“.**

ყოფილი საბჭოთა დისიდენტი ისრაელ შამირი ისრაელში ჩავიდა 1969 წელს აშკარა სიონისტად, მონაწილეობდა მსჯავრობის დღის ომში 1973 წელს. სამოცდაათიანი წლების ბოლოს განიხიბლა სიონიზმით და მივიდა დასკვნამდე: იუდაიზმი და სიონიზმი რასიზმის სახიფათო ფორმებია. „ებრაელები არ არიან უფრო სისხლს მოწყურებულები, ვიდრე დანარჩენი კაცობრიობა. მაგრამ უგუნური აზრი რჩეულობის შესახებ — რასობრივი და რელიგიური რჩეულობის შესახებ — ნებისმიერი გენოციდის მამოძრავებელი ძალაა, — წერს იგი თავის წიგნში „ხელისუფლების კაბალა“. — როდესაც იაპონელები დაავადდნენ ამ ავადმყოფობის ვირუსით 1930 წელს, მათ გაძარცვეს ნანკინი და მიირთმევდნენ ტყვეთა ღვიძლებს. გერმანელებმა, რომლებიც შეპყრობილი იყვნენ არიული უპირატესობის კომპლექსით, აავსეს ბაბი იარი ცხედრებით. ჭკვიანმა მკითხველებმა ბიბლიური წიგნებისა იისუს ნავინისა და სასამართლოების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების მამადამფუძნებლებმა მოირგეს რჩეულობის გვირგვინი და თითქმის მთლიანად გაანადგურეს ინდიელები“.

„მე ჩამოვედი ისრაელში ახალგაზრდა ნაციონალისტად მათგან, რომლებიც პალესტინელებში ხედავენ მხოლოდ სამიზნეს, — მიხსნის ისრაელ შამირი, — **შემდეგ დაიწყო კორექცია. ებრაელები ამჯერად განიცდიან ნაციონალიზმით თრობის ტალღას. მაგრამ ეს მუდმივად არ იქნება. გერმანელებმაც გადაიტანეს მძიმე ნაციონალისტური უბედურების ტალღა. პრობლემა ისაა, რომ ებრაელებმა შეძლეს, მოეხერხებინათ შეგნების მანიპულირების სასახლის აგება. შეიქმნა პროპაგანდისა და გამოშტერების უზარმაზარი აპარატი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით. მაგრამ ამასაც შეიძლება მოევლოს. ბოლოს და ბოლოს, ეს არის ინტერნეტი“. — „თქვენ ხომ არ გრძნობთ თავს საბრალო ცხვრად ჩვენს ტომში?“ — „მე უნდა ვიყო იქ, სადაც სისწორეა. და სწორია არა მხოლოდ ჩემი გვარტომებისათვის, არამედ ყველასათვის. XXI საუკუნეში გვარტომობითი მიდგომა მოძველდა“.**

არაფერი უბედურება არ არის ამაში — დახოცავენ და დამშვიდდება

რა არის „გვარტომობრივი მიდგომა“, ეს მე გავიგე, როდესაც წავიკითხე რუსეთისა და მსოფლიოს პრესა ღაზაში ხოცვა-ჟლეტის შესახებ. ჩვენი ლიბერალები, ჩვენი ერის სინდისი და სიამაყე, მგზნებარე მებრძოლები ადამიანის უფლებებისათვის, ჰუმანისტები, რომლებიც ცრემლს ღვრიან ჩეჩენი და ქართველი ბავშვების გამო, ავლენენ იშვიათ დაუნდობლობას და გვარტომობრივ სოლიდარობას, როდესაც საქმე ეხება პალესტინელი ბავშვების სიცოცხლეს. აი, ციტატა ვიქტორ შენდეროვიჩის სტატიიდან: „საბრალო პალესტინელი, რომელიც საავადმყოფოში შერბის გასისხლიანებული ბავშვით ხელში, ეს ომია, როგორც ყველა ომი, და პიროვნული საშინელება და ისტორიული ანგარიშგება. განა ეს სამართლიანია? პერსონალურად — არა, ისტორიულად — ვაი რომ კი. ის უბედური პალესტინელი, ეჭვი მეპარება, ხმას აძლევდა „ჰამასისათვის“... ხალხი იხდის საზღაურს „გადადებული ჯარიმისათვის“. ზოგჯერ არც თუ ისე შორს გადადებული ჯარიმისათვის, როგორც პალესტინელი ხალხი — დღეს...

ვალერია ნოვოდვორსკაია: ***„ინტერესი კი კაცობრიობას ხოლოკოსტის შემდეგ უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი — უზრუნველყოს უშიშროება. აი, თუ თქვენ ასეთსავე ბინას გაძლევენ კრაზანების ბუდეში, თქვენ მას აიღებთ? ებრაელებს კი სხვა ადგილი არ ჰქონიათ. თვინიერ, ჭკვიან, კეთილ ადამიანებს მოუწიათ, შეექმნათ ცახალი, მოუწიათ ესწავლათ, როგორ გამხდარიყვნენ მეომრები, მოუწიათ ესწავლათ თავდაცვა... მადლობა ღმერთს, რომ ებრაელები არ უსმენენ ამ კეთილმოსურნეებს ევროპიდან, რომლებიც მიდიან დემონსტრაციაზე პალესტინის საზღვრის დასაცავად... გამოსავალი მხოლოდ ერთია — გაერომ უნდა გააუქმოს უგუნური გადაწყვეტილება პალესტინის სახელმწიფოს შექმნის შესახებ. არ არსებობს არავითარი პალესტინის სახელმწიფო. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ პალესტინელი პარაზიტების ბრბოს, რომელთა უკანაც იმალებიან ტერორისტები და რომლებიც მხარს უჭერენ ტერორისტებს. ისინი ცხოვრობენ ჰუმანიტარული დახმარების ხარჯზე და ცხოვრობენ, ჩემი აზრით, მხოლოდ იმისათვის, რომ გააფუჭონ სიცოცხლე, ავნონ უბედურს, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. და შექმნან მსოფლიო პრობლემა“.***

ლეონიდ რაძიხოვსკი: **„როდესაც ამბობენ: რატომ ბომბავს ისრაელი მათ? — თუ არ მოკლავენ, ერთის ადგილზე მოვა ასი სხვა. რატომ იჭრი ფრჩხილებს? არ მოიჭრი, კვლავ გაგეზრდება. რატომ იკვეცე თმებს? რატომ მუშაობს საერთოდ მილიცია? დავუშვათ, დასვამენ ადგილზე ერთ დასასჯელს, გამოჩნდება ორი სხვა... არის დროებითი გადაწყვეტილებანი: მიიღებ სათანადოდ, ცოტა დაგამშვიდებენ, დაგაკარგვინებენ გარკვეული დროით სურვილს — იცხოვრო ნორმალურად, რამდენიმე ხნის შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყება. ჯერჯერობით სწორედ ასეთი ჩიხური სიტუაციაა. არაფერი ამაში უცნაური არ არის — დახოცავენ, ისინი ცოტა დამშვიდდებიან“.**

არტემი ტროიცკი: **„მიმაჩნია, რომ ისრაელი იქ აკეთებს აბსოლუტურად სწორ საქმეს. და ყველა საუბარი იმის შესახებ, რომ ეს პალესტინელი ხალხის გენოციდია და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი სისულელეა. ამჟამად იქ, ბუნებრივია, მიმდინარეობს ანტიტერორისტული ოპერაცია. და უნდა მოიყვანო უამრავი არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ ისრაელი იქცევა აბსოლუტურად სწორად... როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ანტიტერორისტული ოპერაცია საყოველთაო კეთილდღეობას? — ვფიქრობ, რომ ეს უბრალოდ შეუძლებელია პრინციპულად... იმიტომ, რომ „ჰამასი“ — ესაა რეალური ტერორისტები, მათდამი არავითარი დათმობა არ უნდა იყოს — ეს არის ტერორისტული, მკაცრი, უგუნური ორგანიზაცია, რომელიც რაკეტებს უშვებს საერთოდ თვალდახუჭული“...**

ფრანგი ებრაელი ანდრე გლიუკსმანი, ევროპის მთავარი სამართალდამცავი, ჩეჩენი ბავშვების საუკეთესო მეგობარი, „პუტინის რეჟიმის“ უკიდურესად მოძულე: მაგრამ რა ხდება ღაზაში? „შეჯახებანი ღაზაში სისხლიანია და საშინელი, მიუხედავად ამისა, საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ იმედის ნაპერწკალი, — წერს იგი თავის სტატიაში „ღაზა — გადაჭარბებული პასუხი“. — ახლო აღმოსავლეთში იბრძვიან არა მხოლოდ იმისათვის, რომ დაცულ იქნეს თამაშის წესები, არამედ იმისათვის, რომ ეს წესები დამყარდეს. ლოდინისაკენ სწრაფვა არ შეიძლება იყოს არათანაბარზომიერი“.

მე მინდოდა, ყველა ამისათვის ფაშიზმი მეწოდებინა, მაგრამ შემდეგ გამახსენდა ახალი სიტყვა: „ნეოლიბერალიზმი“.

სიტყვასიტყვით:

უკვე XXI საუკუნეში ყველაზე ბრძოლისმოყვარული ისრაელის პრემიერი არიელ შარონი საჯაროდ აცხადებს: „ყოველთვის, როდესაც რაღაცას ვაკეთებთ, მეუბნებიან: ამერიკა მოახდენს ასეთ რეაგირებას, ამერიკა გააკეთებს ასე? მე ვეუბნები სრულიად ზუსტად: ნუ ღელავთ, ამერიკის ისრაელზე ზემოქმედების გამო ჩვენ, ებრაელები, კონტროლს ვუწევთ ამერიკას და ამერიკელებმა იციან ამის შესახებ“.

დარია ასლამოვა
„კომსომოლსკაია პრავდა“

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

აპრილის თეზისებიდან — ვარდების რევოლუციამდე

იყო და არა იყო რა. იყო ერთი მოუსვენარი ჟურნალისტი. ცხოვრობდა თავისთვის, არაფერზე ნაღვლობდა, ვიდრე ერთმა აკვიატებულმა საფიქრალმა მოსვენება არ დაუკარგა: ეს რა ადგილია — ფსიქიატრიული საავადმყოფო? და ვინ არიან იქ — სულით ავადმყოფები?!. აქ კი მეზობელმა მოულოდნელად „ცეცხლს შეუკეთა“ — უამბო, რომ არსებობს პალატა, სადაც მკურნალობენ განსაკუთრებულ „ავადმყოფებს“: მგონი, გიჟებს, მგონი, არც ისე: ისინი საუბრობენ წარსულზეც, მომავალზეც, დღევანდელობაზეც იმიტომ, რომ თითქოს ერთდროულად ცხოვრობენ ორ განზომილებაში — რეალურსა და... ვირტუალურში!

ერთი სიტყვით, ჟურნალისტი რა ჟურნალისტია, რასაც ჩაიფიქრებს, თუ არ შეასრულებს! და აი, ჩვენმა ჟურნალისტმა (იმან კი არა, — მე!) გამოიყენა მრავალგზის აპრობირებული მეთოდი (არც თუ უგასამრჯელოდ...) და აღმოჩნდა ამ „ფსიხუშკაში“ — საავადმყოფოს ხალათსა და ჩუსტებში და გრძელი დერეფნის გავლით მიაღწია პალატა №6-მდე, სწორედაც რომ განსაკუთრებულს...

მოვიკრიბე გამბედაობა, ღრმად ჩავისუნთქე და შევედი: საწოლებზე ოთხი კაცი ჩამომჯდარიყო და ერთმანეთში მშვიდად საუბრობდა: „...დრო იცვლება, და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად...“ — ჩემი მოულოდნელი გამოჩენით გაოცებულებმა ამ ლათინური (!) ფრაზით შეწყვიტეს საუბარი (როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამას ამბობდა ავადმყოფი, რომელსაც თავი იულიუს კეისრად წარმოედგინა!).

წინასწარ გამაფრთხილეს, ძალდაუტანებლად მოვქცეულიყავი. ამ „ინსტრუქციის“ შესაბამისად, პალატაში შესვლისას, მეტი რომ ვერაფერი მოვიფიქრე, შევძახე: — „კამპანიას გაუმარჯოს!“ და დავწექი იატაკზე... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კარგა ხანს ოთხი წყვილი უჩვეულო თვალი მბურღავდა რენტგენის გამჭოლი სხივებივით... სიჩუმე ერთ-ერთმა პაციენტმა დაარღვია (მალე გავიგე, რომ ის, არც მეტი, არც ნაკლები... ლავრენტი პავლეს ძე ბერია იყო, მის ავადმყოფურ წარმოდგენაში, რასაკვირველია):

— ვინ ხარ? — მკითხა მკაცრად.

ჯერაც არ ვიცი, რატომ გადავუხვიე წინასწარ მომზადებულ „ლეგენდას“, მიამიტურად გავუღიმე და იატაკიდან წამოუდგომლად თითქმის სიმართლე ვუთხარი:

— პოლიტოლოგი!

— პოლიტოლოგი-პროქტოლოგი! — დამიღრინა „ბერიამ“, — შენ წადი, ექიმები მოატყუე, ჩვენ ვერ მოგვატყუებ! გაიგე?! შენ რა, ფიქრობ, მართლა საგიჟეთში მოხვდი?! გიჟები — ეს თქვენა ხართ, გარეთ! — დაცინვით გამოსცრა მან. — ჯაშუში ხარ, აი, ვინ ხარ შენ! — რისხვით წარმოთქვა ლავრენტი პავლეს ძემ, ფეხზე წამოდგა და ჩემკენ წამოვიდა.

— მოიცა, ლავრენტი, აქ არა, პირველად გვიგზავნიან ახალ გიჟს, შენ კი გინდა, ახლავე კედელთან დააყენო (ეს, როგორც შემდეგ გაირკვა, თვით ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი იყო!) ?!. დარჩეს, ვისაუბროთ აქეთურზე, იქითურზე, — განაგრძო მან და უეცრად ბუბა კიკაბიძის მიბაძვით წაიღიღინა: „ვოტ ი ვსტრეტილის დვა ოდინოჩესტვა...“

მივხვდი, რომ ინიციატივას ვკარგავდი და ხელი წავავლე „კეისრის“ საწოლის ქვეშ მდებარე ღამის ჭურჭელს, რითაც სახე ავარიდე ჩემკენ წამოსულ „ბერიას“ და სასოწარკვეთილმა ვიყვირე:

— თქვენ თვითონ ვინა ხართ?!

— როგორ თუ — ვინ?! — უეცრად დაცხრა „ბერია“: მე ლავრენტი ბერია ვარ, გაგონილი გექნება, მხიარული — ეს ჩვენი კომპოზიტორი ბეთჰოვენია! თავზე რომ ფოთლები აქვს, — იულიუს კეისარი, ის კი — თმაგაწეწილი, — ჩვენი ალბერტიკია, აინშტაინი! შენ კი, ძვირფასო ჯაშუშო, ჩემი იღბლიანი ხელდასხმით იქნები შტირლიცი! — უაპელაციოდ დაასკვნა მან.

— „ნე დუმაი ო სეკუნდახ ს ვისოკა...“ — აიტაცა ბეთჰოვენმა და საფეთქელთან თითის დატრიალებით „ბერიასაკენ“ მიმითითა, — მაგისი ნუ გეშინია, წამოდექი, ღვთის გულისათვის! და ეგ ქოთანი თავის ადგილზე დადე, არაფერს დაგიშავებს (კეთილი „ბეთჰოვენი“, თავისი მუსიკალური ნიჭის წყალობით, აქ გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდა).

როცა დავრწმუნდი, რომ, ნამდვილი შტირლიცისაგან განსხვავებით, უმალ „ჩავიჭერი“, მორჩილად ჩამოვჯექი „კეისრის“ საწოლის კუთხეში და ყველაფერი უკუღმა დატრიალდა: ნაცვლად იმისა, რომ მე დამესვა მათთვის შეკითხვები (როგორც ვგეგმავდი!), თავად დაიწყეს ჩემი „დაკითხვა“:

„ბერია“: — როგორაა იქ, თქვენთან, საქმე? ცხადია — გადასარევად არაა, რახან ჩვენთან მოხვედი. და ნუ იცრუებ — შენ ჩვენი რჩევა გჭირდება, ჩვენი აზრის გაგება გინდა! შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, ვინ აღარ ყოფილა ჩვენთან: ბუშიც, შევარდნაძეც... ყველას ვერ დაიმახსოვრებ.

„ბეთჰოვენი“: — „ახ, არლეკინო, არლეკინო...“ — პუგაჩოვას ხმით წაიმღერა „ვენის კლასიკოსმა“.

ვიგრძენი, რომ ლოგიკური აზროვნების უნარს ვკარგავდი და, უბრალოდ, საუბრის გასაგრძელებლად ამოვღერღე:

— რა, შევარდნაძეც იყო?

„აინშტაინი“: — აბა, როგორ, ედო იყო! დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ გახსოვს? აი, მაგ საწოლზე ვწერდით, შენ რომ ზიხარ! გინდა, გაჩვენო პირველი ვარიანტი? — ამ სიტყვებით „აინშტაინმა“ ბალიშის ქვეშ შეყო ხელი და გამოიღო... ნოუთბუქი! მე საბოლოოდ ჩამოვყარე ყურები...

„კეისარი“: — რაო, შტირლიც, არასოდეს გინახავს ნოუთბუკი? ასეა, ჯერ რძე არ შეგშრობიათ ტუჩზე და მოხუცების ლანძღვას იწყებთ, იგივე „შევის“! ის კი არის, პირდაპირ გეტყვი, ნამდვილი „SELF MADE MAN“ (ლათ. „კაცი, რომელმაც თავისი თავი შექმნა“)!

„ბერია“: — და რა გამოვიდა?! ორი დღე თავდაუზოგავად ვიმუშავეთ, ბაბუს ყველა სურვილი გავითვალისწინეთ, თქვენ კი იქ, ჩერჩეტებმა, ეს ყველაფერი დაივიწყეთ! ამიტომაც კვლავ ნეხვში ამოყავით თავი! ნეტავ, უკეთესს რას მოიფიქრებთ?! მაშინ ხომ ყველაფერი გვქონდა — ბრძოლაც ნეგატიურ მოვლენებთან, მექრთამეობასთან, პროტექციონიზმსა და ნათლიმამობასთან, ყველანაირ გადმონაშთთან... თუმცა არა, თქვენთვის ყოველივე ზედმეტია: ნახევარი საქართველო დაკარგეთ, ნახევარიც — გაყიდეთ, თბილისი დაანგრიეთ... ხან სოროსს მოუხმეთ, ხან — ბალცეროვიჩს, ხან — ბუშს, ჭკუა კი მაინც ვერ ისწავლეთ... გულუბრყვილოებო!!! დღეს ვინ რას გაჩუქებთ არაფრისათვის?! ეჰ, ჩვენთან რომ ახლა იოსებ ბესარიონოვიჩი იყოს... „ბერიამ“ ჭერს მიაპყრო მზერა და განაგრძო: — ის გიჩვენებდათ სეირს!..

„აინშტაინი“: — შენც ნუ მოკლავდი და ახლა ჩვენთან იქნებოდა! სეირი კი, ლავრენტი, შემდეგ ხრუშჩოვმა გიჩვენა...

„კეისარი“: — „SIC TRANSIT GLORIA MUNAI“ (ლათ. „ასე მიდის მიწიერი დიდება“)... აუ, რა კაცი იყო, ა?! გიგანტი! შეცდი, ლავრიკ, მწარედ შეცდი სოსელოს წინაშე, სწორად გეუბნება ალბერტიკი...

„ბერია“: — წადით თქვენი დედაც... კაცი!!! გიგანტი!!! — იცით კი, თქვე უბედურებო, რას ნიშნავს სიცოცხლე მუდმივი შიშის ქვეშ?! — ყოველდღე!!! ყოველ წუთს!!! არც ნემსისა გეშინოდეს, არც ოყნის, არამედ — ტყვიისა! არ იცით!..

— ყველანი ნემსის გასაკეთებლად! — გაისმა დერეფანში მედდის წკრიალა ხმა.

— „ოსტალნოე ვსიო იგრა, პოდ ნაზვანიემ — სე ლა ვი!“ — „ა ლა მელაძე“ გამოეხმაურა „ბეთჰოვენი“ და უმალვე დამივიწყეს: ხელიხელჩაკიდებული გაიქცნენ ნემსის გასაკეთებლად...

ვისარგებლე შემთხვევით და „აინშტაინის“ კომპიუტერში შევძვერი, სადაც „My Documents“-ში ვნახე ფაილები სახელწოდებებით: „შესწორებები „კაპიტალის“ მეორე ტომში“, წერილი ჯონ კენედის, რომელიც სრულდებოდა სიტყვებით: „...ამიტომ ვფიქრობთ, რომ ხვალ შენ მოგკლავენ, ძვირფასო!“, წერილი ლევ ტროცკის — „რჩევები ალპინისტის აღჭურვილობის შესაძენად“, ლენინს — „აპრილის თეზისებიდან — ვარდების რევოლუციამდე“, ხრუშჩოვს — „ფეხსაცმლის წმენდის წესები“, „თეთრი მელა: აბაშისა და ჩერნობილის ექსპერიმენტები“, „კლინტონი — მონიკა: უსაფრთხო სექსის ქრონიკა“; „10 დღე, რომლებმაც შეძრა დედამიწა — ჯონ რიდიდან რიჩარდ მაილსამდე“; კომპიუტერული თამაში „ბოკერიას ქართული გამბიტი“, რჩევები თავდაცვის მინისტრ ოქრუაშვილს — „რა არის ყველაზე მთავარი ტანკში“ და სხვები... ხელი შემიშალეს უეცრად პალატაში დაბრუნებულმა ფსიქოტროპული პრეპარატით გაბრუებულმა „აბრის გიგანტებმა“:

„ბერია“: — შეხედეთ, შეხედეთ, შტირლიცი რას აკეთებს! — არაბუნებრივად თბილად (ცხადია, ფსიქოტროპული ინიექციის მოქმედებით!) წამოიყვირა ოდესღაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა და არანაკლებად მკაცრმა მენეჯერმა, რომელმაც რამდენიმე წელიწადში ააგო სსრ კავშირის ეკონომიკა და მრეწველობა, — შენც მალე წაგიყვანენ, შტირლიც, შენზე უკვე „ჩავუკაკლე“: აი, სამ ოყნასა და ხუთ ნემსს როგორც „დაგარჭობენ“, უმალ გაიგებ, რა არის ფსიქიატრიული საავადმყოფო!

„აინშტაინი“: — სამაგიეროდ, მე მედდას ვუთხარი, რომ შენთვის საწოლი ჩვენთან დადგან! — „დამამშვიდა“ ფარდობითობის თეორიის მომხიბვლელმა ავტორმა, — კომპიუტერთან მუშაობა, ვატყობ, გეხერხება, მაშ, რაღა მნიშვნელობა აქვს — აქ იცხოვრებ თუ იქ?! აქ სხვა გიჟები არიან, ღობის იქით — სხვები, ამ ქვეყანაზე ყველაფერი ფარდობითია!..

„ბეთჰოვენი“: — შენ ჩვენი ექთანი უნდა ნახო, — წაიქცევი! მისთვის მივცემდი მთელ წვნიანს და ყარაბაღის აღების გეგმას დამატებით!

უეცრად, თითქოს შეკვეთით, კარი გაიღო და სადილით სავსე ურიკით გავის ქნევით „შემოცურდა“ ექთანი, რომელიც საოცრად ჰგავდა... იულია ტიმოშენკოს!

— ეს შენა ხარ — ახალი? პროცედურებზე! — მიბრძანა მან, თან წვნიანს იღებდა თეფშებზე.

ისევ „ბეთჰოვენმა“ მიხსნა: უკრაინული ხალხური სიმღერის — „ია ჟ ტებე პიდმანულა, ია ჟ ტებე პიდველა“-ს სიტყვებით ხელკავი გამოსდო ექთან „ტიმოშენკოს“ და აცეკვდა! იმპროვიზებული კონცერტი ალბერტიკ „აინშტაინმა“ გააგრძელა, რომელმაც ინტერნეტში იპოვა სომხური სიმღერის — „ოვ სირუნ, სირუნ“-ის კარაოკე, მაგრამ დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ საწოლიდან ველური ყვირილით — „ვ კრასნოი საროჩკე – პროფესორ ხაჩიკიან!“ — წამოხტა „ბერია“ და პალატას ლეკური ჩამოუარა!!! „კეისარი“ ამ დროს ხან ტაშს უკრავდა, ხან თითო ფოთოლს აცლიდა თავის დაფნის გვირგვინს და წვნიანში ყრიდა.....

თავბრუ მეხვეოდა და თვალწინ ეპიზოდები კალეიდოსკოპივით იცვლებოდა კინოფილმებიდან: „გუგულის ბუდეს ვიღაცამ გადაუფრინა“, „კავკასიელი ტყვე ქალი“, „მიმინო“, „მონანიება“... მხიარულება „კეისარმა“ შეწყვიტა:

— მორჩა, შაბაშ, წვნიანი გაცივდა! შტირლიც, აიღე კოვზი, ჭამე და მისმინე, რა უნდა გითხრა: შენ, რასაკვირველია, ცუდი კაცი არ ხარ, სახეზე გეტყობა — არც გიჟი ხარ და არც პოლიტიკოსი... ეს კი არ ვიცი, რისთვის მოხვედი ჩვენთან: თუ რჩევისათვის — ვისთვის? იმისთვის?! აზრი არ აქვს: აი, ლავრენტიმ ალბერტიკთან ერთად თქვენთვის, ჩათვალეთ, ნამდვილი პროგრამა — 1972 წლის „დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ“ დაწერეს... მერე რა?! მოსპეთ კორუფცია და პროტექციონიზმი?! ვერა! მეც კი, კეისარი, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე გამოვდიოდი გამოძალვის წინააღმდეგ სულას „გუნდის“ სახით (მყავდა ასეთი არამზადა) და, როგორც თქვენს პრეზიდენტს, მიყვარდა სეირნობა, ყოველგვარი დღესასწაული, ვაწყობდი ფოიერვერკებსა და შადრევნებს! სხვათა შორის, ცუდი დიქტატორიც არ ვყოფილვარ, რისთვისაც დამჭრეს კასიუსმა და ბრუტუსმა: არამიანაცის საავადმყოფოს ქირურგები რომ არა, ხელს დაგიქნევდი... და როგორ სტატიებს ვწერდი?! საუკეთესო ჟურნალისტი ვიყავი რომში! ამიტომ დაიმახსოვრე: „SEGUL IL TUO CORSO, E LASCIA AIR LE GENTI!“ (ლათ. „იარე შენი გზით, ხალხმა, რაც უნდა, ის ილაპარაკოს“!).

დერეფანში ექიმები აფუსფუსდნენ — ალბათ, საღამოს ცვლა მოვიდა და ჩემი წასვლის დროც დადგა: შემოვლისას ჩემთვის აქ რომ მოესწროთ, კარგ დღეში არ აღმოვჩნდებოდი არც მე, არც ჩემი შემომშვები!.. მიუხედავად იმისა, რომ მე მხოლოდ ერთი დღე გავატარე ამ ადამიანებთან, ისინი ჩემთვის ახლობლები გახდნენ და მიმძიმდა მათთან დაშორება...

ბოლოს „ბერიამ“ მომცა განაწესი:

— მისმინე, შტირლიც, როდესაც იქ, სადაც შენ ბრუნდები, შეხვდები მიხეილ სააკაშვილს, ყველა ჩვენგანისგან გადაეცი დიიიდი სალამი, უთხარი, რომ ჩვენ ის ძალიან გვიყვარს! და კიდევ შეახსენე მას იგავი სუსხიან ზამთარში გზაზე ჩამოვარდნილი ბარტყის შესახებ, რომელსაც შემთხვევით იმ დროს მიმავალმა ძროხამ დაასკორა. გახსოვს, შემდეგ რა მოხდა?! ნეხვში შემთბარი ბარტყის ჭყლოპინი გაიგონა მელამ და დაიწყო მისი ქება — რა კარგად მღერიხარო! ხოლო როცა ქებით გაბრუებული ბარტყი გამოძვრა ნეხვიდან, რათა მთელი ხმით ემღერა, მელამ იგი... შეჭამა! მორალი: ყველა, ვინც თავზე გიშვება (წაიკითხე — გაკრიტიკებს) — შენი მტერი არ არის, და ყველა, ვინც გაქებს — არ არის შენი მეგობარი! ამიტომ კარგად დაფიქრდეს, როდესაც უარს ამბობს ძველებზე და ირჩევს ახალ მეგობრებს...

— ვერ გავიგე?! — დაბნეულმა ვკითხე.

— შენ გადაეცი, ის უმალ მიხვდება, — დამამშვიდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოჩვენებითმა შეფმა.

დავემშვიდობე ახალ მეგობრებს და მათი გონიერებით გაოცებული გამოვედი პალატა №6-დან (განზრახ ნელა, რომ ეჭვი არ შეჰპარვოდათ დერეფანში აქეთ-იქით მოსიარულე ექიმებს!) და გასასვლელისაკენ გავემართე. კიდევ ერთი ნაბიჯი და — სამშვიდობოს ვარ!!!

ერთი მხრივ, რასაკვირველია, მიხაროდა, რომ მშვიდობიანად დავტოვე ეს კედლები, მეორე მხრივ კი... მომეჩვენა, რომ ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოსვლით ფეხი შევდგი სიცარიელეში, სადაც მელოდებოდნენ გაცილებით ნაკლებად კოლორიტული და გულწრფელი ადამიანები. ცხადი იყო ერთი რამ — ყოველივე ნანახის შემდეგ მე ვეღარასოდეს შევძლებ გარე სამყარო ძველებურად აღვიქვა...

ქუჩიდან უკანასკნელად ავხედე ზევით, მეექვსე პალატის ღია ფანჯარას, საიდანაც ისმოდა გულთამპყრობელი „ბეთჰოვენის“ ხმა: „ჩტო ტო ს პამიატიუ მოეი სტალო, ტო ჩტო ბილო ნე სო მნოი – პომნიუ...“

P.S. *არ ვიცი, ეს ნამდვილად მე შემემთხვა თუ არც არაფერი ყოფილა... მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ „VERBA VOLANT, SCRIPA MAMENT“ (ლათ. „სიტყვები მიფრინავენ, დაწერილი რჩება“), გადავიტანე ქაღალდზე ყველაფერი, რაც მაშინ თავს გადამხდა.*

არნო ხიდირბეგიშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

მარინა ბალიაშვილი:

გაჩეჩილაძის საჯარო გამოსვლებს ინტელექტუალური დონე აკლია

ლევან გაჩეჩილაძე პოლიტიკურ ლიდერად შარშანწინ აღიარეს. მას უამრავი ადამიანი გაჰყვა. უკვე ერთ წელიწადზე მეტია, იგივე ხალხმა მისი ავტორიტეტი განსჯის საეჭვო სასწორზე შეაგდო. ერთნი ამტკიცებენ, რომ ლევანს არ ეყო გაბედულება და გამოცდილება კარგად დაწყებული საქმის გაგრძელებისა და დაგვირგვინებისა. მეორენი უფრო მკაცრნი არიან და შეუვალად აცხადებენ — ამ პოლიტიკოსის დიდება დროებითი ხასიათისაა. ის, მართალია, ლიდერობის პრეტენზიით აღიჭურვა, მაგრამ ნებით თუ უნებლიეთ მტერმა ის სიცრუის აკვარიუმში შეიტყუა, რითაც ცხადი გახდა ამ პოლიტიკოსის განზრახვანი. ასეა თუ ისე, დღეს ქართველი ხალხი ნანობს, რომ დაიკარგა ოპოზიციური ძალების თანადგომის, დასახული მიზნისთვის მონოლითური ბრძოლის მაღალი იდეა, რომლის შესრულება ლევანმა ხალხს პირობად დაუდო.

ფსიქოლოგიის უპირველესი დანიშნულებაა პიროვნების გახსნა, მისი ღირსებისა და ნაკლის პირუთვნელი გამოვლენა, მისი სულიერების შრეებში ღრმად ჩახედვა.

ლევან გაჩეჩილაძის ფსიქოტიპზე გვესაუბრება დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მარინა ბალიაშვილი.

ლევან გაჩეჩილაძე შემდგარი პიროვნებაა, მაგრამ – უმწიფარი პოლიტიკოსი

— ქალბატონო მარინა, ფსიქოტიპების რომელ სახეს მიეკუთვნება ბატონი ლევანი?

— ბატონი ლევანი ფლეგმატური ტემპერამენტის მქონე ინდივიდია. ფსიქოლოგიაში ჩაუხედავი ადამიანები ამ ტემპერამენტს სხვანაირად აღიქვამენ, როგორც ზანტ, შენელებული აზროვნების მქონე ზარმაც ადამიანს. ფსიქოლოგები კი ფლეგმატურებს „ინგლისელ ჯენტლმენს“ ვეძახით როგორც მშვიდ, გაწონასწორებულსა და კეთილგონიერ პიროვნებებს. ზოგადად, ფლეგმატური ადამიანები გამოირჩევიან ღრმა სულიერი სიჯანსაღით, აქვთ გარე სამყაროსა და საკუთარი შესაძლებლობების რეალური აღქმა. ინდივიდუალიზმი მათი მთავარი მახასიათებელია. გარე სამყაროსთან ჰარმონიაში ყოფნა ეხმარებათ საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში. შეუძლიათ პასუხისმგებლობის აღება და ყველა სიტუაციაში მიწაზე მყარად დგანან. ლევანის ფსიქიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წამყვანი შტრიხია ხასიათის დემოკრატიული სტრუქტურა, ანუ სოციალური სოლიდარობის გრძნობა, რამაც ხელი შეუწყო მის ლიდერად წარმოჩენას. იგი უშუალოა, გახსნილი, უბოროტო. ამგვარი ტიპაჟი ხალხის თვალში მუდამ სანდოობის მაღალი კოეფიციენტით სარგებლობს. ერთი შეხედვით, შეიძლება ის რბილ, თბილ, დამთმობ პიროვნებად მოგეჩვენოთ, სინამდვილეში კი თავის მიზანსწრაფვებში ალმასივით მტკიცე და შეუვალია. მისი ნაკლია, რომ გადაწყვეტილებების მიღებას დიდ დროს უთმობს, უთვალავჯერ ზომავს და წონის, მიზანთან მისასვლელ ბილიკებს აკვირდება, დეტალურად აანალიზებს და ზომაზე დიდხანს ყოვნდება. ქარიზმა აკლია. ამით მან არაერთხელ შექმნა ეჭვის საბაბი და თავის რეპუტაციას ჩრდილი მიაყენა, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ფლეგმატური ტემპერამენტის ბრალია, რომელიც დროში ძლიერ ჩამორჩება ქოლერიკებსა და სანგვინიკებს. მათგან განსხვავებით, ის ერთხელ არჩეული გზის ბოლომდე ერთგულია.

— ქალბატონო მარინა, მისი ფსიქოტიპიდან რომელ შტრიხებს გამოყოფდით?

— მისი, როგორც ლიდერის თვისებებიდან, უპირველესად, გამოვყოფ სიმართლის თქმის მძლავრ ტენდენციას. ავიღოთ მისი საკუთარი მარცხის ან შეცდომის აღიარება. ალალად თქვა, რომ პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს ვერ აიღო პასუხისმგებლობა საკუთარ „მე“-ზე ამით გვაჩვენა, რომ შეუძლია სიმართლეს თვალებში ჩახედოს უშიშრად და ვაჟკაცურად. ეს ფაქტი მის ძლიერ, შინაგან პრინციპებზე მიგვანიშნებს, შეუძლია სიტუაციის ფლობა და კონტროლი ზომიერი გრძნობით. გზას არ აძლევს ემოციური იმპულსების ნაკადს, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში მსხვერპლით მთავრდება. მით უმეტეს, მისი მოწინააღმდეგე იყო ქოლერიკი და არაპროგნოზირებადი. შექმნილ ვითარებაში მან საზოგადოებას ახალი გართულებანი ააცილა. ამ ფაქტმა აზვირთებული ხალხის გარკვეულ ფენაში მისი იმიჯი მნიშვნელოვნად დაწია, მაგრამ მან საკუთარის „გაწირვით“ საზოგადოება დაიცვა. ეს, რა თქმა უნდა, პიარის თვალსაზრისით, წამგებიანია. რადგან იშვიათია (თითქმის არ არსებობს) ასეთი უშუალო პოლიტიკოსი, რომელიც იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. დიახ, იშვიათია, რადგან პოლიტიკაში გახსნილი კარტით თამაშობს. ხალხის გარკვეული ნაწილი ამით მოხიბლულია, რადგან გრძნობს მის ნატურას, მის შინაგან ხმას და უფრო შემწყნარებლურად ხვდება მის შეცდომებს, ვიდრე პოლიტიკაში ნაწრთობთა ლამაზად შეფუთულ პიარს.

ავიღოთ ლევან გაჩეჩილაძის საარჩევნო კამპანია. მან გულწრფელად თქვა, რომ არ უნდოდა პრეზიდენტობა, რომ უმოკლეს ხანში ამ პოსტს გააუქმებდა. დაპირებები ხომ საერთოდ არ დაურიგებია. ხმათა უმრავლესობა კი მაინც მიიღო. მისი წარმატება აქაც სიმართლის თქმამ განაპირობა, ხალხურმა სიბრძნემ იცის, რამდენად ძნელი და მძიმეა მართალი კაცის ტვირთი. საჯარო მოხელის სიცრუე კი ქვეყნის დამღუპველი რამაა და ლიდერთა მიმართ ნდობას ანგრევს, ამავე დროს, შლის საზოგადოების მონოლითურობას. პიროვნებათა სულიერ უნარებში სიმართლის სამსახური ყველაზე ძლიერი თვისებაა, ხოლო ტყუილი პიროვნების სისუსტეა. დღეს საზოგადოება ემოციური დატვირთვით სუბიექტს აძლევს ხმას და არა იდეას, ამიტომ არის ასე ძალუმი: — „არა ოდენ პურითა, არამედ სიმართლითა“. ხალხი სიცრუეს, რაც უნდა დახვეწილი პიარტექნოლოგიით იყოს შეფუთული, ლიდერს ვერ აპატიებს.

— ქალბატონო მარინა, რატომ ხვდებოდა საზოგადოება ოვაციებით ლევან გაჩეჩილაძის არცთუ დახვეწილ გამოთქმას — „მიშა, მოვდივარ“?

— საზოგადოების განწყობა, მისი რეაქცია მოცემულ სიტუაციაში, პირადად ჩემთვის, როგორც ფსიქოლოგისთვის, სრულიად გასაგებია. ამ სიტყვებით მთლიანად შიშვლდებოდა ლევანის რაინდული სული, რაც ფლეგმატური ტემპერამენტის პოსტულატიცაა. ის ინტრიგით, ფარული ჩასაფრებით, ზურგში მახვილის ჩარტყმით, საწამლავის ჩაყრით, დისკრედიტაციით, ოპონენტის გიჟად ან პედერასტად გამოცხადებით არ აპირებს ბრძოლის მოგებას, პირიქით — ღირსეულად, ვაჟკაცურად აფრთხილებს მოწინააღმდეგეს — მოვდივარ და დამხვდიო! ესეც სულიერი სიძლიერის ნიშანია, ერთ-ერთი უძლიერესი უნართაგანი, რომელიც ტრადიციებს ენათესავება და ძირითადად გენეტიკური საჩუქარია. ამას ლევანი ზუსტად მოძებნილი სიტყვიერი განზომილებით, გულისა და გრძნობის შესატყვისად გამოხატავდა, რამაც პუბლიკაზე წარმატებით იმოქმედა.

დააკვირდით ლევან გაჩეჩილაძის ჩაცმის სტილს. ეს გახლავთ თავისუფალი სტილი, სპორტული ელემენტები. ბევრი პოლიტიკოსი ამას გაურბის, მაგრამ ინდივიდუალიზმი, თავისუფლებისკენ მიდრეკილი გემოვნება სულიერი კულტურის უნარია, რომელშიც მკვეთრად ჩანს პიროვნების სილაღე, უშუალობა, შაბლონზე (ეტიკეტით მიღებულ სტილზე) უარის თქმის ტენდენცია. ამით ის ისწრაფვის დოგმების მოშლისკენ და აქვს სურვილი, საზოგადოებამ ისეთი მიიღოს, როგორიც არის. მხოლოდ ძლიერი ნების ადამიანს შეუძლია მიღებულ ნორმებსა და შემუშავებულ სქემებს წინ აღუდგეს. უფრო მეტიც, ის მშვიდად და ყოველგვარი უხერხულობის გარეშე მიჰყვება გულისა და გრძნობის შესატყვის მოქმედებას. ზუსტად ამ შტრიხში მდგომარეობს მისი მიმზიდველობა და შარმი. მის ლიდერად აღიარებაში უდიდესი როლი ითამაშა მკვეთრად გამოხატულმა ეროვნულმა მენტალობამ. ის არ ცდილობს, თავი მოაწონოს ზესახელმწიფოებს ან დასავლეთს. ყოველჟამს რჩება ერის ნაწილად, „ერთ ჩვენგანად“. არ ცდილობს, ვინმეს მიბაძოს ან შეიცვალოს. ლევან გაჩეჩილაძე დადებითი პიროვნებაა, მაგრამ რამდენად ეფექტური ლიდერი — ეს საკითხავია. ყველა პოლიტიკოსის საქმიანობა ხომ საბოლოო ჯამში შედეგით ფასდება. ობიექტურად ლევანი შემდგარი პიროვნებაა, მაგრამ — უმწიფარი პოლიტიკოსი.

— მისი პოლიტიკური უმწიფრობა რაში მდგომარეობს?

— მას სხვა ლიდერებთან შედარებით ქარიზმა აკლია, ეს კი პოლიტიკურ არენაზე უმთავრესია. თუ არა ქარიზმა, ვერაფრით გახდები შემოქმედი პოლიტიკაში. ამ ნაკლს გარკვეულ პერიოდში ლევანი რაინდული და კაცური ღირსებებით კომპენსაციას უკეთებდა. სუსტია ორატორიაში, ელემენტარულად, არ იცის დიპლომატია. ჟურნალისტის შეკითხვაზე — პრეზიდენტობის შემდეგ რას აპირებთ? — უპასუხა: — „რაც მომეპრიანება“. ამ სიტუაციაში მისი თანდაყოლილი უშუალობა უხეშ ფორმას იღებს და უხერხულ გარემოს ქმნის. ხშირად საუბრობს საყველპურო ქართულით, ხოლო აზრი მასში უცენზურო გამოთქმებს ექვემდებარება. გაჩეჩილაძის საჯარო გამოსვლებს, მართლის თქმის მიუხედავად, აკლია ემოციური მუხტი, პათოსი, ინტელექტუალური დონე, რაც სიმართლესთან მიმართებაში „საკაზმის“ როლს ასრულებს. აშკარაა მისი ლექსიკის სიმწირე, შენელებული ტონი. კარგი იქნება, ამ მხრივ თავის თავზე იმუშაოს, არასოდეს გამოვიდეს სპონტანურად, მოუმზადებელი. თუ სურს რეიტინგის აწევა, საუბრიდან უნდა გამორიცხოს ჟარგონი, რადგან სიტყვას ძალიან დიდი დატვირთვა აქვს, მით უმეტეს, პოლიტიკოს-ლიდერთა გამოსვლებში. საზოგადოებამ უნდა იგრძნოს მისი პასუხისმგებლობა და პატივისცემა. კარგია, თუ პოლემიკაში სათქმელს შერბილებული ფორმითა და განსჯას დაქვემდებარებული ანალიზით, არგუმენტირებულად ჩამოაყალიბებს. მას, როგორც პოლიტიკურ ლიდერს, კიდევ უნდა გაზრდა, ჩამოყალიბება და სრულყოფა. საამისოდ შესანიშნავი სულიერი უნარები აქვს.

ზოგიერთი მის თიკუნს — „გრეჩიხას“ — ცინიკურად იხსენიებს. მათ მინდა, ვუთხრა, ტოლებშიც და საზოგადოებაშიც ზედმეტ სახელს არქმევენ გამორჩეულს, ინდივიდუალურს, აქტიურ, ინიციატივიან, კონტაქტურ და სუბიექტური გონების მქონე შემდგარ პიროვნებას, რომელიც თავისი არსით ზემოქმედებს მათზე და შთაბეჭდილებას ახდენს. ეს თიკუნი მოწმობს, რომ მას ლიდერისა და წინამძღოლის მონაცემები ადრეული ასაკიდანვე ჰქონდა. ამ მონაცემებს დახვეწა, აღზრდა და ჩამოყალიბება სჭირდება. მას არ გაუვლია პოლიტიკური „პლაცდარმები“. არაა „დამუშავებული“ პოლიტიკისთვის. დამუშავება კი თვითონ თვითნაბად პატიოსან თვლებსაც სჭირდება, რათა განძად იქცეს.

ლიდერის, ანუ წინამძღოლის მოვალეობაა, უსასრულოდ განიცდიდეს სრულყოფას, ხვეწდეს ბუნებრივ მონაცემებს, რათა პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატებული იყოს და არა მარტო მოიპოვოს სიმაღლეზე ყოფნის უფლება, არამედ შეინარჩუნოს კიდეც.

— ამჟამად, თუ ვადამდელი არჩევნები ჩატარდა, რას უნდა ველოდეთ ბატონი ლევანის მხრიდან?

— ჩვენ გვავიწყდება, რომ ლევან გაჩეჩილაძე სტიქიური სიტუაციების შედეგად გამოვლენილი ლიდერია. ის უცებ, სპონტანურად, სრულიად მოულოდნელად გახდა გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა. მას წინ დიდი გამოცდა ელის. დიდ პოლიტიკაში თვითდამკვიდრების ურთულესი გზა აქვს გასავლელი, რათა სტიქიურობით მიღწეული „პირველკაცობა“ კანონზომიერებაში გადაიტანოს, მიიღოს უკვე მოპოვებული ის პატივისცემა და აღიარება, რასაც დაიმსახურებს.

— მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში რას უნდა ველოდეთ?

— ფლეგმატური ტიპაჟის ცენტრალური ხაზი მის თავმოყვარეობაზე გადის. არაა გულბოროტი, ანჩხლი, სკანდალური, გულფიცხი და მიზანთროპი. არასოდეს ჩაიდენს იმგვარ საქციელს, რომელიც ქვეყნისა და ერის ღირსებას შეულახავს ანდა დაამცირებს მისი დამოუკიდებლობის სტატუსს, პოლიტიკურად, ეკონომიკურად გააღარიბებს. ის, მართალია, შეუმდგარი პოლიტიკოსია, რომლის უმწიფრობამ შეიძლება ხანდახან ყური მოგვჭრას, მაგრამ თავის მოსაჭრელად საქმეს არასოდეს გაგვიხდის.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

გვამები მორგიდან საჭდით „ვარგისია 08.08.08-მდე“

ბარაკ ობამას ცნობილი გამონათქვამის თანახმად, სააკაშვილი „სუსტი პოლიტიკოსია, რომელიც უნდა წავიდეს“. ქართული ოპოზიცია ისევე, როგორც უკრაინული, მიმდინარე წლის აპრილში თავისი ქვეყნის პრეზიდენტისთვის გაცილების მოწყობას აპირებს. მაგრამ დღევანდელ ხელისუფლებასთან ერთად უსათუოდ უნდა წავიდეს მთელი ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი — პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები — ეს გვამები მორგიდან საჭდით „ვარგისია 08.08.08-მდე“: მხოლოდ გვამმა თუ შეიძლება არ იცოდეს, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს მსოფლიომ შეწყვიტა ერთპოლარულობა! თუმცა ეს ახალი რეალობა შეიგნეს უკვე ამერიკამ და ევროპამ:



— მადლენ ოლბრაიტი, ხავიერ სოლანა, ჰილარი კლინტონი დღეს საუბრობენ იმაზე, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა განახორციელოს მორალური პოლიტიკა, დაუბრუნდეს დემოკრატიული სახელმწიფოს ჩარჩოებს, გააფართოოს ურთიერთქმედება საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ისწავლოს ისეთი ქვეყნების მოსმენა, როგორიც რუსეთი და ჩინეთია, რომ არ არის საკითხები, რომელთაც ამერიკა მარტო გადაწყვეტს და რომ ვაშინგტონი მზადაა მოსკოვთან თანამშრომლობისათვის;

— ისეთმა ფიგურებმაც კი, როგორიცაა ბილ კლინტონი და კონდოლიზა რაისი, საჯაროდ აღიარეს შეცდომები, რომლებმაც მიგვიყვანეს მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე და კონფლიქტებამდე ახლო აღმოსავლეთში;

— ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვის ახალმა დირექტორმა დენის ბლერმა განაცხადა, რომ რუსეთს აქვს „თავისი სპეციფიკური ინტერესები, რომლებიც მთელ რიგ სფეროებში შეიძლება ემთხვეოდეს ამერიკისას... აი, რას ვურჩევდი მათ, ვინც განსაზღვრავს პოლიტიკურ კურსს: „ჩვენ შეგვიძლია ის, რაც უნდა რუსეთს, შევუთავსოთ იმას, რაც უნდა შეერთებულ შტატებს“;

— იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ თავის პრესკონფერენციაზე საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან განაცხადა: „დასავლეთს სჭირდება რუსეთი!“ და რომ კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში *(საქართველოში — ა.ხ.)* თავს იჩენდა ევროკავშირს, ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა გაწყვეტისა და „ცივი ომისაკენ“ დაბრუნების რისკი“;

— ნატოს გენერალური მდივანი ია‍აპ დე ჰოოპ სხეფერი გადაჭრით გამოვიდა ალიანსის გადაწყვეტილების მხარდაჭერით — დავიწყოთ „ურთიერთქმედებათა *(რუსეთთან — ა.ხ.)* თანდათანობითი განახლება გარკვეული პირობებით... რუსეთი გეოპოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორია და ნატოს არ გააჩნია მასთან ურთიერთქმედებათა ალტერნატივა“.

მიუხედავად ამისა, საქართველოს საზოგადოება ზომბირებულია „გალვანიზებული გვამებით მორგიდან“ — პოლიტიკანებით და ტელეეკრანებიდან ჩამოუსვლელი ანგაჟირებული პოლიტოლოგებით, ექსპერტი-„გრანტიჭამიებით“, რომელთა „ვარგისიანობის ვადა“ საბოლოოდ ამოიწურა გასული წლის აგვისტოში! და ეს არც არის გასაკვირი: „იბერია“, „202“, „მე-9 არხი“, „თრიალეთი“, „ოდიში“, „ერეთი“, „იმედი“, „ივერია“ — ეს ტელეარხები საბოლოოდ დახურეს, სამაგიეროდ დაგვიტოვეს პირველი არხი — „საზოგადოებრივი ტელევიზია“ და ტელეარხი „იმედი“, რომელიც ადრე ეკუთვნოდა განსვენებულ პატარკაციშვილს და რომელსაც ხალხში მოსწრებულად „რუსთავი 1“ და „რუსთავი 3“ უწოდეს სამთავრობო ტელეარხი „რუსთავი 2-ის“ ანალოგიით, „ალანია“, ადრე რომ ჩაფიქრებული იყო, როგორც სამხრეთ ოსეთის დე იურე ხელისუფლების ტელეარხი, და ტელეკომპანია „კავკასია“, რომელიც ანტირუსულ რიტორიკაში არაფერს უთმობს ზემოაღნიშნულებს, მაგრამ განსხვავდება მათგან იმით, რომ იქ ყოველი სიტყვის შემდეგ მიღებულია, გასაგებად დავინახოთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. ისეთი ხელისუფლების მართვა, როგორიც ჩვენია, შეუძლიათ მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც გადაკეტილია მასობრივი ინფორმაციის ყველა უკონტროლო წყარო და სადაც ცენზურას დაქვემდებარებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საზოგადოებას სთავაზობენ პროპაგანდას და საზოგადოება მას მოიხმარს.

შემდეგ კი ჩვენ ვჩივით, რომ წავაგეთ საინფორმაციო ომი: არადა, როგორ შეიძლებოდა, არ წაგეგო, როცა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აქტიური ოპონირების ნაცვლად „გავიბუტეთ“ რუსეთზე და ხელისუფლებამ, რეინტეგრაციის მინისტრის იაკობაშვილის ინიციატივით, გადაუკეტა საქართველოს მოსახლეობას და, შესაბამისად, — ქართველ ჟურნალისტებს რუსეთის ყველა საიტი და ტელეარხი?! განა შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს სახელმწიფო და ადეკვატური ხელისუფლება, რომელიც „ებუტება“ სხვა ქვეყანას?! როგორ შეიძლება საინფორმაციო ომის მოგება, თუ სახელმწიფოში საერთოდ არ არსებობს საინფორმაციო პოლიტიკა და ტელეეთერში მთელი დღე-ღამის განმავლობაში ერთი და იგივე სახეებია — ოცი-ოცდაათი „პოლიტმქადაგებელი“?!

განა მათ ზიზღს ყოველივე რუსულისადმი — ენისადმი, კულტურისადმი, უბრალოდ ადამიანებისადმი — არ უნდა ვუმადლოდეთ დღეს უკვე რეალურად არსებულ ანტირუსულ ისტერიას საქართველოს მოსახლეობის ფართო მასებში (და ეს ხდება საქართველოში, რომელიც ძველთაგანვე ცნობილი იყო თავისი ტოლერანტობითა და სტუმართმოყვარეობით!)? ჩვენ დიდად ვაფასებთ რუს ერთან ძმობასა და მეგობრობას... არსებობს ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც გვინდა ვიაროთ ხელიხელჩაკიდებულებმა, რათა განვახორციელოთ არა მხოლოდ ეროვნული, არამედ ზოგადსაკაცობრიო იდეალები, ის იდეალები, რომლებსაც ეწოდება მეგობრობა, ერთიანობა, თანასწორობა! XIX-XX საუკუნეების დიდი ქართველი პოეტის, მწერლისა და მოაზროვნის აკაკი წერეთლის ეს სიტყვები დღეს მივიწყებულია... გაბედავს ვინმე, დღეს საქართველოში მოაწყოს „მე ქართველი ვარ!“ აქციის ანალოგიური რამ, რომელიც მოაწყვეს რუსებმა მოსკოვში შარშან რუსეთიდან ქართველების დეპორტაციის დამამცირებელი ფორმის პასუხად? ჩაიცვას მაისური წარწერით „მე რუსი ვარ!“ და გამოვიდეს ქუჩაში, და არ მიათრიოს უნიტაზი რუსეთის საელჩოსთან?!

განა 5 ათასი ქართველი, რომლებიც მე-18 საუკუნეში ორი დღის განმავლობაში უპირისპირდებოდნენ სპარსეთის 35-ათასიან არმიას, სანამ მათგან 150 კაცი არ დარჩა, მათი მეფე — ერეკლე მეორე, რომელიც მაინც ვერ მოესწრო რუსეთის ჯარების დახმარებას და ამ ომში ხმლით 72 ჭრილობა მიიღო, და განაგრძობდა ბრძოლას, სანამ ძალით არ ჩამოსვეს უნაგირიდან თავისსავე მებრძოლებმა, და ის ქართველები, რომლებიც ნებას რთავენ გამოურთონ ინტერნეტი და ტელეარხები 21-ე საუკუნეში, ერთი და იგივე ქართველები არიან?!

და ასე, დღითი დღე, ხმის ამოუღებლად, ლოდინით, დათმობით, უკან დახევით, ანდა, უბრალოდ, შიშით, ჩვენ — საზოგადოება და ხალხი — ვხდებით მოსახლეობა და მასა, შემდეგ კი — ბრბო და ნახირი, „მწყემსები“ რომ მიერეკებიან — იქნება ეს ხელისუფლება, მასონები, ცენტრალური საადაზვერვო სამმართველო (ცრუ) ან დაზვერვის მთავარი სამმართველო (გრუ) — ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა...

ხელისუფლების შეცდომებმა მიგვიყვანეს იქამდე, რომ საქართველო დღეს დაემსგავსა მღვრიე მორევს, სადაც „თევზს იჭერენ“ ყველა ჯურის პოლიტავანტიურისტები, რომლებიც ქუჩის თავგზააბნეული პირების ვულგარულობით სთავაზობენ თავს ნატოსა და ვაშინგტონს — მათი ცოდვილი სულების ერთადერთ მხსნელებს (ამ „პარტიების“ დასახელების გახსენებაც კი არ ღირს — იმდენად ჰგვანან ისინი ერთმანეთს და არ შეესაბამებიან შინაარსს)! მათ რომ უყურებ, ხვდები, რომ საქართველოში ყველაზე მწვავე დეფიციტი — ეს არის არა სამუშაო ადგილები ან იაფი მედიკამენტები, არამედ სახელმწიფო აზროვნების დეფიციტი, რის გამოც გვჭირს ყველა ეს უბედურება...

მაგრამ გაზაფხული უკვე მოდის! უბრალოდ, უნდა ვიჩქაროთ, რომ იგი არ იყოს პრაღული (ჯერჯერობით კი ყველაფერს ვაკეთებთ პირუკუ სიზუსტით...). ეს თანაბრად ეხება უკრაინასაც, სადაც „პრაღის გაზაფხული“ შეიძლება მოვიდეს უფრო ადრე, ვიდრე საქართველოში.

არნო ხიდირბეგიშვილი

რუსეთის პრემიერის სამი ოპტიმისტური „არა“

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუბლის მკვეთრი დაცემის წინაპირობები არ არსებობს და შესაძლებელია მისი გამყარება. მისი სიტყვებით, რუსეთის ფედერაციის მთავრობას შეუძლია შეინარჩუნოს უცხოური ვალუტებისა და რუბლის ჩამოყალიბებული შეფარდება ნავთობზე ფასების დაცემის შემთხვევაშიც კი.

რუსეთის პრემიერი სამუშაო ვიზიტით იყო პოდოლსკის დასაქმების ცენტრში და ესაუბრა მოქალაქეებს, რომლებიც მივიდნენ იქ უმუშევრად დარეგისტრირებისათვის. მთავრობის მეთაურმა უპასუხა აგრეთვე რუსეთელების შეკითხვებს.

ერთ-ერთმა მათგანმა ჰკითხა მას, თუ განმტკიცდება რუსული რუბლი. „აუცილებლად, — უპასუხა პრემიერმა, — ცენტრალური ბანკი გვარწმუნებს, რომ უახლოეს ხანებში საერთოდ არ იგეგმება არავითარი ცვლილება და ამისათვის ჯერჯერობით არავითარი წინაპირობა არ არსებობს“.

პრემიერი დარწმუნებულია, რომ რუსული რუბლისათვის არ არის საშიში ნავთობზე ფასის მოკლევადიანი დაცემა. ამ შემთხვევაშიც კი რუსეთის ფედერაციას შეუძლია შეინარჩუნოს უცხოური ვალუტებისა და რუბლის ჩამოყალიბებული შეფარდება არსებული რეზერვების ხარჯზე.

საუბრის დროს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ არ თვლის შესაძლებლად ქვეყანაში საპენსიო ასაკის ცვლილებას. „მიგაჩნიათ, რომ საპენსიო ასაკი გადაიწევს?“ — შეეკითხა ცენტრის ერთ-ერთი კლიენტი ქალბატონი. „არ მიმაჩნია“, — უპასუხა მან. პუტინმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ იტალიაში ქალების საპენსიო ასაკმა აიწია 65 წლამდე. ამაზე კლიენტმა უპასუხა, რომ „საფრანგეთში უმუშევრობის შემწეობა შეადგენს სულ ცოტა 500 ევროს“. პასუხად პუტინმა მას განუმარტა, რომ „შემოსავლებისა და გასავლების დონე აბსოლუტურად შეუთავსებელია და გასავლების სტრუქტურა სხვაა. ამიტომ არ შეიძლება შედარება“.

ვლადიმერ პუტინმა უარყო აგრეთვე ხმები ახალი მსოფლიო ვალუტის შესაძლო გამოჩენის შესახებ. „ამერიკის საფინანსო და პოლიტიკური ხელისუფლება არასოდეს დათანხმდება, დათმონ დოლარის პოზიცია და ბოლომდე იბრძოლებენ მის დასაცავად“, — თქვა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა. მან შეახსენა, რომ დიდი დეპრესიის დროს XX საუკუნის დასაწყისში — 1929-1931 წლებში — მართლაც იყო დიდი ღრმა მასობრივი კრიზისი და მაშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოების მოცულობა შემცირდა 40%-ით, ახლა კი შემცირება დაახლოებით 2%-ია. ამასთან დაკავშირებით პუტინმა გამოთქვა რწმენა, რომ მოკლე და საშუალო ვადის პერსპექტივაში ამერიკის ეკონომიკა აღდგება. „აქ ეჭვი არ არსებობს“, — თქვა მან.

მაგრამ რა მოხდება შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის ხელისუფლება „განახორციელებს არააკურატულ ეკონომიკურ პოლიტიკას, როგორც იგი ამას აკეთებდა წინა წლებში“, რუსეთის მთავრობამ პუტინის მეთაურობით არ იცის. ამასთან, რუსეთის ხელისუფლება მომავალს ოპტიმისტურად უყურებს.

შეგახსენებთ, რომ ხმები იმის შესახებ, თითქოს ამერიკის ხელისუფლებას გათვალისწინებული აქვს ახალი მსოფლიო ვალუტის შემოღება, პრესაში „ტრიალებს“ დიდი ხანია. ამ ცოტა ხნის წინათ, წინადადებით — შეიქმნას ახალი ფული კრიზისიდან გამოსვლისათვის — გამოვიდა ცნობილი ფინანსისტი ჯორჯ სოროსი. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ, თუ უახლოეს ხანებში მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობაში არ შეინიშნება გაუმჯობესების არავითარი ნიშანი, მაშინ ახალი მსოფლიო ვალუტის შექმნის შესაძლებლობა იქნება უფრო რეალური, ვიდრე ადრე. სხვათა შორის, ერთიანი ვალუტის შექმნა უკვე განიხილეს სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ლიდერებმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

ამერიკის ფავორიტი „მწყემსი კეთილი“ საქართველოს გადარჩენაზე ალაპარაკდა...

საზოგადოების მოლოდინი, რომ გამოჩნდება ახალი გმირი, ახალი მესია, რომელიც შეძლებს ყველა სერიოზული პრობლემის გადაჭრას და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას, სამწუხაროდ, გაცრუვდა. ირაკლი ალასანიას სატელევიზიო გამოსვლებმა დაადასტურა, რომ სულ ახლახან 35 წელს მიღწეული ამ ახალგაზრდა კაცის სურვილები და შესაძლებლობები ერთმანეთისგან საკმაოდ შორსაა. პოლიტიკურ თანამოაზრეთა გუნდის წარდგენისას ალასანიამ საზოგადოებას ქვეყნის განვითარების ძირითადი პრინციპები გააცნო და აღმოაჩინა რომ, თურმე „სახელმწიფოს ერთპიროვნულმა მართვამ საფრთხე შეუქმნა ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებას. პრეზიდენტის ინსტიტუტში შეუზღუდავი ძალაუფლების თავმოყრა, პრეზიდენტის სახელმწიფოსთან გაიგივება არის უმთავრესი პრობლემა, რომელიც ითხოვს გადაუდებელ გადაჭრას“.

ისეთი სიტყვებია, გეგონება, სულ ახლახან ხელისუფლებაში სხვადასხვა თანამდებობაზე მყოფი ადამიანი კი არა, წლობით ნაწრთობი ოპოზიციონერი ლაპარაკობდეს. „პრეზიდენტის სახელმწიფოსთან გაიგივება“ დღეს არ დაწყებულა. სამწუხაროდ, ყველა ის პროცესი, რომლის თაობაზეც ირაკლი ალასანია დღეს ასე გულამოსკვნილი მოსთქვამს, ხუთი წლის წინათ — ბორტების ხუთი წლის წინათ დაიწყო. მთელი ამ დროის მანძილზე ირაკლი ალასანია სახელმწიფო სამსახურში იდგა, იმ სახელმწიფო სამსახურში, რომელიც პრეზიდენტთან იყო გაიგივებული. თუმცა, ეს სულაც არ უქმნიდა მას დისკომფორტს.

2003 წლის ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალების დროს ირაკლი ალასანია უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილეა და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც თავის პოსტზე აგრძელებს მუშაობას. 2004 წლის ოქტომბრიდან მას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნიშნავენ. 2005 წლის 15 დეკემბრის განკარგულებით, ალასანია ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში პრეზიდენტის წარმომადგენელად ინიშნება.

ალასანიას კონფლიქტი არ მოსდის ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებასთან იმ დროს, როდესაც კერძო ბიზნესს მასობრივად ატერორებენ, საჯაროდ აპატიმრებენ ყოფილ ჩინოვნიკებს და უხეშად არღვევენ ადამიანის უფლებებს. ეს მაშინ იყო, როდესაც ირაკლი ალასანია კვლავაც აქტიურად განაგრძობდა სააკაშვილის ხელისუფლებაში მოღვაწეობას და თავისი ოლიმპიური სიმშვიდით ხელსაც კი უწყობდა პრეზიდენტის სახელმწიფოსთან გაიგივებას, დაახლოებით ისე, როგორც მუხრანის ლექსშია: „ვინც დუმს, ის უფრო ტყუის“.

გაოპოზიციონერებული ალასანია კი აცხადებს, რომ „ხელისუფლების მიერ საკუთრების უფლების უხეშმა ხელყოფამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქვეყნის როგორც მორალურ, ისე საინვესტიციო იმიჯს“. სააკაშვილის ხელისუფლების მოღვაწეობის პირველი ოთხი წელიწადი სწორედ ამ ნიშნით იყო დაღდასმული. თუ ვინმე შეგვახსენებს, ირაკლი ალასანიას საპროტესტო განცხადებას მაშინდელი მოვლენების გამო, მადლობელი დავრჩებით.

დღეს ალასანია აცხადებს, რომ **„სამართლიანობის აღდგენა ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი უნდა გახდეს“.** რომელ სამართლიანობაზე საუბრობს მისი აღმატებულება ბატონი ელჩი? აქვე აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ საზოგადოებას ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენლებთან მისი დაპირისპირების ერთადერთი ფაქტი ახსენდება: **როდესაც სიხისტითა და სიჯიუტით გამორჩეული ირაკლი ოქრუაშვილი (ახლა ისიც თავგადაკლული ოპოზიციონერია) მისთვის ჩვეულ ამპლუაში შეუპოვრად მიიწევდა აუღებელი ციხე-სიმაგრის — კოდორის ხეობის დასალაშქრად. თუ რა კატასტროფული შეცდომები დაუშვა ხელისუფლებამ მაშინ, კვიციანის რაზმ „მონადირის“ გაუქმებით, ყველამ კარგად ვიცით. ალასანიას და ოქრუაშვილის მაშინდელმა დაპირისპირებამ შედეგად ის გამოიღო, რომ ალასანია ქვეყანას გაარიდეს, ოქრუაშვილმა კი ხელისუფლებაში პოზიციები განიმტკიცა.**

აფხაზეთს ირაკლი ალასანიას პოლიტიკური მოღვაწეობის ნათელ წერტილად წარმოგვიდგენენ მისი აპოლოგეტები და როდესაც ალასანიას პოლიტიკურ ამბიციებზე ამახვილებენ ყურადღებას, ანუ იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტობა მისთვის უპრიანია, რადგან შეძლებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ბუნებრივად გვახსენდება 1993 წლის ტრაგიკული სექტემბერი, როდესაც მამამისი — მამია ალასანია აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარესთან ჟიული შარტავასთან ერთად მუხანათურად მოკლეს. ეს ის ფაქტია, რომელზე საუბარსაც უარყოფით კონტექსტში ყველა გაურბის და, ბუნებრივია, არც ჩვენ გვინდა გული ვატკინოთ დამწუხრებულ ჭირისუფლებს. მით უფრო, რომ აფხაზეთში დაღუპული გმირების ჭირისუფალი მხოლოდ მისი ოჯახის წევრი კი არა, მთელი ქვეყანაა. **მაგრამ, მხოლოდ ამ ნიშნით პოლიტიკოსისთვის საპრეზიდენტო უპირატესობის მინიჭება, ჩვენი აზრით, დიდი შეცდომაა. ამ მოტივაციით უფრო მეტად გამართლებული იქნებოდა პრეზიდენტის პოსტზე ჟიული შარტავას ვაჟი —კახა შარტავა გვეხილა.**

ნიუ იორკიდან ახალჩამოსულმა ალასანიამ, არჩევანი ახალ მემარჯვენეებსა და რესპუბლიკელებზე შეაჩერა. საინტერესო ტენდენციასთან გვაქვს საქმე. შარშან საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთ კანდიდატად წარმოდგენილი ახალი მემარჯვენეების ლიდერი დავით გამყრელიძე საპრეზიდენტო დისტანციიდან გადადის და გზას ალასანიას უთმობს. უფრო მეტიც, ეხმარება ამ პოსტის დაკავებაში. კიდევ უფრო გასაოცარია რესპუბლიკელების პოლიტიკური მანევრი. ყველას კარგად გვახსოვს, რომ 2007 წლის ნოემბრის შემდეგ დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელების ფავორიტი გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე იყო. **რესპუბლიკელებმა, მიუხედავად დიდი მცდელობისა, არა მხოლოდ გაჩეჩილაძე ვერ გააპრეზიდენტეს, არამედ, შარშან, მარტის არჩევნების დროს საპარლამენტო სავარძლებიც დაკარგეს. პარტია, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე სარკასტული განცხადებებით გამოირჩევა და 30-წლიანი მოღვაწეობით იკვეხნის, თავის წიაღში ვერ პოულობს საპრეზიდენტო კანდიდატს და ახლა უკვე ასაკით და პოლიტიკური მოღვაწეობით დამძიმებული ადამიანები ხსნას ირაკლი ალასანიაში ხედავენ. მათ იმედი აქვთ, რომ ალასანიას გაპრეზიდენტება ავტომატურად გულისხმობს ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას და ამ პირობებში კვლავ დაიბრუნებენ პოლიტიკურ წონას და შემოსავალსაც.**

არ ვიცით, დაუსვეს თუ არა ახალმა პარტნიორებმა ალასანიას შეკითხვა, **რატომ არ გადადგა 2007 წლის ნოემბერში,** რატომ არ მიბაძა თავის უფროს კოლეგას ლევან მიქელაძეს, რომელმაც შვეიცარიაში საქართველოს ელჩობას პროტესტის ნიშნად ამ თანამდებობის დატოვება ამჯობინა. სხვათაშორის, **ამ შეკითხვის დასმისას პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და ყოფილი პრემიერმინისტრი ზურაბ ნოღაიდელიც უტიფრად უსწორებენ მზერას ტელეკამერებს და ისეთ განცხადებებს აკეთებენ, თითქოს მათთვის გაუგებარ საკითხებზე ესაუბრებოდე.**

რაც შეეხება ირაკლი ალასანიას პროფესიულ წარმატებებს, და იმას, რომ რესპუბლიკელების ლიდერი დავით უსუფაშვილი სახელმწიფო სამსახურში ყოფნას და პრეზიდენტის სამსახურში ყოფნას ერთმანეთისგან მიჯნავს, კვლავ ირაკლი ალასანიას სიტყვებს მოვიშველიებთ. მისი თქმით, „პრეზიდენტის სახელმწიფოსთან გაიგივება არის უმთავრესი პრობლემა, რომელიც მოითხოვს გადაუდებელ გამოსწორებას“. რა გამოდის, **მთელი ამ ხუთი წლის მანძილზე ირაკლი ალასანიამ იცოდა, რომ პრეზიდენტი სახელმწიფოსთან იყო გაიგივებული და იგი სახელმწიფო სამსახურში კი არა, სწორედ პრეზიდენტის სამსახურში ყოფილა.** და თუ სააკაშვილის პიროვნულ თვისებებსაც გავითვალისწინებთ, **ვინ დაიჯერებს, რომ სახელმწიფო სამსახურში მყოფ ირაკლი ალასანიას პრეზიდენტი სააკაშვილი თანამდებობებზე დანიშნავდა, მის ერთგულებაში და ლოიალობაში რომ არ ყოფილიყო დარწმუნებული.**

დღეს, ირაკლი ალასანიაზე საუბრისას, ხშირად იხსენებენ 2002 წელს პანკისის ხეობის ჩეჩენი ტერორისტებისგან გაწმენდის ოპერაციას. რასაკვირველია, მაშინ ირაკლი ალასანიამ გარკვეული და, შეიძლება ითქვას, დიდი როლიც შეასრულა ამ საქმეში. თუმცა, მას ამ საკითხებზე არასოდეს უსაუბრია (საერთოდ არ გამოირჩევა საჯარო განცხადებებით და ამ საქმეში სერიოზულადაც არის ჩამორჩენილი).

რა მოხდა მაშინ პანკისში, ყველა დეტალზე საუბარი შეიძლება საზიანოც კი იყოს ქართული სახელმწიფოსთვის, ამიტომ არც ჩვენ ჩავეძიებით. მთავარია, რამდენად წაადგება ირაკლი ალასანიას უშიშროების სამინისტროში მიღებული გამოცდილება ქვეყანას. ამ ახალგაზრდა კაცის მთელი პროფესიული საქმიანობა სწორედ ამ სფეროს უკავშირდება მიუხედავად იმისა, რომ იგი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია, თუმცა არც სახელმწიფო უშიშროების აკადემიის დამთავრება დავიწყება.

ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ ქვეყნის „საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრული ინტეგრაციაა“. **იგორ გიორგაძის დროს უშიშროების სამინისტროში ფეხადგმული საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ალბათ დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებაც არის ინფორმირებული და „ურთულესი პოლიტიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის გადამწყვეტ ეტაპზე“ უპირველეს ღონისძიებად ნაწილებად დაგლეჯილი საქართველოს გაერთიანებას უნდა მიიჩნევდეს და არა ინტეგრაციას იმ სტრუქტურებში, სადაც არავინ გველოდება და, დიდი მცდელობის მიუხედავად, მხოლოდ ტკბილი ტყუილებით გვიმასპინძლდებიან.**

თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილიც ოპოზიციონერის მანტიაში გახვეული მოვიდა, უკაცრავად, მოიყვანეს ხელისუფლებაში. ხუთ წელიწადში მან ქვეყანა უფსკრულის პირას დააყენა და სრულ კატასტროფამდე ხელის გაწვდენაღა დაგვრჩა. ცოდვა გამხელილი სჯობს და, ირაკლი ალასანიასგან განსხვავებით, მიხეილ სააკაშვილს არასოდეს ჰქონია ღია და უშუალო შეხება სპეცსამსახურებთან... რაც შეეხება ალასანიას... ლოგიკური იქნებოდა გვევარაუდა, რომ იგი ვიღაცის ძლიერ ხელს რაღაცის, უფრო სწორედ მიშას გაფუჭებულის „გასაპრავებლად“ მოჰყავს ხელისუფლებაში. მთავარია, „შენი კაცი“ პრეზიდენტი გახადო, მერე კი... მერე კი, როგორც მეტ დეიმონის კინოგმირს ცნობილ კინოფილმში „მწყემსი კეთილი“, ირაკლი ალასანიასაც მიუახლოვდება უცნობი და ხმადაბლა ეტყვის პაროლს: „გამარჯობა, დედა“...

მოდით, ამჯერად ვარაუდებისაგან თავი შევიკავოთ. დანამდვილებით კი ერთი რამ შემიძლია გითხრათ — არც კეთილი და არც ბოროტი „პაროლიანი მწყემსი“ არ გვჭირდება, ჩვენ არა ვართ ცხვრის ფარა...

იმედია, მეთანხმებით!

მიხეილ ფერეთელი

საქართველო დემოკრატიის გზაზე ჩარჩა

ამერიკული გამოცემა “ვაშინგტონ პოსტი” სათაურით “საქართველო დემოკრატიის გზაზე ჩარჩა” ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ვრცელ სტატიას აქვეყნებს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ოთხი წლის წინ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოს დემოკრატიის შუქურა უწოდა და მას შემდეგ, ქვეყანაში მედიის, სასამართლოს, საარჩევნო სისტემის და პოლიტიკური პარტიების მსხვრევა დაიწყო.

გამოცემის მტკიცებით, აშშ პრეზიდენტ სააკაშვილს მხოლოდ კერძო საუბრებში აკრიტიკებდა და სააკაშვილის მხარდაჭერა საქართველოში დემოკრატიის მხარდაჭერასთან იყო გაიგივებული.

“ურთიერთობები პერსონიფიცირებული იყო. სააკაშვილმა მაგისტრალს ბუშის სახელი დაარქვა და ერაყში ჯარისკაცები გაგზავნა. აშშ-ს ადმინისტარციის იდეით, საქართველოს ინგლისურად მოსაუბრე ლიდერს პრობლემები არ უნდა შექმნოდა, რადგან ის რეგიონში ამერიკის მოკავშირე იყო”, - წერს “ვაშინგტონ პოსტი”.

გაზეთის მტკიცებით, დასავლური ოფიციოზი თვალს ხუჭავდა სააკაშვილის ავტოკრატულ გადახრებზე და პარალელურად, საქართველოს სამოქალაქო ინსტიტუტები ფინანსურ შიმშილში მოექცნენ და ისინი ვერ ახერხებდნენ მთავრობის გაკონტროლებას.

“ვაშინგტონ პოსტს” პრეზიდენტ სააკაშვილის ციტატაც მოჰყავს, რომლის მიხედვითაც, “როდესაც საზოგადოება მძიმე დღეშია, მისი რეფორმირება აკადემიურად ვერ წარიმართება”.

გაზეთი იმასაც აღნიშნავს, რომ 2009 წელს საერთაშორისო ორგანიზაცია “ფრიდომ ჰაუსმა” საქართველო ელექტოლარული დემოკრატიების ქვეყნების სიიდან ამოშალა.

მედიანიუსი

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

დავით იაკობიძე:

ჩემი გათვლით, საქართველოს ერთი მილიარდი დოლარი აკლია

თბილისში დღეს ასეთ მოარულ ამბავს მოგიყვებიან, მოარულ თუ ნამდვილ ამბავს, ვერ გეტყვით, რადგან ჩაუმქრალი ტელევარსკვლავი დონარა კინწურაშვილი იფიცება — პირადად შევესწარიო.
ფაქტი (თუ მონაგონი) სოციალური დატვირთვითაა, არეული დროის მიზეზით ტვინარეულ ადამიანზეა:
სამუშაო დღე დამთავრდა და სადგურიდან საბურთალოსკენ მგზავრებით სავსე „მარშრუტკაში“ სადღაც ვაჟა-ფშაველას შუა წელზე უკანა რიგიდან ქალის დაღლილი ხმა გაისმა:

— **გამარჯობათ!**

რამდენიმე მგზავრი დაინტერესდა ამ მოულოდნელი მისალმებით, შებრუნდა იმ ქალისკენ და სალმითვე უპასუხა:

— **გაგიმარჯოთ.**

პაუზა.

კვლავ ქალი, ცოტა უფრო ხმამაღლა:

— **გამარჯობათ!**

ახლა ყველა შეტრიალდა:

— **გაგიმარჯოთ...**

— **გამარჯობათ კი არა, გააჩერეთ, თორემ გავცდი ჩემს გაჩერებას!**

რომ ჩადიოდა, ბოდიში მოიხადა — იმდენი მაქვს საფიქრალი და სადარდებელი, თავგზა ამებნაო.

დღეს საქართველოში ყველაზე ხშირად ღირსების აყრაზე ლაპარაკობენ, ეკონომიკური გაჭირვებით დათრგუნულ და ღირსებაშელახულ მოქალაქეებზე.

ეკონომიკურად დათრგუნულია ხალხიცა და ქვეყანაც, თანაც, არა მარტო საქართველო. მიზეზი — მსოფლიო ეკონომიკის მაჩვენებლების გაუარესება, რომელმაც, როგორც ანალიტიკოსები ამტკიცებენ, ევროპაში პოლიტიკურ სიტუაციაზე დამანგრეველი გავლენა შეიძლება მოახდინოს.

ასეთი პერსპექტივა დღეს ყველას აშფოთებს, გარდა საქართველოს ხელისუფლებისა, რომელიც ლამის ყველა გზაჯვარედინზე ამტკიცებს, რომ როცა ევროპის ქალაქებში მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამო ყველაფერი გაჩერებულია, თბილისში აღმშენებლობა გრძელდება(!)

ეს ბრძნული დასკვნა კიდევ ერთხელ გაგვაგონეს გასულ კვირაში წყნეთის სიმაღლეებიდან წარმოთქმულ სატელევიზიო გამობრწყინებაში ვინმე კოპალეიშვილის მიერ აგებული გასართობი კომპლექსის საზეიმოდ გახსნისას.

დავუტოვოთ ეს სიტუაცია ძალიან მიამიტებს და უმრავლესობის თაყვანისმცემლებს, სერიოზულ ხალხს სერიოზულ თემაზე ვესაუბროთ.

პრაგმატულად მოაზროვნე „ძველი ევროპის“ სახელმწიფო მოღვაწენი კი სასწრაფო სამიტზე იკრიბებიან ბრიუსელში და უარს ამბობენ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნების სახელმწიფოების დახმარების პროექტის მიღებაზე. ვერა და ვერ გამოიმუშავეს კრიზისიდან გამოსვლის ერთიანი სტრატეგია.

ამ სამიტს უარყოფითი ნიშნით წინ უსწრებდა პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის ლიდერების შეხვედრა. მათ მიიღეს უნგრეთის პრემიერ-მინისტრის ფერენც დრუშინის ექვსგვერდიანი წერილი ევროკავშირის ლიდერებისადმი, რომელშიც ეს პატიოსანი ხალხი ამტკიცებდა, დაგვეხმარეთ, მოგვეცით 190 მილიარდი ევრო, თორემ 5 მილიონი მიგრანტი აღმოსავლეთ ევროპიდან შემოგესევათ და მტრისას, რა დღეშიც ჩავარდებითო.

არ გაჭრა.

საქართველოსთვის იქ თავი არავის მოუკლავს.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ ვერ ხედავს მოცემულ საკითხში „დიდი რიცხვების“ განხილვის აუცილებლობას. ამიტომ კატეგორიულად არ მოუწონეს საქციელი იმ სახელმწიფოთა ლიდერებს, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, გაეღოთ დიდი თანხა საკუთარი მრეწველობის მხარდასაჭერად. მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ჯერ კიდევ თებერვალში მზად იყო, გაეღო 3 მილიარდი ევრო ავტოკონცერნის — „პეჟოსა“ და „სიტროენისთვის“, მხარი დაუჭირეს პოლიტიკას დიდი მოცულობით — „ცოტ-ცოტა — კი, მაგრამ „დიდი რიცხვები“ — არაო.

არადა, ყველაფრიდან ჩანს, რომ ჩვენი ხელისუფლება იყო და რჩება ფართომასშტაბიანი დახმარების იმედად. კი აღშფოთდნენ აღმოსავლეთ ევროპის ლიდერები, კი უძახა ჩეხეთის პრეზიდენტმა ვაცლავ კლაუსმა, საბჭოთა კავშირზე უარესი ბიუროკრატები ხართო, მაგრამ, მოგეხსენებათ, ძნელად თუ შეძრავს მიზეზი ქალის გულის სიმებს ემოციური შეძახილებით.

ამ საკითხს ბევრი ნიუანსი და

შოუბიზნესში ფული რომ იხარჯება, ეს კი არ არის ცუდი, არამედ ცუდია, რომ ეკონომიკას არ აქვს სტიმული: შირაქის ველი დაუხნავია, ჭიათურის მანგანუმის წარმოება მინიმუმამდეა შემცირებული...

თავისი სპეციფიკა აქვს და საბოლოოდ რომ არ გავებათ ეკონომიკური ურთიერთობების აბლაბუდაში, თავი დავანებოთ მიმდინარე ინფორმაციას და **ცნობილ მეცნიერს, პედაგოგსა და სახელმწიფო მოღვაწეს დავით იაკობიძეს** ვთხოვოთ, პოპულარულ დონეზე გაგვარკვიოს მსოფლიო ფინანსური კრიზისის წარმოქმნის მიზეზებში.

— მსოფლი კრიზისის მიზეზია ფულის კოლოსალური რაოდენობით დაგროვება ცალკეულ ქვეყანაში, განსაკუთრებით, კუნძულებსა და ოფშორებში, — განგვიმარტავს ბატონი დავითი, — ევროკავშირის მონაცემებით, მარტო ევროპიდან 240 მილიარდი ევრო არის გატანილი დამალული გადასახადებიდან. ეს რომ ასეა, ამას საქართველოს მაგალითებიც ადასტურებს. ავიღოთ, თუნდაც, ჩვენი წყალსადენის პრივატიზების საკითხი, რომელიც მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებულმა ფირმამ შეიძინა, გადმორიცხა 20 თუ 40 მილიონი დოლარი.

მეორე მხრივ, ფულის დიდი დეფიციტია მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში. მაგალითად, ბრაზილიაში, ინდოეთში, ჩინეთში. საქართველოს, ჩემი გათვლით, ერთი მილიარდი დოლარი აკლია.

სწორედ ეს, კონცენტრაციისა და მოთხოვნილების დაუბალანსებლობა, არის კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი.

მეორე მიზეზი რეალური სექტორია, რომელიც შეფასებული და კაპიტალიზებულია. ესე იგი, პატრონი აცხადებს, რომ მისი ქარხანა ღირს ამდენი და ამდენი აქციის რაოდენობა. სინამდვილეში, ვთქვათ, თუ ღირს 2 მილიარდი, შეფასებულია 20 მილიონად — ქაღალდებში. აი, მაგალითი: ბადრი პატარკაციშვილმა სახელმწიფო ცირკის შენობაში გადაიხადა 300 ათასი დოლარი, აამუშავა, თავიდან შეაფასა და მისი ღირებულება ერთ წელიწადში 30 მილიონამდე გაზარდა. ესე იგი, მოხდა კაპიტალის 100-ჯერ გაზრდა.

ვინ იყიდის ამ ტორტს 30 მილიონად?

— **ალბათ, არც არავინ.**

— მაგრამ ეს ცირკი ჩაიდო, როგორც იპოთეკური უზრუნველყოფა „დოიჩებანკში“, და მიიღო 10 მილიონი კრედიტი, რომლითაც იყიდა... მნიშვნელობა არა აქვს, რაც იყიდა.

ასე ჩვენც გავმდიდრდებოდით, საშუალება რომ მოეცათ, მათხოვრები კი არ ვიქნებოდით.

კიდევ ერთი მაგალითი. რუსეთის კაპიტალი, ამერიკელების მონაცემებით, აგვისტოს ომის შემდეგ 750 მილიარდი დოლარით გაუფასურდა.

— **რატომ?**

— მოხდა ორი რამ: ერთი — კაპიტალის კოლოსალური რაოდენობით კონცენტრაცია იქ, სადაც მესაკუთრეები ცხოვრობენ; მეორე მხარეს კი კაპიტალზე საშინელი შიმშილი დაიწყო — მოსახლეობის გადახდისუუნაროობის გამო. ეს არის კრიზისის ძირითადი მიზეზი.

აშენდა სახლები საქართველოში და კაციშვილი იმ სახლებში არ ცხოვრობს. თბილისი დაუმთავრებელ მშენებლობებში ჩემპიონი გახდა. რატომ, იცით? იმიტომ, რომ ჩვენ, ხალხი, იმისი მყიდველები არა ვართ და ვისზეა გათვლილი, ეშმაკმა იცის.

— **ბატონო დავით, ამბობენ, რომ ამის პარალელურად კოლოსალური თანხები იხარჯება არამწარმოებლურ სფეროში, მაგალითად, შოუბიზნესში, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას.**

— შოუბიზნესში ფული რომ იხარჯება, ეს კი არ არის ცუდი, არამედ ცუდია, რომ ეკონომიკას არ აქვს სტიმული: შირაქის ველი დაუხნავია, ჭიათურის მანგანუმის წარმოება მინიმუმამდეა შემცირებული... არ მუშაობს ჩვენთან არც ერთი ინდუსტრიული საწარმო, რომელსაც სამუშაო ადგილების შექმნა შეუძლია.

— **ესე იგი, ლოგიკას მოკლებული არ არის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკოსების მტკიცება, რომ წყნეთის გასართობი ცენტრის გახსნა (რაც ზემოთ ვახსენეთ) ხელს შეუშლის საქართველოს ეკონომიკის „ჩამოშლას“, რადგან ეკონომიკა, ფაქტობრივად, ჩვენთან არ არსებობს?**

— ლოგიკა არის.

— **სპარსეთის ყურის ექვსმა ნავთობმომპოვებელმა არაბულმა სახელმწიფომ — კუვეიტმა, არაბეთის გაერთიანებულმა ემირატებმა, ბაჰრეინმა, კატარმა, საუდის არაბეთმა და ომანმა — გადაწყვიტა ევროს მსგავსად შექმნან რეგიონულ-ერთიანი ვალუტა „ჰალიჯი“, რომელიც თავდაპირველად მიბმული იქნება დოლარზე, შემდეგ შევა ერთიან სავალუტო კალათში, სადაც დოლარს ექნება 45 პროცენტი, ევროს — 30, იაპონურ იენს — 20 და ბრიტანულ ფუნტ სტერლინგს — 5 პროცენტი. ამის პარალელურად, ჩინეთი აპირებს „ოქროს იუანის“ შექმნას. ხომ არ ნიშნავს ეს ყოველივე, რომ დოლარი კარგავს თავის საერთაშორისო ფუნქციას, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნების ამ ვალუტებში იქნება განივთებული?**

— თანამედროვე მსოფლიო ფულადი სისტემით, მონეტარულ სისტემას შემდეგი პრინციპები უდევს საფუძვლად. პირველი, ერთი ქვეყანა — ერთი ვალუტა. მეორე, კაპიტალის გატანის ნაცვლად თავისუფალი გადარიცხვები ერთი ქვეყნიდან მეორეში.

საგადამხდელო ბალანსში სხვაობის დაფარვა ეკისრება საერთაშორისო მონეტარულ ფონდს, „სავალუტო ფონდს“ რომ ვეძახდით ჩვენ.

საერთაშორისო მონეტარული ფონდი ხელს უწყობს ვალუტის რეგიონალიზაციას რომელიმე ცენტრალური ვალუტის წინა პლანზე წამოწევით.

ამიტომ იმ ექვსი ქვეყნის ინიციატივა — შექმნას ერთიანი სავალუტო სისტემა, ჯერ როგორც საბუღალტრო-საანგარიშსწორებო ერთეული, შემდეგ ამ ერთეულით შექმნას სავაჭრო ერთეული, ეს მისასალმებელია, რადგან ამით ძალიან დიდი დატვირთვისგან გათავისუფლდება სხვადასხვა ფულადი ერთეული: დათვლის გაიოლებისთვის, ერთიანი პროგრამების საწარმოებლად, ერთიანი ბანკის ჩამოსაყალიბებლად და ა.შ.

ამ ექვსი ქვეყნიდან ერთ-ერთმა — ბაჰრეინმა იცის, რომ სხვაზე უფრო ადრე მას ამოეწურება ნავთობის მარაგი, სადღაც 30 წლის შემდეგ. არც სხვა ქვეყნებს აქვთ ამოუწურავი რეზერვები. ამიტომ იწყებენ ერთიანი მტკიცე ფულადი ერთეულის შექმნას, საკუთარი რეზერვის ჩამოყალიბებას, რომლითაც თავიანთი ეკონომიკის პროგრამულ განვითარებაზე იზრუნებენ, როცა დაშრება მათი ეკონომიკის ძირითადი წყარო.

ხოლო ჩინეთის „ოქროს იუანი“ ნიშნავს იმას, რომ იგი ჩნდება ბაზარზე ორი ვალუტით. ამით, რა თქმა უნდა, არღვევს პრინციპს — ერთი ქვეყანა — ერთი ფული. გამოდის იუანით, როგორც ჩვეულებრივი „ჩმორი“ ფულით. ხოლო მეორე — „ოქროთი“ ექნება, როგორც სსრ კავშირში იყო, კონვერტირებადი. ამერიკელებსაც ხომ ჰქონდათ „წითელი“ და „მწვანე“ დოლარი — „რბილი“ და „მყარი“ დოლარი, პირველი — დახმარებისთვის, მეორე — თავიანთი გაანგარიშებისა და ვაჭრობისთვის.

ეს მთელი მეცნიერებაა და ასე უცებ ვერ აგიხსნით. ჯერ „აქსაკალის“ წოდება უნდა მიიღოთ, — ხუმრობს ბატონი დავით იაკობიძე.

ჰოდა, სანამ „აქსაკალის“ წოდება მომიპოვებია, უნდა მოვასწრო და ვეკითხები:

— **შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დოლარის, როგორც საერთაშორისო ვალუტის ფუნქცია, გადადის აქ დასახელებულ აღმოსავლურ ვალუტებზე?**

— არავითარ შემთხვევაში! ეს უდიდესი შეცდომა იქნება. სანამ ამერიკის შეერთებული შტატები არ გამოაქვეყნებს დოლარის მასას, მანამდე ჩვენ წარმოდგენა არა გვაქვს, რა ხდება.

თორნიკე მანველიძე

11 - 17 მარტი, 2009 წელი. №4
www.geworld.net

რა შეიარაღება აქვს იმ ქვეყნის არმიას, რომელთანაც პრეზიდენტ სააკაშვილს ომი ჯერ არ დაუმთავრებია

ქართული სახელმწიფოებრიობის ათვლის წერტილად 2003 წლის 23 ნოემბრის გამოცხადებამ და წარსულის მწარე გაკვეთილების გაუთვალისწინებლობამ უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო ჩვენი ქვეყანა და პრეზიდენტი სააკაშვილი მხოლოდ ახლა, 25 თებერვალს, ოკუპაციის მუზეუმში ჩვეული ემოციური გამოსვლისას მიხვდა, რომ საჭიროა, „არასოდეს დავივიწყოთ ის მწარე გაკვეთილები, რაც ისტორიამ გვასწავლა“.

ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი და ნუ ვიფიქრებთ, რომ სააკაშვილსა და ნაცელიტას ისტორიამ რამე ასწავლა. მათ დღევანდელობა (ოღონდ არა პრინციპით — „აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“, არამედ იმპერატივით — აბა, დღეს მე რა შევირგე) იმდენად გათავისებული აქვთ, რომ არც წარსულს დაგიდევენ და მომავალიც მხოლოდ საკუთარი აღელვებთ, თორემ თავისი სამშობლოს მოყვარული ადამიანი ცოტა მეტად დაფიქრდება, როცა საჯაროდ შეურაცხყოფს მეზობელი ქვეყნის მეთაურს, როცა სიტყვას აწყვეტინებს ერთობლივი პრესკონფერენციის დროს მასპინძელ პრეზიდენტს. და ამას აკეთებს მხოლოდ ერთი მიზნით — თავი მოიწონოს პატრონების წინაშე და, ამავე დროს, ხალხს ათქმევინოს — „მიშა მაგარია!“

ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს უსამანო კვეხნას. ჩვენ გვზარავს მამლის ყივილითა და ძაღლის ყეფით აშენებული გეტოსმაგვარი სოფლები ავტომაგისტრალის გასწვრივ, რომლებიც კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმ შეცდომებზე, ჩვენმა ხალხმა რომ დაუშვა ამ რამდენიმე წლის წინათ.

დღეს პრეზიდენტი, რომელსაც არც საზღვარგარეთ ეპატიჟება ვინმე და არც ქვეყნის შიგნით უზის კოჭი ალჩუზე, აცხადებს, რომ „საქართველოს ისევ უტევს ჩრდილოეთიდან იმპერია და ჩვენი ქვეყნის თავისუფლება ისევ საფრთხის წინაშე დგას“. მაგრამ მისი ამ სიტყვებით შეშფოთებას ვერ ასწრებ, რომ იქვე გამშვიდებს: „ჩვენ აღარ გვემუქრება ქაოსი და არეულობა“. ის-ის არის ნირვანაში ეშვები და განცხრომით ისმენ: „საერთაშორისო მხარდაჭერა, რომელიც დღეს აქვს ჩვენს ქვეყანას, გამორიცხავს აგრესიის ესკალაციის შესაძლებლობას, არარეალურს ხდის ფიქრს ძალადობის განახლებაზე“. მაგრამ ამ განცხადებას გინელებს იმის გაგება, რომ საერთაშორისო მხარდაჭერასთან ერთად, ჩვენს უშფოთველ ძილს „რუსეთში დღეს შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა“ განაპირობებს.

პრეზიდენტი სააკაშვილი თან გვამშვიდებს — კონფლიქტის ესკალაციისგან უფრო მეტად ვართ დაცული, ვიდრე ომამდეო, მაგრამ იქვე არ ავიწყდება, რომ **„ჩვენ მზად ვართ, ვებრძოლოთ კრემლს, როდესაც ის ტანკებით გვიტევს“.**

დღეს კრემლთან ბრძოლა ისევე გვჭირდება, როგორც სააკაშვილის პრეზიდენტობა — 2013 წლამდე, ხოლო ბრძოლის ველზე როგორი დახვედრა იცის საქართველოს ხელისუფლებამ, ამაზე გორელები, მიმდებარე სოფლების მცხოვრებნი და წითელი ხიდისკენ მქროლავი ავტოკოლონის თვითმხილველნი კიდევ დიდხანს ისაუბრებენ.

ქართველ მეომართა მაღალ საბრძოლო სულისკვეთებაზეც არაერთხელ თქმულა და დაწერილა. ისინი მართლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად, იბრძოდნენ სამშობლოსთვის, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლებას საბრძოლო სულისკვეთება პირველივე დაცაცხანებამ პანიკად გადაუქცია და ფრონტის ხაზიდან თუ ქვეყნიდან ერთმანეთს ასწრებდნენ, **„როდესაც საქართველოს დედაქალაქს მომდგარი იყო მტერი“.**

და ეს გასაკვირი არც ყოფილა. მათ კარგად იცოდნენ, რომ ბლეფი, რომლითაც ქართველ ხალხს წლების მანძილზე აბრუებდნენ, პირველსავე გასროლაზე გამჟღავნდებოდა. **სხვა საქმეა, მოასწრებდნენ თუ არა „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას“ ცხინვალში, რომელიც, უშიშროების საბჭოს მდივნის კახა ლომაიას 8 აგვისტოს განცხადებით, „აღარ არსებობდა რუკაზე“. ესეც ბლეფი იყო და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ „დედაქალაქში“ ევროკავშირის დამკვირვებლებს არც კი უშვებენ.** პრეზიდენტი აცხადებს, რომ „საქართველოში მშვიდობის დასაცავად პატრულირებენ ევროპელი მონიტორები და საერთაშორისო ორგანიზაციები“ და „ჩვენი ქვეყანა აუცილებლად გახდება ნატოს წევრი“. ამ სიტყვების მოსმენისას ბუნებრივად ჩნდება შეკითხვები: სოხუმი და ცხინვალი საქართველო აღარ არის? და თუ საქართველოა, იქ რატომ არ პატრულირებენ მონიტორები? ნატოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე შევდივართ? ან როგორ შევდივართ, როცა ჩვენს მეზობლებთან — რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან საზღვრებიც კი არ დაგვიდგენია და ერთადერთი თურქეთია, რომელთანაც ყველაფერი გარკვეულია (ისიც იმიტომ, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს დაზუსტდა).

გაუგია რამე ჩვენს ხელისუფლებას საზღვრების დემილიტაციასა და დემარკაციაზე? რომელ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში იღებენ ქვეყანას მოუგვარებელი კონფლიქტებით და დაუდგენელი საზღვრებით?

ალბათ გაუგია, მაგრამ მათთვის ეს არ არის მთავარი; ახლა მთავარია, ქართველი ხალხი იმ სახედრად წარმოიდგინო, ჯოხზე ბალახს რომ ჩამოუკიდებენ და ისიც თავდაუზოგავად ცდილობს, დაეწიოს და მისწვდეს.

ეს „ბალახი“ კი ჩვენ შემთხვევაში არის მითი უძლეველი ქართული არმიის შესახებ. ჩვენ მართლაც მოტივირებული ჯარისკაცები გვყავს, არც საბრძოლო სულისკვეთებაა ვინმეს საქილიკო, მაგრამ სამხედრო მეთაურებსა და ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სასურველი რომ რეალობად ეჩვენებათ, ეს არის საგანგაშო. როცა სამხედრო აღლუმზე გამოყვანილი ანდა ორფოლოს პოლიგონზე განფენილი სამხედრო ტექნიკის დანახვისას პარლამენტის წევრს ბავშვური აღტაცება შეგიპყრობს და ბრიყვულად აცხადებ, — ამ ჯარს ამ შეიარაღებით ყველა შემოტევის მოგერიება შეუძლია და „პირველად საქართველოში“ ასეთი ძლიერი ჯარი გვყავსო, თან მუშტს მოიღერებ და უკომპასოდ გაიშვერ მხოლოდ ერთი მიმართულებით, სულ მცირე, შენი მეზობლების შესაძლებლობებს მაინც უნდა იცნობდე, ბუშის მხარდაჭერის პარალელურად სპეცოპერაციებისთვის საჭირო „ბუშმასტერებს“ კი არა, ნამდვილ საბრძოლო იარაღს უნდა ყიდულობდე და ლურჯი მელასავით არ უნდა იტყუებოდე შეხვედრიდან შეხვედრამდე.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ **ამიერკავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური ბალანსი რამდენიმე წლის წინ რუსეთის მიერ სომხებისთვის გადაცემულმა ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების გასაშვებმა 8 მობილურმა დანადგარმა და მისთვის განკუთვნილმა 32 ცალმა P-17 ტიპის რაკეტამ დაარღვია. ქართველ „სუვოროვებს“ იმასაც შევახსენებთ, რომ P-17 რაკეტას ბირთვული ქობინის ტარება შეუძლია და მისი ფრენის სიშორე 300 კმ-ს აღწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სომხეთის მიერ დღეისთვის კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ამ რაკეტების ფრენის რადიუსში თბილისიც ხვდება.**

მაგალითისა და შედარებისთვის სომხეთის სამხედრო პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილს გაგაცნობთ (ჩვენი შესაძლებლობები ხელისუფლებამ ისედაც იცის!): 60000 — პირადი შემადგენლობა, 110 ტანკი (T-72 და T-80), 265 ჯავშანმანქანა, 238 საარტილერიო სისტემა, 8 — ტაქტიკური სარაკეტო სისტემა СКАД-Б 32 რაკეტით, თვითმფრინავები, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები (მათ შორის, C-300, რომლის რაოდენობას არ ამხელენ) და ა.შ.

უფრო მეტიც, შესაძლოა, ჩვენმა ხელისუფლებამ არც იცოდეს, რადგან იმ დროისათვის რევოლუციურ ეიფორიაში იმყოფებოდა, მაგრამ არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ 2003 წლის დამლევს აშშ-ს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოამზადა 48-გვერდიანი მოხსენება პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისათვის. **ამ მოხსენებაში სომხეთი, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისა და ყარაბაღის მოვლენების გათვალისწინებით, რეგიონში აგრესორ ქვეყნად არის დასახელებული.**

ჩვენი გაზეთი სამხედრო ალმანახი არ არის და არც რუსეთისა თუ სომხეთის რუსული შეიარაღება ჩვენს რეკლამას არ საჭიროებს, მაგრამ თითქმის ყოველდღე ვისმენთ ინფორმაციებს ევროპაში ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებისა და საქართველოში რადარის განთავსების შესახებ, თუმცა ბევრს არც კი წარმოუდგენია, რა სისტემებზეა ლაპარაკი. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის რღვევის წინ „ცივი ომის“ დამთავრების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, საქართველოს ექს-პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე კატეგორიულად აცხადებს, რომ ევროპაში ამერიკული სისტემების განთავსებამ შესაძლოა ახალი „ცივი ომის“ დაწყება გამოიწვიოს. მას კარგად ესმის, ეს რასაც ნიშნავს, ჩვენი ხელისუფლებისთვის კი, რომელიც ამერიკულ სულს ღრმად ჩასწვდა, ყველაფერი ამერიკული, ღმერთო ნუ მიწყენ და, ღვთის სასწაულია...

აქვე ნაცელიტის გასაგონად ვიტყვი, რომ რუსეთთან ურთიერთობაში ყოველთვის ფრთხილ და მოზომილ ედუარდ შევარდნაძესაც კი უჭირდა ამერიკასთან სამხედრო ურთიერთობებით თავის მოწონება. ამის მაგალითად კი მხოლოდ ერთი ფაქტის გახსენებაც კმარა: **როდესაც 2002 წელს „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის დაწყების შესახებ გამოცხადდა და ამერიკული მხარე აქტიურად ჩაება ქართული სამხედრო ძალების მომზადებაში, პრეზიდენტმა პუტინმა პრეზიდენტ შევარდნაძეს უსაყვედურა: რა საჭირო იყო ამერიკელებისთვის დახმარების თხოვნა, ქართულ ჯარს ჩვენც გავწვრთნიდითო. შევარდნაძემ არ დააყოვნა და საპასუხოდ შეაგება: ჩვენი ჯარი მთლიანად გასაწვრთნელია და საშუალებას მოგცემთ, ამერიკელებთან ერთად თქვენც მოამზადოთ საქართველოს შეიარაღებული ძალებიო. ვერ გეტყვით, რამდენად დაამშვიდა პრეზიდენტი პუტინი პრეზიდენტ შევარდნაძის ამ წინადადებამ, მაგრამ ფაქტია, რომ 2002 წლიდან დაიწყო „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა და რუსეთს ამისთვის ხელი არ შეუშლია. დღეს კი, შარშანდელი მოთარეშების შემდეგ, როდესაც რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა საქართველოს თითქმის ყველა სამხედრო ნაწილის ტერიტორია დაბომბა და ამერიკული სამხედრო ტექნიკაც ნადავლად წაიღო, პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ „ამერიკა დაეხმარება საქართველოს ამერიკული სტანდარტის ქართული არმიის შექმნაში“. უნდა ვიმედოვნოთ, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა იმაზე მეტი იცის, ვიდრე ამბობს (თუმცა, ყოველთვის იმაზე მეტს ლაპარაკობს, ვიდრე იცის!) და ამ შემთხვევაში მაინც გამოიჩენს პრეზიდენტისთვის შესაფერ სიფრთხილეს, რადგან რაც ჩვენმა მილიტარისტულმა ბაქიბუქმა დაგვმართა, ყველამ კარგად დავინახეთ შარშან, აგვისტოს მოვლენების დროს. ასევე კარგად ვნახეთ, რომ ამერიკელების მიერ ნაჩუქარი თუ მათი წყალობით შეძენილი შეიარაღებით ორი დღის მანძილზე ძლივს შევძელით აქტიური საბრძოლო მოქმედებების წარმოება.**

ჩვენ დღეს გაძლევთ შესაძლებლობას, ნახოთ თანამედროვე რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა იმ ქვეყნისა, რომელთანაც, **პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ომი ჯერ არ დამთავრებულა“ და რომელსაც სთავაზობს დიალოგს, მაგრამ „როდესაც ის ტანკებით გვიტევს, ჩვენ მზად ვართ, ვებრძოლოთ კრემლს...“**

სხვათა შორის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა საერთოდ არ აქვს. **რუსეთის ჯარების გასვლის დროს ქართულმა ხელისუფლებებმა დიდი უგუნურება გამოიჩინეს და იმის ნაცვლად, რომ რაღაც მაინც დაგვეტოვებინა ან ახალი შეგვექმნა, ერთი სული გვქონდა, როდის წავიდოდნენ და აპლოდისმენტებიც არ დაგვიშურებია.**

სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ რუსეთი და სომხეთი ქმნიან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთიან სისტემას კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ფარგლებში. ამ ორგანიზაციას დაგეგმილი აქვს რეგიონული ინტეგრირებული სამხედრო სისტემის რამდენიმე ტიპის შექმნა. არსებობს რუსეთ-ბელორუსიის, რუსეთ-სომხეთის სამხედრო დაჯგუფებები, იქმნება სამხედრო დაჯგუფება ცენტრალურ აზიაში და მათი ფუნქციონირებისთვის მიმდინარეობს კავშირგაბმულობის, მართვის, დაზვერვის, აგრეთვე სხვა რეგიონული სისტემების ფორმირება.

ამ ფონზე საგანგაშოდ ჟღერს პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვები, რომ „ომი ჯერ არ დამთავრებულა“... თუკი გავითვალისწინებთ რუსეთის სამხედრო პოტენციალს და მის სწრაფვას, მაქსიმალურად დაავიწროვოს მარყუჟი საქართველოს ირგვლივ, ამგვარი განცხადებებით მისი პროვოცირება, მაშინ, როცა მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ დაძაბული ვითარების დიპლომატიური არხებით განმუხტვას, სულ ცოტა — შეცდომაა. შესაძლოა, ეს „საშინაო მოხმარების“ ფრაზებია და რეალობასთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ ამას ჩვენი

ქვეყნის არაკეთილმოსურნენიც ისმენენ და მათ კარგ საფუძველს უქმნის „ომის დასამთავრებლად“. მით უფრო, რომ თბილისის შემოგარენში სანგრების გათხრისა და თბილისში გვირაბების მომზადების შესახებ ინფორმაციები მხოლოდ ქართველების ყურს არ სწვდება და ჩვენი „თავდაცვითი ღონისძიებები“ მათაც არ დარჩებათ შეუმჩნეველი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყურადღებით ნახავდნენ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ ათიოდე დღის წინათ გადაცემულ სიუჟეტს დაბომბვის შემთხვევაში თავშესაფრების მომზადების შესახებ.

აქვე ჩვენს ხელისუფალთ შევახსენებთ, რომ ორიოდ დღის წინათ რფ-ს პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ავიამზიდი კრეისერების მშენებლობის განკარგულება გასცა და ასეთი ხომალდების შექმნას უახლოეს ორ წელიწადში დაიწყებენ. ეს გადაწყვეტილება მიიღეს იმ ფონზე, როცა აქვთ ავიამზიდი კრეისერი „ადმირალი კუზნეცოვი“, რომლიდანაც ავიაცია ჰორიზონტალურად ფრინდება. ამასთან, იგი აღჭურვილია დიდი ოდენობით საბრძოლო საშუალებებით, რაც მას უპირატესობას ანიჭებს ამერიკულ ავიამზიდებთან შედარებით, რომლებიც მხოლოდ თვითმფრინავების გადაზიდვას უზრუნველყოფს. ხომალდზე განთავსებულია მძლავრი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა, ხოლო გემბანის ქვეშ საზენიტო რაკეტები, აგრეთვე ავტომატური სარაკეტო დანადგარები, რომლებიც ხომალდს საჰაერო თავდასხმისგან იცავს. სამი სტადიონის სიგრძის და 20-სართულიანი სახლის სიმაღლის ხომალდს 52 საფრენი აპარატის გადატანა შეუძლია, ხოლო მის ელექტროსადგურს — 30000-კაციანი ქალაქის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა.

ალბათ გადაგღალეთ ამდენი მონაცემებით. ამიტომ დავუბრუნდეთ ჩვენს გმირს და კიდევ ერთ ციტატას შემოგთავაზებთ ოკუპაციის მუზეუმში მისი გამოსვლიდან: „...**ვერ გატეხეს ჩვენი ჯარი, რომელიც, ძალთა უთანასწორობის მიუხედავად, გმირულად იბრძოდა სამშობლოს დასაცავად, დაამარცხა 58-ე მთავარი ჩრდილოკავკასიური არმია, მოიგერია პირველი დიდი შეტევა და ვიდრე ამ შეტევის მთავარი ინიციატორი პუტინი არ ჩამოვიდა ვლადიკავკაზში და მათი მთელი საბრძოლო ძალების 90 პროცენტი არ შემოასია საქართველოს, მათ პრაქტიკულად, ვერ მოახერხეს წინსვლა. რომ არა ჩვენი ჯარი, ისინი გააგრძელებდნენ სვლას ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის ასაღებად — ამის დამადასტურებელი ყველა მასალა და საბუთი გვაქვს. მათ ეს ვერ შეძლეს, რადგან პატარა საქართველოს მთელი მსოფლიო ამოუდგა მხარში“.**

ახლა ცოტა დავიბენი: თბილისი ოკუპანტების შემოსვლას ჩვენი ჯარის გმირულმა ბრძოლამ გადაარჩინა თუ მთელი მსოფლიოს მხარში ამოდგომამ? ქართველი ჯარისკაცები მართლა თავდაუზოგავად იბრძოდნენ, სანამ მეთაურობამ „შედი-გამოდი“ ბრძანებებით არ აურია თავგზა. ამ ბრძოლებში მართლა ორგანიზებული იყო შსს დანაყოფები, რადგან მათ ხელმძღვანელებს სრული ინფორმაცია ჰქონდათ. ამის შესახებ ჩვენი გაზეთი უკვე წერდა და კიდევ ერთხელ თანავუგრძნობთ 170 ჯარისკაცს, 14 პოლიციელსა და 228 მშვიდობიანი მოქალაქის ოჯახის წევრებს. ვწერდით „ღამის მთევლების“ დამსახურებაზეც. მაგრამ მხოლოდ ეს ფაქტორები რომ ვერ შეაჩერებდა იგოეთთან მომდგარ რუსულ არმიას, ფაქტია.

გავიხსენოთ ის დღეები — 2008 წლის აგვისტო.

7 აგვისტოს, საღამოს, ტელემიმართვით გამოსვლისას, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ოსური პოზიციების მიმართულებით ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება გასცა. გვიან ღამით კი ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაურმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა, რომ ოსური მხრიდან სროლის განახლების გამო მიღებულია გადაწყვეტილება (ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება?) ცხინვალის რეგიონში „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის“ შესახებ.

8 აგვისტოს, გამთენიისას, ცხინვალის მისადგომებთან სამხედრო შეტაკებები დაიწყო. მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის ძირითად ტერიტორიას, მათ შორის, ცხინვალის დიდ ნაწილს, საქართველოს ძალები აკონტროლებენ. გამოცხადდა რეზერვისტთა საყოველთაო მობილიზაცია. თბილისის მერმა გიგი უგულავამ (სამოქალაქო პირმა!) 15-დან 18 საათამდე ცეცხლი შეწყვეტილად გამოაცხადა. რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა საქართველო საომარი მოქმედებების დაწყებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ამას სათანადო რეაქცია მოჰყვება. რეაქციამაც არ დააყოვნა — რუსეთის ავიაციამ დაბომბა მარნეულის სამხედრო აეროდრომი, ვაზიანის სამხედრო ბაზა, ქარელის რაიონი და გორი. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოითხოვა და რუსეთს მოუწოდა, საქართველოდან გაეყვანა თავისი შეიარაღებული ძალები. რუსეთმა კი განაცხადა, რომ მისი 58-ე არმიის ნაწილები ცხინვალის სიახლოვეს იმყოფებიან. საღამოს 9 საათისთვის შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ცხინვალის ყველა ძირითად ადმინისტრაციულ შენობაზე საქართველოს სახელმწიფო დროშა ფრიალებს. დღის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ცხინვალის რეგიონს, ჯავის რაიონის გარდა, თბილისი სრულად აკონტროლებს.

9 აგვისტოს, გამთენიისას, სენაკის სამხედრო ბაზისა და ფოთის პორტის დაბომბვისას დაიღუპა სულ ცოტა 30 ადამიანი. რუსეთის ავიაციამ დაბომბა ქალაქი გორი და კოდორის ხეობა. საქართველოში საომარი მდგომარეობა და სრული მობილიზაცია გამოცხადდა. მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო რუსეთთან ომის მდგომარეობაში იმყოფება და მოსკოვს ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებისკენ მოუწოდა (სწორედ ამ დღეს ჩავიდა მიხეილ სააკაშვილი გორში და ყველამ კარგად ვნახეთ, როგორ უშიშრად და სამაგალითოდ მოიქცა უამრავი ჟურნალისტისა და ტელეკამერის წინაშე). საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა ერაყიდან თავისი სამხედროების გამოყვანა საბრძოლო მოქმედებებში მათი ჩართვის მიზნით.

10 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით სამთავრობო ძალებმა ცეცხლი შეწყვიტეს და კონფლიქტის ზონა დატოვეს. მიხეილ სააკაშვილმა რუსეთს ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებისკენ მოუწოდა. რუსეთის ავიაციამ დაბომბვა გააგრძელა, რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემები კი ოჩამჩირის პორტში შევიდნენ.

11 აგვისტოს, გამთენიისას, რუსეთის ავიაციამ დაბომბა სენაკის სამხედრო აეროდრომი და გორი, ხელვაჩაურისა და დედოფლისწყაროს რაიონები. რუსმა სამხედროებმა დაიკავეს ქალაქ ზუგდიდისა და სენაკის სამხედრო ბაზები, შევიდნენ ქალაქებში — ფოთსა და გორში. მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა ბერნარ კუშნერისა და ალექსანდრ სტუბის მიერ შეთავაზებულ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. რუსმა სამხედროებმა გორის ცენტრალური ავტომაგისტრალი დაიკავეს და საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთ ნაწილები ერთმანეთს მოსწყვიტეს.

12 აგვისტოს ფოთის პორტში საქართველოს კუთვნილი რამდენიმე ხომალდის ჩაძირვის შემდეგ რუსმა სამხედროებმა ქალაქი დატოვეს. კოდორის ხეობაზე აფხაზეთისა და რუსეთის კონტროლი დამყარდა. თბილისში, პარლამენტის შენობის წინ შეკრებილი რამდენიმე ათასი ადამიანის წინაშე გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოზე თავდასხმაში დამნაშავეა ვლადიმერ პუტინი. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველო ტოვებს დსთ-ს. სოლიდარობის გამოსახატავად თბილისში ჩამოვიდნენ ესტონეთის, ლიტვის, უკრაინის პრეზიდენტები და ლატვიის პრემიერ-მინისტრი. საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტებმაც — ნიკოლა სარკოზიმ და დიმიტრი მედვედევმა მოსკოვში ხელი მოაწერეს ექვსპუნქტიან შეთანხმებას ომის დასრულების (აკი არ დამთავრებულაო?!) შესახებ, რომლის ტექსტიც გვიან საღამოს სარკოზიმ თბილისში ჩამოიტანა.

15 აგვისტოს, საფრანგეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკების შემდეგ, თბილისში ჩამოვიდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი. მიხეილ სააკაშვილისა და კონდოლიზა რაისის შეხვედრა ხუთ საათს გაგრძელდა, რის შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ხელი მოაწერა საფრანგეთის მიერ შეთავაზებულ ექვსპუნქტიან შეთანხმებას.

16 აგვისტოს საქართველოსა და საფრანგეთის პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილ შეთანხმებას ხელი მოაწერა რუსეთის პრეზიდენტმაც.

შევისვენოთ. კიდევ ერთხელ თვალი გადავავლოთ ამ ქრონოლოგიას და დავსვათ შეკითხვა, რომელიც ქართულ საზოგადოებას უკვე რამდენიმე თვეა, აწუხებს: — **რატომ შეიკავეს თავი თბილისში შემოსვლისგან რუსეთის ჯარებმა 10-დან 15 აგვისტომდე, ანუ სანამ სააკაშვილი ექვსპუნქტიან შეთანხმებას ხელს მოაწერდა? რატომ დასჭირდა ხელმოწერის შესახებ გადაწყვეტილებას სააკაშვილისა და რაისის 5-საათიანი საუბარი? კიდევ რაზე შეუთანხმდა რუსეთი სააკაშვილს? დავტოვოთ ეს შეკითხვები ღიად. მით უმეტეს, რომ სააკაშვილის თქმისა არ იყოს, „ამას ისტორია შეაფასებს. რა წავაგეთ და რა მოვიგეთ, ამასაც ისტორია შეაფასებს“. დავეთანხმოთ პრეზიდენტ სააკაშვილს იმაშიც, რომ, „რა თქმა უნდა, ამ ომით ბევრი რამ დავკარგეთ“.**

რატომ დავკარგეთ, ამის შესახებ ამ წერილშიც ვისაუბრეთ და სამომავლოდაც გავაგრძელებთ მსჯელობას. მთავარი ის არის, რომ, როცა გულზე მჯიღის ცემას დავიწყებთ, ნუ დაგვავიწყდება — ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ისე არასოდეს დაძაბუნდება, რომ საქართველოსხელა რამდენიმე პატარა ქვეყნის გადაყლაპვა ვერ შეძლოს. ხოლო „განსაკუთრებულად დასუსტებული რუსეთი“ რომ ჩვენთვის ვერ მოიცლის, როგორც ამას პრეზიდენტი სააკაშვილი სიხარულით გვამცნობს ჩვენც და „ელ პაისის“ მკითხველსაც, ამის იმ ევროპასაც არ სჯერა, ამ ზამთარს რუსეთისკენ მავედრებელ მზერას რომ მიაპყრობდა, იმ ევროპას, რომელთან ინტეგრაციასაც ასე ვესწრაფვით და რომელიც ნატოსკენ მიმავალ გზაზე შემწედ და მეოხად გვესახება.

რაც შეეხება რუსეთს და იმას, რომ კვლავაც გრძელდება ომი, რომელიც ექვსპუნქტიანი შეთანხმების (და კიდევ ღმერთმა უწყის, რამდენპუნქტიანი ფარული შეთანხმების!) თანახმად, უკვე 16 აგვისტოს დასრულებულა, კარგად დააკვირდით ამ ფოტოებს — მადლობა ღმერთს, რომ რასაც აქ ხედავთ, არ გამოიყენეს შარშან აგვისტოში და ჩვენთან ორდღიანი ომის მოსაგებად მათ მხოლოდ „ჟანგიანი ტანკები“ და „პენსიონერი მფრინავები“ იკმარეს.

კარგად დააკვირდით ამ ფოტოებს და დასკვნები თავად გამოიტანეთ... ჩვენ მხოლოდ ბანალური პროფესიული კომენტარით შემოვიფარგლებით: „უკომენტაროდ!“

ბონდო მკინარაშვილი

საზენიტო სარაკეტო სისტემა C-400 „ფავორიტი“, რომელიც ახლა ავსებს რუსეთის არმიის შეიარაღებას.



საზენიტო სარაკეტო კომპლექსი „Печора-2М“. უზრუნველყოფს ყველა აეროდინამიკური თავდასხმის საშუალებისგან დაცვას. შეუძლია მიწისზედა სამიზნეების განადგურება.

ციმბირის სამხედრო ოლქის საარტილერიო დანადგარი „შილკა“ სწავლებების დროს ალაბინოს პოლიგონზე, სადაც მუშავდებოდა საბრძოლო ამოცანები მოწინააღმდეგის მიერ მაღალი სიზუსტის იარაღის და ავიაციის გამოყენების პირობებში.

საზენიტო სარაკეტო კომპლექსი Тор М-1.

უახლესი საზენიტო სარაკეტო სისტემა „ტრიუმფი“, მართვის საშუალება 83М6Е2 და საზენიტო სარაკეტო სისტემა С-300.

11 - 17 მარტი, 2009 წელი. №4
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

ჰიბელსოკრატია

უკანასკნელი სამი კვირის მანძილზე სახელისუფლებო ელექტრონული მედია საზოგადოებას მიზანმიმართულად უნერგავს აზრს, რომ, შესაძლებელია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საომარო მოქმედებები განახლდეს. შემთხვევით არ ვიყენებ სიტყვას მიზანმიმართულად, რადგან ექვსივე სახელისუფლებო ტელე-არხის (რუსთავი-2, იმედი, ალანია, აჭარის ტელევიზია, პირველი არხი, საქართველო) ეთერში საომარ რიტორიკას სწორედ გეგმაზომიერი კამპანიის სახე აქვს, რაც ყოველდღიურად თრგუნავს და ძაბავს მაყურებელს.
დაახლოებით ორი კვირის წინ, თითქმის ყველას სახელისუფლებო არხმა გვამცნო, რომ რუსები, თურმე, ვაზიანის აეროდრომის, ასევე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტისა და სხვადასხვა სტრატეგიული მაგისტრალების აღებას აპირებენ, რაც, საბოლოო ჯამში, დედაქალაქის დაპყრობას ისახავს მიზნად. დროის ამავე მონაკვეთში სახელისუფლებო არხებიდან შევიტყვეთ, რომ სეპარატისტებმა გალში ბავშვებით სავსე ავტობუსი დაცხრილეს და არის მსხვერპლი.

2009 წლის 9 მარტს გავრცელდა ინფორმაცია ახალგორში რუსების სამხედრო არსენალის აფეთქების თაობაზე, რასაც (თურმე) წინ უძღვოდა ცხინვალის რეგიონში ქართული ორიენტაციის პედაგოგების დაპატიმრება!

მოდით, თავს უფლება მივცეთ იუმორით შევხედოთ შექმნილ ვითარებას: ორ სხვადასხვა ეზოში ორი მეზობელი ცხოვრობს, რომლებსაც ერთმანეთი საშინლად სძულთ... (იმ ღობის გამო, რომელიც ბოლო 20 წელიწადია ვერ გაუყვიათ). ვანკას და გოგიას ძაღლები ჰყავთ. გაზაფხულის მზიან დღეს ვანკამ გოგიას ძაღლი მოუკლა. რატომ?... იმიტომ, რომ მეზობელი გაემწარებინა... მაგრამ განვიხილოთ სხვა ვარიანტი: ვანკამ გოგიას კი არ მოუკლა ძაღლი, არამედ საკუთარი ძაღლი მოკლა და კვლავ დავსვათ კითხვა: რატომ?.. იმიტომ, რომ ძაღლის მოკვლა უდანაშაულო გოგიასთვის დაებრალებინა და მეზობელთან ჩხუბისა და სკანდალისათვის ახალი საბაბი გასჩენოდა. მოკლედ, ვიაზროვნოთ სიმბოლურად: სახელისუფლებო ტელეარხები ვანკასგან არა უბრალოდ მტერის (რომელიც ისედაც მტერია!), არამედ პროვოკატორი მტრის სახეს ქმნიან. შესაბამისად, ქართველების მოთმინების ფიალა ვანკასადმი ზიზღით დღითიდღე ივსება. კეთილი გოგია, ანუ ქართველი მაყურებელი მზადაა, ვანკას თავი ნაჯახით გაუპოს.

ამ პათოსის გაღვივების მცდელობას სინამდვილეში ხარვეზი არ ექნებოდა, რომ არა მთავარი გარემოება — რადიო „თავისუფლების“ ეთერიდან ირკვევა, რომ ბოროტ ვანკას გალში, ქართველი ბავშვებით სავსე ავტობუსი არა თუ არ აუფეთქებია, არამედ, სკოლის ქართველი პედაგოგის განმარტებით, იმ დღეს ავტობუსს საერთოდ არ უმუშავია(?!). 2009 წლის 9 მარტს კი, როცა ახალგორში ვანკას იარაღის საწყობი აფეთქდა, გაირკვა, რომ გოგიასთვის ეს არავის დაუბრალებია, ევროპელმა ექსპერტებმაც კი დაადასტურეს, რომ ქართულ მხარესთან (საწყობის აფეთქების გამო) პრეტენზია არავის გამოუხატავს.

მაშ, რა ხდება ვანკასა და გოგიას თავს?..

პასუხი მარტივია: ქართველებისთვის ცნობილია, რომ რუსეთს ჩვენი ქვეყნისადმი კეთილი მიზნები არ მოძრავებს, მაგრამ საგულისხმო ის გახლავთ, რომ **მიხეილ ნიკოლოზის ძე საკაშვილს მრავალი წლის მანძილზე ვანკაზე დაბოღმილი და გაბრაზებული გოგიას (ქართველი ხალხის) გამოყენება საკუთარი, ფეხმომძვრალი სავარძლის გასამყარებლად სურს.** ფიარ-ტაქტიკაც პრიმიტიულია: სახელგატეხილ ვანკას რაც უნდა დააბრალო, გოგია ყველაფერს დაიჯერებს!

ჰოდა, **დასხდნენ ლევან რამიშვილი და გიგა ბოკერია და შეიმუშავეს საკაშვილის საავარძლის რესტავრაციის გეგმა,** რომელიც ერთდროულად რამდენიმე ამოცანას წყვეტს:

1. ოპოზიციის საპროტესტო აქციებიდან და 9 აპრილთან დაკავშირებული დიდი ეროვნული მოლოდინიდან, მაყურებლის ყურადღება ბოროტი რუსეთის, ანუ ვანკას მიერ დაგეგმილ პროვოკაციებზე ხელოვნურად უნდა გადაიტანონ!

2. ცნობილია, რომ საგარეო და განსაკუთრებით, ომის საფრთხის არსებობის შემთხვევაში საზოგადოება (ნებსით თუ უნებლიეთ) ყველაზე საძულველი ხელისუფლების ირგვლივაც კი ერთიანდება. ქვეტექსტი, — რა თქმა უნდა, სამხედრო აგრესიის საფრთხე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე 9 აპრილის საპროტესტო აქცია. ასეთ შემთხვევაში მიშიკოს გადაყენების პროცესი მსუბუქად გადავადდება!

3. არსებობს მერკანტილური მიზანიც- იმიჯის შელახვის მიზნით, ოპოზიციურ ძალებს ბოროტი ვანკასგან დაფინანსების მიღება უნდა დაბრალდეს!

ახლა, ვფიქრობ, მკითხველისთვის გასაგებია, რატომ უთმობენ ნაციონალური ახალი ამბები საეთერო დროის არაადექვატურ მოცულობას ოკუპანტის ყოველდღიური ცხოვრების ასახვას...

მაგალითად, სულ არ გვაინტერესებდა, მაგრამ 2009 წლის 9 მარტს ისიც გავიგეთ, რომ რუსეთი ევროვიზიის კონკურსზე ეროვნებით უკრაინელი მომღერლის გამოყვანამ ძალზედ გააღიზიანა. ამ არაფრისმომცემი ისტორიით ჩვენი დაღლილი ტვინების გადატვირთვა არც ღირდა, მაგრამ გვაიძულეს მოგვესმინა, რა იაღლიში მოუვიდა რუსეთს. საქმე ისაა, რომ ვანკას წარუმატებლობა, შეცდომები და დანაშაული მაქსიმალური დოზით უნდა გამუქდეს, — ეს ერთი!

მეორე, — თუ ვანკა არაფერს დააშავებს, გოგიამ ახალგორის სამხედრო არსენალის აფეთქების თემაც კი, მიხეილ ნიკოლოზის ძის სავარძლის გასამყარებლად უნდა გამოიყენოს. **ამ ტელეისტერიას ემატება ბოკერია-რამიშვილის გაცვეთილი მაჟორული მესიჯის გაცოცხლების მცდელობა, — ოპოზიცია რუსეთის აგენტად, რუსეთი — პროვოკატორ მტრად, საკაშვილის მთავრობის მინისტრები კი, მოფუსფუსე ფუტკრებად უნდა წარმოჩნდნენ!**

ფერილი მეორე

2009 წლის 8 მარტს, პირველი არხის გადაცემაში „პოლიტიკური კვირა“ ინგა გრიგოლიამ გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე მოიწვია, რომელიც (როგორც ჩანს) ბოკერია-რამიშვილის ტანდემმა კარგ მოლაპარაკე ფუტკრად შეაფასა და ხელისუფლების ადვოკატობის მაღალი ფუნქცია მიანიჭა. ამ გადაცემიდან შევიტყვეთ, რომ... თურმე, საკაშვილის მთავრობის მინისტრები მთელ ქვეყანაში არიან მოფენილი. დღეებსა და ღამეებს ხალხზე ზრუნვაში ატარებენ და ოპოზიცია კი, ხელებდაკაპიწებულ ნაციონალურ ფუტკრებს ფიჭის გაკეთების საშუალებას არ აძლევს, სკების დანგრევითა და ფრთების შეტრუსვით ემუქრება. გარდა ამისა, მოფუსფუსე ფუტკრებს ხელს ბოროტი ვანკა უშლის, რომელიც მუდმივად პროვოკაციებს გეგმავს და ქართული ნაციონალური თაფლით მშიერი რუსული დათვის გამოკვებას აპირებს.

რუსთავი-2-ის „კურიერი“, იმედის „ქრონიკა“, აჭარის ტელევიზიის „დღე“, პირველი არხის „მოამბე“ და სხვა სახელისუფლებო არხების საინფორმაციო პროგრამები ხელოვნურად ქმნიან სურათს, თითქოს საკაშვილის მთავრობა ხელებდაკაპიწებული შრომობს, ხოლო რუსეთი და ქართული ოპოზიცია მიხეილ ნიკოლოზის ძეს სოფლის შენებაში ხელს უშლის.

დაკვირდით, ტელეარხები რა საგულდაგულოდ აახლოვებენ ერთმანეთთან რუსეთისა და ოპოზიციის საგაზაფხულო აქციების თემას (ორ სრულიად განსხვავებულ პოლუსს!).

გაგახსენებთ, რომ 2004-2005 წლებში საკაშვილის რეჟიმმა საზოგადოება, ძირითადად, პოზიტივის გარშემო გააერთიანა. იმის მიუხედავად, რომ ადამიანებს ქუჩაში კლავდნენ და საკუთრებას ართმევდნენ, საპროტესტო მუხტი მხოლოდ ცალკეული მედია თუ პოლიტიკური ჯგუფების ფარგლებში ფეთქავდა. ვაცადოთ! — ასეთი იყო საზოგადოების დამოკიდებულება საკაშვილის ხელისუფლებისადმი.

ქართველ ხალხს საკაშვილის რეჟიმის ბოროტებებზე თვალი მთელი ორი წლის შემდეგ, 2006 წლიდან აეხილა. პოლიტიკური ოპოზიციისა და ხალხის ხედვა ერთმანეთს დაემთხვა. დაიწყო საპროტესტო აქციების პირველი სერიოზული ტალღა. ბოკერია-რამიშვილის ჯგუფმა სწორედ მაშინ დაისახა მიზნად პოლიტიკური ოპოზიციის გაიგივება ბუნებრივ მტერთან და ამ ილუზიის ტელეეკრანზე გადატანა, როგორც დადასტურებული სიმართლისა და ჭეშმარიტებისა.

2004-2009 წლებში ქართული **ტელევიზიები იმდენ ტყუილს ავრცელებდნენ და ისეთი ფორმით ხდებოდა სიცრუის სიმართლედ წარმოსახვა, რომ ბოკერია-რამიშვილის TV-ექსპერიმენტმა შედეგი უკუმიმართულებით გამოიღო: დღეს ქართველი მაყურებელი არც ერთი სახელისუფლებო ტელეარხით გავრცელებულ ინფორმაციას აღარ ენდობა.** ბოკერია-რამიშვილის გუნდი ტრადიციული პრობლემის წინაშე დადგა. ახალ პოლიტიკურ რეალობაში როგორ დაერწმუნებინათ ქართული საზოგადოება ტელევიზიით გადაცემული ცრუ ინფორმაციის ობიექტურობაში? თანაც, იმ ფონზე, როცა მაყურებელი „კურიერს“ არა სერიოზულად, არამედ „ღამის შოუს“ რეჟიმში აღიქვამდა. ასე დადგა დღის წესრიგში სამხედრო ავანტიურის გაჩაღების თემა, რაც ხმა და ღირსებაწართმეული, იმედგაცრუებული საზოგადოების ყურადღებას ქვეყნის მთლიანობაზე გადაიტანდა. ბოკერია-რამიშვილის იმედები აქაც გაცრუდა. **აგვისტოს ომის შემდეგ მსოფლიომ რუსეთს ოკუპანტი, ხოლო საკაშვილს-ავანტიურისტი უწოდა. ნაბუქო ჩავარდა. ქართული მიწების დაკარგვა, — ეს არის დანაშაული, რომელსაც საკაშვილს ქართველი კაცი შინაგანად ვეღარ პატიობს.**

ხიდი საკაშვილის ხელისუფლებასა და ხალხის გულებს შორის საბოლოოდ ჩატეხილია. სამაგიეროდ, განწირული სულისკვეთებით აქტიურობენ ტელეარხები. პირველი თემა ყველგან რუსეთია, მეორე — რუსეთი, მეათეც — რუსეთი... შემდეგ გვარწმუნებენ, რომ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ომი კვლავ იწყება და ბოლოს, ხელებდაკაპიწებული მინისტრები სახელდახელოდ დაგებულ ასფალტზე შარვლის აწეული ტოტებით პოზირებენ და ბულდოზერის გარშემო შეკრებილ მშიერ ადამიანებზე გულში ფიქრობენ: დაახვიეთ, რა, სახლებში... ამ ტიპის კადრებს თითქმის ყოველდღე ვადევნებთ თვალს.

ბოკერია-რამიშვილის ინსტრუქციით, საკაშვილის მინისტრების სახეზე, ხალხთან ურთიერთობისას, სასურველია, მეტი სითბო და მზრუნველობა იკითხებოდეს. სწორედ ასეთ კობა სუბელიანს და რუსუდან კერვალიშვილს ვხედავთ ცისფერ ეკრანებზე... უკვე გამაღიზიანებელი ინტენსივობით.

ქართულ ელექტრონულ მედიაში დღეს შექმნილი ვითარება იმაზე მიგვანიშნებს, რომ **საინფორმაციო საშუალებებით ხელისუფლება ვეღარ ახერხებს მდგრადობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას.** პროცესები სულ მალე ქუჩაში გადაინაცვლებს.

როცა ქვეყანაში საინფორმაციო საშუალების გამოყენების პირობები ქრება, დღის წესრიგში დგება ხელისუფლების მხრიდან ძალისმიერი რესურსის ამოქმედების ალბათობა. სამწუხაროდ, ეს ალბათობა სულ უფრო და უფრო რეალისტურ შტრიხებს იძენს. **მითი — მიშა მაგარია! — იმსხვრევა.** სპეცრაზმებისა და პატრულის შენაერთების ერთგულების იმედს საკაშვილის რეჟიმი ამაოდ ებღაუჭება. **უახლესი ისტორიის არც ერთ ეტაპზე პოლიცია და ჯარი არ წასულა საკუთარი ხალხის ნების წინააღმდეგ. არც ახლა წავა.**

სულ მალე საზოგადოებას საშუალება მიეცემა ნახოს, **როგორ ფუჭდება მაგარი მიშა და რა მშიშარაა სინამდვილეში მისი რაზმი.**

როდესაც საინფორმაციო ზემოქმედების ბერკეტის მწყობრიდან გამოსვლაზე ვსაუბრობ, იმას ვგულისხმობ, რომ გადაცემაში „პოზიცია“ (2009 წლის 7 მარტს) ივანე მერაბიშვილის გამოყვანას და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, თითქოს სათანადო სტრუქტურები კონსტიტუციურ წესრიგს დაიცავენ, აზრი აღარ აქვს... მერწმუნეთ, ასეთი უხეში ფიარ-ხერხების ეფექტურობა ნულის ტოლფასია! **ბავშვიც კი ხვდება, რომ მშვიდი და გაწონასწორებული ივანე მერაბიშვილის ტელეეთერს საპროტესტოდ განწყობილი საზოგადოების დაშინების მიზანი აქვს. საზოგადოებას კი, დიდი ხანია აღარ ეშინია...**

საქართველოში მეფესთან ერთად, შიშველია ის პიარ-სტრატეგიაც, რომელიც საინფორმაციო ზემოქმედების თეორიაში ცნობილია, როგორც ჩვეულებრივი დანაშაული, რადგან 5 წლის მანძილზე საქართველოს ტელემაყურებელი იყო ტყუილის მსხვერპლი და მძევალი... თანამედროვე **საინფორმაციო ზემოქმედების საშუალებების ბოროტად გამოყენება** (ანუ მავნე ზემოქმედება საზოგადოების ცნობიერებაზე) **კი, დასჯადი ქმედებაა.**

ირმა ინაშვილი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ეთერ არევაძე: გამოშტერებული ბერიკაცი, რომელსაც პამპერსებს ვუცვლიდი, სექსუალურ პარტნიორობას მთავაზობდა

ქართველთა სული ოდითგანვე მწუხარეა უცხოობაში, თუნდაც დიდ წარმატებას მიაღწიოს, დღემდე მისტირის გაყიდულ მამლუქებს. ვერ ურიგდება მცირე ერის დაშლასა და მსოფლიო რუკაზე დანაწევრებას. „ქართველთა სევდას ემიგრაციაში წასულთა გამო საფუძვლად უდევს მტკივნეული შეგნება იმისა, რომ ქართველად დაბადებულმა პიროვნებამ სამშობლოში ვერ პოვა თავისი პოტენციის რეალიზება, უფრო მეტიც — ვერ შეძლო არსებობის შენარჩუნება. ეს კი, ყველა ჩვენგანის დანაშაულია. ამდენი განუკითხაობისა და ძალადობის მნახველი ქართველი კაცი სულაც არაა გულგრილი უცხოობაში გადახვეწილი თვისტომის მიმართ, რადგან ერის ხასიათი, ზნე, მორალი, ტრადიციები და რელიგიურობაც სულგრძელობისკენაა მიმართული.

გავა წლები და... ძვირად, ძალიან ძვირად დაუჯდება ქართველთა ამგვარი გადინება როგორც ერს, ისე ქვეყანას, მის სახელმწიფოებრიობასაც. დროა, ამას ნამდვილი ომი გამოვუცხადოთ: ვინ გვაიძულა, ვინ გაგვყარა საშოვარზე ჩვენი მიწიდან, ვინ გაგვაქეზა დასაკარგავად, საით მივყავართ თავსმოხვეულ ცხოვრების მდინარებას, რატომ გაგვაკრეს მაცხოვრის გვერდით უცხოობის ჯვარზე? ამასობაში კი სასოწარკვეთილი, შეძრწუნებული, შეკუმშული გულებით მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილი, დედასამშობლოდან განლტოლვილი, გაუცხოებულ ქართველ ქალთა ქარავანი მსოფლიო მეგაპოლისებს მოსდებია... აი, რას გვიამბობს ერთი იმათგანი — ეთერ არევაძე.

— ქალბატონო ეთერ, როგორ და რატომ წახვედით ამერიკაში?

— თბილისში ვცხოვრობდი, ვაკეში, ოროთახიანი ბინა მქონდა. არც ქალური ბედნიერება მაკლდა ჩემს ქმარსა და ქალ-ვაჟთან ერთად. არქეოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად ვმუშაობდი. მეუღლე ქიმიკოსი გახლდათ და „მიონში“ პროფილით მუშაობდა. სისხლსავსე ცხოვრებით ვცხოვრობდი... ძველი გზა დაინგრა, ახალი — არ ჩანდა. ძალიან გაგვიჭირდა, ულუკმაპუროდ დავრჩით. რაციონალური ლოგიკით, რაღაც გზას უნდა დავდგომოდი. 1993 წელს პროცენტიანი ვალი ავიღე და ჩინეთში, შოპტურში გავემგზავრე. მოსკოვში ჩამოსულებს თბილისის რეისები გაუქმებული დაგვხვდა, დოლარის კურსი კი — აწეული. ერთი კვირა „ვნუკოვოს“ აეროპორტში ვათენებდით და თბილისში დაბრუნებას ვცდილობდით. განმკითხავი არავინ იყო. მაშინდელმა ჩინოსნებმა ჩვენი უბედურებით ხელი კარგად მოითბეს. ჩამოვაღწიეთ... პროცენტის გადახდა დოლარის კურსის ავარდნის გამო ძალიან გამიჭირდა. ჩემი კრედიტორი ყოველდღე მაყაჩაღებდა და შეურაცხმყოფდა მცირეწლოვანი ბავშვებისა და ქმრის თვალწინ, რის გამოც ქმართან ურთიერთობა დამეძაბა. მდგომარეობით დათრგუნულს სიცოცხლე საწყევლად გამიხდა. მალე ქმარს ოფიციალურად გავცილდი და ბავშვებით მშობლებთან გადავედი. მოხუცი მშობლებისა და მცირეწლოვანი ბავშვების სარჩენად ემიგრაციაში წასვლა გადავწყვიტე. ვიპოვე ქალი, რომელიც ხალხს თავისი სახსრებით ორგანიზებულად აგზავნიდა ამერიკაში, ხოლო შემდეგ ამ თანხას გაგზავნილებისგან პროცენტით იღებდა. კონსულთან სამი ვიზიტის შემდეგ მოვახერხე ნდობის მოპოვება და ტურისტად აშშ-ში გავემგზავრე. ჩემი „ტურისტობა“ უკვე 15 წელია, გრძელდება, დღესაც ნიუ-იორკში ვცხოვრობ.

— ნიუ-იორკში რა პირობები დაგხვდათ, სამუშაო მალე იშოვეთ?

— ერთ ამერიკულ ოჯახში მოვხვდი, საკმაოდ მძიმე პირობებითა და მიზერული ანაზღაურებით. ჩემს მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ თან ვალს ვიხდიდი, თან ბავშვებსა და მშობლებს თავის სარჩენად ფულს ვუგზავნიდი. შურიანი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ საღამოს, როდესაც მთელი ოჯახი გაჩახჩახებულ ოთახში ერთად ვახშმობდა, ჩუმად, ზურგშექცეული ვტიროდი. ჩემების ძლიერ მონატრებას ვგრძნობდი. გამუდმებით მეძახდა ჩემი მიწა-წყალი, სახლ-კარი, შვილებზე იმდენს ვდარდობდი, რომ ხშირად წონასწორობასაც ვკარგავდი. ვცდილობდი, დარდი ჩამეხშო, რათა სასოწარკვეთით მოცულ გონებას წამიერი დაბნელებით რამე არ შეშლოდა და სამსახური არ დამეკარგა. როგორც იქნა, ვალი გადავიხადე და სამუშაოს გამოცვლაც შევძელი. შემდეგში ვუვლიდი მარტოხელა ცნობილ ამერიკელ მეცნიერს (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ). ის უკვე მოხუცებულობის მარაზმში იყო ჩავარდნილი. ყოველდღე ვბანდი, ვასუფთავებდი, ვაჭრიდი ფრჩხილებს, პამპერსებს ვუცვლიდი, ეტლით სუფთა ჰაერზე ვასეირნებდი და ხელით ვაჭმევდი. მისი ძმისშვილები სოლიდურ თანხას თვეში 3000 დოლარს მიხდიდნენ, მაგრამ იქ ნაშოვნი ფული არ იჭმება. უხერხულია, გითხრათ, მაგრამ გამოშტერებული ბერიკაცი, რომელსაც პამპერსებს ვუცვლიდი სექსუალურ პარტნიორობას მთავაზობდა. თურმე, რამდენის ატანა შესძლებია ადამიანს. შვილების მოვლას დანატრებული ამ უზნეო, ბავშვად ქცეულ ბერიკაცს მუხლჩაუხრელად ვემსახურებოდი. მისი ძმისშვილები თავს მოვალედ თვლიდნენ, ყოველ საღამოს ჩემი გულმოდგინება შეემოწმებინათ. კრიტიკულად განწყობილებს სხვაობა ზუსტად ჰქონდათ განსაზღვრული. მე მათთვის მუშა მანქანა ვიყავი და მეტი არაფერი. საწინააღმდეგო პოზიციაზე მდგარნი, ამპარტავნული მანერებით მადლობას არ იმეტებდნენ, რადგან ფულს მიხდიდნენ. გიხდიან, ე.ი. კმაყოფილი უნდა იყო. სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანისთვის კონტაქტი უშუალო მოთხოვნილებაა, მითუმეტეს ინგლისური კარგად ვიცოდი, მაგრამ ჩემს ყველა მცდელობას — შევხმიანებოდი, მათი მხრიდან ფარული ირონია და განზე გადგომა მოჰყვებოდა ხოლმე. მათი ჟესტიკულაცია კი ბევრ გადატანით აზრსაც შეიცავდა, ისე მექცეოდნენ, როგორც კეთროვანს. მოხუცი მეცნიერი გარდაიცვალა და კვლავ უმუშევარი დავრჩი.

— შემდეგ რა გზით წარიმართა თქვენი ცხოვრება?

— ინგლისურს კარგად ვფლობდი... 80 წლის ქალს ვემსახურებოდი, რომელიც მაღალ წრეს ეკუთვნოდა, მისი გარდაცვლილი მეუღლე ბეწვეულის მაგნატი გახლდათ და დიდძალი ქონება დაუტოვა. ამერიკაში 80 წლის ქალები სილამაზის სალონებში დადიან, თავს უვლიან, უამრავ პლასტიკურ ოპერაციას იკეთებენ. თითოეულს საკუთარი მასაჟისტი, ვიზაჟისტი და სტილისტი ჰყავს. თქვენ წარმოიდგინეთ, ბოიფრენდებსაც არ იკლებენ, სიცოცხლით ტკბებიან... ჩვენი მუდმივი სულიერი აფორიაქებისა და მძიმე შრომის ხარჯზე. ვამპირებივით სისხლს გვწოვენ, არაქათს კაპრიზებით გვაცლიან და გროშებს გვიხდიან. ამგვარ ყოფაში გადაიკვეთება პოლუსური უკიდურესობანი. მათი ყოფა ღვთის ნებიერთა ნეტარგანცხრომაა, ჩვენი კი — ჯოჯოხეთი. ძალიან ძნელი ასატანია ეს განსხვავება. შევიწროვება, თავსმოხვეული ახალი ჩვევები, ქვეშევრდომული თვინიერება უმძიმესი ხვედრია, დიდი სასჯელი, რომელიც ახალმა ყოფამ მოგვიტანა. ენის ცოდნაც დამეხმარა, წლების განმავლობაში „გრინ ქარდის“ — მწვანე ბარათის აღება მომეხერხებინა. ამ ბარათის წყალობით მომაკვდავ დედას ჩამოვუსწარი, მდუღარე ცრემლით დავიტირე და საფლავამდე მივაცილე. დავბრუნდი და უფრო მტკივნეულად მივხვდი, რომ ემიგრანტთა ჭირსა თუ ლხინს ცალკე ღობე აქვს შემოვლებული, სადაც ერთადერთი ოაზისი ქართველთა პატარა სათვისტომოა. ემიგრანტს ყოველთვის თან სდევს მძიმე შეგრძნება იმისა, რომ ვისაც ემსახურები, ის თავის მშობლიურ, შინაურ გარემოცვაშია, იქ ყველაფერი მისია, შენ კი ფსიქოლოგიურად თავს ეულად გრძნობ.

— ქალბატონო ეთერ, მაინც როგორია ემიგრანტის თვალით დანახული ნიუ-იორკი და ამერიკელები?

— ნიუ-იორკი ბაბილონის გოდოლს მაგონებს. უნარის ამგვარი ნიველირების, იდეათა უსახურობის ფაქტებს მხოლოდ ამერიკაში თუ შეხვდებით. ამერიკაში ყოფნამ საბოლოოდ გამიქარწყლა ილუზია, რომ ის ზესახელმწიფოა, ადამიანთა უფლებებს პატივს სცემს და იცავს დემოკრატიულ პრინციპებს. იქნებ ეს ჩემი სუბიექტური, დამონებული ქვეყნის შვილის აზრია, რომელსაც ნაციონალური სახის დაკარგვა ემუქრება. ბევრ ემიგრანტში (განსაკუთრებით, ახალგაზრდებში) ნელ-ნელა ქრება ეროვნული ელემენტები და ის ადგილს უთმობს პრაქტიკოსს კოსმოპოლიტური აზროვნებით. ამერიკაში მანქანამ დაჩაგრა ადამიანი, ის მანქანებთან მიჯაჭვული დარჩა. ამერიკელთა აზროვნება არაა ზემხედი, ანუ მასშტაბური, მათ ვიწრო, პროფესიული ხედვა აქვთ. დანარჩენი ან არ აინტერესებთ, ან ნაკლებად იჩენენ ინტერესს. წყვილთა შერჩევა ქორწინებისთვის კომპიუტერით ხდება. ავტომატიკისა და ტელემექანიკების ბუმმა ამერიკელები გადაგვარა. კომუნიკაციების ზრდის მიუხედავად, ამერიკელები მარტონი და მარტოსულები არიან. ირგვლივ ყველაფერი გაწკრიალებული, სტერილიზებულია და ნეილონის პარკებში დალუქულები, მაგრამ უგემურია.

ქალბატონო ლალი, მომეცით უფლება, თქვენი გაზეთის საშუალებით ბოდიში მოვუხადო დედასამშობლოს მიტოვების გამო, რადგან მისმა ხელისუფლებამ დედინაცვლის სიძუნწითაც არ გაიმეტა ლუკმა ჩემთვის და ამ მძიმე ჯვრით გამწირა. მე, ქართველი დედა, შვილებს უცხო ქვეყანას ვუზრდი, რადგან კაცი იქაურია, სადაც იზრდება, სადაც სიცოცხლის საუკეთესო წლებს ატარებს და ვისაც ემსახურება. ჩემი გულწრფელი სინანული და მობოდიშება ჩემი სულის რეკვიემია. დიდი, ენით უთქმელი დარდი გულს მიღრღნის: რატომ ვარ აქ? სად დავუშვით შეცდომა ყველამ ერთად, რატომ მოვუხუჭეთ თვალი მკაცრ სინამდვილეს, რატომ მოხდა ასე? როდემდე იქნება თითქმის განახევრებული ჩემი ქვეყანა განვითარების გზების მტკივნეულ ძიებაში?

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

რუსეთი ინვესტიციებისთვის წელიწადში ტრილიონ რუბლზე მეტს დახარჯავს

2009 წელს რუსეთი ინვესტიციებზე 1,1 ტრილიონ რუბლს დახარჯავს. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. შედარებისთვის, გასულ წელს ეს მაჩვენებელი 858 მილიარდ რუბლს შეადგენდა.

პუტინმა აღნიშნა, რომ შარშანდელთან შედარებით ინვესტიციების ზრდა უმნიშვნელოა, თუმცა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ კრიზისის მიუხედავად, ინვესტიციების მოცულობა მაინც გაიზარდა.

უკვე ცნობილია, რომ ადრე დაგეგმილთან შედარებით ქვეყნის შემოსავალი 42 პროცენტით შემცირდება, ხოლო ხარჯი 9,5 ტრილიონ რუბლამდე გაიზრდება. ამგვარად, ინვესტიციები ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაახლოებით მეცხრედს შეადგენს.

ინვესტორები რისკებს გადაჭარბებით აფასებენ

ინვესტორები რისკებს გადაჭარბებით აფასებენ, რაც აშშ-ის ეკონომიკას კიდევ უფრო სახიფათო სიტუაციას უქმნის, — მიაჩნია ინვესტიციების „გურუს“, კომპანია Berkshire Hathaway-ს უცვლელ მფლობელს უორენ ბაფეტს, რომელიც ჟურნალ „ფორბსის“ ვერსიით 2008 წლის დასაწყისში მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი გახლდათ.

გასულმა წელმა Berkshire Hathaway-ს საინვესტიციო პორტფელს დრამატული დანაკარგები მოუტანა. კომპანიის სუფთა წაგებამ 11,5 მილიარდი დოლარი შეადგინა. მიუხედავად ამისა, მან წელი 4, 994 მილიარდი დოლარის მოგებით დაამთავრა, რაც 62,2 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე 2007 წელს.

ბაფეტი 25 მილიარდ დოლარს ნაღდი ფულით ინახავს და აშკარად აპირებს ინვესტიციების გაგრძელებას.

„2009 წელს აშშ-ის ეკონომიკა დაინგრევა, მაგრამ ეს საფონდო ბაზრის აღმა ან დაღმასვლას არ ნიშნავს“, — აღნიშნავს ბაფეტი, რომლის გარიგებებს ბაზარი ყურადღებით აკვირდება.

მისი აზრით, აშშ-ის ისტორიაში უარესი გამოწვევებიც ყოფილა — 80-იანი წლების კრიზისი და დიდი დეპრესია, ომები — რომლებიც ქვეყანამ მაინც დაძლია.

„ამერიკისთვის საუკეთესო დღეები ჯერ არ დამდგარა“, — არწმუნებს ბაფეტი ინვესტორებს.

ამჟამინდელი კრიზისის სათავეს ის მსესხებელთა შემოსავალზე აღმატებული კრედიტების ხარჯზე ბინების შეძენის სტიმულირებაში ხედავს. მილიარდერი ვარაუდობს, რომ ბანკებში გაუფასურებული აქტივების გამოსყიდვა იძულებითი აუცილებელი ღონისძიება იყო.

„მოგვწონს ეს თუ არა, უოლ-სტრიტის, მეინ-სტრიტის და ყველა სხვა ამერიკული სტრიტის მკვიდრნი ერთ ნავში სხედან“, — განაცხადა ბაფეტმა.

თუმცა მანვე აღნიშნა, რომ პროტექციონიზმის შედეგად კონკურენტუნარიანი გარემო მახინჯდება, რადგან გაკოტრების პირას მყოფი გიგანტები იაფ სამთავრობო რესურსებს იღებენ, ხოლო ჩაძირვას გადარჩენილი კომპანიები სესხისთვის მაღალ პროცენტს იხდიან.

„გადააჩვევს თუ არა „ბავშვს“ სამთავრობო ფინანსების წოვას, ეს ახალი ხელისუფლების პოლიტიკური გამოცდა იქნება“, — წინასწარმეტყველებს ბაფეტი.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ვის და რატომ სურს 1990 წლის კონსტიტუციის აღდგენა?

საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის მზარდმა არაპოპულარობამ ეჭვქვეშ დააყენა არა მხოლოდ მისი პიროვნება, არამედ, ზოგადად, პრეზიდენტის ინსტიტუტი. საზოგადოების დიდი ნაწილისათვის უკვე ტერმინი „პრეზიდენტიც“ კი ისევე მიუღებელია, როგორც მიხეილ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება.

7 ნოემბრის პერიპეტიების შემდეგ აქტიურად საუბრობდნენ სახელმწიფოს მოწყობის სხვადასხვა მოდელზე, მათ შორის, მონარქიის აღდგენაზე. სახელმწიფოს მონარქიულ მოწყობაზე ერთ-ერთ ეპისტოლეში საქართველოს პატრიარქმაც ისაუბრა. ეს თემა იმდენად სერიოზული განხილვის საგანი გახდა, რომ სააკაშვილიც კი შეაშფოთა და ტელეეთერით „ახუმრა“ — ბებიაჩემი ბაგრატიონი იყო და პრეზიდენტად თუ აღარ მოგწონვართ, მეფედ მიმიღეთო...

მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებებისა, პრეზიდენტის ინსტიტუტის შეფასებისას საზოგადოებაში ერთსულოვანი აზრი ჩამოყალიბდა: ამ ინსტიტუტმა საქართველოში ვერ გაამართლა. მეტიც: სწორედ ამ ინსტიტუტის „დამსახურებაა” ის, რომ 21-ე საუკუნეში ტოტალიტარიზმის კარებზე ვაკაკუნებთ.

ამ მოსაზრებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. მათ მიაჩნიათ, რომ საქართველოში კრახი განიცადა და არ გაამართლა არა პრეზიდენტის ინსტიტუტმა, არამედ კონკრეტულმა პრეზიდენტებმა.

„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ მკითხველის წერილს, რომელიც ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის საჭირბოროტო საკითხს ეხება.

არის თუ არა მონარქია გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან? უშველის კი მეფე ბელადებით თავგაბეზრებულ საზოგადოებას? გამოიყვანს კი მონარქი ქვეყანას იმ ჩიხიდან, რომელშიც ხელისუფალთა „მონდომებით“ აღმოვჩნდით? ამ შეკითხვებზე პასუხისაგან, ისევე როგორც სხვა სახის კომენტარებისაგან, რედაქცია თავს იკავებს, თუმცა სიამოვნებით დაუთმობს ადგილს ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის გარშემო პოლემიკაში ჩაბმულებს.

პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი საქართველოს უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის კონსტიტუციის იმ მუხლების ძალმოსილების აღდგენას მოითხოვს, რომლითაც დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ტერიტორიის ერთიანობა და განუყოფლობა.

„საქართველო და მსოფლიო“ იწყებს დისკუსიას სახელმწიფოებრივი მოწყობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თემებზე და მომავალშიც დაუთმობს გაზეთის ფურცლებს ნებისმიერ დასაბუთებულ და სათანადოდ არგუმენტირებულ მოსაზრებას.

ამჯერად კი გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრთან, დეპუტატთა კლუბ „28 ოქტომბერის“ გამგეობის თავმჯდომარესთან, ბატონ გელა ჩორგოლაშვილთან, აგრეთვე უზენაესი საბჭოს დეპუტატების მიმართვას და ჩვენი ერთ-ერთი მკითხველის წერილს, რომელიც მონარქიის უპირატესობაზე საუბრობს.

— ბატონო გელა, როგორც შევიტყვეთ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის I მოწვევის დეპუტატები, და მათ შორის თქვენც, ახალი ინიციატივით მიმართავთ საზოგადოებას და „მოქმედ პარლამენტს“ — აღდგეს საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის კონსტიტუციის იმ მუხლების ძალმოსილება, რომლითაც დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ტერიტორიის ერთიანობა და განუყოფლობა. რატომ გადაწყვიტეთ ახლა, ამ ურთულეს დროს, ასეთი ინიციატივის გამოჩენა?

— ეს „ურთულესი დრო“ საქართველოს 1991 წლის 22 დეკემბრის დილიდან უდგას... რაც უფრო ვცილდებით ამ თარიღს, მით უფრო ღრმავდება კრიზისი. და ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე არ მოხდება არსებული პოლიტიკური სისტემის არსის სააშკარაოზე გამოტანა და მისი დემონტაჟის სამართლებრივი კონსტრუქციის განსაზღვრა. ამ მიზნით ვითხოვთ, დაიწყოს მოლაპარაკებები ავტორიტეტულ ევროპულ ინსტიტუტებთან „სახელმწიფო და სამართლის საერთაშორისო ექსპერტთა კოლეგიის“ შექმნასთან დაკავშირებით. საქართველოში არა მხოლოდ კანონიერი ხელისუფლება დაამხეს, არამედ სახელმწიფო „საქართველოს რესპუბლიკის“ ლიკვიდაციაც მოახდინეს. ფორმალურად, ეს აქტი თითქოსდა „საბჭოთა საქართველოს“ წინააღმდეგ, „ნეოსაბჭოთა“ ხელისუფლების მიმართ განხორციელდა. ასე მივიღეთ „ახალი სახელმწიფო“ — „სახელმწიფო საქართველო“ როგორც სსრ კავშირის დაშლის შედეგი. ამ მოვლენის იურიდიული გაფორმება 1995 წლის 24 აგვისტოს ე.წ. კონსტიტუციის მიღებით დაიწყეს და 2004 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოების (დროშა, გერბი, ჰიმნი) შეცვლით დაასრულეს. მაგრამ „ახალი სახელმწიფოს“ შესაბამისი საზღვრების დადგენა დღემდე მიმდინარეობს. ვფიქრობ, საკამათო არავისთვისაა, რომ არსებული სისტემის შენარჩუნების შემთხვევაში არა მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა, არამედ საქართველოს დანაწევრების შემდგომი ეტაპები გვემუქრება. ჩვენი ინიციატივის დედააზრია საქართველოში ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობითობის პრინციპის რეალური უზრუნველყოფა და ძალაუფლების მიტაცების მანკიერ პრაქტიკაზე უარის თქმა. ამ კონტექსტში ვხედავ საქართველოს სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობის გარკვევასაც. ვფიქრობ, დღეს არსებული სისტემის „გაკეთილშობილების“ მცდელობები ძალაუფლებისთვის ბრძოლის ჩარჩოებს ვერ გასცდება. რეალურ ალტერნატივას სახელმწიფო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური სივრცე და მისი სახელმწიფო ინსტიტუტები წარმოადგენენ. „საერთაშორისო ექსპერტთა კოლეგიის“ შექმნა სისტემური ცვლილების არაძალადობრივ, მშვიდობიან, სამართლებრივ მექანიზმად გვესახება, რაც საქართველოს ხალხისა და ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციურ, ჭეშმარიტად დემოკრატიულ წესწყობილებაში დაბრუნების აუცილებლობით არის ნაკარნახევი.

— დღევანდელი მდგომარეობის გათვალსწინებით, როგორ წარმოგიდგენიათ ავტონომიური რესპუბლიკების ადგილი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში, რა არჩევანი აქვს საქართველოს — უნიტარიზმი, ფედერაცია თუ კონფედერაცია?

— საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმი-

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს I მოწვევის (1990 წ.) დეპუტატების მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის ხალხს, საქართველოს არსებულ პარლამენტს

ჩვენს ქვეყანაში შექმნილი სამართლებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა გვავალდებულებს, მივმართოთ საქართველოს არსებულ პარლამენტს:

სახელმწიფო “საქართველომ“ ***(საქართველოს კონსტიტუცია, 24.08.1995წ., თავი პირველი, მუხლი 1.3),*** ვიდრე დადგინდება, თუ როგორი ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა ექნება მას: — „ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“ *(საქართველოს კონსტიტუცია, 24.08.1995წ., მუხლი 2.3)* დღეს მოქმედ ძირითად კანონში დაადასტუროს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური სტატუსი *(აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია, მიღებულია 1978 წლის 6 ივნისს, 1990 წლის 4 დეკემბრის, 1991 წლის 28 თებერვლის და 9 ივლისის აფხაზეთის ასსრ კანონებით შეტანილი შესწორებებით და დამატებებით, თავი პირველი, მუხლი 1.),* როგორც საქართველოს იურისდიქციიდან გასულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სუბიექტთან სახელმწიფო-სამართლებრივი კავშირის აღდგენის პოლიტიკური ნება.

აღდგეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის იმ მუხლების ძალმოსილება, რომლითაც დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ტერიტორიის ერთიანობა და განუყოფლობა *(69,7 ათასი კვ.კმ., 1991 წლის 9 აპრილის მდგომარეობით),* საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივ-პოლიტიკური სტატუსის გათვალისწინებით. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ეს მუხლებია: 1, 2, 71, 72, 75, 79, 80, 81, 82, 85, 86, 92, 97, 102, 104, 108, 110, 111, 112, 113, 118, 121-1, 123, 125, 131, 132, 133, 134, 135, 136, 140, 141, 146, 150, 159, 160, 161, 163, 164, 171, 175-5, 175-6, 177 *(საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია /ძირითადი კანონი/, მიღებულია 1978 წლის 15 აპრილს, საქართველოს სსრ 1984 წლის 7 იანვრის, 1986 წლის 5 ივლისის, 1989 წლის 18 ნოემბრის, 1990 წლის 20 მარტისა და 18 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 14, 15, 22 ნოემბრის, 11, 28 დეკემბრის, 1991 წლის 29 იანვრის, 27, 28 თებერვლის, 20 მარტის, 14, 23, 27 აპრილის, 23 მაისის, 14 ივნისის, 25 ივლისის, 2, 10, 26 აგვისტოს, 11 და 30 ოქტომბრის კანონებით შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით);*

დაიწყოს მოლაპარაკება პოლიტიკურ დასავლეთთან, საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ საქართველოსათვის დახმარების გაწევის მიზნით მიღებული გადაწყვეტილების ფორმატში, „სახელმწიფო და სამართლის საერთაშორისო ექსპერტთა კოლეგიის“ შექმნის წინადადებით. აღნიშნული ინიციატივის მიზანს წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობითობის პრინციპის უარყოფისა და ძალაუფლების დანაშაულებრივი გზით მიტაცების პრაქტიკის აღსაკვეთად აუცილებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის შემუშავება და სამართლებრივი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის უფლების აღდგენა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს I მოწვევის (1990 წ.) დეპუტატები:

აბზიანიძე შალვა, ასათიანი აკაკი, ახმეტელი ლევან, ბარამიძე თენგიზ, ბარათაშვილი პაატა, ბოკუჩავა ზვიად, ბურკაძე იური, გაბაშვილი მანანა, გაფრინდაშვილი შოთა, გვანცელაძე თეიმურაზ, გველესიანი თამაზ, გვერდწითელი გურამ, გოგაძე დავით, გოგუაძე ემზარ, გოლეთიანი გივი, გურგენიძე ვაჟა, გუგუშვილი თამაზ, დიხამინჯია თენგიზ, ვარძელაშვილი ალექსანდრე, ზვიადაძე სალომე, იმნაძე ავთანდილ, ინასარიძე ხვედრი, იონათამაშვილი ჯემალ, ისაკაძე გრიგოლ (გურამ), კავსაძე ალექსანდრე, კასრაძე იოსებ, კემულარია რევაზ, კვანჭილაშვილი მალხაზ, კვაჭაძე ნუგზარ, კოსტავა ზაურ, კოღუაშვილი პაატა, კუდბა ანზორ, კუპრეიშვილი დავით, ლორთქიფანიძე თეიმურაზ, მარგიანი გრიგოლ, მაყაშვილი მიხეილ, მასხარაშვილი ირაკლი, მაჭავარიანი არჩილ, მგალობლიშვილი ნუგზარ, მეუნარგია ვახტანგ, მოლოდინაშვილი ნუგზარ, მჟავია თემურ, ნათაძე მაია, ნათაძე ნოდარ, ნონიაშვილი ნოდარ, პაატაშვილი თედო, პაპუნიძე გურამ, რცხილაძე ავთანდილ, საკანდელიძე ანზორ, სანებლიძე ნიკოლოზ, საყვარელიძე მერაბ, საჯაია ჯემალ, სილაგაძე აპოლონ, სიჭინავა ანზორ, სუბელიანი გია, ტაბიძე დავით, ურიდია მერაბ, ფაცაცია გერმანე, ფირცხალაიშვილი გია, ფუტკარაძე ტარიელ, ქავთარაძე გიორგი, ქებურია დიმიტრი, ქორიძე თეიმურაზ, ყაველაშვილი ეთერ, ყრუაშვილი ანრი, ყურაშვილი თამაზ, შარიქაძე ვალერიან, ჩორგოლაშვილი გელა, ცოფურაშვილი ვლადიმერ, ცხომელიძე რომან, წიქორიძე ზურაბ, ძოწენიძე ზურაბ, ხანიშვილი ტრისტან, ჯანელიძე ედუარდ, ჯანჯალია ედიშერ.

2009 წლის 25 თებერვალი
თბილისი

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ნისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ითვალისწინებდა ორ ავტონომიურ რესპუბლიკას, 53 რაიონსა და 10 რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქს. რესპუბლიკის კონსტიტუციის 79-ე მუხლით განმარტებული იყო, რომ „ავტონომიური რესპუბლიკა სახელმწიფოა, რომელიც არის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას შეესაბამება და ითვალისწინებს ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებებს“, ხოლო 81-ე მუხლით: „ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მათი თანხმობის გარეშე“. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ეს და სხვა, შესაბამისი მუხლები, მიუთითებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფო მოწყობის ფედერაციულ ხასიათზე. როდესაც 1991 წლის 9 აპრილს უზენაესი საბჭო საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციას აფორმებს, ამავე დროს, იღებს დადგენილებას საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისიის ფორმირების თაობაზე. კომისიაში ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართულნი, ვინაიდან კონსტიტუციური ნორმით იყო განსაზღვრული ავტონომიური რესპუბლიკის მონაწილეობა საქართველოს რესპუბლიკის გამგეობას მიკუთვნებულ საკითხთა გადაწყვეტაში. „საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისია“ 1921 წლისა და მოქმედი კონსტიტუციების საფუძველზე სამართლის ექსპერტებისა და კონსტიტუციის სპეციალისტთა მონაწილეობით საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემუშავებისთვის იწყებდა მუშაობას. ავტონომიურ რესპუბლიკებთან მიმდინარეობდა პოლიტიკური კონსულტაციები. ახალი კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი, სახელმწიფოს ერთიანი ინტელექტუალური გონის გაბრწყინების დემონსტრაციად უნდა ქცეულიყო. ვფიქრობ, სახელმწიფოს პოლიტიკური და ტერიტორიული მოწყობის შესაძლო მოდელი ამგვარ პირობებში და ამგვარი მიდგომებით უნდა იშვას. ძალზე სამწუხაროა, რომ საქართველოს ამის შესაძლებლობა არ მიეცა.

— რამდენად მიზანშეწონილი იყო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება 1991 წელს მიღებული კანონმდებლობით, რომლის საფუძველზეც ამ რესპუბლიკის მოსახლეობის 18%-ს, ანუ აფხაზებს, უპირატესობა ენიჭებოდათ ამავე რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველებთან, ანუ 47%-თან შედარებით და უმაღლეს საბჭოში უმრავლესობაც ჰქონდათ?

— მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ არჩევნები აფხაზეთში გაიმართა მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკას უკვე მიღებული აქვს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დეკლარაცია, აღარ იწოდება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს საკუთარ კონსტიტუციაში უკვე შეტანილი აქვს შესაბამისი შესწორება, რითაც აფხაზეთის ასსრ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციურ სუბიექტად არის აღიარებული და არჩევნები ტარდება სახელმწიფო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე. ეროვნული ხელისუფლების მიერ არჩეული პოლიტიკა იყო დემონსტრირება იმისა, რომ საქართველოს ესმის აფხაზთა რეალური მდგომარეობა, მათი „ფობიების“. ჩვენთვის „საბჭოთა პროპაგანდის“ წნეხი ყურმოკრული ამბავი არ ყოფილა. საქართველოს, არსებითად, დამოუკიდებელი და ერთიანი სახელმწიფო უკანასკნელი ხუთი საუკუნე არ ჰქონია და ჩვენთვისაც ბევრი რამ თავიდან შესაქმნელი და ასაღორძინებელი იყო. ვფიქრობ, აქ 18%-სა და 47%-ს შორის რიცხვით განსხვავებაზე კი არ უნდა ვსაუბრობდეთ, არამედ ქართველთა და აფხაზთა შორის ჭეშმარიტი ნდობის აღდგენაზე. აფხაზები ითხოვდნენ გარკვეულ გარანტიებს და მათი მოთხოვნა სრულიად გასაგები იყო. ჩვენ ხელი გავუწოდეთ მათაც, გარკვეული სიფრთხილით, მაგრამ ეს გაწვდილი ხელი მიიღეს. სამწუხაროდ, ამ ურთიერთობას მრავალი მტერი გამოუჩნდა და არა მხოლოდ შინ. დიახ, აფხაზებთან მეგობრობის ენა იყო არა თუ გამართლებული, არამედ ერთადერთი სწორი პოლიტიკური არჩევანი, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ აირჩია და ამ პოლიტიკას დაუბრუნდება საქართველოს ყოველი მომდევნო, ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლება.

— საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ ძალისხმევას არ დაიშურებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, მაგრამ არავინ იცის, როგორ, რა გზებით აპირებს იგი ამის განხორციელებას...

— ჩვენ ვხედავთ, რომ დამარცხებას გამარჯვებას უწოდებენ. ვფიქრობ, მოცემულ სისტემაში სახელმწიფო „საქართველოს“ ტერიტორიის შენარჩუნება 69,7 ათასი კვადრატული კილომეტრის, ე.ი. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში, გათვალისწინებული არც არის. ნებისმიერი პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც ამ სისტემაში ძალაუფლებას „მიიღებს“, ვერ გაავრცელებს „საკუთარ იურისდიქციას“ საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. მათ ამის საკმარისი სამართლებრივი რესურსი არ აქვთ, ძალით კი, ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება.

— თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ 1991 წლის სტატუს-კვო აღდგეს?

— მინდა, გავიმეორო, რომ ჩვენ არ ვაკეთებთ განცხადებას როგორც სახელმწიფო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის ოფიციალური წარმომადგენლები. საბედნიეროდ, საქართველოს რესპუბლიკას, მრავალი მცდელობის მიუხედავად, შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები დღემდე ჰყავს. „მიმართვას“ ხელს აწერენ ის ადამიანები, რომლებმაც „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციას“ 1991 წლის 9 აპრილს მოაწერეს ხელი და დღემდე ინარჩუნებენ საკუთარ პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ერის წინაშე. რაც შეეხება „1991 წლის სტატუს-კვოს აღდგენას“ — ფაქტია, ქართველმა ერმა უნდა დაიბრუნოს საკუთარი სახელმწიფო და რეალური ძალაუფლება, რომელიც მას ასე მზაკვრულად გამოსტაცეს და XXI საუკუნის გლობალურ გამოწვევებთან პირისპირ სრულიად დაუცველი დატოვეს. სწორედ ამ მიზნით ვითხოვთ ექსპერტთა საერთაშორისო კოლეგიას. მექანიზმი განისაზღვრება ექსპერტების მიერ საერთაშორისო უნივერსალურ ინსტიტუტებსა და მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერთა მიერ გამჟღავნებული თავისუფალი პოლიტიკური ნების პირობებში.

მხოლოდ მონარქია!

ტრისტან დანელია: მეფე ხუან-კარლოსმა თავისი მოსვლით დაასრულა ფრანსისკო ფრანკოს დიქტატურის ერა და დაიწყო ქვეყნის დემოკრატიზაცია

მოდი, ბოლოს მაინც გავაკეთოთ ის, რითაც უნდა დაგვეწყო დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობა — აღვადგინოთ მონარქია, აღვადგინოთ მეფობა, აღვადგინოთ ის, რისი გაუქმებითაც დაკარგა საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა! რამდენი წელია, ვერა და ვერ აეწყო ჩვენს ქვეყანაში ნორმალური ცხოვრება, წესრიგი, იმასაც ვერ მოვუარეთ, რაც ამდენი ქარტეხილის შემდეგ შემოგვრჩა. ვერ მოვაბით თავი ვერც საშინაო და ვერც საგარეო პოლიტიკას. როდესაც მტერი შიგნით გყავს, რომელსაც უყურებ და ვერ გაგიგია, მტერია თუ მოყვარე, როდესაც ვერ გაგირჩევია, ვინ ვინ არის, რა რა არის, არ იცი, როდის რა თქვა და რა გააკეთო, შეუძლებელია, რაიმე რიგიანი გამოგივიდეს.

საქართველოს პატრიარქმა მოგვიწოდა მონარქიის აღდგენისაკენ. უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს მონარქისტული პარტია არსებობს 1989 წლის 10 აპრილიდან. მის გარდა რამდენიმე პარტიაც დადგა ამ თვალსაზრისზე, ხოლო პატრიარქის მოწოდების შემდეგ ძალიან ბევრმა გაიზიარა ეს აზრი და მონარქიზმისკენ გადაიხარა, მაგრამ ეს ძალიან მძიმე და რთული საკითხია — დაიკარგა ტრადიცია, როდესაც მეფე განასახიერებდა თავის ქვეყანას, თავის ერს, მის სუვერენიტეტს, თვითმყოფადობას, ისტორიას, კულტურას. გადაეჩვია იმ აზრს, რომ მეფე იყო ქვეყანაში სამართლიანობისა და წესრიგის გარანტი.

მაგრამ დღევანდელ საქართველოში ყველას მეფობა და თავადობა გვინდა (იმას არ ვუფიქრდებით — გვეკუთვნის თუ არა, შეგვიძლია თუ არა), აზნაურობაზე ან დავთანხმდებით, ან არა, გლეხად ყოფნა არავის უნდა. კი, ვგრძნობთ, რომ არ შეიძლება ასე, მაგრამ მაინც ჩვენსას ვცდილობთ — რა იცი, ეგებ გამოგვივიდეს! და ასეთი მიდგომით რაც მივიღეთ, ის შეგვრჩა ხელთ. ჩვენი პოლიტიკოსები დღესაც ბრტყელ-ბრტყელად ლაპარაკობენ, მაგრამ კონკრეტულ გზას ვერავინ გვიჩვენებს. და სწორედ რომ კონკრეტულ გზას გვისახავს ჩვენი პატრიარქი — ეს არის **მეფობის აღდგენა საქართველოში!**

რით არის მიუღებელი მეფობა?

რას აშავებს მონარქიზმი როგორც ინსტიტუტი?

მეფის ინსტიტუტის დამკვიდრებით ბოლო მოეღება ამდენ ქიშპობას, ორომტრიალს, უწესობასა და უწესრიგობას, ურთიერთდაპირისპირებასა და მტრობას. ხოლო ჩვენთვის, უბრალო ხალხისთვის, თუ ღმერთი გწამთ, განა სულ ერთი არ არის, ვინ იქნება მმართველი — მეფე თუ პრეზიდენტი? მთავარია, ქვეყანაში იყოს წესრიგი და სამართლიანობა, რომ ადამიანს შეეძლოს მშვიდობიანად ცხოვრება და შრომა, არ ჰქონდეს შიში, რომ ხვალ ისევ აირევა ქვეყანა. მარტო ის რად ღირს, რომ მეფეს არ ეყოლება რომელიმე გამორჩეული ფავორიტი პარტია — ის არ იქნება რომელიმე პარტიის ლიდერი ან წევრი. მისთვის ყველა პოლიტიკური პარტია, საერთო ჯამში, იქნება საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის ნების გამომხატველი. და თუ დღეს პარტიები საზოგადოების გამთიშველი ფაქტორის როლს თამაშობენ, სწორედ მეფე იქნება ერისა და ქვეყნის **გამაერთიანებელი.**

რაც შეეხება ქვეყნის მართვა-გამგეობას, როგორც ყველა სხვა კონსტიტუციურ მონარქიაში, ქვეყანას უნდა მართავდეს პარლამენტის მიერ დანიშნული მთავრობა პრემიერ-მინისტრის მეთაურობით.

მეფე გახლავთ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის **უპირველესი გარანტი!**

1975 წლის ივნისში ესპანეთში გახლდით. ტელევიზიით აჩვენებდნენ ესპანეთის მეფე ხუან-კარლოსისა და დედოფალი სოფიოს ჩასვლას ქალაქ სევილიაში. ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით ესალმებოდა თავის მეფეს. მართალი გითხრათ, შემშურდა ესპანელების. მეფე ხუან-კარლოსმა თავისი მოსვლით დაასრულა ფრანსისკო ფრანკოს დიქტატურის ერა და დაიწყო ქვეყნის დემოკრატიზაცია.

გავიხსენოთ, როდის იყო სამართლიანი გაუყალბებელი პრეზიდენტის არჩევნები. ეგებ ისიც გავიხსენოთ, რამდენი მილიონი ჯდება ეს სიამოვნება. როგორ ფიქრობთ, არ არის შეღავათი ხალხისთვის, ქვეყნის ბიუჯეტისათვის?

ადამიანის აზროვნებას მთლიანად წარმართავს მიღებული ინფორმაცია: აზროვნების მიმართულება დამოკიდებულია ინფორმაციის ხარისხზე, ხოლო აზროვნების სიღრმე — ინფორმაციის რაოდენობაზე. და რამდენადაც სწორად არის ადამიანი ინფორმირებული, იმდენად სწორი გადაწყვეტილების მიღების შანსი აქვს მას (პირადი თვისებების გათვალისწინებით). ამიტომ საჭიროა, ჩვენს ხალხს მივაწოდოთ უფრო მეტი ინფორმაცია ინგლისის, ბელგიის, შვედეთის, დანიის, ნორვეგიის, ესპანეთის მონარქიებზე. ის მასალები, რაც დღესდღეობით ხვდება პრესაში, არ არის საკმარისი. ყველა საჭირბოროტო საკითხზე უნდა გაიცეს ამომწურავი პასუხი. მაგალითად, საუბარში ხშირად წამოჭრილა საკითხი სამეფო ტახტზე პრეტენდენტის ვინაობის შესახებ. გამოთქმულია აზრი როგორც „ესპანელი“ ბაგრატიონების, ასევე „თბილისელი“ ბაგრატიონების სასარგებლოდ. ჩემი აზრით კი, ეს საკითხი უნდა გადაწყვიტონ ქართულმა ეკლესიამ და ქართველმა ისტორიკოსებმა. ზოგიერთებს იმის შიშიც აქვთ (ბევრჯერ გამოუთქვამთ საუბარში), რომ მეფობა ბევრი ზედმეტი ხარჯის მომტანი იქნება. ტყუილუბრალოდ შიშობენ: ჯერ ერთი, ამ ხარჯებს დაადგენს პარლამენტი; მეორე, ახლანდელ, ანუ პრეზიდენტის ინსტიტუტზე გაწეულ ხარჯებზე მეტი მაინც არ იქნება. შემიძლია ვთქვა, რომ ყოველ მოქალაქეს მეფის შენახვა **თვეში 1 (ერთ) ლარზე** მეტი არ დაუჯდება.

ასეთი შიშიც ივარაუდეს — თავადაზნაურობა თავის ქონებას და მიწებს მოითხოვსო. 21-ე საუკუნეში თავად-აზნაურთა ტიტული იქნება უფრო სიმბოლური, ვიდრე რაიმე პრივილეგიების გამომხატველი ან რაიმე მატერიალური პრეტენზიების მატარებელი. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოში ყველაზე ძველ დინასტიას რატომ არ უნდა უმშვენებდეს მხარს ასევე ძველი თავადების შთამომავლობა? მე ამაში რაიმე სათაკილოს ვერ ვხედავ. პირიქით! ჩვენ **ძველი ერი** ვართ და უნდა ვიამაყოთ ჩვენი ძველი სამეფო დინასტიითა და არისტოკრატიით. ეს არის ერის სილამაზე! მე იმასაც ვიტყოდი, რომ ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის გარკვეულ პიროვნებას მიენიჭოს აზნაურობა ან თავადობა. ოღონდ პიროვნულად და არა შთამომავლობით. ცალკეული პიროვნების (რა დონეზეც უნდა იდგნენ ისინი) რაღაც აუხსნელი მოქმედებების გამო არ უნდა დაიჩრდილოს მონარქიზმის სუფთა იდეა. მონარქისტი რომ იყო, ამისათვის არ არის აუცილებელი, იყო ბაგრატიონების ან თავადების შთამომავალი.

ამისათვის საჭიროა, იყო შენი ქვეყნის პატრიოტი!

მე მწამს, რომ საქართველოში მეფობის აღდგენითა და მონარქიზმის ინსტიტუტის განახლებით ჩვენი ქვეყანა ნამდვილად გახდება დამოუკიდებელი, გამოვა იმ ქვეყნების ზეგავლენიდან, ვინც ცდილობს ჩვენზე თავისი ბატონობის დამკვიდრებას. ვინც დაუკვირდება, დაუფიქრდება, აწონ-დაწონის, ის ნათლად დაინახავს იმას, რომ მონარქიზმს, როგორც ინსტიტუტს, გაცილებით მეტი დადებითი მხარე აქვს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. თანაც ამ პატარა სტატიაში შეუძლებელია ყველაფრის თქმა. იმედი მაქვს, რომ სხვა მონარქისტებიც იტყვიან თავის სიტყვას. კატონ-უფროსის ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი რომ მოვიშველიოთ: — **მონარქია უნდა აღდგეს!!!**

P.S. ეს სტატია დაწერილი იყო 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებამდე, მაგრამ ზოგიერთი მიზეზის გამო არ გამოქვეყნებულა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

იოსებ სტალინი:

ჩვენ არა ვართ ძალიან კარგი ქრისტიანები, მაგრამ ქრისტიანობის პროგრესული როლის უარყოფა არ შეიძლება

1953 წლის მარტში, მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს მოსახლეობა თავს ობლად გრძნობდა... ბელადი აღარ იყო... იოსებ ჯუღაშვილის სახელს, როგორც აჩრდილს წარსული დიდებისა, ებრძვიან და ლაფში სვრიან... დაუზარელი მცდელობის მიუხედავად, სტალინი ბევრისათვის დღემდე რჩება XX საუკუნის უდიდეს ადამიანად. მას უამრავი ბრალდება წაუყენეს, მათ შორის, ხელოვანთა საქმიანობაში უხეში ჩარევა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გაფორებული ბრძოლა. „საქართველო და მსოფლიო“ უცვლელად გთავაზობთ სტალინისა და გამოჩენილი რეჟისორის სერგეი ეიზენშტეინის საუბარს კინოფილმ „ივანე მრისხანესთან“ დაკავშირებით. ამ საუბრიდან თავად დაასკვნით, როგორ „ებრძოდა“ ბელადი მართლმადიდებლობას და რა დამოკიდებულება ჰქონდა მას ზოგადად ხელოვნებისადმი.

ჩვენ *(ს.მ. ეიზენშტეინი და ნ.კ. ჩერკასოვი — რედ.)* გამოგვიძახეს კრემლში 11 საათისათვის. 10 საათსა და 50 წუთზე მივედით მისაღებში. ზუსტად 11 საათზე გამოვიდა პოსკრებიშევი და შეგვიძღვა კაბინეტში. კაბინეტის სიღრმეში არიან სტალინი, მოლოტოვი, ჟდანოვი. ვესალმებით, ვუსხდებით მაგიდას.

სტალინი: თქვენ მოგვწერეთ წერილი. პასუხი ცოტა დაგიგვიანეთ. გხვდებით მოგვიანებით. ვფიქრობდი, წერილით მეპასუხა, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ჯობია ვისაუბროთ. ვინაიდან ძალიან დაკავებული ვარ, დრო არა მაქვს, გადავწყვიტე, დიდი დაგვიანებით აქ შეგხვედროდით... თქვენი წერილი ნოემბერში მივიღე.

ჟდანოვი: თქვენ ის ჯერ კიდევ სოჭში მიიღეთ.

სტალინი: დიახ, დიახ. რას ფიქრობთ სურათთან დაკავშირებით?

ჩვენ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ მეორე სერია დავჭერით ორ ნაწილად, რის გამოც ლივონის ლაშქრობა არ შევიდა ამ სურათში და გამოვიდა დისპროპორცია მის ორ ნაწილს შორის, და სურათის გასწორება შეიძლება იმ თვალსაზრისით, რომ შევამციროთ გადაღებული მასალის ნაწილი და გადავიღოთ, ძირითადად, ლივონის ლაშქრობა.

სტალინი: თქვენ ისტორია გისწავლიათ?

ეიზენშტეინი: ასე თუ ისე...

სტალინი: ასე თუ ისე? მეც ცოტათი ვიცნობ ისტორიას. თქვენ არასწორად გაქვთ ნაჩვენები ოპრიჩნინა. ოპრიჩნინა — ესაა მეფის არმია. ფეოდალური არმიისაგან განსხვავებით, რომელსაც ნებისმიერ მომენტში შეეძლო დაეკეცა დროშები და წასულიყო ომიდან — შეიქმნა რეგულარული არმია, პროგრესული არმია. თქვენთან ოპრიჩნიკები ნაჩვენებია როგორც კუ-კლუკს-კლანი.

ეიზენშტეინმა თქვა, რომ იმათ აცვიათ თეთრი ჩაჩები, ჩვენთან კი ისინი შავებში არიან.

მოლოტოვი: ეს არ არის პრინციპული განსხვავება.

სტალინი: მეფე თქვენ გამოგივიდათ გაუბედავი, ჰამლეტს ჰგავს. ყველა მას უკარნახებს, თუ რა უნდა გააკეთოს, და არა იმას, რომ თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება... ივანე მეფე იყო დიდი და ბრძენი მმართველი, და თუ მას შევადარებთ ლუდოვიკო XI (გაქვთ წაკითხული ლუდოვიკო XI შესახებ, რომელიც ლუდოვიკო მეთოთხმეტესათვის ამზადებდა აბსოლუტიზმს?), მაშინ ივანე მრისხანე ლუდოვიკოსთან შედარებით მეათე ცაზეა. ივანე მრისხანეს სიბრძნე ის იყო, რომ ის იდგა ეროვნულ თვალსაზრისზე და უცხოელებს თავის ქვეყანაში არ უშვებდა, იცავდა ქვეყანას უცხოური გავლენის შეღწევისაგან. ივანე მრისხანეს ამ თვალსაზრისით ჩვენებაში დაშვებული იქნა გადახრები და უზუსტობანი. პეტრე პირველიც დიდი ხელმწიფე იყო, მაგრამ ის ზედმეტად ლიბერალურად ეკიდებოდა უცხოელებს, ფართოდ გაუღო კარები და დაუშვა ქვეყანაში უცხოური გავლენა, რუსეთის გაგერმანელება. ის კიდევ უფრო მეტად დაუშვა ეკატერინემ. და შემდეგ, განა ალექსანდრე პირველის კარი რუსული კარი იყო? განა ნიკოლოზ პირველის კარი რუსული კარი იყო? არა. ეს იყო გერმანული სასახლის კარები. ივანე მრისხანეს შესანიშნავი ღონისძიება იყო ის, რომ პირველმა შემოიღო საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია. ივანე მრისხანე იყო პირველი, ვინც ის შემოიღო, ლენინი — მეორე.

ჟდანოვი: ეიზენშტეინის ივანე მრისხანე ნევრასტენიკი გამოვიდა.

მოლოტოვი: საერთოდ, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ფსიქოლოგიზმზე, შინაგან ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობათა და პიროვნულ განცდათა ზედმეტად ხაზგასმაზე.

სტალინი: ისტორიული ფიგურები უნდა ვაჩვენოთ სწორად სტილის მიხედვით. მაგალითად, პირველ სერიაში არ არის სწორი, რომ ივანე მრისხანე ასე დიდხანს კოცნის ცოლს. იმ დროს ეს დაუშვებელი იყო.

ჟდანოვი: სურათი გაკეთებულია ბიზანტიურ სტილში, იქაც არ იყო ეს პრაქტიკაში.

მოლოტოვი: პირველი სერია ძალიან შეზღუდულია კამარებით, სარდაფებით, არაა სუფთა ჰაერი, არ არის მოსკოვის სივრცე, არ არის ნაჩვენები ხალხი. შეიძლება აჩვენო საუბრები, შეიძლება აჩვენო რეპრესიები, მაგრამ არა მხოლოდ ეს.

სტალინი: ივანე მრისხანე მეტად მკაცრი იყო. იმის ჩვენება, რომ ის იყო მკაცრი, შეიძლება, მაგრამ საჭიროა, ვუჩვენოთ, რატომ არის აუცილებელი სიმკაცრე.

ივანე მრისხანეს ერთ-ერთი შეცდომა იყო ის, რომ მან არ ამოწყვიტა ხუთი დიდი ფეოდალური ოჯახი. მას რომ ბოიარების ის ხუთი ოჯახი გაენადგურებინა, მაშინ აღარც შფოთიანი დრო იქნებოდა. ივანე მრისხანე კი სჯიდა ვინმეს სიკვდილით, შემდეგ კი დიდხანს ნანობდა და ლოცულობდა. ამ შემთხვევაში მას ღმერთი ხელს უშლიდა. უნდა დაეცხო კიდევ უფრო გაბედულად.

მოლოტოვი: ისტორიული მოვლენები უნდა ვაჩვენოთ სწორი გააზრებით. აი, მაგალითად, იყო შემთხვევა დემიან ბედნის პიესა „დევგმირთან“ დაკავშირებით. დემიან ბედნი იქ დასცინოდა რუსეთის ნათვლას, საქმე კი ის იყო, რომ ქრისტიანობის მიღება თავისი ისტორიული ეტაპისათვის პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა.

სტალინი: რასაკვირველია, ჩვენ არა ვართ ძალიან კარგი ქრისტიანები, მაგრამ ქრისტიანობის პროგრესული როლის უარყოფა გარკვეულ ეტაპზე არ შეიძლება. ამ მოვლენას ჰქონდა ძალიან დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ეს იყო რუსეთის სახელმწიფოს შემობრუნება დასავლეთთან დაახლოებაში და არა — აღმოსავლეთზე ორიენტაცია.

აღმოსავლეთთან ორიენტაციასთან დაკავშირებით სტალინი ამბობს, რომ თათრების უღლისაგან გათავისუფლების შემდეგ ივანე მრისხანე ჩქარობდა, გაერთიანებულიყო მათთან, რათა საიმედო ბურჯი ყოფილიყო თათართა შესაძლო შემოსევების დროს. ასტრახანი დამორჩილებული იყო, მაგრამ ნებისმიერ დროს შეეძლო თავს დასხმოდა მოსკოვს. ყირიმელ თათრებსაც შეეძლოთ ამის გაკეთება.

სტალინი: დემიან ბედნი ისტორიულ პერსპექტივებს სწორად ვერ წარმოიდგენდა. როდესაც მინინისა და პოჟარსკის ძეგლი გადაგვქონდა ვასილ ნეტარის ტაძრის მახლობლად, დემიან ბედნი პროტესტს აცხადებდა და წერდა იმის შესახებ, რომ ძეგლი საერთოდ უნდა გადავაგდოთ და საერთოდ დავივიწყოთ მინინი და პოჟარსკი. ამის პასუხად მე მას ვუწოდე „ივანი, რომელსაც არ ახსოვს თავისი წარმომავლობა“. ისტორიის გადაგდება ჩვენ არ შეგვიძლია...

შემდეგ სტალინმა გააკეთა რამდენიმე შენიშვნა ივანე მრისხანეს სახის განმარტების შესახებ და აღნიშნა, რომ მალუტა სკურატოვი იყო დიდი მხედართმთავარი და გმირულად დაიღუპა ლივონიასთან ომში.

ამის პასუხად ჩერკასოვმა აღნიშნა, რომ კრიტიკა გვეხმარება და რომ პუდოვკინმა კრიტიკის შემდეგ კარგი ფილმი „ადმირალი ნახიმოვი“ გააკეთა და დაუმატა: „დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენც არ გავაკეთებთ უარესად, ვინაიდან მე ვმუშაობ ივანე მრისხანეს სახეზე არა მხოლოდ კინოში, არამედ თეატრშიც, შემიყვარდა ეს სახე და მიმაჩნია, რომ ჩვენი მუშაობა სცენარის გადაკეთებაზე შეიძლება აღმოჩნდეს სწორი და სამართლიანი“.

რაზეც სტალინმა უპასუხა (მიმართა მოლოტოვსა და ჟდანოვს): „ვნახოთ, ვცადოთ“.

ჩერკასოვი: დარწმუნებული ვარ, რომ გადაკეთება გამოგვივა.

სტალინი: ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ყოველი დღე ახალი წელია (იცინის).

ეიზენშტეინი: ჩვენ ვამბობთ, რომ პირველ სერიაში კარგი გამოგვივიდა ზოგიერთი მომენტი, ეს კი გვაძლევს იმის რწმენას, რომ მეორე სერიასაც გავაკეთებთ.

სტალინი: იმაზე, რაც კარგი გამოგვივიდა, ჩვენ ახლა არ ვსაუბრობთ. ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ მხოლოდ ნაკლოვანებებზე.

ეიზენშტეინი ეკითხება, ხომ არ იქნება რაიმე სპეციალური მითითება სურათთან დაკავშირებით.

სტალინი: მე თქვენ მითითებას კი არ გაძლევთ, არამედ გამოვთქვამ მაყურებლის შენიშვნებს. საჭიროა, ისტორიული სახეები წარმოვაჩინოთ სწორად. აი, მაგალითად, გვიჩვენეს გლინკა. ეს რა გლინკაა? ეს ხომ მაქსიმია და არა გლინკა. მსახიობ ჩიკოვს არ შეუძლია გარდაიქმნას სხვა სახედ, არტისტისთვის კი მთავარია ხარისხი — შეეძლოს გარდასახვა (მიმართავს ჩერკასოვს). აი, თქვენ გარდასახვა შეგიძლიათ.

ამაზე ჟდანოვი შენიშნავს, რომ ჩერკასოვს არ გაუმართლა ივანე მრისხანესთან დაკავშირებით, აქ იყო აგრეთვე პანიკა „გაზაფხულთან“ მიმართებაში, და მან დაიწყო მეეზოვის თამაში — სურათში „სიცოცხლის სახელით“ ის მეეზოვეს როლს ასახიერებს.

ჟდანოვი: მემკვიდრეობითი ხაზით. მემკვიდრეობით გადმოდიოდა...

სტალინი: საჭიროა, ისტორიული ფიგურები ვაჩვენოთ სწორად და ძლიერად (ეიზენშტეინს). აი, ალექსანდრე ნეველი თქვენ შეადგინეთ? შესანიშნავი გამოვიდა. რაც მთავარია — დავიცვათ ისტორიული ეპოქის სტილი. რეჟისორს შეუძლია გადაუხვიოს ისტორიიდან: არ არის სწორი, თუ იგი უბრალოდ გადმოიწერს დეტალებს ისტორიული მასალიდან, ის უნდა მუშაობდეს თავისი წარმოდგენით, მაგრამ დარჩეს სტილის ფარგლებში. რეჟისორს შეუძლია ვარირება ისტორიული ეპოქის სტილის ფარგლებში.

ჟდანოვი ამბობს, რომ ეიზენშტეინი გატაცებულია მრისხანეს ჩრდილებით (რაც მაყურებლის ყურადღებას აშორებს მოქმედებას) და წვერით, რომ მრისხანე ძალიან ხშირად სწევს თავს მაღლა, რომ გამოაჩინოს თავისი წვერი.

ეიზენშტეინი ჰპირდება, რომ მომავალში დაამოკლებს მრისხანეს წვერს.

სტალინი (იხსენებს ცალკეულ შემსრულებელს „ივანე მრისხანეს“ პირველი სერიიდან). კურბსკი ჩინებულია. ძალიან კარგია

კადრი ფილმიდან „ივანე მრისხანე“

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

სერგეი ეიზენშტეინი

სტარიცკი (არტისტი კადოჩნიკოვი). ის ძალიან კარგად იჭერს ბუზებს. კიდევ: მომავალი მეფეა და ბუზებს იჭერს ხელით!

ასეთი დეტალები უნდა მივცეთ. ისინი ავლენს ადამიანის არსს.

საუბარი გადადის ვითარებაზე ჩეხოსლოვაკიაში ჩერკასოვის გამგზავრებასთან დაკავშირებით გადაღებაზე და მის მონაწილეობაზე საბჭოთა კინოფესტივალში. ჩერკასოვი საუბრობს საბჭოთა ქვეყნის პოპულარობაზე ჩეხოსლოვაკიაში.

საუბარი შეეხება ნგრევებს, რაც ამერიკელებმა ჩეხოსლოვაკიის ქალაქებს მიაყენეს.

სტალინი: ჩვენს ამოცანაში შედიოდა, ამერიკელებზე ადრე შევსულიყავით პრაღაში. ამერიკელები ძალიან ჩქარობდნენ, მაგრამ კონევის რეიდის წყალობით შევძელით, დაგვესწრო მათთვის, პრაღის დაცემის წინ. ამერიკელები ბომბავდნენ ჩეხოსლოვაკიის მრეწველობას. ამ ხაზს ამერიკელები მხარს უჭერდნენ ყველგან ევროპაში. მათთვის მნიშვნელოვანი იყო, გაენადგურებინათ მათთან კონკურენციაში მყოფი მრეწველობა. ბომბავდნენ ისინი გემოვნებით!

ჩერკასოვი საუბრობს ალბომზე ფრანკოსა და გებელსის ფოტოებით, რომელიც იყო ელჩი ზორინის ვილაში.

სტალინი: კარგია, რომ ამ არამზადებს ბოლო მოვუღეთ. და ამ გარეწრებს რომ გაემარჯვათ, საშინელებაა, იფიქრო, რა იქნებოდა...

ჩერკასოვი საუბრობს პრაღაში საბჭოთა კოლონიის საბჭოთა სკოლის გამოშვებაზე. ყვება ემიგრანტთა შვილებზე, რომლებიც იქ სწავლობენ. ცოდვები არიან ბავშვები, რომლებიც თავიანთ სამშობლოდ რუსეთს მიიჩნევენ, ის თავისი სახლი ჰგონიათ, მაგრამ იქ დაიბადნენ და არასოდეს ყოფილან რუსეთში.

სტალინი: ბავშვები ცოდვები არიან, ისინი ხომ არაფერში არ არიან დამნაშავეები.

მოლოტოვი: ჩვენ ახლა დიდ შესაძლებლობას ვიძლევით, რომ ბავშვები დაბრუნდნენ რუსეთში.

სტალინი ჩერკასოვს ეუბნება, რომ მას შეუძლია გარდასახვა და რომ ჩვენთან კარგად შეეძლო გარდასახვა არტისტ ხმელიოვს.

ჩერკასოვმა თქვა, რომ მან ბევრი რამ ისწავლა, როდესაც მარინის თეატრში ლენინგრადში მუშაობდა სტატისტად იმ დროს, როდესაც იქ თამაშობდა და გამოდიოდა შალიაპინი — გარდასახვის უდიდესი ოსტატი.

სტალინი: ეს იყო დიდი მსახიობი.

მოლოტოვმა დასვა შეკითხვა: როგორ იღებენ „გაზაფხულს“?

ჩერკასოვი: მალე დავამთავრებთ. „გაზაფხულს“ გაზაფხულისთვის გამოვუშვებთ.

ჟდანოვი ამბობს, რომ მას „გაზაფხულის“ მასალა ძალიან მოეწონა. ძალიან კარგად თამაშობს მსახიობი ორლოვა.

ჩერკასოვი: ძალიან კარგად თამაშობს პლიატი.

ჟდანოვი: აბა, როგორ თამაშობს რანევსკაია (და ხელები აიქნია)!

ჩერკასოვი: მე პირველად მივეცი ჩემს თავს უფლება, გამოვსულიყავი სურათში უწვეროდ, უულვაშოდ, უმანტიოდ, უგრიმოდ. რეჟისორის თამაშის დროს ცოტა მრცხვენია ჩემი სახისა და მინდა, ეს ხასიათით დავფარო. როლი მეტად პასუხსაგებია, ვინაიდან უნდა ვაჩვენო საბჭოთა რეჟისორი და ყველა ჩვენი რეჟისორი ღელავს: როგორი იქნება საბჭოთა რეჟისორი?

მოლოტოვი: აი, აქ ჩერკასოვი ანგარიშს უსწორებს თავის რეჟისორებს.

მაშინ ჯერ კიდევ გადაღების პროცესში მყოფი „გაზაფხული“ დააყენეს დიდ ეჭვქვეშ. ჩერკასოვმა გაზეთ „სოვეტსკოე ისკუსტვოში“ წაიკითხა სარედაქციო სტატია „გაზაფხულის“ შესახებ. გადწყვიტა, რომ სურათი უკვე აკრძალულია. და მაშინ ჟდანოვმა თქვა: ჩერკასოვი ხედავს, რომ „გაზაფხულის“ მზადება დაიღუპა და დაიწყო მეეზოვეების თამაში! შემდეგ ჟდანოვი უკმაყოფილოდ საუბრობს კრიტიკულ აურზაურზე „გაზაფხულთან“ დაკავშირებით.

სტალინი დაინტერესდა, თუ როგორ თამაშობს მსახიობი ორლოვა. ის მოწონებით ლაპარაკობს მასზე, როგორც არტისტზე.

ჩერკასოვი ამბობს, რომ ესაა დიდი შრომის უნარისა და ნიჭის მსახიობი.

ჟდანოვი: ორლოვა კარგად თამაშობს.

და ყველამ გაიხსენა „ვოლგა-ვოლგა“ და ფოსტალიონ სტრელკას როლი ორლოვას შესრულებით.

ჩერკასოვი: თქვენ ნახეთ „სიცოცხლის სახელით“?

სტალინი: არა, არ მინახავს, მაგრამ გვაქვს კლიმენტ ეფრემის ძის კარგი გამოხმაურება. ვოროშილოვს სურათი მოეწონა.

მაშასადამე, საკითხი გადაწყვეტილია. როგორ მიგაჩნიათ, ამხანაგებო (მიმართავს მოლოტოვსა და ჟდანოვს), — მივცეთ ამხანაგებს ჩერკასოვსა და ეიზენშტეინს შესაძლებლობა, გადაამუშაონ ფილმი? — და უმატებს: გადაეცით ამის შესახებ ამხანაგ ბოლშაკოვს.

ჩერკასოვი კითხულობს სურათის ცალკეულ ნაწილსა და ივანე მრისხანეს გარეგნულ იერზე.

სტალინი: იერი სწორია, მისი შეცვლა არ არის საჭირო. კარგია ივანე მრისხანეს გარეგნული იერი.

ჩერკასოვი: სტარიცკის მკვლელობის სცენა შეიძლება დავტოვოთ სცენარში?

სტალინი: შეიძლება დავტოვოთ. მკვლელობები ხდებოდა.

ჩერკასოვი: სცენარში გვაქვს სცენა, სადაც მალუტა სკურატოვი ახრჩობს მიტროპოლიტ ფილიპს.

ჟდანოვი: ეს იყო ტვერის ოტროჩ-მონასტერში?

ჩერკასოვი: დიახ. საჭიროა თუ არა ამ სცენის დატოვება?

სტალინმა თქვა, რომ ეს სცენა უნდა დარჩეს, რომ ეს იქნება ისტორიულად სწორი.

მოლოტოვის აზრით, რეპრესიების ჩვენება საერთოდ შეიძლება და საჭიროა. ამისთვის აუცილებელია, უფრო ფართოდ ვაჩვენოთ, თუ რატომ ხდებოდა ეს, რისი სახელით. ამიტომ საჭიროა, უფრო ფართოდ ვაჩვენოთ სახელმწიფო საქმიანობა, არ შემოვიზღუდოთ სარდაფისა და დახურული სათავსოების ჩვენებით, არამედ ვაჩვენოთ ფართო სახელმწიფო საქმიანობა.

ჩერკასოვი გამოთქვამს თავის მოსაზრებას მომავალი გადაკეთებული სცენარის, მომავალი მეორე სერიის შესახებ.

სტალინი: რით დამთავრდება სურათი? როგორ უნდა გაკეთდეს კიდევ ორი სცენარი, ესე იგი მე-2 და მე-3 სერიები? როგორ ფიქრობთ საერთოდ მათ გაკეთებას?

ეიზენშტეინი ამბობს, რომ უკეთესი იქნებოდა, მეორე სერიის გადაღებული მასალა შეგვეერთებინა იმასთან, რაც სცენარში დარჩა ერთ დიდ სურათად. ამას ყველა დაეთანხმა.

სტალინი: რით დამთავრდება ფილმი?

ჩერკასოვი ამბობს, რომ ფილმი დამთავრდება ლიკონის განადგურებით, მალუტა სკურატოვის სიკვდილით, ზღვისკენ ლაშქრობით, სადაც ივანე მრისხანე დგას ზღვასთან ჯარის გარემოცვაში და ამბობს: „ვდგავართ ზღვებზე და კვლავაც ვიდგებით!“

სტალინი: ასეც გამოვიდა, ცოტა უკეთესადაც კი.

ჩერკასოვი კითხულობს, საჭიროა თუ არა, ფილმის მომავალი სცენარის მონახაზები დასამტკიცებლად ვუჩვენოთ პოლიტბიუროს?

სტალინი: სცენარის წარმოდგენა არაა საჭირო, თავად გაერკვიეთ. საერთოდ, სცენარის მიხედვით მსჯელობა ძნელია, უკეთესია, ვისაუბროთ მზა ნაწარმოებზე (მოლოტოვს). თქვენ, ალბათ, ძალიან გინდათ სცენარის წაკითხვა?

მოლოტოვი: არა, მე ცოტა სხვა სპეციალობით ვმუშაობ. დაე, ბოლშაკოვმა წაიკითხოს.

ეიზენშტეინი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ კარგი იქნებოდა, თუ ამ სურათის დადგმას არ დააჩქარებინებენ.

ეს შენიშვნა ყველას გაცხოველებულ გამოხმაურებას იწვევს.

სტალინი: არავითარ შემთხვევაში არ იჩქაროთ, საერთოდ კი, ნაჩქარევი სურათები დაიხურება და არ გამოვუშვებთ. რეპინი „ზაპოროჟიელებზე“ 11 წელი მუშაობდა.

მოლოტოვი: 13 წელი.

სტალინი: (დაბეჯითებით) 11 წელი.

ყველა მიდის დასკვნამდე, რომ მხოლოდ ხანგრძლივი მუშაობით შეიძლება შევასრულოთ კარგი სურათები.

ფილმ „ივანე მრისხანესთან დაკავშირებით სტალინი ამბობდა, რომ თუ საჭიროა წელიწადნახევარი-ორი წელი, სამი წელიც კი ფილმის დასადგმელად, გააკეთეთ ამ ვადაში, მაგრამ რომ სურათი გაკეთდეს კარგად, რომ ის იყოს გაკეთებული „ქანდაკებასათვის“. საერთოდ ჩვენ ახლა უნდა ავამაღლოთ ხარისხი. ჩვენი მაყურებელი გაიზარდა და ჩვენ მას კარგი პროდუქცია უნდა ვუჩვენოთ.

ამბობდნენ, რომ ცელიკოვსკაია კარგია სხვა როლებში. ის კარგად თამაშობს, მაგრამ ის ბალერინაა.

ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ალმა-ატაში შეუძლებელი იყო სხვა არტისტის გამოძახება.

სტალინი ამბობს, რომ რეჟისორი უნდა იყოს შეუვალი და მოითხოვდეს იმას, რაც მას სჭირდება. ჩვენი რეჟისორები კი ძალიან იოლად თმობენ თავიანთ მოთხოვნებს. ზოგჯერ ხდება, რომ საჭიროა დიდი მსახიობი, მაგრამ არ შეეფერება ამა თუ იმ როლს იმიტომ, რომ ის ამას მოითხოვს და მას აძლევენ ამ როლს სათამაშოდ, რეჟისორი კი ეთანხმება.

ეიზენშტეინი: არტისტი გოშევას გაშვება სამხატვრო თეატრიდან ალმა-ატაში გადაღებისათვის ვერ შეძლეს. ანასტასიას ჩვენ ორი წელი ვეძებდით.

სტალინი: არტისტი ჟაროვი არასწორად, არასერიოზულად მოეკიდა თავის როლს ფილმში „ივანე მრისხანე“. ეს არ არის სერიოზული მხედართუფროსი.

ჟდანოვი: ეს მალუტა სკურატოვი კი არა, რაღაც „უცნაურობაა“!

სტალინი: ივანე მრისხანე იყო უფრო ეროვნული მეფე, უფრო წინდახედული, ის არ უშვებდა რუსეთში უცხოურ გავლენას, აი, პეტრემ კი გახსნა ევროპის კარი და შემოუშვა ძალიან ბევრი უცხოელი.

ჩერკასოვი ლაპარაკობს იმაზე, რომ, სამწუხაროდ და თავისი თავის სასირცხვილოდ, მას არ უნახავს ფილმი „ივანე მრისხანეს“ მეორე სერია. როცა სურათი დამონტაჟებული იყო და ნაჩვენები, ის ამ დროს ლენინგრადში იმყოფებოდა.

ეიზენშტეინმა დაუმატა, რომ მასაც საბოლოო სახით სურათი არ უნახავს, ვინაიდან მისი დამთავრებისთანავე ავად გახდა.

ეს იწვევს დიდ გამოცოცხლებასა და გაკვირვებას.

საუბარი დამთავრდა იმით, რომ სტალინი წარმატებას უსურვებს და ამბობს: „ღმერთო, შეეწიე“.

ვართმევთ ერთმანეთს ხელს და მივდივართ. 0.10 წუთზე საუბარი მთავრდება.

ჟდანოვმა თქვა კიდევ, რომ „ფილმში არის რელიგიური წესჩვეულებების ბოროტად გამოყენება“.

მოლოტოვმა თქვა, რომ „ეს იძლევა მისტიკის შემოტევას, რასაც ასე ძლიერად არ უნდა გავუსვათ ხაზი“.

სტალინი ამბობს, რომ ოპრიჩნიკები ცეკვის დროს კანიბალებს ჰგვანან და გვაგონებენ ვიღაც ფინიკიელებსა და რაღაც ბაბილონელებს.

როდესაც ჩერკასოვი ამბობდა, რომ იგი დიდი ხანია მუშაობს ივანე მრისხანეს როლზე კინოსა და თეატრში, ჟდანოვმა თქვა: „უკვე ექვსი წელია, მშვიდად ვმეფობ“.

გამომშვიდობებისას სტალინი დაინტერესდა ეიზენშტეინის ჯანმრთელობით.

ჩაწერილია
ნ.ნ. აგაპოვის მიერ
ს.მ. ეიზენშტეინისა და
ნ.კ. ჩერკასოვის
სიტყვებიდან.

გაგრძელება იქნება

ობამას რუსეთთან შერიგება შსთავაზეს

რამდენიმე ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციას რეკომენდაციებით მიმართა, რომლებიც რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობის განახლებისა და განმტკიცებისკენ არის მიმართული.

თავდაცვის ექს-მინისტრი უილიამ პერი, სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე ტომას პიკერინგი და რიგი გამოჩენილი პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ორ ქვეყანას შორის ეფექტიან დიალოგს ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს აშშ-სთვის, რომელსაც რუსეთთან არა ერთი კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინტერესი აერთიანებს — მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების აღკვეთიდან საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლამდე.

რეკომენდაციებს შორის დოკუმენტში შეტანილია რუსეთი-ნატოს საბჭოს როლის გაძლიერება, რუსეთის მიწვევა სრული მოცულობით მონაწილეობისათვის კოლექტიური უსაფრთხოების და თანამშრომლობის სტრატეგიულ პროექტებში სარაკეტო დარტყმებისაგან ევროპის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

რუსეთი სომხეთს 500 მილიონ დოლარს ასესხებს

რუსეთი სომხეთს 500 მილიონი დოლარის კრედიტს გამოუყოფს, ეს სომხეთის პრემიერ-მინისტრ ტიგრან სარქისიანთან შეხვედრისას რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარემ ვლადიმერ პუტინმა განაცხადა.

„ჩვენ ფაქტობრივად დავამთავრეთ 500 მილიონი დოლარის მოცულობის კრედიტის გამოყოფის საკითხის დამუშავება“, — თქვა მან.

სარქისიანმა მადლობა გადაუხადა რუსეთს ფინანსური დახმარებისთვის.

„ეს ჩვენთვის მეტად სერიოზული თანხაა, ამ დახმარების წყალობით მსოფლიო კრიზისის ნეგატიური ზეგავლენის დაძლევას შევძლებთ“, — თქვა მან.

სარქისიანმა რწმენა გამოთქვა, რომ „ეს ფული მოხმარდება იმას, რომ ათასობით საწარმო რუსული კაპიტალით სომხეთის ტერიტორიაზე ფუნქციონირებას შეძლებს. ჩვენ მათთვის სასურველ მაკროკლიმატურ გარემოს შევქმნით“.

რუსეთი შავი ზღვის ფლოტსა და ჯარების სამხრეთ კონტინგენტს აძლიერებს

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ სამხრეთ რეგიონში ჯარების კონტინგენტისა და შავი ზღვის ფლოტის გაძლიერების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, არმიის გენერალმა ვლადიმერ პოპოვკინმა განაცხადა.

მისი თქმით, სამინისტრომ დეტალურად გააანალიზა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შედეგები და ჩამოაყალიბა ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა განხორციელება აუცილებელია სამხრეთ რეგიონში ჯარების კონტინგენტისა და შავი ზღვის ფლოტის გაძლიერებისთვის. პოპოვკინის ინფორმაციით, სახმელეთო ჯარებში უცილებელია ზალპური ცეცხლის სისტემების მოდერნიზაცია, ტაქტიკური დაზვერვის ახალი საშუალებების შემუშავება. საჰაერო ძალებში დაჩქარებული ტემპით დასრულდება არსებული თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების მოდერნიზაცია, განხორციელდება მათი დამატებითი შესყიდვა. სამხედრო-საზღვაო ფლოტში იგეგმება „ლადას“ ტიპის წყალქვეშა ნავის ფორსირებულად დასრულება, „ვარშავიანკას“ ტიპის წყალქვეშა ნავების მოდერნიზაცია, ახალი პროექტის დიდი სადესანტო ხომალდის შექმნის დაჩქარება, ასევე სანაპირო სარაკეტო კომპლექს „ბასტიონის“ დივიზიების ჩამოყალიბება.

11 - 17 მარტი, 2009 წელი. №4
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ეს საფრთხე ყველას გვემუქრება

შარშან ყველაფერი დავკარგე და უსახლკაროდ დავრჩი. ეს საკუთარ უბედურებად აღვიქვი. ყველაფერში ბრალს ვდებდი მკაცრ ბედსა და საკუთარ უგუნურობას. როგორც ახლა — ეკონომიკის ნგრევის დროს — ირკვევა, მაშინ მე ვიყავი ერთგვარი გამომცდელი, ვინც თავის თავზე იწვნია და შეისწავლა სიღარიბის ყველა სირთულე, რათა უძვირფასესი გამოცდილება გავუზიარო მილიონობით ამერიკელს, ვისაც ეს ჩემი გამოცდილება კიდევ გამოადგება.
მაგრამ მე ნამდვილ სიღარიბეზე ვლაპარაკობ. ჩვენ სოციალურ კიბეზე რამდენიმე თვის განმავლობაში თავქვე მივექანებოდით, სიღარიბის რამდენიმე საფეხურის ჩავლით. ჯერ მოგვიხდა ღარიბული სტუდენტური წლების გახსენება, როცა გაწუხებს ღამის კოშმარული სიზმრები ბინის ქირის გადახდასთან დაკავშირებით, ყოველი თვის ბოლოს კი იწყება მარტივი, ჯანსაღი დიეტის დრო. მაგრამ სულ მალე ამას მოჰყვა დიკენსისეული გაჭირვება, როგორიც ვერ წარმოუდგენიათ ცხოვრებაში კეთილდღეობით განებივრებულ დასავლელ ობივატელებს. სწორედ ასეთ სიძნელეებს შეიგრძნობს ძალიან ბევრი უახლოეს მომავალში. აქ კი მე იმიტომ ვარ, რომ გაცნობოთ — ეს ნებისმიერს შეიძლება შეემთხვეს.

და ეს უკიდურესად უსიამოვნო რამაა. თქვენ შეგიძლიათ, თქვათ: — კარგი, რა?! გაგვაკვირვე!.. — მაგრამ ეს უბრალოდ იმიტომ, რომ თქვენ ბოლომდე დეტალებში ვერ წარმოგიდგენიათ ამ უსიამოვნებათა ხასიათი. ამიტომ შევეცდები, მოკლედ აღვწერო, რისთვის უნდა ვიყოთ მზად და როგორ მოვიქცეთ სიტუაციაში, როცა საკითხი ხარჯების შემცირებას ან მეორე ავტომობილის გაყიდვას კი არ ეხება, არამედ იმას, რომ საერთოდ უავტომობილოდ და უფულოდ რჩები ელემენტარულ გამოკვებასა და გათბობაზე ფიქრის ამარა.

ყველა ჭეშმარიტება, რასაც შევიცნობთ სიღარიბეში, შეიძლება აღმოჩნდეს ტრივიალური. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანს ძალიან უჭირს გაცნობიერების შემდგომ ზუტად გაიაზროს, როცა ცხოვრება თვალწინ ენგრევა. აი, ეს გულუბრყვილო ძველი აღთქმები, რომლებიც მართავდა მსოფლიოს საშუალო კლასის ეპოქის დადგომამდე და კვლავაც შედის საკუთარ უფლებებში.

სითბო. პირველ რიგში, თქვენ გჭირდებათ მშრალი, თბილი ადგილი ღამის გასათევად. მე და ჩემს ცოლს გვქონდა მხოლოდ პატარა იახტა გათბობის გარეშე და ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ვიღვიძებდით ზღვის ყინულიანი ტალღების ხმაზე, ჩვენს ნავს რომ ეხეთქებოდა და ვხვდებოდით, რომ „განწირულთა“ *(ჰიუგოს რომანი, — რედ.)* დრო არსად წასულა. როცა ნათესავებს შევეფარეთ, კვირების განმავლობაში ვისხედით გაზის ბუხართან საბნებში შეფუთულები. სიცივეში არსებობისას ჭამაც კი გავიწყდება. მხოლოდ სითბო გინდა, რომელიც ასე გაკლია. მხოლოდ მაშინ ხვდები, რომ დედამიწაზე ყველაზე საშინელი რამ სიცივისგან გათოშვაა. თქვენ კიდევ გაიგებთ, რატომ.

მანქანა. თუ გყავთ ავტომობილი, მისი უმალ გაყიდვა, ალბათ, ღირს. მანქანა თავის მფლობელს უკანასკნელ დოლარებს სწოვს. მაგრამ არის უარესიც: პოლიციელები გრძნობენ ქუჩებში სხვის გაჭირვებას და ვერ იტანენ ღარიბებს. ადრე პოლიციელთა მიმართ არ განვიცდიდი განსაკუთრებულ უპატივცემულობას (ნარკოკონტროლის გამოკლებით), მაგრამ ახლა მათ პირდაპირ ვეღარ ვიტან. პოლიციის მთავარი დანიშნულებაა ის, რომ ტრასებზე არ გაუშვან ღარიბები. ერთხელ გასაუბრებაზე მივემგზავრებოდი სამუშაოსთან დაკავშირებით (ეს შეიძლება ჩვენთვის შიმშილისაგან თავის დაღწევის საშუალება ყოფილიყო) და მე გამაჩერა ქალმა პოლიციელმა. ჩემი ავტომობილი დაზღვევა ორი კვირით ვადაგადაცილებული აღმოჩნდა — ბუნებრივია, იმიტომ, რომ მის გასაგრძელებლად, უბრალოდ, ფული არ გვქონდა. პოლიციელმა ამისათვის მომარტყა 600-დოლარიანი ჯარიმა, პლუს 120 დოლარი — საცხოვრებელი ადგილის ძველი მისამართის გამო, მძღოლის მართვის წიგნაკში რომ იყო დაფიქსირებული. მერე მან ევაკუატორი გამოიძახა, და სანამ თვალით მივაცილებდი ბუქსირზე აყვანილ ჩემს მანქანას, სალონში ჩვენი შეშინებული ძაღლითურთ, ქალბატონმა ამაყად წარმოთქვა: „ეს თქვენთვის გაკვეთილი იქნება!“ და მე დავრჩი მარტოდმარტო ამერიკული დასავლეთის ტიპური ქუჩის შუაგულში: ინტენსიური მოძრაობის ოთხი ზოლი და არავითარი ტროტუარი...

ღარიბი ხართ? — ამიერიდან პოლიციელები თქვენი მტრები არიან. ისინი შეეცდებიან, აგიყვანონ სწორედ თქვენი მანქანის საშუალებით. ასე რომ, გირჩევნიათ, გაყიდოთ იგი, თუ გაქვთ საშუალება — მხედველობაში მაქვს ნაკლებად სავარაუდო შემთხვევა, თუ თქვენს მიდამოებში მოქმედებს რომელიმე საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

სირცხვილი. მის შესახებ მალე-ვე დაივიწყეთ. სირცხვილი — ეს ახირებაა. ამის შესახებ, შეიძლება, არც ილაპარაკოთ: საკმარისია, გამოიაროთ ნამდვილი შიმშილი და სიცივე, რომ ძველმა კეთილმა ძუძუმწოვარა არსებამ გაიღვიძოს თქვენში, რათა გადარჩეთ. და სირცხვილი უკვე აღარაფერს ნიშნავს.

და თქვენ აღმოაჩენთ აგრეთვე, რომ ურთიერთობა ფსკერზე უფრო იოლია, ვიდრე წარმოგედგინათ. იქ მცხოვრები ხალხი განუწყვეტლივ ჩაბმულია ერთგვარ შოუბიზნესში. ეს აუცილებელია მათთვის, რომ გადარჩნენ. საზოგადოებრიობა აცოცხლებს მათ. და როგორც ჩემი გამოცდილება მკარნახობს (თუმცა ეს, შეიძლება, დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რა გაგაჩნდა ყველაფრის დაკარგვამდე), მათ ძალიან არ უყვართ ძალადობა. ქვედა ფენების მცხოვრებნი, ძირითადად, გულგაწყალებული ხალხია, მათ დიდხანს უწევთ ყველაფრის გამო ლოდინი, ხოლო როცა რაღაცას დიდი ხნის განმავლობაში ელოდები, ბოროტდები, თუმცა, ამავე დროს, გეშინია, არაფერი ივნო. ამიტომაც არიან ისინი ნერვიულები, გულღია, გესლიანი და ვერაგი ჭორიკანები — მე მათი უკვე აღარ მეშინია. ისინი არ დაიწყებენ თქვენს ძარცვას. დიახ, ისინი შეეცდებიან, მაქსიმალურად წაგგლიჯონ ფული — ღმერთია მოწმე, მათ დარჩათ ჩვენი უკანასკნელი დანაზოგების სოლიდური ნაწილი, მაგრამ ეს იყო მსუბუქი გამოძალვა, რომელიც ემყარებოდა მეგობრულ ლათაიებსა და ყბედობებს. ისე, როგორც საშუალო კლასის სამყაროში, დეზოდორანტის გამოკლებით.

სასურსათო ბანკები. ესაა საქველმოქმედო პუნქტები, სადაც კვირაში ერთხელ (უფრო ხშირად კი — ორ კვირაში ერთხელ) იძლევიან უფასო პროდუქტების შეკვრას. ჩვეულებრივად, ისინი ეკლესიების სარდაფებში განთავსდნენ, უბრალოდ, იმიტომ, რომ ეკლესიები — ეს ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთში ახალ საცხოვრებელ მასივებში საზოგადოებრივი დაწესებულებების ერთადერთი ტიპია. იქ დიდხანს გიწევთ ცდა, ვინაიდან ითვისებთ ლტოლვილის ჩვევებს — მიდიხართ დილიდანვე ადრე, უმალვე ეწერებით სიაში და იღებთ ნომერს. უნდა იყოთ კეთილგანწყობილი, მაგრამ შემტევი. ამ ორი თვისების შეხამება ადვილი როდია, მაგრამ მალე ისწავლით. კეთილგანწყობა გამოგადგებათ, მიმართოთ უცხო ხალხს დახმარებისა და რჩევისათვის: უფულოდ თქვენ უკვე ვეღარ შეძლებთ, მისცეთ თავს ნება, იყოთ ეული. შემტევობა კი აუცილებელია, უბრალოდ, რომ არ უგულებელგყონ. ასე რომ, ყოველთვის წადით ურთიერთობაზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ აჩვენოთ ფული (თუ ის გაქვთ) და არც ახსენოთ იგი.

ანტიდეპრესანტები. დაიწყეთ მათი მიღება უმალვე, თუ ჯერ კიდევ არ მიგიმართავთ. იმიტომ, რომ ძალიან ცუდად გახდებით. არ აქვს მნიშვნელობა, რომ თქვენ ბევრი იკითხეთ მარქსი; არ აქვს მნიშვნელობა, რომ შეგიძლიათ ანალიზი გაუკეთოთ თქვენს გაღატაკებას გლობალურ ეკონომიკურ კონტექსტში — მთელი ეს კოშმარი უშუალოდ თქვენს თავსაა და მას წარმოუდგენლად განიცდით. თქვენ ხომ ამერიკელი ხართ, მაშასადამე, მოგწონთ ეს თუ არა, იზიარებთ ამ კულტურაში მიღებულ ფასეულობებს: თავადვე აფასებთ თქვენს თავს, სამუშაოს, მანქანისა და ბინის შესაბამისად. იტყოდით უარს ქურქზე ციმბირში? ტომ კრუზი წყალსაც წაუღია თავისი ქადაგებებით. მთავარია, თავი გადაირჩინო. არ შეგაწყენთ თავს უსარგებლო დეტალებით, მაგრამ პატიოსნად გეტყვით — არ ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველაფერს გადავიტანდით, წმინდა პროზაკი რომ არ მოგვევლინებოდა ღვთიური სიკეთით.

ამიტომ როგორც კი დაიწყებთ ჩამოცურებას ფაქიზი სიღარიბიდან ქუჩაში ცხოვრებისაკენ, დაუყოვნებლივ მონახეთ უახლოესი ღარიბთა კლინიკა, ნუ ითაკილებთ რიგში დგომით დერეფნის გაჟღენთილ სუნს. სიმყრალე საერთოდ იქნება თვენთვის პრობლემა, მაგრამ მხოლოდ პირველი ორი კვირის განმავლობაში; შემდეგ ყურადღებასაც აღარ მიაქცევთ. თავადაც უკვე ყარხართ, გარშემომყოფნიც. თუ მოისურვებთ, თავი დააღწიოთ სიმყრალეს, თან რომ გდევთ დიდი ხნის დაუბანლობის გამო, როგორმე მწეველს მიუჯექით. სხვათა შორის, ეს მოწევის ერთ-ერთი უპირატესობაა და, შეიძლება იმის მიზეზიც, რომ ყველა ღარიბი ეწევა. მაგრამ მხოლოდ ამის გამო მოწევას არ გირჩევთ. სიგარეტი უსაშველოდ ძვირია, და არა ერთი საცოდავი ვინმე ქცეულა მის გამო აბეზარ მათხოვრად.

შეგიძლიათ თქვენი ისტორიის მოყოლა? ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან წუწუნი თქვენი სიღარიბის გამო განუწყვეტლივ მოგიწევთ მთელი 24 საათის განმავლობაში, გინდათ ეს თქვენ თუ არა. და აღმოაჩენთ, რომ საკუთარი დაცემის ისტორიის თხრობა განწირულთა მეტად არსებითი ჩვევაა, ასევე არც მომაბეზრებელი ხერხი დროის გაყვანისათვის. ამას მივყავართ სიცოცხლისათვის ისეთ მნიშვნელოვან და თანაც არასწორად გაგებულ მექანიზმამდე, როგორიც უარყოფაა. შიშის შესახებ (რომანი „წყვდიადის გულიდან“) პოლკოვნიკ კურტცის სიტყვების პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, უარყოფა შეიძლება შენი მეგობარი იყოს... მაგრამ არც გამონაკლისია, აღმოჩნდეს მტერიც, რომლისაც უნდა გეშინოდეს. უარყოფა, გარკვეულწილად, დაგჭირდებათ, რომ თავიდან აიცილოთ თვითშეფასების სრული მსხვრევა. ჩვენი თვითშეფასება ძალზე სერიოზულად დაზიანდება, როცა გახდებით არავინ. ადვილია, იყო ზრდილობიანი და თავმდაბალი, როცა ყველაფერი გაქვს, — მე სწორედ ასეთი ვიყავი. მაგრამ როცა ჩემი ცხოვრება იშლება, თვითგანადგურება — ეს ფუფუნებაა, რომლის ნებასაც თავს ვერ მისცემ. როგორც „მეკაბელეს“ პერსონაჟი ჯიმ კერი ამბობს, „ვთამაშობთ ციხის წესებით“: თუ პატივისცემის იმედი გაქვს, მზად იყავი, მოითხოვო იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გარდაიქმნა და გაქრე. აი, ასე — ანტიდეპრესანტები დაგეხმარებათ ფაქტების უარყოფაში, მაგრამ დროდადრო თქვენთვის აუცილებელია, უარი თქვათ თავმდაბლობაზე და დაიმშვიდოთ თავი, წაივარჯიშოთ ტრაბახში, რომ საკუთარ თავში ბავშვური თავდაჯერებულობა გააღვიძოთ, რომელმაც მოასწრო ატროფირება საშუალო კლასის ზრდილობიან ადამიანთა მნიშვნელოვან ნაწილში. იგი თქვენ გამოგადგებათ.

პრაქტიკულ მხარეზე თუ ვილაპარაკებთ, ყველაფერი თავს იყრის საკითხში — რა მოვიშოროთ თავიდან. და მე ვსაუბრობ არა მხოლოდ ქონებაზე. თუ გყავთ ბავშვები... ღმერთმა გიშველოთ. ამ დროს ვერაფრის რჩევას შევძლებ, ვინაიდან მე და ჩემს ცოლს, საბედნიეროდ, ბავშვები არ გვყავს. მაგრამ, სამწუხაროდ, გვყავს ძაღლი. ეს დიდი მოუქნელი ბომბორა ჩვენი ცხოვრების დაქცევამდე ცოტა ხნით ადრე გაგვიჩნდა. ალბათ, ღირდა, მაშინვე მიგვეცა ვინმესთვის. ჩვენთან შიშის, სიცივისა და საკუთარი თავისადმი ზიზღის ატმოსფეროში ლეკვი მეტად უცნაურ, უბედურ ძაღლად გაიზარდა. ადრე, როცა ჯერ კიდევ მქონდა კეთილდღეობა, ბევრი სხვადასხვა ჯიშის ძაღლი მყავდა. და ყველა მათგანი იყო მხიარული, ოჯახური, მოთამაშე. ეს ძაღლი კი აბსოლუტურად ველურია, თანაც, უცნაური თვისებებით. ამჟამად, როცა, როგორც იქნა, გვეღირსა სახურავი თავზე და სითბო, ზოგჯერ კიდეც გვართობს მისი ქცევა — შიშით შეხტება ხოლმე და ყურს უგდებს ნებისმიერ ხმაურს, რეაგირებს სუნსა თუ მოძრაობაზე. მაგრამ ვიცი, რომ ეს ძაღლი უფრო ბედნიერი იქნებოდა, რომელიმე ოჯახში რომ მოხვედრილიყო, სადაც ბედნიერ ცხოვრებად სულ ოთხსაძინებლიანი ქონებაა მიჩნეული.

ამას გარდა, ძაღლის ყოლა ამცირებს ჩვენს შანსებს, ვიშოვოთ ახალი სამუშაო. ის ზოგჯერ ყმუილს იწყებს (მისი ძნელი „ბავშვობის“ კიდევ ერთი შედეგი), ამიტომ ერთ-ერთ ჩვენგანს გვიწევს მასთან სახლში დარჩენა. არსებითად, მივეჯაჭვეთ გაუთბობელ და დანგრეულ იახტას, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით.

ეს ნავი იყო ჩვენი გაყინვის კიდევ ერთი ფაქტორი; ისიც თავიდანვე უნდა გაგვეყიდა, თუნდაც მისი ღირებულების 90% დაგვეკარგა. ამ წყეული ნავის შეძენის ჩანაფიქრი ის იყო, რომ მასზე მუქთად გვეცხოვრა, იმის ნაცვლად, რომ სადმე დაგვექირავებინა ბინა თუნდაც საშინელი ფასით, რაც დამახასიათებელია შეერთებული შტატების დასავლეთი სანაპიროსათვის. ეს იყო მეტად წარუმატებელი აზრი. თუ გექნებათ შემთხვევა, გადაბარგდეთ რომელიღაც ასკეტურ და უფასო საცხოვრებელში, მოეპყარით ამ იდეას მაქსიმალური სკეფსისით. მთელი საქმის არსი ისაა, რომ ამგვარი თავშესაფრიდან პრაქტიკულად შეუძლებელია ნორმალურ, თბილ და კომფორტულ სამყაროში დაბრუნება. იქ არაა ინტერნეტი. თუ თავის დაძვრენა გინდათ, ინტერნეტი თქვენთვის აუცილებელია ისევე, როგორც ნორმალურად გამართული შხაპი, რაც არც ჩვენ გვქონია იახტაზე. წინაღმდეგ შემთხვევაში, ისეთ სახეს მიიღებ და ისე აქოთდები, როგორც — იმ რიგში ღარიბების კლინიკაში. ეს კი არაა საუკეთესო სახე შრომითი მოწყობის პერსპექტივის თვალსაზრისით. ძაღლის თავიდან მოშორების შემთხვევაში რაღაც შანსი გვექნებოდა.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია: კარგავ რაღაც უფრო მეტს, სრულიად იცვლები, უფრო მეტად, ვიდრე შეგიძლია ეს გაითვითცნობიერო. იცვლები ისე, რომ როცა, ბოლოს და ბოლოს, გეძლევა შესაძლებლობა, აღარ შეგიძლია ჩასჭიდო მას ხელი.

მრავალი თვის განმავლობაში ვცდილობდი მუშაობის დაწყებას მასწავლებლად ისე, რომ პასუხიც არ მიმიღია საკუთარ რეზიუმეზე. და ერთხელ მოულოდნელად ადგილობრივ კოლეჯში გამოჩნდა იდეალური ვაკანსია. მათ სჭირდებოდათ ლიტერატურის მასწავლებელი, რომელიც შეასწავლიდა აგრეთვე თხზულებათა დაწერას და წაიყვანდა მწერლურ სახელოსნოს — სწორედ ჩემი სპეციალობა იყო. მაგრამ გასაუბრებაზე მისულმა მოულოდნელად შევიგრძნე, რომ მე უკვე აღარა ვარ ის წყნარი და ზრდილობიანი კაცი, რომელსაც შეეძლო მშვიდად, აუღელვებლად და მომხიბვლელად წარმოეჩინა საკუთარი თავი პედაგოგიური საბჭოს წინაშე. ჩემში ძალიან ძლიერი იყო შიში იმ პირობების წინაშე, რომლებშიც გვიწევდა ცხოვრება. ყველაფერი ჩემში იყო არასწორი, და თავად მეც არ ვიყავი სწორი და სრულიად არ ვექვემდებარებოდი სამუშაოზე დაქირავებას. კატარღაზე არ გვქონდა ცხელი წყალი, მე კი უნდა თავი მომეწესრიგებინა და გამეპარსა მეჩხერი ჭაღარა თმა დიდ თავზე; არადა, სიტუაციიდან გამომდინარე, ვისარგებლე იაფი ერთჯერადი ჩარხით „მაკდონალდსის“ ტუალეტში. შედეგს ადვილად წარმოიდგენთ: გამოვიყურებოდი ისე, თითქოს თავს დამესხა აფთარი და მხოლოდ მძიმე ბრძოლის შემდეგ მომშორდა. საკრედიტო ბარათზე დარჩენილ უკანასკნელ 20 დოლარად ნაყიდი სპორტული ქურთუკი შესაფერისად მეჩვენებოდა, სანამ არ მოვხვდი უზადოდ სუფთა, მოგუგუნე აუდიტორიის წინაშე, სადაც მიმდინარეობდა გასაუბრება. და, რაც მთავარია, თავად გავხდი უფრო მყვირალა, იმპულსური, ტანჯული ადამიანი. თუ შევეცდებოდი, მელაპარაკა ფხიზლად, გაისმოდა ეს გაცხარებულად. როცა მკითხეს (ამ შეკითხვას ველოდი), — რა აზრი აქვს, მასწავლებელს, რომელიც დიდ უნივერსიტეტებში მუშაობდა, აღმოჩნდეს სოფლის პატარა დაქირავებულ კოლეჯშიო, — მე გულწრფელად ვუპასუხე: — „ჯობს, აქ ვასწავლიდე, სიღრმეში, ვიდრე სტენფორდში“. მაგრამ აღფრთოვანებით ნათქვამის ნაცვლად, წუწუნი გამომივიდა. ბომჟობის *(რუს. без определенного местожительства — გარკვეული საცხოვრებელი ადგილის უქონელი)* პირდაპირ ვგრძნობდი, თუ როგორ მეცლებოდა ხელიდან სამუშაო, და შედეგად — მათ სამუშაოზე ადგილობრივი პიროვნება აიყვანეს, რომელიც იყო დირექტორის მეგობარი. და ეს მაშინ, როცა სასამსახურო სიით მე ერთი თავით მაღალი ვიყავი მასზე.

წყნარ, ზრდილობიან და ნორმალური სურნელის სამყაროში დაბრუნებისათვის დაგჭირდებათ, მოიწყოთ ფსიქოლოგიური განტვირთვის პროცედურები რამდენიმე თვით. ჩვენ შემთხვევაში, გამოვიდა, რომ გამოვიქეცით ნავიდან, ვნახეთ, სადაც შეიძლებოდა სესხის აღება, ამ ფულით დავიქირავეთ ბინა სახლის სარდაფში და იქ მოვთავსდით, ჩავრთეთ გათბობა მაქსიმუმზე. მხოლოდ ამის შემდეგ ვიყავი მზად კიდევ ერთხელ მეცადა მუშაობის დაწყება.

რამდენიმე თვე დამჭირდა, რომ დავმშვიდებულიყავი, ოდნავ მაინც განვთავისუფლებულიყავი გესლისაგან. დიახ, თქვენ ხომ გახდებით ძალიან გესლიანი. ხომ არ შეიძლება მუდმივად გეჯავრებოდეს საკუთარი თავი; დროდადრო მოგიწევთ, გადაერთოთ სხვა რამეზე და ყველაფერში ვიღაც სხვას დასდოთ ბრალი. მით უმეტეს, როცა თქვენს გაჭირვებებს მართლაც ჰყავს ვინმე კონკრეტული დამნაშავე. მთავარია, არ მისცე ნება გესლს, წაგართვას ძილი. უკეთ რომ დაგეძინოთ, ისეირნეთ ხანგრძლივად. შეგიძლიათ იყვიროთ, იწყევლოთ მთელი მსოფლიოს მისამართით, თუ მოთმინება არ გყოფნით, განაგრძეთ სიარული. და რაც უნდა მოხდეს, არ გაყიდოთ ძილის ტომარა. მე ჩემი ბეწვიანი საძინებელი ამ ხნის ხეტიალის შემდეგ გაცილებით უფრო ძლიერ შევიყვარე, ვიდრე საკუთარი თავი.

ძილი, თავისთავად, ანტიდეპრესანტია, თითქმის ისეთივე ქმედითი, როგორც უკვდავების წყალი, თანაც — უფასო. უნდა აღელდე მაშინ, თუ ყოველი რამდენიმე საათის შემდეგ ყვირილით გეღვიძება. მე ეს ბომჟური ცხოვრების მეექვსე თვეს დამჩემდა.

სწორედ მაშინ გავბედე და ვთხოვე სესხი ძმას. ამ ადგილზე ჩვენი ისტორია განსხვავდება ნამდვილი ქუჩის ბედისაგან: მე მქონდა სათადარიგო გამოსავალი. და მე ის გამოვიყენე, თანაც როგორ? ეჰ, ადრე გამეკეთებინა!

თუ თქვენ გაქვთ სათადარიგო გამოსავალი — მეგობარი ან ნათესავი, ვინც მზადაა გასესხოთ ფული, რომ დაიქირაოთ საცხოვრებელი — მიმართეთ მას დაუყოვნებლივ. და როცა რომელიმე საერთო მეგობარი შეგთავაზებთ საცხოვრებლად გამოუყენებელ ფარდულს თავის მონაკვეთზე ან ცარიელ სათხილამურო ქოხს, — დაეთანხმეთ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ის თბება.

მკაცრი ძველი სამყარო, განწირულთა სამყარო — არსად წავა, ის მოუთმენლად გელით თქვენ. გააკეთეთ ეს ისე, რომ ხელსაყრელი იყოს თქვენთვის, რომ ამ სამყაროს ბოლო არ მოგიღოთ. და თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში მე ხელი არ მომიკიდია რაიმე უკანონო წარმოებისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ, ჩემი დაკვირვებით, ღარიბები ამისათვის არახელსაყრელ პირობებში არიან, ისევე, როგორც ბევრი რამ ცხოვრებაში — ეს შეძლებული ბატონების სიამოვნებაა.

„რუსკი ობოზრევატელი“

თემურ ჭყონიამ სამების ტაძარს ათასი, ხოლო ნაცმოძრაობას 30 ათასი ლარი შესწირა

სად მოღვაწეობენ თბილისის პოლიციის სპეცრაზმის ყოფილი შეფი თემურ მღებრიშვილი და ჯაბა იოსელიანის დაცვის უფროსი „წესრიგა“?

„კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ მეპატრონე თემურ ჭყონია აცხადებს, რომ გასული წელი მისი კომპანიისთვის მომგებიანი იყო, გაყიდვები 2007 წელთან შედარებით 27%-ით გაიზარდა და ბაზარზე ახალ პროდუქტს „შვებსს“ უშვებს. თუმცა როგორი იქნება მიმდინარე წელი ჭყონიასა და მისი ბიზნესისთვის, ძნელად პროგნოზირებადია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ „კოკა-კოლა“ ფინანსური კრიზისის დასაძლევად მეორადი ბოთლების მოხმარებაზე გადადის, რაც ნიშნავს, რომ შესაძლოა, შარდის ანალიზისთვის გამოყენებული ბოთლით მოგვიხდეს გამაგრილებელი სასმელის მირთმევა (დამეთანხმებით, სასიამოვნო შეგრძნებებს ნამდვილად არ იწვევს). და კიდევ, ბოლო დროს ბევრს საუბრობენ „კოკა-კოლაში“ ატეხილ სკანდალზე. იმასაც ამბობდნენ, „კოკა-კოლას“ სამშობლოში ჭყონიას ამერიკაში შავი გზებით შეტანილი ქართული „კოკა-კოლა“ მიართვეს... უკანონო ექსპორტის გამო ცენტრალურმა ოფისმა ჭყონიას „კოკა-კოლას“ სასმელის სიროფის მიწოდებაზე უარი განუცხადა და ლიცენზია ჩამოართვა. თუ ბოროტ ხმებს დავუჯერებთ, ახალი გამაგრილებელი სასმელის გამოშვება ამ ფინანსური კრიზისის ჟამს და მასში 1000 000 დოლარის ინვესტიცია მართლაც საეჭვოდ გამოიყურება.

ჭყონიას პიროვნება ქართული საზოგადოებისთვის უცხო არ გახლავთ, ყველას კარგად ახსოვს შევარდნაძის პრეზიდენტობის მიწურულს ჭყონიას პათოსი და ფრთიანი იდეა — იქნებ შევარდნაძე მესამე ვადით ავირჩიოთო. როგორც ექსპერტი ნიკო ორველაშვილი აცხადებს, სწორედ ამიტომ იყო ჭყონია რევოლუციის შემდეგ თურქეთში გაქცეული და იქიდან უთვლიდა ახალ ხელისუფლებას — რამდენი გადაგიხადოთ, რომ არ დამიჭიროთო. ჭყონია ახლა წარმატებით ახორციელებს თავის ბიზნესსაქმიანობას საქართველოში, ხელისუფლება კი უმადობას არ უჩივის. რაც იმას ნიშნავს, რომ მას საქართველოში დაბრუნება იაფი ნამდვილად არ დაუჯდებოდა და გასული წლის არჩევნებში ნაჩვენებ შემოწირულობას — 30 ათას ლარს, ნამდვილად აღემატება. დიახ, ოფიციალური ინფორმაციით, ჭყონიას საარჩევნოდ 30 ათასი ლარი შეუწირავს ნაციონალების საარჩევნო კამპანიისთვის, მაშინ, როცა სამების ტაძრის მშენებლობის ფონდში მას 1000 ლარი აქვს ჩარიცხული. ბიზნესმენისგან, რომელიც წლიურ ბრუნვად 45 მილიონს აჩვენებს, სამების მშენებლობისთვის ამ თანხის შეწირვა, მსუბუქად რომ ვთქვათ, სამარცხვინოა.

ეტყობა, ჭყონიამ იფიქრა, სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაში 1000 ლარის შეწირვისთვისაც მომიხსენიებენ ლოცვებშიო და პროექტ „იდეა, ფული და ერთი შანსის“ მიმდინარეობისას უამრავი მონაწილე გაამწარა. ზოგს წილად მისი უკმეხი და ცინიკური საუბარი ერგო, ზოგი უფრო მეტად დაზარალდა და რომ ეგონა, ბიზნესი ააწყო, აღმოჩნდა, რომ ჭყონია პიარზე მუშაობდა და რეალურად ამ პროექტში მონაწილე ხალხის ბიზნესის აწყობისთვის არც იტკიებდა თავს. წლებისწინანდელ პროექტს ფორუმზე დღესაც უძღვნიან თემებს. ერთ-ერთი „გადაგდებული“ მერაბ ხერგიანი წერს: **„მე მერაბ ხერგიანი მქვია. 2006 წელს ცრუ შოუში „იდეა, ფული და ერთი შანსი“ წარვადგინე ძველ სვანურ საცხოვრებელ კომპლექსში მცირე სასტუმროს მოდერნიზებული მოწყობის იდეა, რომელიც თითქოს ბატონმა ჭყონიამ მოიწონა და ხელის ჩამორთმევით დამპირ-**

და ინვესტირებას. ამის შემდეგ მისი მშენებელ-მენეჯერი ჩაერთო დაპირებებში და მპირდებოდა: ორიოდ თვეში ქობულეთში დავასრულებთ სასტუმროს მშენებლობას და მაშინვე მოვაშურებთ მესტიას. მერე სიღნაღში დავამთავრებთ სხვა სასტუმროს და იმწამსვე დავიწყებთ სვანეთის პროექტის განხორციელებას... მერე „მაკდონალდსის“ ახალ ობიექტს დავამთავრებთ და თქვენთან გვიგულეთო. ახლა გვირაბი გაჰყავთ თბილისიდან გულანშარომდე და ასე დაუსრულებლად... ჭყონიამ პუბლიკის თვალში დიდი ინვესტორისა და მეცენატის იმიჯი შეიქმნა, მე და, ალბათ, სხვა მრავალი კი მოგვატყუა. ვეძებ სხვა მოტყუებულებს და „გადაგდებულებს“.

ხერგიანის მიერ მოხსენიებულ სასტუმროზე გამახსენდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის „ჰუმანრაიჩის“ გამოძიება, რომელმაც გაარკვია, რომ ჭყონიას ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ჯორჯიან ჰოუთელ პალასი“, რომელშიც ბიზნესმენმა 760 ათასი დოლარი გადაიხადა, ისე აშენდა, რომ მშენებლობის ნებართვა არ იყო გაცემული. მოგეხსენებათ, უკანონო მშენებლობებზე რა ამბებიცაა, ხალხს აშენებულ ავტოსადგომებს უნგრევდნენ და საინტერესოა, როგორ მოხდა, რომ 150-ნომრიანი სასტუმრო ასე „შეუმჩნევლად“ ააშენეს ქობულეთის ფიჭვნარში?! „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტის ლალი იშხნელიძის განცხადებით, უნებართვოდ აშენებული სასტუმროს მიმართ სანქციები უნდა გატარდეს: „საქართველოს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზოლში უნებართვო მშენებლობა 20 000 ლარის ოდენობით უნდა დაჯარიმდეს. გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმა სამმაგდება. თუმცა, სასტუმრო „ჯორჯიან ჰოუთელ პალასის “ მიმართ რატომღაც კანონი ლმობიერი, უფრო მეტიც, უმოქმედოა.“ (www.humanrights.ge)

თემურ ჭყონიას სახელმა გაიჟღერა „განკულაკებული“ ქიბარ ხალვაშის კომპანიის „არტი ჯგუფთან“ დაკავშირებითაც და გამორიცხული არ არის, რომ „პროექტერ ენდ გემბელის“ დისტრიბუტორი საქართველოში სწორედ ჭყონია გახდეს. ამ ბიზნესმენის სახელს უკავშირებდნენ „ტაოპრივატბანკსაც“, რომელსაც პრობლემური სესხების ამოღებაზე ყველასთვის კარგად ნაცნობი, თბილისის პოლიციის სპეცრაზმის ყოფილი უფროსი თემურ მღებრიშვილი მიუმაგრებია. იმ შემთხვევაში, როცა, კლიენტი სესხს ვერ ფარავს, მისი საქმე პრობლემური სესხების განყოფილებას გადაეცემა და თუ იგი ბანკში აღარ ცხადდება, მერე ბანკის პრობლემური სესხების თანამშრომელი მიდის მასთან. თემურ მღებრიშვილის ხელკეტის გემო ბევრმა ქართველმა იცის, ჰოდა, მხოლოდ მტერს თუ ვუსურვებ, მღებრიშვილმა სახლში მოგაკითხოსო. ფინანსურ უსაფრთხოებას თუ მღებრიშვილი უზრუნველყოფს, საკუთარი ქონებისა და სიცოცხლის დაცვა ჭყონიას ისეთი ადამიანისთვის მიუნდვია, რომელიც ქართულ საზოგადოებაში მღებრიშვილზე ნაკლებ შიშს არ იწვევს. ჭყონიასა და „კოკა-კოლას“ დაცვის უფროსი, ყოფილი მხედრიონელი, „წესრიგას“ მეტსახელით ცნობილი, ირაკლი ბათიაშვილის ცოლის ძმა — ფანჩულიძე გახლავთ.

სესხებს რაც შეეხება, თავად ჭყონიას ვალს დღესაც საქართველოს მოსახლეობა იხდის. მან ჯერ კიდევ 1993 წელს აიღო თურქული კრედიტი, რომელიც დღემდე არ დაუბრუნებია და რომლის გამოც, ხელისუფლება ხელს რომ არ აფარებდეს, მასაც და ანზორ ბურჯანაძესაც ციხეში გაისტუმრებდნენ. თურქული კრედიტის გარდა, ჭყონიას მხრებზე „ლაღიძის წყლებიც“ მძიმედ აწევს. საქართველოს ეს სიმდიდრე რომ წარსულს ჩაბარდა, ამაში მისი დიდი წვლილია, რადგან თუ ხელისუფლებამ „ლაღიძის წყლებს“ ტერიტორია წაართვა, თავად ჭყონიამ მიტროფანე ლაღიძის შვილიშვილი „გადაიბირა“ და „კოკა-კოლაში“ წაიყვანა.

„საქართველო და მსოფლიომ“ კომენტარისთვის ბიზნესმენ თემურ ჭყონიასთან დაკავშირება სცადა, თუმცა, უშედეგოდ. თუ ბატონი ჭყონია მასალის გამოქვეყნების შემდეგ თავისი პოზიციის დაფიქსირების სურვილს გამოთქვამს, მზად ვართ, მისი კომენტარი გამოვაქვეყნოთ.

მანანა ჯელიძე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

დოქსოპულო, შენ დედა გყავს?!

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში თავისებური დამოკიდებულებაა ქალისა და დედის მიმართ. საქართველოში ყოველთვის იყო დედის კულტი. გალაკტიონის თანამედროვენი იხსენებენ, რომ, როცა უზომოდ დამწუხრებულ დიდ პოეტს მწერალთა კავშირში უსამძიმრებდნენ დედის გარდაცვალების გამო, ერთმა მოპოეტო პროზაიკოსმა რამდენჯერმე ჰკითხა განსვენებულის ასაკი. გალაკტიონმა ჯერ წაუყრუა, მერე კი, თავი რომ მოაბეზრა, მიუბრუნდა და გაოცებულმა მიმართა: „ასაკს რა მნიშვნელობა აქვს, ძამიკო, დედა იყო ჩემი!..“ ამ გახსენებით ჩვენ მხოლოდ ერთი პოეტის (გენიალური პოეტის!) დედისადმი დამოკიდებულება გიჩვენეთ, საქართველოში კი დედისადმი მოწიწების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი „ქართლის დედის“ ქანდაკებაა, რომელიც 1958 წელს სოლოლაკის ქედზე აღიმართა თბილისის 1500 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ცნობილი მოქანდაკის — ელგუჯა ამაშუკელის 20-მეტრიანი სკულპტურა ხისგან დამზადდა, მოგვიანებით, 1963 წელს კი, ალუმინით დაიფარა, რათა ქანდაკება არ დაზიანებულიყო.

სკულპტურა მრგვალი ქანდაკების პრინციპითაა შექმნილი, მაგრამ მისი სრულად აღქმა ფრონტალურად ყველაზე უკეთაა შესაძლებელი. ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალის გამოსახულებას ხელში ხმალი და ღვინის თასი უჭირავს. ხმალი მტრის დასახვედრად მუდმივი მზადყოფნის, ხოლო თასი ქართული სტუმართმოყვარეობის სიმბოლური გამოხატულებაა.

კომუნიზმის გაგანია მშენებლობის ფერხულში ჩაბმულმა ქართველებმა „ქართლის დედა“ სწორედ ასეთი წარმოიდგინეს და ამგვარი ძეგლი დაუდგეს. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ საქართველოს დედა ამ დროისათვის ჯერ არდაბადებული (თუ არდასაბადებელი!), დედაქალაქის ერთ-ერთი და, გადაუჭარბებლად თუ ვიტყვით, ყველაზე სამარცხვინო მერის „ფალოსოფიური ტრაქტატის“ პერსონაჟი გახდებოდა და ზურაბ ჭიაბერაშვილის განსაქიქებელი შეიქნებოდა. მოულოდნელი არც საზოგადოების აღშფოთება იყო მისი ფსიქოსექსუალური წარმოდგენების მიმართ. როგორი მანიაკური აზრები უნდა გიტრიალებდეს არცთუ ისე დიდ თავში ადამიანს, რომ „ქართლის დედის“ ხელში ხმლის ნაცვლად ფალოსი, თასის ნაცვლად კი საშო წარმოიდგინო.

მანიაკური წარმოდგენების „ფალოსოფოსი“ მერი დედაქალაქს მოაშორეს და ევროსაბჭოში გაამწესეს საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად თუ, როგორც ერთ იუმორისტულ გადაცემაში იხუმრეს, „ევროპის დედის სატირებლად“. ასეთი სექსუალური ფანტაზიების ადამიანს რომ ევროპაში საქართველოს წარმომადგენლად გაუშვებ, არც შენი ქვეყანა გიყვარს და, უფრო მეტიც, შენთვის უცხოა „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“, თორემ, რა გონებრივი თუ ვიზუალური მონაცემებით გამოირჩეოდა ეს გადიპლომატებული პათოლოგი, საქართველოს სახელით მთელ ევროპას რომ ელაპარაკება.

მსოფლიოს მასშტაბის ტურისტ-ხელისუფალთ შევახსენებთ, რომ მარნეულში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით 1975 წელს აღმართულ მერაბ ბერძენიშვილის სკულპტურაში — „კიდევაც დაიზრდებიან“ — გამოსახულია ქართველი დედა, რომლის წინ მდგომ ორ ბოკვერს ხელში ხმალი (ზოგიერთის გასაგონად — ხმა-ლი!) უჭირავს, ფილარმონიასთან 1972 წელს აღმართულ „მუზას“ ნიღბები ამშვენებს, ხოლო ბიჭვინთაში 1967-70 წლებში დადგმული „მედეა“ მედიცინის დედას განასახიერებს. როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის ხელისუფალნი ფიქრობენ, რომ ბიჭვინთა საქართველოს აღარ ეკუთვნის და მედეას ქანდაკების დადგმა ბათუმშიც მოინდომეს. რა ვნებათაღელვა მოჰყვა ამ ინიციატივას, კარგად გახსოვთ. აი, თბილისში, ცისფერ გალერეასთან, მოწყენილად გულხელდაკრეფილი ქალის ძეგლს კი თბილისელმა ენაკვიმატებმა „ჭიაბერაშვილის დედა“ უწოდეს. არ ვიცი, რამდენად ეთიკურია ამის თქმა, მაგრამ „ქართლის დედის“ აუგად მომხსენიებელი მერის მიმართ რა ლოცვა-კურთხევას გაგზავნიდნენ შეურაცხყოფილი ქართველები, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

გთავაზობთ რეალური და გამოგონილი საოცარი ქალების 12 ძეგლის შესახებ ინფორმაციებსა და ფოტოსურათებს და თავად განსაჯეთ, რა საერთო და მსგავსებაა ქართულ, ამერიკულ და ევროპულ ღირებულებებს შორის.

1. 1803 წლის დეკემბერში მაღალმთიანი ბერძნული სოფლის ზალონგოს მცხოვრებმა ქალებმა, ალი ფაშას თურქ მეომრებს ხელში რომ არ ჩავარდნოდნენ, საკუთარი შვილები მთიდან გადაყარეს, მერე კი ფერხულში ჩაებნენ და ერთმანეთის მიყოლებით გადაეშვნენ უფსკრულში. ისინი 57-ნი იყვნენ. ბერძენი მოქანდაკის ზოგოლოპულოსის მიერ მათ პატივსაცემად შექმნილი მონუმენტი სწორედ ამ საშინელ სიკვდილის როკვას ასახავს.

2. მონუმენტი „განთქმული ხუთეული“, ანუ „ქალებიც ადამიანები არიან“, ოტავაში (კანადა) პარლამენტის ბორცვზეა განლაგებული და 5 ალბერტელ ქალს ეძღვნება, რომლებმაც ქალთა თანასწორუფლებიანობის შესახებ კანონი და სენატში არჩევის შესაძლებლობა მოიპოვეს. მანამდე კანონი მკაფიოდ განსაზღვრავდა, რომ ქალების, როგორც ნაკლებად კვალიფიციურებისა და განათლებულების, სენატში არჩევა არ შეიძლება. ემილი მერფიმ, ირენ მარიატ პარბლიმ, ნელი მუნი მაკლანგმა, ლუიზა კრამ მაკკინმა და ჰენრიეტა მუირ ედვარდსმა სახელი მას შემდეგ გაითქვეს, რაც კანადის უზენაეს სასამართლოში შეკითხვა დასვეს: „შედიან თუ არა 1867 წლის ბრიტანული ჩრდილოამერიკული აქტის (დოკუმენტი, რომელმაც კანადის სახელმწიფოს დაუდო სათავე) 24-ე თავში ნახსენებ ცნებაში „ადამიანები“ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები?“

3. დედოფალი ვიქტორიას ძეგლი იქვე, პარლამენტის ბორცვზეა აღმართული, იმის აღსანიშნავად, რომ მან პირადად აირჩია ოტავა კანადის დედაქალაქად. ძეგლი 1807 წელს დააპროექტეს და დადგეს, დედაქალაქად ოტავის გამოცხადებიდან 40 წლის შემდეგ. თუმცა ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ დედოფალმა მომავალი სახელმწიფოს დედაქალაქი ალალბედზე, რუკაში თმის სარჭის ჩასობით აირჩია.

4. უცნობი მუშა ქალების ძეგლი ბელფასტში — სიმბოლური და მწუხარე ქანდაკება, რომელიც ქალის პროფესიულ და ოჯახურ, მძიმე და ხშირად დაბალანაზღაურებად შრომას განასახიერებს. ქალის ფიგურები პირდაპირ ტროტუარზე დგანან, მათ სხვადასხვა პროფესიის აღმნიშვნელი ატრიბუტები ამშვენებს — ბაზრის მოვაჭრის კალათა, ტელეფონი, თმის ჯაგრისი და ა.შ.

5. ჟანა დ'არკი — ფრანგი გმირი ქალი, რომელიც ინგლისსა და საფრანგეთს შორის ასწლოვან ომში მონაწილეობდა და ქვეყანა ინგლისელი ოკუპანტებისგან გაათავისუფლა. მოგვიანებით ერეტიკოსობაში დასდეს ბრალი და 1431 წელს კოცონზე დაწვეს. 1909 წელს პაპმა პიუს X ჟანა ნეტარად გამოაცხადა, ხოლო 1920 წლის 16 მაისს პაპმა ბენედიქტ XV ის წმინდანად შერაცხა. ამჟამად საფრანგეთის თითქმის ყველა კათოლიკურ ეკლესიაში დგას წმინდა ჟანას ქანდაკება (ორლეანელი ქალწული მამაკაცის კოსტიუმში, მახვილით ხელშია გამოსახული). მე-19 საუკუნის მიწურულს საფრანგეთში ჟანა დ'არკის ძეგლები მომრავლდა. ყველა ფრანგულ ქალაქს სურდა, ჟანას სკულპტურა ჰქონოდა. 1875 წელს პარიზში, პირამიდების მოედანზე, ფრემიეს შექმნილი სტატუა აღმართეს. ვეებერთელა ცხენზე ამხედრებული ორლეანელი ქალწული მაღლა შემართული დროშით — ასე გამოიყურება ქვეყნის ერთადერთი ქალი-წმინდანის ეს ძეგლი.

6. ქალთა მემორიალი — ქვიშაქვისაგან ნაგები 36,5 მ სიმაღლის თვალწარმტაცი ობელისკი, რომელიც ინგლისელებისა და ბურების ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპულ 26 ათას ბურ ქალსა და ბავშვს ეძღვნება.

7. 1943 წლის მარტის პირველ დღეებში ბერლინში ისეთი რამ მოხდა, რისი დაჯერება ახლაც კი ჭირს. სიკვდილის ბანაკებში გასაგზავნად როზენშტრასეზე შეკრებილი რამდენიმე ათასი ებრაელი გაათავისუფლეს. მეტსაც გეტყვით, ოცდახუთი ებრაელი, რომლებიც უკვე ოსვენციმში იყვნენ დეპორტირებული, ნაცისტებმა ორ კვირაში ბერლინში დააბრუნეს და ასევე გაათავისუფლეს. ეს იატაკქვეშა საიდუმლო ოპერაციის შედეგი არ ყოფილა. ყველა ებრაელი ლეგალურად გათავისუფლდა და შესაბამისი მოწმობაც მიიღო. განადგურების საათივით აწყობილი მანქანა პირველად გაფუჭდა, სიკვდილმისჯილები ცოცხლები გადარჩნენ. ბევრი მათგანი მოესწრო ჰიტლერიზმის აღსასრულს, ზოგიერთი კი ახლაც ცოცხალია. თავიანთ სასწაულებრივ ხსნას ისინი გერმანელ ქალებს უნდა უმადლოდნენ, რომლებიც ებრაელებზე გათხოვდნენ. ორი კვირის განმავლობაში ისინი როზენშტრასეზე გამოდიოდნენ და ქმრების, მამებისა და შვილების დაბრუნებას მოითხოვდნენ. გერმანელი მოქანდაკის ინგებორგ ხუნციინგერის ნამუშევარი 1995 წელს ბერლინის პარკში დაიდგა.

8. დულსინეა ტობოსელის – სერვანტესის „დონ კიხოტის“ პერსონაჟის ძეგლი მადრიდში 1957 წელს დაიდგა. უმშვენიერესი მანდილოსანი მასზე გამოჯნურებული მწუხარე სახის რაინდის წარმოსახვის ნაყოფი გახლდათ.

9. სიბილ ლადინგტონმა, ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის ქალიშვილმა, სახელი იმით გაითქვა, რომ 1777 წლის 26 აპრილს, როგორც კი შეიტყო, რომ ბრიტანელი ჯარისკაცები ამერიკის არმიის სამხედრო საწყობებს წვავდნენ, ცხენს მოახტა, 40 მილი ჭენებით გაიარა და ვოლონტიორები და ჩვეულებრივი მოქალაქეები შეაგროვა, რათა ინგლისელთა შეტევა მოეგერიებინათ. მის პატივსაცემად ძეგლი 1961 წელს აღიმართა.

10. დამოუკიდებლობისათვის ომის ერთ-ერთი უკანასკნელი ბრძოლის დროს ამერიკელ მოლი პიტჩერს (ნამდვილი სახელი — მერი ჰეისი) მეომრებისთვის წყალი დაჰქონდა. სხვათა შორის, ეს მეტსახელი („პიტჩერი“ ინგლისურად დოქს ნიშნავს) მან იმით დაიმსახურა, რომ გამუდმებით უზიდავდა ჯარისკაცებს დოქით წყაროს წყალს. როდესაც მისი არტილერისტი მეუღლე მძიმედ დაიჭრა, ქალმა ხელიდან ზუმბა გამოსტაცა და ბრძოლაში ჩაება. მოლის სახელი ლეგენდად იქცა, ჯორჯ ვაშინგტონმა კი მას პირადად მიანიჭა სერჟანტის წოდება. მოლის საფლავთან ფლაგშტოკზე დროშაა აღმართული და ზარბაზანი დგას.

11. მედისონ-ავენიუზე ნიუიორკის შტატის ქალთა მემორიალია განლაგებული. ის ყველა ქალს ეძღვნება, ვინც ბოლო 200 წლის განმავლობაში სამხედრო სამსახური მოიხადა.

12. მონუმენტი „დედა სამშობლო გვიხმობს“ ვოლგოგრადში მამაის ყორღანზე განლაგებული სკულპტურული ანსამბლის — „სტალინგრადის ბრძოლის გმირებს“ — კომპოზიციური ცენტრია. მოქანდაკე ე. ვუჩეტიჩის და ინჟინერი ნ. ნიკიტინის ნამუშევარი — მახვილშემართული ქალის მრავალმეტრიანი ფიგურა წინ მიაბიჯებს. ეს სამშობლოს ალეგორიული სახეა, რომელიც თავის შვილებს მტერთან საბრძოლველად მოუხმობს. მხატვრული თვალსაზრისით, ქანდაკება გამარჯვების ანტიკური ქალღმერთის ნიკეს თანამედროვე ინტერპრეტაციას წარმოადგენს, რომელიც თავის შვილებს შეტევის გაგრძელებისკენ მოუწოდებს. მონუმენტის მშენებლობა 1959 წლის მაისში დაიწყო და 1967 წლის ოქტომბერში დამთავრდა და იმ დროისათვის მსოფლიოში ყველაზე მაღალი ქანდაკება გახლდათ.

ქართლის დედა

„კიდევაც დაიზრდებიან“

მუშა ქალები ბელფასტში

მოლი პიტჩერი

ჟანა დ'არკი

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მიშასეული მისტიკა ანუ 2+3=5

ნუმეროლოგია ბედისწერის შენობის გასაღებია. იგი მრავალი საუკუნის წინ შექმნეს საბერძნეთისა და იუდეის ფილოსოფოსებმა. ამ ცოდნაზე დააფუძნა პითაგორამ რიცხვთა მისტიკა, რომლის მიხედვით არსებობს მაგიური, პოზიტიური და შავი ძალამოსილების რიცხვები:

1 ყველაზე წმინდა და ღვთიური ციფრია. მას ღვთაებრივი და პოზიტიური ძალა აქვს. 3, 7, 9 ბედნიერების მომტანია, რადგან საკრალური ციფრებია. თვით უფალი მე-9 ცაზეა. რიცხვი 12 პროპორციის, თანასწორობისა და ჰარმონიის მატარებელია და უმაღლესი ძლევამოსილების მქონეა. რიცხვი 13 თარსია და შავი ენერგიის მატარებელია, რომელსაც 12-ის ჰარმონიაში ყოველთვის დისონანსი შეაქვს. 12 პოზიტიურ რიცხვთა მწვერვალზეა. მის საფუძველზე შეიქმნა ზოდიაქოს 12 სისტემა. ყველა სახის სერვისში 12 ნაკეთობა შედის. პოზიტიურ და წარმატების მომტან ციფრებს ჯერ კიდევ ბიბლიაში ვხვდებით: ადამიდან მეათე თაობაში დაიბადა ნოე, ხოლო სემიდან მეათე თაობაში — აბრაამი. იაკობს 12 შვილი ჰყავდა, ხოლო უფალ იესოს — 12 მოწაფე. აბრაამი 100 წლის იყო, როდესაც ისააკი შეეძინა, იაკობიც 100 წლის იყო, როდესაც იოსები დაიბადა. ნოეს კიდობნის სიგრძე 300 წყრთა იყო, სიგანე — 50. ნოემ წარღვნის შემდეგ ზუსტად 350 წელი იცოცხლა. ჯვარცმის დროს იესო 33 წლის იყო, ხოლო ჯვარცმიდან აღდგომამდე ზუსტად 33 საათი გავიდა.

ძველმა ეგვიპტელებმა აღმოაჩინეს საინტერესო კანონზომიერება: მზის დაბნელება თანამიმდევრობით მეორდება ყოველ 18 წელსა და 10 დღეში, რასაც ეგვიპტეში „საროსი“ ეწოდება. ვნახოთ, რა ხდება ამ ციკლური დაბნელების დროს: **1818 წელს, მზის დაბნელებისას, დაიბადა კარლ მარქსი, რომელზედაც ბისმარკმა თქვა: — „აცალეთ ამ ბუღალტერს და იგი ევროპას ცხარე ცრემლებით აატირებს“. ასეც მოხდა. საროსის დღეს, 1944 წლის 20 ივლისს, მოხდა თავდასხმა ადოლფ ჰიტლერზე, შემდეგში ზუსტად მზის დაბნელებისას ხდება კარიბის კრიზისი, რომელმაც მსოფლიო ომის საშიშროება შექმნა. გასაოცარია, ჯვაროსნებმა 1096-1099 წელს იერუსალიმი პარასკევ დღეს, 3 საათზე, აიღეს.** ეს დღე და საათი ქრისტეს ჯვარცმის დღეა. არანაკლებ ყურადღებას იქცევს ციფრული დამთხვევები: 1664 წელს უელსის ჩრდილოეთ სანაპიროსთან დაიღუპა გემი, 81 მგზავრიდან მხოლოდ ერთი გადარჩა, 1785 წელს ამავე ადგილზე კვლავ დაიღუპა გემი, ამჯერად 60 მგზავრიდან კვლავ ერთი გადარჩა, 1860 ამავე ადგილზე ხდება ტრაგიკული შემთხვევა და კვლავ ერთი რჩება ცოცხალი.

ნოემბრის თვე ისტორიაში ცნობილია რევოლუციების, გადატრიალებების თარიღად: **1799 წლის 9 ნოემბერს ნაპოლეონმა გადატრიალება მოახდინა საფრანგეთში, 1917 წლის 7 ნოემბერს — რუსეთში ბოლშევიკებმა, 1918 წლის 8 ნოემბერს — გერმანიაში. 1923 წლის 8 ნოემბერს ჰიტლერმა მიუნხენში ლუდის პუტჩი მოაწყო. ნოემბრის პოლიტიკურ ტემპერატურას არც ივნისი ჩამოუვარდება: 1989 წლის 22 ივნისს ბერლინის კედელი დაინგრა, 1815 წლის 22 ივნისს ნაპოლეონმა უკანასკნელად უარი თქვა ტახტზე, 1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს... ციფრთა ზემოქმედების, ანუ პოლიტიკურ პროცესებზე მათი გავლენის შესახებ, უამრავი ფაქტი მოიპოვება. სწორად შერჩეულ რიცხვს შეუძლია მოვლენების წარმატებით წარმართვა, პითაგორიზმის მიხედვით — ნებისმიერი პროცესის სტაბილურობა, აქცენტირებაც და შეცვლაც.**

არსებობს ფაქტობრივი მასალა, რომ დიდი პოლიტიკოსები ყოველთვის ითვალისწინებდნენ მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესების დროს საწყის რიცხვთა მაგიურ ზეგავლენას, რომელიც ემყარებოდა პითაგორიზმისა და კაბალისტურ რიცხვთა სისტემას.

სტალინი დაიბადა 21 დეკემბერს. რიცხვთა თეორიის თანახმად, ამ პერიოდში დაბადებულები იმპერიის ამშენებლები უნდა ყოფილიყვნენ. თუ მთვარის დღეებიც დაემთხვეოდა, ამ რიცხვში დაბადებულებს წარმატება გარანტირებული ჰქონდათ. **სტალინი მთვარის მესამე დღეს, ანუ საკრალური ციფრის გარემოცვაში დაიბადა. თეორიის მიხედვით, 21 არის 2+1=3. ამ შემთხვევაში, გორში, ხელმოკლე ოჯახის ქოხში დაბადებულ ბიჭუნას ორმაგი დამთხვევა ხვდა წილად, მისი მაგიური ციფრი 3 გახდა. ეს მაგიურობა ბელადის ცხოვრებაში სიძლიერითაა გამოხატული. საქმე ის არის, რომ სტალინს სჯეროდა ნუმეროლოგიის, რასაც მოწმობს მისი დამოკიდებულება რიცხვ სამთან. გერმანიასთან ომის დაწყებისას საინფორმაციო წყაროებს არ ეკარებოდა და მხოლოდ 3 ივლისს გამოვიდა რადიოთი. ფინეთთან ომი 30 ნოემბერს დაიწყო (3+0=3). ამჯერად მან ეს ციფრი მთვარის დღეს არ დაამთხვია და შედეგიც არასასურველი მიიღო.**

სტალინი გარდაიცვალა 1953 წლის 5 მარტს. ეს — ოფიციალურად, მაგრამ მაგიური რიცხვის მცოდნენი თვლიან, რომ იგი გარდაიცვალა 3 მარტს, რადგან აპოკლექსიური შეტევა 3 მარტს დაემართა. ნუმეროლოგების გამოთვლით, 1953 არის 1+9+5+3=18-ს, ხოლო 1+8=9-ს. 9 კი 3-ის ჯერადია. პითაგორიზმის მიხედვით, 9 და 3 მეგობარი ციფრებია.

სტალინი სახელმწიფოს 28 წელი მართავდა. 28 მაგიურ რიცხვად არის მიჩნეული, ამიტომაც ძველ სპარტაში უმაღლესი ორგანო — სენატი 28 კაცით განისაზღვრა.

სტალინს მაგიური ციფრების სჯეროდა, რასაც მოწმობს მისი მიმოწერა მოსკოვში მცხოვრებ ნათელმხილველ ვოლფ მესინგთან. მესინგმა 1940 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომამდე, რამდენიმე თვით ადრე განაცხადა: — „მე ვხედავ წითელვარსკვლავიან ტანკებს ბერლინის ქუჩებში“. ეს მაშინ, როდესაც ჯერ მოქმედებდა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი ორ სახელმწიფოს შორის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ. **1943 წელს მესინგს ნოვოსიბირსკის თეატრის სცენაზე ბარათი აუტანეს — „როდის დამთავრდება ომი?“ მესინგმა უპასუხა — 8 მაისს. სულ ერთი დღით შეცდა, მაგრამ სტალინმა მისი წინასწარმეტყველური გათვლა გამარჯვებად ჩათვალა. როდესაც გერმანიამ კაპიტულაციას ხელი მოაწერა, სტალინმა მესინგს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა, სადაც გამარჯვების თარიღის წინასწარმეტყველებას ულოცავდა.**

სტალინს მისტიკაში არც ჩერჩილი ჩამორჩებოდა. განსაკუთრებით ინდოელების ნუმეროლოგია აინტერესებდა. მისი მაგიური ციფრი 7 გახლდათ — ციური ნეტარების მატარებელი. 7 ათეულში სიძლიერით მხოლოდ პირველს ჩამოუვარდებოდა. თუ პიროვნების ბედის ციფრი 7-ია, მისი მფლობელები იღბლიანები არიან და კარიერის კიბეებზე სოლიდურ ადგილს იკავებენ. **7 ციფრის დამსახურებაა, რომ 1934 წლის 13 იანვარს ავარიაში მოყოლილი ხუთი სერიოზული ჭრილობით ჩერჩილი ისე სწრაფად გამოჯანმრთელდა, ექიმები გაოცდნენ. ომის წლებში ჩერჩილის თვითმფრინავს ჩამოსაგდებად ექვსი გერმანული ბომბდამშენი დაედევნა. მოხდა სასწაული, მისი ჩამოგდება ვერ შეძლეს. რომ იტყვიან, 7-იანის გავლენით, ბედი მასთან მეგობრობდა.**

ამჟამად ლონდონში, პარლამენტის შესასვლელში, დგას ჩერჩილის ძეგლი, რომლის გარშემო მტრედების გუნდები დაფრინავენ, მათი სკორეთი ყველაფერი მოსვრილია, მხოლოდ ჩერჩილის ძეგლი დგას სუფთად.

მისტიკურ მოძღვრებას დიდ პატივს სცემდა ქართველთა საყვარელი მეფე დავით აღმაშენებელი. მსოფლიო ბრძოლების ისტორიაში 300 მაგიურ ძლევამოსილ რიცხვადაა მიჩნეული. მასში იდუმალი და მისტიკური ძალაა გაცხადებული. ამას მოწმობს 300 არაგველი და 300 სპარტელის გმირობა უთანასწორო ბრძოლაში. ორივე შემთხვევაში რომ ბრძოლა სპარსელებთან წარმოებდა, ეს ცალკე საკითხია. ერთი კი ცხადია, მათი დამარცხება მაგიური რიცხვის წყალობით გამარჯვებად და უკვდავებად იქცა. ცნობილი ფაქტია, რომ დიდგორის ბრძოლის წინ დავით აღმაშენებელმა 1200-კაციანი ლაშქარი 300-კაციან ნაწილებად დაშალა და ჰქმნა „ძლევაი საკვირველი“.

ისტორიის საფეხურებზე არა ერთი პოლიტიკოსი ხელმძღვანელობდა ნუმეროლოგიის პრინციპებით. თანამედროვე სახელმწიფო ხელმძღვანელთაგან მისტიკურ გათვლებს დიდ ყურადღებას უთმობდა ფრანსუა მიტერანი.

1981 წელს თეთრი სახლის აპარატის ხელმძღვანელმა რეიგანს სამი ასტროლოგი მიუყვანა. პოლიტიკაში მათი ჩართვის შედეგად მრავალწლიანი დაპირისპირებისა და საგაზეთო პრესის ლანძღვა-გინების შემდეგ პირველად ლღვება ყინული თეთრ სახლსა და რუსულ კრემლს შორის. ისიც ცნობილია, რომ რეიგანს სწორედ ასტროლოგი მრჩევლები ურჩევდნენ პირველად, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვერ გამონახეს საერთო ენა, სასურველ შედეგს მალე მიაღწევდა, რაც გამართლდა კიდეც.

გაზეთი „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ იტყობინებოდა, რომ ბორის ელცინის პრეზიდენტობის ჟამს დღის წესრიგში აუცილებელი რეკომენდაციები ეკავა ასტროლოგთა რჩევებს.

საქართველოს პრეზიდენტს ჰყავს თუ არა ასტროლოგი — ნუმეროლოგიაში გათვითცნობიერებული მრჩეველი, ცნობილი არაა. პრეზიდენტის მოღვაწეობის მნიშვნელოვან მოვლენათა თარიღებს თვალს თუ გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ მოვლენების შედეგები დასაწყისიდანვე გათვლილია პოზიტიურ თარიღთა გათვალისწინებით. პრეზიდენტის ასტროლოგი ცნობილი მიხეილ ცაგარელი რომ არაა, ამას მოწმობს თვით მიხეილის სატელევიზიო გამოსვლა, სადაც მან დანანებითა და გულწრფელობით აღიარა, რომ პრეზიდენტს რჩევისთვის მისთვის არასოდეს მიუმართავს.

ყველას გახსოვთ 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“. ამ ამერიკული პროექტის წარმატებისთვის გათვალისწინებული იყო რიცხვითი მოძღვრებითა და ისტორიული გამოცდილებით სახელმწიფო გადატრიალებებისა და რევოლუციებისთვის ყველაზე ხელსაყრელი თვე — ნოემბერი (23). ხშირად გაიგონებთ, რომ მიშამ ეს თარიღი ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთ ყველაზე ძლევამოსილი წმინდანის დღეს — გიორგობას დაუკავშირა. ქრისტიანულ წმინდანთა პანთეონში გიორგი ერთადერთი წმინდანია, რომელიც იარაღითაა აღჭურვილი. ეს დამთხვევა ძირითადში აღებული რიცხვის გასაძლიერებლადაა დაშვებული. რიცხვს 23-ს თუ პითაგორიზმის თეორიით გავყოფთ და დავაჯამებთ, 2+3=5. დიახ, რიცხვი ხუთი პრეზიდენტის მოღვაწეობის მოვლენებში მუდმივად წამყვან პოზიციაზეა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა, როგორც ეგვიპტელთა ფარაონმა ეხნატონმა, პირველად რაც მოიმოქმედა, ეს იყო სახელმწიფოს სიმბოლოების შეცვლა. მან ხელის ერთი მოსმით, ჰერალდიკოსების ცხარე სჯა-ბაასის მიუხედავად, ახალი დროშით ქართულ ცნობიერებას არქაულ ფესვებში გადახლართული ეროვნულ ფერთა სიმბოლური გამა „ააგლიჯა“ და ერის ნების გამოხატულების იგნორირებით 5-ჯვრიანი დროშა შემოგვთავაზა. მის დასამკვიდრებლად ქაქუცა ჩოლოყაშვილს სამების ტაძარში, ხუთჯვრიანი დროშა გადააფარა იმ დროშის ზემოდან, რომლისთვისაც იბრძოდა. მის ყოველ ნაბიჯს, ყოველ გამოსვლას ამ დროშათა სიმრავლე უძღვის. დაკვირვებული კაცისთვის, თუ მისტიკაშია ჩახედული, ახალი 5-ჯვრიანი დროშა რიცხვითი მნიშვნელობით 5-ია. ჩნდება კითხვა: **პრეზიდენტისათვის რიცხვი 5 დატვირთული ხომ არაა მისტიკური შინაარსით? ინტუიცია და სინთეზი ფილოსოფიაზე დაყრდნობით, დაკვირვება და შემეცნება, კონცენტრაცია და შინაგანი ხედვა გვეუბნება, რომ ბატონი პრეზიდენტის მაგიური ციფრი არის 5.**

მივყვეთ ბატონი მიხეილის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ფაქტების მწკრივს, რომელიც მისი მაგიური რიცხვის ფარულ დედაარსს გაგვაცნობს. აჭარის შემოერთება ისევ წმინდა გიორგის დღეს — 6 მაისს მოხდა. ის ჩოლოქს მხარდამჭერთა არმიით მე-5 თვის 5 რიცხვში მიადგა, რითაც გიორგობის ორმაგი თანხვედრით გამარჯვების შანსს ძლევამოსილება შემატა.

პრეზიდენტი საარჩევნო სიაში ირჩევს თავის მაგიურ რიცხვს — 5-ს. გახსოვთ, ალბათ, 5 იანვრის არჩევნები უდიდესი ხელმოცარულობის ჟამს. ციფრი 5-ის ძლევამოსილებით შესაძლებელი გახდა მის გარშემო არსებული ნეგატიური აურის ჩახშობა. მან საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობაც 5-ით დანომრა.

5 საკრალური რიცხვი არაა, მაგრამ სუბიექტურად მისთვის წარმატების მომტანია. ის პრეზიდენტი 35 წლის ასაკში გახდა. საკრალურ ციფრს 3-ს დაემატა მისი მაგიური ციფრი 5, ამით კი წარმატების შანსი გაორმაგა, რასაც ხმათა 90%-იც ადასტურებს.

ხელისუფლებაში საკაშვილის მოსვლიდან 5 წელი უკვე გავიდა. 5-მა მის ბედისწერაში თუ არა, კარიერაში თავისი მისტიკური ზეგავლენა ამოწურა. რიცხვთა თეორიის მიხედვით, მოკვდავთა ცხოვრებას თან სდევს რიცხვთა მაგიური ზეგავლენა. თუმცა ყველამ როდი იცის მისი მფარველობის პრაქტიკაში გამოყენება. საუკუნეთა მანძილზე ამ ცოდნის დაფარვა-გასაიდუმლოება თვითონ ხელისუფალთა მიერ ხდებოდა, რათა შეენარჩუნებინათ ძალაუფლება. ისტორიამ შემოგვინახა ფაქტები: თუ ვინმე ამ ცოდნის გაგებას შეეცდებოდა, მას ყურში გამდნარ ტყვიას ასხამდნენ და კლავდნენ.

2009 წელია. 9 სამიანთა ჯამური შედეგია, რითაც მისი ძალამოსილება მაგიურ ზენიტშია. ის ბევრად აღემატება 5-იანის მისტიკურ შესაძლებლობებს. ამის გამო პრეზიდენტის შეცვლის ალბათობა მეტ სიმყარეს იძენს. სამი სამიანის შეერთებული ძალა, ანუ 9, უპირატესობას ანიჭებს სიბრძნეს, სამართლიანობისა და სიმამაცის ზეიმით გამარჯვებას.

ვნახოთ, რა მოხდება.

მოამზადა
ლალი შაშიაშვილმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

რა არის დიდმარხვის აზრი?

არაერთხელ მოგვისმენია დიდი მარხვის აზრის განმარტება... თავად ცნება „მარხვა“ უბრალოდ საკვებისაგან თავის შეკავება ან ვეგეტარიანელობა როდია. როდესაც არმიაში ვმსახურობდი, პარასკეობით ხორცს არ გვაჭმევდნენ და ამას „ვეგეტარიანული დღე“ ერქვა. ჰოდა, დღევანდელ მართლმადიდებლებს სწორება არმიაზე აქვთ და ფიქრობენ, როგორც მუსლიმანი: თუ საღამომდე ცხვრის ხორცს არ მივირთმევ და არაყს არ დავლევ, ესე იგი, ვიმარხულე. მაგრამ ასე არ არის. დიდ მარხვას სულის გადარჩენისათვის მისი ზნეობრივი მნიშვნელობის გამო ჰქვია დიდი. ამ დროს თავშეკავების დახმარებით ჩვენი სული გარდაიქმნება, რათა შემდეგ, აღდგომას, შეძლოს, სიხარულით მიიღოს სულიწმიდის მადლი.

დიასახლისი სამზარეულოში კერძების მომზადების შემდეგ ჭურჭელს რეცხავს. ასევე ჩვენც, რათა ჩვენს გულებს ზეციური საკვები მოეწოდოს, ეს ჭურჭელი ბოროტებისაგან უნდა გავწმინდოთ და გავასუფთაოთ. მარხვის დასასრულს უბრალოდ გამხდრები და დამშეულები კი არა, უბოროტონიც უნდა ვიყოთ. ჩვენ არასწორად გვესმის სიტყვა „მარხვა“. ეს მხოლოდ შიმშილობა, სახსნილო საკვებზე ან სასუსნავზე უარის თქმა არ არის. თავადაც იცით, რომ ეშმაკები საერთოდაც არ იკვებებიან. ისინი უფლის მიერ ხილული სამყაროს შექმნამდე დიდი ხნით ადრე არსებობდნენ, არასოდეს არაფერი უჭამიათ და დაულევიათ, ჩვენ კი გვიმასპინძლდებიან — ხორციცაც და ვნებებითაც — მიირთვი, დალიე, ოღონდაც ზეციურ საუფლოში არ მოხვდე. ასე რომ, თავისთავად, სახსნილო საკვებზე უარის თქმა ან შიმშილობა წმინდანებად არ გვაქცევს. ეს მხოლოდ საშუალებაა, ერთ-ერთი პირობა, რომ უბოროტონი გავხდეთ და ანგელოზებს ვემსგავსოთ. ჩვენს თავშეუკავებლობაში ხორცი და ქონი კი არა, ჩვენივე საზიზღარი ნებაა დამნაშავე. ამიტომ არა შიმშილი, არამედ სულიერი განახლება მოგვეთხოვება. კეთილნი, მოსიყვარულენი, მორწმუნენი უნდა ვიყოთ.

მთავარი რწმენაა, დანარჩენი ყველაფერი თავისით მოვა. სახსნილო საკვებზე უარის თქმა დამხმარე საშუალებაა, რომლითაც საცეცხლურში ნახშირისა და შეშის შეკეთებას ვწყვეტთ, ანუ საკუთარ ხორცს ვთრგუნავთ, რადგან ეს საცეცხლურია ჩვენი ვნებებისა და მანკიერებების მშობელი. რადგან სხეულის საკვები მცირდება, სულის საკვები უნდა გაიზარდოს! როგორ? ნაკლებს მივირთმევთ და მეტს ვლოცულობთ. განუწყვეტლივ ვლოცულობთ დილის 6-დან დღის 12 საათამდე. და მწყურვალი სული მოზრდილი ჩამჩით ეწაფება სულიწმიდის მადლს მარხვის, მორჩილების, ლოცვის გზით. და ასე ყოველდღე; ოთხშაბათსა და პარასკევს კი სნეულთა და უძლურთ ციური საკვები მიეწოდებათ — ზიარება.

თავგამოდებულ ქრისტიანებს შეუძლიათ პირველ კვირას საერთოდ არ მიიღონ საკვები. მაგრამ ამ დროს ძალიან ბევრი წყალი უნდა სვათ, დღეში ლიტრი-ლიტრნახევარი, და ხშირად მიიღოთ აბაზანა კანიდან გამოყოფილი ტოქსინებისა და ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების ჩამოსარეცხად. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ისევ ორგანიზმში შეიწოვება, ადამიანი დასუსტდება და შეუძლოდ შეიქნება. ადამიანის ორგანიზმი საკვების გარეშე დიდხანს ძლებს. მაგრამ თავადაც უნდა გესმოდეთ, რომ გარეგნულ გმირობაზე მნიშვნელოვანია შინაგანი გმირობა — საკუთარ ვნებებთან ბრძოლა.

თუ რამდენიმე დღე არაფერი გიჭამიათ, შიმშილობდით, მარხვიდან ძალიან ფრთხილად უნდა გამოხვიდეთ, რათა ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოთ. პირველ დღეს ნაკურთხი წყალი, ერთი სეფისკვერი, მეორე დღეს — ორი სეფისკვერი, მესამე დღეს შეიძლება ჩაი, ხოლო მეოთხე დღეს — მანანის ფაფა ან თხელი ბულიონი. მარხვიდან თანდათან უნდა გამოხვიდეთ, აუცილებლად — ლოცვით, და მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

დიდი მარხვისას ცოდვები ძალიან მკაფიოდ მჟღავნდება. ისინი ჩანს როგორც წყლის ზედაპირზე მოტივტივე ნაგავი. უნდა მოვინანიოთ! როგორც კი მოყვასისადმი ბრაზი და წყენა გაჩნდება, მყისვე ამოძირკვე ისინი გულიდან. თუ გთხოვენ — გაეცი, შეურაცხგყოფენ — მიუტევე, არ განაწყენდე...

მონანიებისათვის განსაკუთრებით სასარგებლო სავარჯიშოებია სიკეთის ქმნა, ლოცვა და საკვებისაგან თავის შეკავება. დანო და ძმანო, დამნაშავეა არა საკვები, არამედ ჩვენი ყოფიერების ყველა შემთხვევაში ვნებების დაკმაყოფილება. დიდი მარხვის აზრი თავშეკავებაშია. და დიდი იმიტომ ჰქვია, რომ ყველაფერს მოიცავს, რაც უფალს შეუქმნია — ჩვენ და ჩვენს სიცოცხლეს. ამიტომ მარხვის პროცესში ვიწმინდებით და ვკეთილშობილდებით. საკუთარი სულის ხსნისაკენ შვიდკვირიანი მოგზაურობის შემდეგ, აღდგომის ღამეს, ჩვენ ისევე უნდა განვიცადოთ ფერისცვალება, როგორც იესომ.

არქიმანდრიტი პეტრე (კუჩერი)

ეკლესიის გასაღები — რუსეთის პრეზიდენტს

პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა იტალიაში, თავისი იტალიელი კოლეგისაგან ჯორჯო ნეაპოლიტანოსაგან მიიღო რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის გასაღები, რომელიც ქალაქ ბარიშია. ეკლესიის მოძღვარმა ვლადიმერ კუჩუმოვმა თავისი საჩუქარი მოამზადა — ესაა წმიდა ნიკოლოზის ხატი და სურათი.

— „მე მაქვს საჩუქარი. ესაა ხატები და სურათი. რასაკვირველია, მათზე გამოსახულია წმიდა ნიკოლოზი, ტაძარი ხომ მის სახელს ატარებს“, — აცნობა „ლაიფ. რუს“ ვლადიმერ კუჩუმოვმა.

მისი სიტყვებით, მრევლს მიანიჭეს შესაძლებლობა — თვალყური ედევნებინა გასაღების გადაცემის ცერემონიისათვის.

— „ეს გასაღები სიმბოლურია. იგი გადასცა იტალიის პრეზიდენტმა ჯორჯო ნეაპოლიტანომ რუსეთის პრეზიდენტს“, — იტყობინება მოძღვარი.

ვლადიმერ კუჩუმოვი უკვე ათი წელია, ტაძარს ემსახურება ბარიში. ის აღნიშნავს, რომ რუსეთის ლიდერები დიდ ყურადღებას უთმობენ ამ სალოცავს.

— „დიმიტრი მედვედევს ჩვენ შევხვდით საერთო ღონისძიებებში. აი, ვლადიმერ პუტინი კი იყო ჩვენთან და მასთან ერთად ვიმოგზაურეთ კიდეც“, — ამბობს ვლადიმერ კუჩუმოვი.

„ლაიფ. რუს“ ცნობით, წმიდა ნიკოლოზი იცავს უკანონოდ დასჯილებს, ჭორის მსხვერპლთ. ის ცნობილია აგრეთვე თავისი ლოცვებით მეზღვაურებისა და მოგზაურებისთვის. წმიდა ნიკოლოზის პატივს მიაგებენ შედარებით ადრე პერიოდიდან. რუსეთში იგი ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი წმინდანია. თავდაპირველად იგი დაიმარხა ქალაქ დემრეს ეკლესიაში, რომელიც თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზეა. 1087 წლის მაისში იტალიელმა ვაჭრებმა წმინდანის ნაწილები გადაიტანეს იტალიაში. ამჟამად იგი ქალაქ ბარის ეკლესიის განკარგულებაშია.

საერთო რელიგია — უმნიშვნელოვანესი გამაერთიანებელი ფაქტორი რუსეთისა და საქართველოსთვის

კვლევითმა ცენტრმა „რომირმა“ და „გორბიმ“ ერთობლივი საერთაშორისო გამოკვლევა ჩაატარეს, რომლითაც სცადეს, გამოერკვიათ, რა აერთიანებს დღეს ორი ქვეყნის ხალხებს და რა შეიძლება იქცეს ორ სახელმწიფოს შორის ახალი ურთიერთობის შენების საფუძვლად.

როგორც „რომირი“ იუწყება, გამოკითხვამ აჩვენა, რომ რუსებს შორის აზრები გაიყო. რუსეთის მოქალაქეთა მესამედზე მეტი მიიჩნევს, რომ ორი ხალხის კულტურები ერთმანეთთან ახლოს არის.

გამოკითხულთა თითქმის მეოთხედი ფიქრობს, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურებს საერთოც აქვთ და განსხვავებაც. რუსების 17,2%-ის აზრით, რუსეთისა და საქართველოს კულტურები ერთმანეთისგან შორს უფროა, ვიდრე ახლოს.

თითქმის ყოველი მეათე რესპონდენტი (9,4%) დარწმუნებულია, რომ ჩვენი ქვეყნები კულტურული თვალსაზრისით ერთმანეთისგან ძალზე შორს დგანან. 14%-მა შეფასებისგან თავი შეიკავა. 1 მილიონზე მეტი მოსახლეობის მქონე ქალაქებში იმათი ხვედრითი წილი, ვინც ფიქრობს, რომ რუსეთისა და საქართველოს კულტურები ერთმანეთთან ახლოს არის, გაცილებით მაღალია (32,7%), ვიდრე მთლიან გამოკითხვაში (26,4%).

საქართველოში გამოკითხვის მონაწილეებს უფრო მეტად, ვიდრე რუსებს, მიაჩნიათ, რომ ჩვენი კულტურები ერთმანეთთან ძალიან ახლოს არის (20,3% და 8,9% შესაბამისად).

გამოკითხვის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობათა ისტორიული ფუნდამენტის სათანადოდ დაუფასებლობა შეუძლებელია, — აღნიშნავენ მკვლევარები.

რუსების თითქმის ნახევარს მიაჩნია, რომ წარსულში რუსეთსა და საქართველოს საერთო ისტორია აერთიანებდა, მათ ქართველი რესპონდენტების მხოლოდ 16, 4% ეთანხმება. ამავე დროს, საქართველოდან გამოკითხვაში მონაწილეთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც წარსულში ორ ხალხს აერთიანებდა, საერთო რელიგია გახლავთ (75,8%).

გარდა ამისა, ქართველი რესპონდენტებისთვის წარსულსა და მომავალში რუსეთისა და საქართველოს ხალხების გამაერთიანებელი ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორია ნათესაური კავშირები ქვეყნებში (38, 3 და 24% შესაბამისად), ხოლო რუსეთში მიაჩნიათ, რომ ეს ამჟამად არის გამაერთიანებელი ფაქტორი (29, 5 და 29, 15% შესაბამისად).

გასული წლების განმავლობაში ერთგვარი განსხვავება გაჩნდა იმაში, რაც ორ სახელმწიფოს წარსულში აერთიანებდა და ახლა აერთიანებს; მაგრამ საერთო ისტორია, რელიგია, კულტურა — ეს ის არის, რაც დროს არ ექვემდებარება და რაც შესაძლოა, ორ ქვეყანას შორის ახალი ფორმატის ურთიერთობათა დამყარების ბაზად იქცეს.

ბარაკ ობამამ ჯორჯ ბუში გამოამზეურა

აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ საჯაროდ მისაწვდომი გახადა ცხრა იურიდიული დასკვნა, რომლებიც 2001-2003 წლებში ჯორჯ ბუშისთვის მოამზადა. რეკომენდაციების მთავარი აზრი ის გახლავთ, რომ „ომის პირობებში“ (11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ კი აშშ მიიჩნევს, რომ ტერორიზმთან ომის მდგომარეობაშია) პრეზიდენტს სრული უფლება აქვს, კონსტიტუციით გარანტირებული ნებისმიერი ძირითადი სამოქალაქო უფლება უგულებელყოს. აშშ-ის ამჟამინდელმა ადმინისტრაციამ, რომელიც ცდილობს, დაამტკიცოს, რომ „ბუშის ეპოქა“ წარსულში დარჩა, ამ რეკომენდაციებს ერთმნიშვნელოვანი შეფასება მისცა: ისინი ძირეულ ამერიკულ ფასეულობებს ეწინააღმდეგება.



თავიანთ დასკვნებში იურისტები ამართლებენ სატელეფონო საუბრების არასანქცირებული მოსმენის კანონიერებას, აგრეთვე სთავაზობენ, სავარაუდო ტერორისტებს ისე მოეპყრან, როგორც მტრის კომბატანტებს. ამასთან, უშიშროების საბჭოს მაშინდელი მრჩეველის ჯონ ბელინჯერის მომზადებულ ბარათში მითითებულია, რომ პრეზიდენტს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია საერთაშორისო შეთანხმებათა მოქმედების შეჩერება.

დოკუმენტების გამომზეურებასთან ერთად იუსტიციის სამინისტრომ გაამჟღავნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ცეერუმ“ 92 ვიდეოკასეტა გაანადგურა, რომლებზეც დაკავებულთა წამება იყო აღბეჭდილი.

ბატონი ბუშისა და მისი ადმინისტრაციისთვის ჩრდილის მიმყენებელი დოკუმენტების გამომჟღავნება უკავშირდება ბარაკ ობამას მისწრაფებას, მაქსიმალურად შორს დაიჭიროს თავი წინამორბედისა და მისი პოლიტიკისგან. თეთრი სახლის ახალმა ბინადარმა თანამდებობაზე მისვლისთანავე აკრძალა „ინტენსიური დაკითხვა“ სადაზვერვო სამმართველოში და ბრძანა, ერთი წლის განმავლობაში დაიხუროს გუანტანამოს ბაზაზე მდებარე ყბადაღებული ციხე, რომელშიც ტერორიზმში ეჭვმიტანილებს ამყოფებენ. იქაური 200 პატიმრის საქმეები, სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით, სამოქალაქო სასამართლოებს გადაეცემა.

რა მოუვა ამერიკის ეკონომიკას, როდესაც ამოიწურება ამერიკის სამთავრობო სახსრები

ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი კომპანიები და მომხმარებლები, როგორც ჩანს, უკვე შეეჩვივნენ იმას, რომ ხელისუფლება ეხმარება მათ, თავი გაართვან კრიზისს. ვაშინგტონი უზარმაზარ თანხებს ხარჯავს ეროვნული ეკონომიკის მხარდასაჭერად და დიდ საფინანსო ინსტიტუტებს სთავაზობს მრავალმილიარდიან კრედიტს. ზოგიერთი მათგანი გაკოტრების პირასაა.

მაგრამ ამას წინათ ეკონომისტებს გაუჩნდათ ერთი კითხვა: რა მოუვა ამერიკის ეკონომიკას მას შემდეგ, რაც ამოიწურება მთავრობის ფულის ნაკადი? ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფო სახსრების დახარჯვის შემდეგ, რაც კრიზისთან ბრძოლას უნდა მოხმარდეს, ამერიკის ეკონომიკას შეიძლება გადაეფაროს რეცესიის მეორე ტალღა, რომელიც შეიძლება პირველზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. იგი, სავარაუდოდ, წარმოიქმნება 2010 წელს.

ამას ადასტურებს ახალი მოვლენები. ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ადმინისტრაციამ (უკვე მესამედ) მიიღო გადაწყვეტილება, გამოუყოს ფული გადასარჩენად უდიდეს ეროვნულ სადაზღვევო ჯგუფ „AIG“-ს. მაგრამ ამ ზომამ რწმენა როდი განუმტკიცა ბაზრის მონაწილეებს: სავაჭრო სესიის შედეგების მიხედვით, ამერიკის საფონდო ინდექსებმა დაკარგეს დაახლოებით 5%, ხოლო დოუ ჯონსის ინდექსი უკვე დაეშვა 7000 პუნქტს ქვევით.

ამასთან, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რაც მეტ დროს წაიღებს საფინანსო სექტორის სტაბილიზაცია, მით მეტი ზიანი მიადგება ამერიკის ეკონომიკას. „დღევანდელი მომენტისათვის ფეხზე დგება მხოლოდ ის დარგები, რომლებმაც ხელისუფლების დახმარება მიიღო. ყველა დანარჩენ დარგში სიტუაცია უკეთ როდია“, — აღნიშნავს „ვოშოვიას“ წამყვანი ეკონომისტი ჯონ სილვია. ამ აზრისა არიან სხვა ექსპერტებიც. ვარაუდობენ, რომ უმუშევრობა უკვე 2009 წლის ბოლომდე გაიზრდება 10%-ით, იქნება სხვა „უსიამოვნებანიც“. და ეს ყველაფერი ამერიკელებს დაუჯდებათ სულ ცოტა 6,5 ტრილიონი დოლარი, მხედველობაში რომ არ მივიღოთ 12 ტრილიონი, რაც ამერიკის სახლის მეურნეობებმა შარშან დაკარგეს.

სწორედ ეს დანაკარგები გახდა ღრმა რეცესიის ძირითადი მიზეზი, ვინაიდან ამერიკის ეკონომიკა მთლიანად და სრულიად დამოკიდებულია მათ მომხმარებელზე. მიმდინარეობს მომჭირნეობის გზების ძიება, მაგრამ, როგორც ეკონომისტი სტივენ ვიტინგი აღნიშნავს, ჯერჯერობით ვერავინ შეძლო, დაძლიოს რეცესია მკაცრი ეკონომიის რეჟიმის დახმარებით. „ქვეყანა განიცდის გაჭიანურებული რეცესიის პერიოდს. ვფიქრობ, კრიზისის მალე დამთავრებას არ უნდა ველოდეთ“, — აღნიშნავს სავალუტო ანალიტიკოსი მეტიუ შტრაუსი.

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელის ბენ ბერნანკეს სიტყვებით, ამერიკის ეკონომიკის რეცესია შეიძლება დამთავრდეს ამ წელს, აღდგენა კი დაიწყება 2010 წელს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის ძალისხმევა საქმიანი აქტიურობის აღდგენასთან დაკავშირებით ნაყოფს გამოიღებს.

როიტერი

ნატომ რუსეთთან ურთიერთობა აღადგინა

ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბრიუსელში გამართულ მინისტერიალზე რუსეთთან სრულფორმატიანი ურთიერთობის აღდგენა გადაწყვიტეს. ამის შესახებ ალიანსის გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა განაცხადა. აპრილში განახლდება ნატო-რუსეთის საბჭოს მუშაობა, რომელიც ალიანსმა 2008 წლის სექტემბერში შეაჩერა სამხრეთ ოსეთში სამხედრო კონფლიქტის შემდეგ.

სხეფერის განცხადებით, რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა საშუალებას მისცემს ნატოს, ის საკითხები განიხილოს, რომლებშიც მათი აზრები „ფუნდამენტურად განსხვავებულია“.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიგაუდას უშაცკასმა შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს აუწყა, რომ ეჭვი ეპარება ნატო-რუსეთის საბჭოს მოქმედების განახლების დროულობაში. „მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ ეს საბჭო უნდა გამოვიყენოთ, როგორც ყველა, მათ შორის, პრობლემურ საკითხზე რუსეთთან დიალოგის ფორმა. იმისათვის, რომ გავლენა მოახდინო, უნდა ელაპარაკო“, — განაცხადა უშაცკასმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობას „გადატვირთვა“ სჭირდება. „ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულიც ვართ, გამოვნახოთ რუსეთთან კონსტრუქციულად მუშაობის საშუალება იქ, სადაც საერთო ინტერესები გვაქვს“, — თქვა მან.

გაზეთა.რუ

რუსეთი მოსახლეობას საბჭოთა ანაბრებს უბრუნებს

რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დაამტკიცა გადახდის წესები შემნახველ ბანკში ანაბრების კომპენსაციასთან დაკავშირებით 1991 წლის 20 ივნისის მდგომარეობით. 2009 წელს კომპენსაციებს გადაუხდიან რუსეთის 1966 წლამდე დაბადებულ მოქალაქეებს, აგრეთვე I ჯგუფის ინვალიდებს ან ინვალიდებს, რომლებსაც აქვთ შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვის III ხარისხი, ასევე II ჯგუფის ინვალიდებს.

კომპენსაციებს გადაუხდიან აგრეთვე ინვალიდი ბავშვებისა და ბავშვობიდან ინვალიდების მშობლებსა და მზრუნველებს, მშობლებს, რომელთა შვილები გადიოდნენ სამხედრო სამსახურს და დაიღუპნენ სამსახურის დროს მშვიდობიან პერიოდში და სხვა.

კომპენსაციების გადახდა ხორციელდებოდა 1991 წლის 20 ივნისის მდგომარეობით რუსეთის ფედერაციის შემნახველ ბანკში ანაბრის ნაშთის ოდენობის შესაბამისად (1991 წელს ფულადი ნიშნების ნომინალური ღირებულების შესაბამისად) და იმავე ოდენობის დამატებითი კომპენსაციით.

ამასთან, კომპენსაციისა და დამატებითი კომპენსაციის ოდენობა დამოკიდებულია ანაბრების შენახვის ვადაზე.

გათვალისწინებულია აგრეთვე სხვა სათანადო ღონისძიებანი.

მთავრობამ დაავალა ფინანსთა სამინისტროს, აუნაზღაუროს შემნახველ ბანკს დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კომპენსაციასთან — ფაქტობრივად განხორციელებული ანაზღაურების თანხის 2,5%-ის ოდენობით.

ინტერფაქსი

მაიკლ ჯექსონი ოლეგ დერიპასკას უმღერებს

ამერიკელი მომღერალი დათანხმდა, იმღეროს რუსი მილიარდერის ოლეგ დერიპასკას კერძო საღამოს წვეულებაზე აპრილში 2.900 ათას დოლარად.

ამის შესახებ განაცხადა პოპმუსიკის ყოფილი მეფის ბიოგრაფმა იან გალპერინმა. კონტრაქტის თანახმად, ჯექსონის გამოსვლის დროს კულისებს მიღმა უნდა იყოს მობილიზებული ცხრა ექიმი 50 წლის პოპშემსრულებლის ცუდად გახდომის შემთხვევაში. ჯექსონსა და მის გუნდს უნდა მოემსახუროს 11 საუკეთესო მზარეული და ექვსი მასაჟისტი. კონცერტის დამკვეთმა უნდა წარმოადგინოს აგრეთვე 1200 ბოთლი სოდა ბლინგ H20. როგორც გალპერინი აღნიშნავს, ამ კერძო კონცერტმა უნდა შეამოწმოს მაიკლის სიმტკიცე. თუ ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის, ჯექსონი აპირებს, ლონდონში გამართოს 30 კონცერტი.

კონტრაქტმიუზიკი

ანტიკრიზისული რეზერვების დათვალიერება აპრილის ბოლოს გაიმართება

X საერთაშორისო ფორუმი „XXI საუკუნის მაღალი ტექნოლოგიები“, რომელიც 2009 წლის 21-24 აპრილს გაიმართება, გახდება იმ ძალთა გადამწყვეტი დათვალიერება, რომლებმაც უნდა დაიცვან ეროვნული ინტერესები ახალი ათასწლეულის საინოვაციო ფრონტებზე, — მიაჩნია მაღალი ტექნოლოგიების განვითარების რუსეთის ფონდის დირექტორს პაველ პროვინცევს.

საიუბილეო ფორუმი გაიმართება ექსპოცენტრში კრასნაია პრესნიაზე. მის თემატიკაზე უსათუოდ აისახება გლობალური ეკონომიკური კრიზისი. უფრო მეტიც, ფორუმი გამოხატავს ანტიკრიზისულ საინოვაციო მიმართულებას.

კრიზისი — ეს მსოფლიოს საფინანსო სისტემის წარმონაქმნია. იგი დაპროექტდა და შეიქმნა რუსეთის საზღვრებს გარეთ.

ეკონომიკის მთავარი ამოცანაა ადამიანების საბაზო მოთხოვნათა უზრუნველყოფა. ამჟამად, როცა ყველგან შეინიშნება რეცესია, საჭიროა, ვეძებოთ სურსათის, ენერგეტიკის, ტექნოლოგიის უსაფრთხოების ამოცანათა გადაწყვეტა. ვეძებოთ ინოვაციებში. სწორედ რუსეთის საინოვაციო რეზერვის დათვალიერებად უნდა იქცეს X საერთაშორისო ფორუმი. მისი ამოცანაა, შეიმუშაოს საქმის ვითარების კომპლექსური, ერთიანი პანორამა არა ეკონომიკის ცალკეულ დარგებში, არამედ ქვეყანაში მთლიანად. ასეთია კრიზისის საპირისპიროდ წარმატებული მოქმედების ლოგიკა, რომელსაც ყოვლისმომცველი ხასიათი აქვს.

საფრანგეთი აბუ-დაბიში სამხედრო ბაზას გახსნის

27 მაისს აბუ-დაბის ემირატში საფრანგეთი გახსნის სამხედრო ბაზას, სადაც განთავსდება ქვეითი ჯარის, საზღვაო და საჰაერო ქვედანაყოფები.

საფრანგეთს ინდოეთის ოკეანეში უკვე აქვს ორი ბაზა — კუნძულ რეიუნიონზე და ჯიბუტიში. მესამე ბაზის გახსნა მოწმობს ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორების შეცვლას, რაც აღნიშნულია „თეთრ წიგნში“ — ეროვნული უშიშროების დოქტრინაში, რომელიც წარმოადგინა საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ შარშან, ზაფხულში.

ბაზა იქმნება თავდაცვისა და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, რომელსაც 1995 წელს ხელი მოაწერეს საფრანგეთმა და არაბთა გაერთიანებულმა საემიროებმა.

საემიროების ხელისუფლება დიდი ხანია, გამოდიოდა საფრანგეთის ბაზის გახსნის წინადადებით თავის ტერიტორიაზე, მაგრამ წინა პრეზიდენტის ჟაკ შირაკის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იყო, პირველ რიგში, აფრიკის ფრანგულენოვან ქვეყნებზე.

აღნიშნავენ, რომ არაბთა საემიროები „დიდი ხანია, განიცდის მოთხოვნას, გამოირჩეოდეს თავისი მეზობლებისაგან და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ამას გარდა, აბუ-დაბის უნდა, რომ საფრანგეთმა მონაწილეობა მიიღოს რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაციაში. ბაზაზე სამსახურს გაივლის შეიარაღებული ძალების 450-მდე სამხედრო მოსამსახურე, მათგან 30% იქ ოჯახთან ერთად იცხოვრებს.

რია-ნოვოსტი

MISHA, NO PASARAN!*

*მიშა, აღარ გაგვივა!